

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი



მკმპიზი

სტუდენტთა სამეცნიერო შრომები

თბილისი
2013



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მ ა ს ა ლ ე ბ ი

IV სტუდენტური რეგიონთაშორისო
რესპუბლიკური კონფერენცია

ურთიერთობათა და კონფლიქტების
დარაგულირებისათვის

ჰუმანიტარული და კულტურულ- საგანმანათლებლო
მიმართულების პროექტი

II სტუდენტური რეგიონთაშორისი
რესპუბლიკური კონფერენცია

მასალები



თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

რედკოლეგია:

თამარ პაიჭაძე (მთავარი რედაქტორი)

კონფერენციის ხელმძღვანელი, ორგანიზატორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, პროექტის ხელმძღვანელი

კახაბერ ლორია (რედაქტორი)

კონფერენციის ხელმძღვანელი, ორგანიზატორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

ნინო მინდიაშვილი (კოორდინატორი) პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესორები: **ანასტასია ზაქარიაძე, ირინა მირიჯანაშვილი, ინგა სანიკიძე, ქეთევან სიხარულიძე, თამარ შარაბიძე, მაკა ელბაქიძე, ირინა ნაცვლიშვილი, ნინო ჭალაგანიძე, სოფიკო ძნელაძე** (დოქტორანტი)

(ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

პროფესორები: **პროფ. მარიამ მირესაშვილი, ელგუჯა ქავთარაძე, მამული ბერია**

(სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

პროფესორი: **თამარ კიკნაძე** (კავკასიის უნივერსიტეტი)

პროფესორი: **ფრუდე ჰერმუნდსგორდი** (ოსლოს უნივერსიტეტი)

ქეთევან ჩიქვილაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, მაგისტრატურა

ჩინელთა ამერიკანისაციის პრობლემა

ხელმძღვანელი: პროფესორი ელენე მეტმარიაშვილი

აშშ ჩინელთა ემიგრაცია განპირობებული იყო თითქმის იმავე მიზეზებით, რათაც უამრავი სხვა ქვეყნიდან აშშ-ში ემიგრირებული ხალხებისა. ერთი თუ ქვეყანაში ოქროს საძიებლად ჩადიოდნენ, რათა გაეუმჯობესებინათ ეკონომიური მდგომარეობა, მეორენი უბრალოდ იძულებულნი იყვნენ თავისი ქვეყანა აუტანელი საცხოვრებელი პირობების გამო დაეტოვებინათ აღსანიშნავია, რომ ჩინელებმა სხვა კონტინენტზე თან წაიღეს საკუთარი ენა, კულტურა, სოციალური ინსტიტუტები და კოსტიუმები, ისინი ცდილობდნენ აშშ-ს მოსახლეობის განუყოფელი ნაწილი გამხდარიყვნენ.

ჩინელები პირველი ემიგრანტთა ჯგუფები იყვნენ, რომელთაც 1882 წელს კონგრესმა უარი უთხრა მოქალაქეობის გაცემაზე და აუკრძალა ქვეყანაში შესვლა. ჩინელების აშშ-ში ემიგრაციამ ჩამოაყალიბა ურთიერთობა არა მარტო მათსა და აშშ-ის მოქალაქეებს შორის, არამედ დიდი გავლენა მოახდინა აშშ-სა და ჩინეთის, როგორც ქვეყნების ურთიერთობაზე. ჩინელი ამერიკელების გავლენა აშშ-ის პოლიტიკაზე, მეცნიერებასა და კულტურაზე საგრძნობია. ჩინელების ემიგრაცია აშშ-ში არის ნაწილი ჩინელების მსოფლიო მასშტაბით ემიგრაციის დიდი ისტორიული პროცესისა (ჩინეთის გარეთ, ჩინელების მოძრაობა გრძელდება 5000 წლის განმავლობაში; დღეს 35 მლნ. ჩინელი ცხოვრობს ჩინეთის გარეთ, 130-ზე მეტ ქვეყანაში).

აშშ-ი ჩინელთა ემიგრაცია სამ პერიოდს მოიცავს: 1849-1882, 1882-1965 და 1965-დან დღემდე. აშშ-ში პირველი ჩინელები ძირითადად ახალგაზრდა მამაკაცები იყვნენ ჩინეთის სამხრეთ პროვინციებიდან, რომლებიც ამერიკის აღმოსავლეთში ჩასული იყვნენ სამუშაო კონტრაქტით. მუშათა უმეტესობას საკმაოდ შეზღუდული მიზნები ჰქონდა: **დაენინაურებინათ საკუთარი თავისა და ოჯახის ეკონომიური მდგომარეობა.** 1882 წლის დასაწყისში, აშშ-ს კონგრესმა ჩინელი ემიგრანტების წინააღმდეგ მთელი რიგი ანტი-ჩინური კანონების სია მიიღო, უარი უთხრა მათ მოქალაქეობის გაცემაზე და დემოკრატიულ უფლებებზე, ასევე რაც მთავარია მათ ქვეყანაში შესვლა აუკრძალა. სიტუაცია მხოლოდ 1964-65 წლებიდან შეიცვალა, როდესაც მიღებული იქნა **საემიგრაციო აქტი, რომელიც** ითვალისწინებდა ქვეყანაში თავისუფლად შესვლას. ამან მისცა ჩინელებს საშუალება, მასობრივად ჩასულიყვნენ ამერიკაში და მობილიზებულიყვნენ რასობრივი თანასწორობისა და საზოგადოებრივი მართლმსაჯულების მოთხოვნისათვის.

აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის II ნახევრიდან და XX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, ჩინური კვარტლები (CHINATOWNS) მუდმივ საცხოვრებელს წარმოადგენდა იმ ჩინელთათვის, ვინც მოწყვეტილი იყო საკუთარი ქვეყნისა და ევრო-ამერიკელებთან შედარებით შეზღუდული უფლებებით სარგებლობდნენ. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს თეთრკანიან მოსახლეობასთან ჩინელთა ასიმილაცია უპერსპექტივოდ მიიჩნეოდა, რადგან თეთრკანიანი ამერიკელები მათ არასრულფასოვან რასად მიიჩნევდნენ, მათთან ასიმილაციას შეურაცყოფად თვლიდნენ.

მე 19 საუკუნეში, ბევრი ემიგრანტი ჩინელი აშშ-ში ვერ პოულობდა თავის ადგილს და ურთულეს პირობებში უხდებოდა არსებობისათვის ბრძოლა. სწორედ ამის გამო განვითარდა მათში სირთულეებისადმი გამკლავების მაღალი დონე. ეს თვისება მათი ცხოვრების ერთგვარი სტილი გახდა, რომელიც ითვალისწინებდა ხელმომჭირნედ ცხოვრებას. ჩინელი ამერიკელი მშობლები ცდილობდნენ-

,რომ შვილებს არ დაევიწყებინათ ჩინური ენა და კულტურა, ბავშვები განათლებას მხოლოდ ჩინურ კვარტლებში არსებულ ჩინურ სკოლებში იღებდნენ, ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქორწინების საკითხსაც.

ჩინელები მუდამ ერთიანდებოდნენ სოციალურ ორგანიზაციებში. რაიონული და ოჯახური ასოციაციები მათ საერთოინტერესს წარმოადგენდა. ბევრ ასეთ ასოციაციას ქსელები ჰქონდა სხვადასხვა ჩინურ კვარტლებში და ეს საშუალებას აძლევდა მათ წევრებს ერთი ქალაქიდან მეორეში ემოგზაურათ. სწორედ ამ ასოციაციების მეშვეობით შეიქმნა თითოეულ ქალაქში ჩინური საქველმოქმედო ორგანიზაციები. ამავე დროს, ეს გაერთიანებები იმდენად ძლიერი და დესპოტური იყო, რომ ხელს უშლიდა პოლიტიკურ და სოციალურ აღმავლობას.

ამ სპეციფიურ გეტოებში ხშირად ჩადიოდა მთელი რიგი პროტესტანტი და კათოლიკე მისიონერებისა, რომელნიც აქ ეკლესიებსა და სკოლებს აფუძნებდნენ, და რაც მთავარია ცდილობდნენ ჩინელთა მოქცევასა და ასიმილაციას. გარდა ქრისტიანებისა, ჩინურ კვარტლებში ჩადიოდა ასევე ჩინური პოლიტიკური დაჯგუფებების წევრებისა და რეფორმატორების ნაკადი. რასაკვირველია, ორივე მხარეს საკუთარი მიზნები გააჩნდათ: ერთნი თუ ცდილობდნენ ჩინელთა ასიმილაცია-აკულტურაციას, მეორე მხარის მიზანი იყო ჩინელთათვის შთაეგონებინათ ჩინეთისადმი კულტურული და პოლიტიკური ლოიალობა. მაგალითად, სან-ფრანცისკოს ჩინურ კვარტლებში არსებული ყველა მნიშვნელოვანი ქრისტიანული სკოლა და ეკლესია, მისიონერების მიერ იყო დაარსებული, ეს კვარტალი წარმოადგენდა ყველაზე დიდს მთელს აშშ-ში და იყო ჩინელი ამერიკელების ყველაზე დიდ პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი.

სეგრეგაციის პირობებში, ბევრ ჩინელს სცხვენოდა თავისი გარეგნობის, სტატუსისა კულტურის. საკუთარი თავისადმი სიძულვილი და მოთხოვნილება, მიღებულნი ყოფილიყვნენ თეთრკანიანთა საზოგადოების მიერ, მათ აკვიატებულ აზრად იქცა. ამან მიიყვანა ზოგიერთი ჩინელი ამერიკელი საკუთარი კულტურისა და ენის უარყოფამდე და რადიკალური ამერიკანიზაციის ძიებამდე. ამერიკულ ღირებულებებთან ადაპტაციის, ქრისტიანობაზე მოქცევის მცდელობა, საკუთარი რასობრივი და კულტურულ ინდივიდუალობის უარყოფა, II მსოფლიო ომის პერიოდში წარუმატებელი აღმოჩნდა მათთვის. ბევრი ჩინელი იძულებული გახდა გაეკეტებინა არჩევან დარჩენილიყო აშშ-ში მეორეხარისხოვანი მოქალაქის სტატუსით ან დაბრუნებულიყო ჩინეთში. ემიგრანტთა თაობას მხოლოდ ერთადერთი არჩევანი ჰქონდა: თავისი მომავალი ჩინეთში ეძიათ. თუმცა 40-იან წლებში ჩინეთში დაწყებულმა მოდერნიზაციის პროცესმა მათ ეს არჩევანიც მოუსპო. ჩინეთში აშშ-დან დაბრუნებულ ჩინელებს ამერიკელ აგენტებად მიიჩნევდნენ და არ ენდობოდნენ. აღსანიშნავია, რომ ჩინეთ იაპონიის პერიოდში (1927-1941წწ), გომინდანის ლიდერები რამოდენიმეჯერ ჩავიდნენ ამერიკაში, რათა ჩინელი ამერიკელების მხარდაჭერა მოეპოვებინათ. ფრაქციული კამათი პროჩინურსა და პროტაივანურ ძალებს შორის ძალიან ბევრი მხარეებით ამ პოლიტიკური მემკვიდრეობის ნაწილს წარმოადგენდა. თავისი არსით, ჩინეთის პოლიტიკური ფრაქციულობა იქცა ჩინური ამერიკული ცხოვრების განუყოფელ ნაწილად. მისიონერებისა და პოლიტიკური რეფორმატორების ძალისხმევასთან ერთად, დაარსებული იქნა ბევრი პოლიტიკური პარტია, ეკლესიები, სკოლები და გაზეთები. სკოლები და გაზეთები ამერიკაში იქცა ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან და მყარ ინსტიტუტებად. ორივემ ერთად, უდიდესი როლი ითამაშა ჩინელ ამერიკელთა შორის ჩინური კულტურის შენარჩუნების საქმეში.

საინტერესო ფენომენს ჩინური ოჯახი წარმოადგენს. 1882 წლიდან მოყოლებული, როცა ჩინელები აშშ-ში სამუშაო კონტრაქტით ჩავიდნენ, ჩინური მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენდნენ ახალგაზრდა მამაკაცები, რომლების ან დაუქორწინებლები იყვნენ ან ჩინეთში ჰყავდათ დატოვებული ცოლ-შვილი. ჩინურმა ოჯახებმა აშშ-ში ძირითადად XX საუკუნის დასაწყისიდან იწყეს გამრავლება. ჩინური ოჯახის უმეტესობა წარსულშიც და ახლაც წარმოადგენს სამენარჩეო ერთიანობას, სადაც ოჯახის ყველა წევრი ბავშვების ჩათვლით გაერთიანებულია საოჯახო ბიზნესში, სადაც ბავშვების განსაკუთრებული როლი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი აშშ-ში არიან დაბადებულნი და მშობლებთან შედარებით გაცილებით უკეთ ფლობენ ინგლისურ ენას, რაც დიდი როლს თამაშობს

ბიზნესის განვითარებაში. ჩინური ბიზნესის წარმატების მთავარი საფუძველი, განსაკუთრებული შრომისმოყვარეობაა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომმა ლიბერალურმა საემიგრაციო პოლიტიკამ აშშ-ში კიდევ უფრო შეუწყო ხელი ჩინური ოჯახების აშშ-ში ემიგრაციას. 1965 წლის საემიგრაციო აქტმა დიდი გავლენა მოახდინა აშშ-ში ჩინური ოჯახების ცხოვრებაზე. ამ პერიოდში ჩინური მოსახლეობა ამერიკაში არამარტო გაიზარდა, ასევე ბევრი ჩინელი ემიგრანტი ამერიკაში მოდიოდა როგორც ცალკეული ოჯახები-როგორც წესი, ცოლი, ქმარი და დაუქორწინებელი ბავშვები.

თანამედროვე ჩინურ ამერიკულ ოჯახს ხუთ კატეგორიად ჰყოფენ: **1. ძველი ემიგრანტების ოჯახები 2) პროფესიონალი ემიგრანტების ოჯახები 3) ამერიკაში დაბადებულ ჩინელთა ოჯახები 4) ახალი მუშა-ემიგრანტთა ოჯახები და 5) ბიკულტურული ჩინური ოჯახები.** განვიხილავ ამ ოჯახების მესამე ტიპს, რომელსაც მიეკუთვნება ჩინური ამერიკული ოჯახი. 1940 წლამდე აშშ-ში ოჯახის ეს ტიპი არ არსებობდა, ამავ დროს, 1965 წლის იმიგრაციის ტალღასთან დაკავშირებით, ამერიკაში დაბადებული ჩინელები წარმოადგენდნენ მთელს აშშ-ში ჩინური მოსახლეობის უმცირეს ჯგუფს. იმის გამო, რომ აშშ-ში ემიგრაციის ტალღები სხვადასხვა პერიოდებში ხორციელდებოდა, მოსახლეობის ამ ჯგუფს შორის მნიშვნელოვანი მრავალფეროვნებები არსებობს. ეს მოსახლეობა მიისწრაფის მიიღოს უმაღლესი განათლება, რათა მომავალში არ ჰქონდეს პრობლემები დასაქმებაზე. აღსანიშნავია, რომ ეს ჩინური აკულტურებულ-ასიმილირებული ოჯახის ტიპი, უფრო თანამედროვე და კოსმოპოლიტურია და ისინი თავს უფრო მეტად ამერიკელებად თვლიან ვიდრე ჩინელებად, თუმცა მათში არსებობს ტენდენცია, ქალაქგარეთ ჰქონდეთ აღდგენილი ან ნახევრად გაფართოებული ჩინური თემები.

საინტერესოა, აგრეთვე ჩინური ოჯახის **ბიკულტურული ტიპი.** მიუხედავად იმისა, რომ ჩინელები უმეტეს შემთხვევაში ერთმანეთზე ქორწინდებიან, შერეული ოჯახები მაინც გვხვდება, ანუ ისინი მაინც ქორწინდებიან სხვა რასების წარმომადგენლებზე.

აღსანიშნავია, რომ კონფუციონელების გავლენამ უდიდესი როლი ითამაშა ჩინური ამერიკული ოჯახის ერთიანობის განმტკიცებაში, ისინი უნერგავდნენ უმცროსებს უფროსებისადმი პატივისცემის გრძნობას, ასევე პატივისცემას ხელისუფლების ხელიუფლებისადმი. მაღალი ღირებულება ენიჭებოდა განათლებას. ყოველივე ეს იყო მიზეზი ჩინელი ამერიკელების განათლების მაღალი დონისა.

კვლევების მიხედვით, 2000 წელს, ჩინელ მოსახლეობასთან შედარებით, 25-დან 64 წლამდე თეთრკანიანი მოსახლეობის უფრო დიდ ნაწილს მიღებული ჰქონდა საშუალო სასკოლო განათლება. მიუხედავად ამ მაჩვენებლისა, ჩინურ მოსახლეობას განათლების სფეროში მეტი წარმატებები ჰქონდა მიღწეული. აზიელების ექსტრაორდინალურმა მიღწევებმა განათლების დარგში, მიიზიდა ამერიკული საზოგადოება და მასმედია. უცხოური წამოშობის ჩინელები თეთრკანიან ამერიკელებთან შედარებით, განათლების სფეროში აჩვენებენ პოლარიზაციის უფრო მაღალ დონეს. უცხოელი ჩინელების 80%-ს არ გააჩნია სრული სასკოლო განათლება თეთრკანიანი ამერიკელების 10%-თან შედარებით. უცხოელი ჩინელების პოლარიზაციის კლასი მნიშვნელოვნად ასახავს თანამედროვე ჩინური ემიგრაციის კანონზომიერებას. უდიდესი რიცხვი მაღალკვალიფიციური განათლებული ემიგრანტებისა, აშშ-ში წარმოიშვა ბოლო 30 წლის განმავლობაში ჩინეთიდან და ტაივანიდან. ამერიკაში მიღებული განათლების მერე, ჩინეთიდან, ჰონ-კონგიდან და ტაივანიდან ჩამოსული სტუდენტებმა ქვეყანაში მოქალაქეობა მიიღეს და მუდმივად დასახლდნენ აქ. ჩინელი ემიგრანტების საზოგადოება ორ კატეგორიად იყოფა: პირველს უფრო განათლებულნი და შეძლებულნი მიეკუთვნებიან, ხოლო მეორეს განათლებულები. 1910 წელს, ჩინელი ბავშვების წილი, რომელნიც ესწრებოდნენ სასკოლო მეცადინეობებს, თეთრკანიან ბავშვებთან შედარებით შესამჩნევად დაბალი იყო. ხოლო, 1930 წლისთვის, სკოლას ჩინელი ამერიკელი მოზარდები უფრო ესწრებოდნენ, ვიდრე მათი თეთრკანიანი თანატოლები. 1960 წელს კი ჩინელები განათლების დონის მიხედვით, უკვე თეთრკანიანების დონეზე იდგნენ, ზოგჯერ აღემატებოდნენ კიდევ. თუ გავითვალისწინებთ ამ პერიოდში გავრცელებული რასიზმს,

განსაკუთრებით დასავლეთ სანაპიროზე, მათი მიღწევები განათლების სფეროში მართლაც შესანიშნავია.

რაც შეეხება ჩინელი ამერიკელების კულტურას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათ კარგად აქვთ შენარჩუნებული ეროვნული ტრადიციები. საკმაოდ ბევრი ჩინელი ამერიკელი ახლაც ატარებს ტრადიციულ ჩინურ ტანსაცმელს. ეს განსაკუთრებით ჩანს მათ ქორწილებსა და ნვეულებებში. დროდადრო, ჩინური სტილი თავის გზას პოულობს ამერიკულ მაღალ მოდასა და ჰოლივუდში.

ამრიგად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩინელების ისტორია ბოლო 150 წლის განმავლობაში ხასიათდება ინდივიდუალური და ინსტიტუციონალური ჩაგვრის ეპიზოდებით, დისკრიმინაციითა და რასიზმით. ჩინელები იყვნენ იზოლირებულნი ჩინურ კვარტლებში (ჩინატონს) და საზოგადოების მიერ სეგრეგირებულნი. მათთვის მოქმედებდა კანონები, რომლებიც კრძალავდა მათ მონაწილეობას ამერიკული საზოგადოების პოლიტიკურ, სასამართლო, სოციალურ, ეკონომიკურ თუ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. 1882 წელს, ჩინელებს აუკრძალეს აშშ-ში შესვლა და ეს კანონი ძალაში რჩებოდა 80 წლის განმავლობაში, 1965 წელს საემიგრაციო აქტის მიღებამდე. მიუხედავად ამ ფართოდ გავრცელებული რასიზმისა, ჩინელები მაინც აგრძელებენ ადაპტაციას ამერიკულ საზოგადოებასთან. მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა და ზოგიერთი მაჩვენებლებით, როგორც არის მაგალითად: განათლება და შემოსავალი, აღემატება თეთრკანიანთა მიღწევებს. მიუხედავად ასეთი გაუმჯობესებისა, ჩინელებს ჯერ კიდევ დიდი გზა აქვთ გასავლელი, რათა გაუთანასწორდნენ ამერიკაში დომინირებულ თეთრკანიან მოსახლეობას. ისეთი მაჩვენებლებიდან, როგორც არის ქორწინება და საზოგადოებრივი ურთიერთობები, ჩანს, რომ თანდათან მიმდინარეობს აშშ-ში ჩინელების ასიმილაცია-აკულტურაცია თეთრკანიან საზოგადოებასთან. ამავე დროს აკულტურაცია არაცალასახა პროცესად მიმდინარეობს. გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ამერიკელების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ კატეგორულია ამერიკულ საზოგადოებაში ჩინელების სრული ასიმილაციისადმი. თუმცა ნაწილი აბსოლტურად ლოიალურია მათადმი.

მიუხედავად იმისა, რომ 1980-იანი წლები შეიძლება ჩაითვალოს, ჩინელებისთვის აშშ-ში მნიშვნელოვანი მიღწევების ათწლეულად, ის აგრეთვე ცნობილია, როგორც ათწლეული, როდესაც ანტი-ჩინურმა ანტაგონიზმმა და ძალადობამ ხელახალი აღორძინება დაიწყო. 1990-იან წლებში, კლინტონის ადმინისტრაციის მმართველობის პერიოდში, თავი იჩინა ადმინისტრაციის მიერ მართვაში დაშვებული შეცდომების შედეგად ამერიკის ეკონომიკის ვარდნამ და ამ პროცესში განტევების ვატი ჩინელი ამერიკელი აღმოჩნდა. მათ მიმართ აღიძრა უამრავი სასამართლო პროცესი პოლიტიკური და სამრეწველო შპონაჟის მუხლით, რასაც მოყვა საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება ჩინელი ამერიკელების მიმართ.

21-ე საუკუნის დასაწყისში, ჩინელების მომავალი ამერიკულ საზოგადოებაში საკმაოდ ბუნდოვანია, თითქოს და დამოკიდებულია აშშ-ში არსებულ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე და ასევე ჩინეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არსებულ ურთიერთობებზე.

მარიამ პაპოშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

თურქეთი-სამხრეთ კავკასიისა და ევროკავშირთან ურთიერთობის პრიზმაში

ხელმძღვანელი პროფესორი: გიზო ჭელიძე

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოების გამოჩენამ გადამწყვეტი როლი ითამაშა თურქეთის რეგიონული პოლიტიკის ფორმირებაში. პირველ რიგში, საერთაშორისო პროცესების სისტემურმა ცვლილებებმა უზიდავს თურქეთს რეგიონულ პოლიტიკაში თავისი როლის გაფართოებისკენ. იგი იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც სცნო ახლად დამოუკიდებელი რესპუბლიკები (აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი). შედეგად, 1991 წლის ბოლოსთვის, საბოლოოდ მიატოვა პრორუსული პოზიცია, და აქტიურ ფაზაში შეიყვანა თავისი ურთიერთობები კავკასიის ქვეყნებთან.

თურქეთის, როგორც რეგიონული ლიდერის მჭიდრო ეკონომიკური კავშირი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან (საქართველოსა და აზერბაიჯანთან) ბაღებს პერსპექტივას რეგიონული უსაფრთხოებისა და სტაბილურობისთვის.

ამ თვალსაზრისით, რამდენიმე ასპექტი უნდა განვიხილოთ; მრავალმხრივი ენერგეტიკული თანამშრომლობის პერსპექტივების და ევროკავშირისათვის ალტერნატიული რესურსების წყაროს დივერსიფიკაციის საჭიროება ზრდის შესაძლებლობას ახალი რეგიონული პროექტების განხორციელების. ამ თვალსაზრისით მთავარი მიზანია ჩამოყალიბდეს პირდაპირი, უსაფრთხო და სტაბილური კავშირები ამ რესურსების მწარმოებელ აღმოსავლეთსა და მომხმარებელ დასავლურ ბაზარს შორის. ამასთანავე, თურქეთი მიზნად ისახავს გახდეს რეგიონული ცენტრი აზერბაიჯანული, რუსული და ერაყის ნავთობის, ისევე როგორც, აზერბაიჯანული, რუსული, ირანული და თურქმენული ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებისთვის, რასაც შეუძლია ფართო პერსპექტივით უზრუნველყოს ევროკავშირის ენერჯო უსაფრთხოება.

როგორც ავლნიშნეთ, კავკასიის რეგიონი ევროკავშირისთვის ენერჯო უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი გარანტია, ამდენად თავად დასავლეთის ინტერესებში ექცევა რეგიონული სტაბილურობის უზრუნველყოფა. ასევე მნიშვნელოვანია იმაზე აქცენტირება, რომ მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება და ამ გზით ურთიერთდამოკიდებულების მიღწევა დადებითი შედეგის მომტანი იქნება არსებული დაძაბული (თურქეთ-სომხეთის, სომხეთ-აზერბაიჯანის) ურთიერთობების დარეგულირების საკითხში.

თურქეთის პოლიტიკური ტრანსფორმაცია

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 90-იანი წლების დასაწყისში, თურქეთის რიტორიკა კავკასიასთან მიმართებაში საკმაოდ ამბიციური იყო, მიზნად ისახავდა რა წამყვან რეგიონულ ძალად წარმოჩენას. საუკუნის მიწურულს რუსეთის გაბატონებული პოზიცია რეგიონში და თურქეთის უუნარობა დაეცვა თავისი რიტორიკა ცხადი გახდა. შიდა პოლიტიკური დაძაბულობა, მთავრობათა მუდმივი ცვლა და ეკონომიკური სტრესი შეიძლება მივიჩნიოთ რეგიონში მისი მიზნის რეალიზების შემაფერხებელ ფაქტორებად.

თურქეთმა, შეიძლება ითქვას, რომ საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ერთდროულად განიცადა ტრანსფორმაცია. ქვეყანაში დაიწყო დემოკრატიის განვითარება. სამართლიანობის და განვითარების პარტია (Justice and Development Party (AKP) მოვიდა ძალაუფლების სათავეში 2002 წელს, როგორც ბევრი შიდა ცვლილებების განმარტოებელი ძალა. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, საგარეო პოლიტიკური გამოცდილება იყო ჩამოყალიბებული და ურთიერთობები სახელმწიფო სტრუქტურებთან დაძაბული. ამ პერიოდში აშკარა გახდა თურქეთის საჭიროება ხელახლა განესაზღვრა თავი-

სი ადგილი გლობალურ რუკაზე და მოეხდინა საგარეო პოლიტიკის „დივერსიფიკაცია“ „მაქსიმალური სტრატეგიული დივიდენდების“ მიღებით.

თურქეთის საგარეო პოლიტიკაში პრიორიტეტთა დანაწევრებამ შემდეგი ხასიათი მიიღო: სტაბილურობა სამეზობლოში, „ნულოვანი პრობლემები“ და მზარდი ეკონომიკური კავშირები მეზობლებთან (ვაჭრობა და ინვესტიციები), ევრაზიასა და ევროპას შორის ენერჯო ცენტრად ყოფნა, გლობალური რელიგიური/ ცივილიზაციური დაყოფის აღმოფხვრა გამაერთიანებელი ხიდის როლის შესრულებით. თურქეთის „ახალი“ საგარეო პოლიტიკა ანალიტიკოსთა მიერ განიმარტა, როგორც თვითდაჯერებული და მრავალგანზომილებიანი.¹

“საერთაშორისო სისტემაში ახალი გარდაქმნებისა და გრავიტაციის ცენტრის გლობალურ ეკონომიკაზე გადასაცვლების” გათვალისწინება თურქეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი ორიენტირია. ძირითადი ლოგიკა მდგომარეობს იმაში, რომ „რეგიონალიზაციის მოდელი“ მზარდი მნიშვნელობისაა. დასავლეთთნ მტკიცე კონტაქტის შენარჩუნება კი გრძელვადიანი პრიორიტეტია- თურქეთს ესაჭიროება მისთვის ყველა კარის ღია მდგომარეობაში ყოფნა თავისი პოზიციების და გავლენის გაზრდის მიზნით.

თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობათა მოკლე ანალიზი

2002 წლის საპარლამენტო და 2007 წლის საპრეზიდენტო არჩევნების, და ზომიერ ისლამისტთა ხელში ძლაუფლების კონსოლიდაციის შედეგად, თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა.²

თურქეთისა და ევროკავშირის ურთიერთობებში არსებულ პრობლემებზე საუბრისას რამდენიმე ასპექტს უნდა გაეხვას ხაზი. პირველ რიგში, წინააღმდეგობები წარმოიშვა ევროკავშირის მიერ საკუთარი თავის, როგორც ნაციონალიზმის დამთრგუნველ ძალად აღქმასა და თურქეთის იდეას ძლიერი და თურქული ნაციონალიზმით გაჯერებულ პოლიტიკას შორის ჰარმონიის ნაკლებობით. მეორე, ევროკავშირის ზეწოლის ქვეშ, თურქეთის მხრიდან არის მოლოდინი, რომ გაატარებს რეფორმებს საშინაო პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სამხედრო სფეროში, რაც შედეგად ასუსტებს შიდა კანონმდებლობას (ინტერნალ ლეგისლაციონ), განსაკუთრებით კი ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში. მესამე, თურქეთის მუსულმანური იდენტობა პან-ევროპული ღირებულებებისთვის საფრთხედ აღიქმება.

მთლიანობაში არ არსებობს ერთი აზრი ან მიდგომა თურქეთის ევროკავშირში წევრობასთან დაკავშირებით; თუმცა ევროკავშირი თურქეთს როგორც ერთ-ერთ მთავარ აქტორად აღიქვამს ცენტრალურ აზიასთან ურთიერთობების საკითხში, უფრო მეტიც, ევროკავშირი სცნობს თურქეთის სტრატეგიულ როლს ფართო შავი ზღვის რეგიონში, სამხრეთ კავკასიაში და თურქეთის მნიშვნელობას ნავთობითა და გაზით მომარაგების საკითხში კასპიის რეგიონიდან და არის მისაღები პარტნიორი და კონკურენტი რუსეთთან ურთიერთობებში, ეს თავის მხრივ ნებსით თუ უნებლიედ სამხრეთ კავკასიას თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობების უშუალო და მნიშვნელოვან სტრატეგიულ ძალად აქცევს.

ერთ-ერთი სფერო სადაც თურქეთისა და ევროკავშირის ინტერესების თანხვედრა მაღალი ალბათობით შეიძლება მოხდეს სწორედ სამხრეთ კავკასიის რეგიონია. სამხრეთ კავკასია ისტორიულად იყო ოტომანების იმპერიის ასპარეზი, და 1923 წლიდან თურქეთის რესპუბლიკისთვის და თურქული გავლენის არეალი. ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით, რეგიონი ამოვარდა მისი სტრატეგიული ინტერესის სფეროდან საკმაოდ დიდი ხნით. საბჭოთა კავშირის დაშლის და აქედან გამომდინარე თურქეთის, როგორც ნატო-ს საზღვრების მცველის ფუნქციის დაკარგვის შემდეგ, თურქეთმა ინ-

¹ *Turkish Policy Quarterly*, Winter 2007/8, www.turkishpolicy.com

² EU-Turkey Associative Council, 10 May 2010, Brussels, http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_data/docs/pressdata/en//er/114363.pdf

ტენსიური გახდა თავისი ქმედებები სამხრეთ კავკასიაში და გაზარდა ამბიციები რეგიონული ლიდერის სტატუსის მოსაპოვებლად.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებები, როგორცაა ტერორიზმი, ტრეფიკინგი, იარაღთა და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მონყვლადია სამხრეთ კავკასიის რეგიონი, რომელსაც მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა აქვს. ამასთანავე აქ არსებული ოკუპირებული ტერიტორიები ხელშემწყობი ფაქტორია არალეგალური საქმიანობის განხორციელებისათვის, რამაც შეიძლება უფრო ფართო მასშტაბის საფრთხე შექმნას. აქ მიმდინარე მოვლენებმა შესაძლოა სერიოზული გავლენა იქონიოს როგორც რეგიონულ, ისე დასავლეთის უსაფრთხოებაზე. ამდენად თავის მხრივ ევროპის ინტერესებშიც შედის საკუთარი უსაფრთხოებისთვის, ზემოდ მოყვანილი ფაქტორების თავიდან არიდების მიზნით, ხელი შეუწყოს რეგიონის კონსოლიდაციას და სტაბილურობას.

სტრატეგიული სამკუთხედი: თურქეთი- აზერბაიჯანი-საქართველო

თურქეთის ურთიერთობები აზერბაიჯანთან და საქართველოსთან შედარებით ნათელი და ურთიერთდაკავშირებულია: თურქეთი ამ ორ ქვეყანას ახალგაზრდა პარტნიორად სცნობს. მრავალი ენერგო და საკომუნიკაციო პროექტები აკავშირებს საქართველოსა და აზერბაიჯანს თურქეთთან, რაც ზრდის ურთიერთდამოკიდებულებას. სამხრეთ კავკასიის ამ ორ ქვეყანასთან ურთიერთობების მშენებლობით თურქეთი უზრუნველყოფს თავისი მიზნის მიღწევას გახდეს კასპიური ენერგო რესურსების ტრანზიტორი ევროპის ქვეყნებისთვის.³ მსგავსი კომუნიკაცია უზრუნველყოფს თურქეთისთვის ცენტრალურ აზიის ქვეყნების ხელიმისაწვდომობას და არაენერგო სექტორში თურქული კაპიტალის ზრდას საქართველოსა და აზერბაიჯანში, და თავისი პროდუქტისა და მომსახურებისთვის დამატებითი ბაზრის შექმნას.

სომხურ-თურქული და თურქულ-სომხური ურთიერთობები

თურქეთის ყველაზე პრობლემატური ურთიერთობები სამხრეთ კავკასიაში სომხთან აქვს. 1980-იანი წლების ბოლომდე ეს პრობლემა არსებობდა სომეხი დიასპორის მიერ სომხური გენოციდის საერთაშორისო აღიარების მოთხოვნის ფონზე. უფრო მეტიც, სომხეთის ჩართულობამ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში პირდაპირი გავლენა მოახდინა მათ ურთიერთობებზე. ამ კონტექსტში, ორმხრივი ურთიერთობების დარეგულირება სამხრეთ კავკასიაში ერთ-ერთ-ერთი მთავარი გამომწვევაა.

თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობებში გარკვეული ძვრები შეინიშნება, რისი გაუმჯობესებაც რეგიონულ განვითარებაში შეიტანს პირდაპირ წვლილს. 2009 წლის ოქტომბერში ხელმოწერილ იქნა პროტოკოლი ამ ორ ქვეყანას შორის, რომელიც პირველ ორმხრივ ხელშეკრულებას წარმოადგენს მათთვის. სომხეთის თურქეთთან ურთიერთობებში ჩაბმას დადებითი და უარყოფითი მხარეები შეიძლება ჰქონდეს ეკონომიკურ სფეროსთან მიმართებაში:

- ღია საზღვრები თურქეთთან იძლევა კომუნიკაციის გაფართოვებულ საშუალებას
- სომხეთში და სომხეთიდან საქონლის ტრანსპორტირებისთვის გადასახადები შემცირდება
- გაიზრდება ევროკავშირის ინვესტიციები სომხეთში
- ადგილობრივი პროდუქტი შესაძლოა უფრო იაფი თურქული საქონელით ჩანაცვლდეს (რაც სპეკულაციის საგანია „ღია საზღვრების“ მოწინააღმდეგეებსა და მხარდამჭერებს შორის)
- სომეხი მუშახელის გადინება თურქეთში, ასევე სომეხი ტურისტების რიცხვის ზრდა

³ Terry D. Adams, “Caspian Oil and Gas Development and the Black Sea Region: an Overview”, in *Europe’s Black Sea Dimension*, (Brussels: CEPS, 2002), pp.47-52, 60-68

- უკანონო გადაზიდვების, ვაჭრობის ზრდა

ერთიანი უსაფრთხოების კომპლექსი

ბარი ბუზანი გამოყოფს უსაფრთხოების კომპლექსის დაბალ და მაღალ დონეებს. პირველი მოიცავს ისეთ ქვეყნებს, რომელთა გავლენაც საერთაშორისო მოვლენებზე არცთუ ისე დიდია. ხოლო მაღალი უსაფრთხოების კომპლექსი გულისხმობს ძლიერ სახელმწიფოებსაც, რომელთა ინტერესები სცდება მათ რეგიონს.⁴ ამ თვალსაზრისით თუ სამხრეთ კავკასიას ერთ უსაფრთხოების კომპლექსში მოვაქცევთ, მასთან მჭიდრო კავშირში უნდა განვიხილოთ ისეთი მოთამაშეები, როგორებიცაა თურქეთი, რუსეთი, ირანი, ევროკავშირი.

ეკონომიკური პროექტები მნიშვნელოვანი ასპექტია რეგიონის ინტეგრაციისათვის, ვინაიდან ნებისთ თუ უნებლიედ ერთ ურთიერთდამოკიდებულ სივრცეში აქცევს მასში ჩართულ სახელმწიფოებს და განაპირობებს ურთიერთობების გაღრმავებას სხვა სფეროებში. ამას კარგად ხსნის ნეო-ფუნქციონალიზმი, რომელიც პოლიტიკურ-სოციალურ ინტეგრაციას განიხილავს ეკონომიკური ინტეგრაციის ლოგიკურ შედეგად და ერთგვარად “გადაღვრის პოლიტიკის” (spill over) ეფექტს ასრულებს;⁵ ამცირებს სახელმწიფოთა შორის კონფრონტაციის ალბათობას და დადებით ფაქტორად გვევლინება კონფლიქტების მოგვარებაში.

ეკონომიკური ფაქტორის გარდა სოციალურ-ტექნოლოგიურმა პროგრესმა ახალი ასპექტები წამოსწია წინა პლანზე. კერძოდ, სოციალურმა ქსელებმა, მრავალმხრივმა ინფორმაციულმა საშუალებებმა საზოგადოება რეგიონული პროცესების უშუალო მონაწილედ აქცია. ისინი მგრძობიარენი გახადა იმ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმართ, რაც ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობებს წარმართავს. საზოგადოებებს შორის ინტენსიური ურთიერთობები ერთიანი სოციალური სივრცის საფუძველს წარმოადგენს. ეს კი მიუთითებს, რომ არა რელიგიური ან სხვა განმასხვავებელი კულტურული ნიშნები, არამედ ეკონომიკური ინტერესები და ინდივიდთა დონეზე გაღრმავებული ურთიერთობები ემსახურება ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ფორმირებას, რაც რეგიონის ქვეყნების მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობას რეალურს ხდის, მიუხედავად ბევრი განსხვავებისა.

დასკვნა

თურქეთი, როგორც მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური ძალა საგულისხმო როლს თამაშობს სამხრეთ კავკასიის რეგიონთან მიმართებაში. ამით ერთი მხრივ იმყარებს თავის პოზიციებს რეგიონში, მეორე მხრივ უკავშირდება ევროპას, როგორც ენერგო რესურსების სატრანზიტო დერეფანი. თურქეთმა უკვე მიიღო დივიდენდები კასპიური ენერგო რესურსების ტრანსპორტირებისთვის და ამ პროცესებში სამხრეთ კავკასიის ჩართვის გარდაუვალობით იქმნება ერთიანი ეკონომიკურ-პოლიტიკური ჯაჭვი, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას, სტაბილურობას და უსაფრთხოების ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას.

⁴ Barry Buzan, *People, States, and Fear: an Agenda for International Security Studies in the Post-Cold War Era* 2nd ed. (1991), p. 195.

⁵ M. Gehler, L. Kuhnhardt, R. Steininger, G. Bischof, *Towards a European Constitution, A Historical and Political Comparison with the United States*, 2005, pp. 526-527.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Gehler M., L. Kuhnhardt, R. Steininger, G. Bischof, *Towards a European Constitution, A Historical and Political Comparison with the United States*, 2005.
2. Buzan Barry, *People, States, and Fear: an Agenda for International Security Studies in the Post-Cold War Era* 2nd ed. (1991).
3. Adams Terry, “Caspian Oil and Gas Development and the Black Sea Region: an Overview”, in *Europe’s Black Sea Dimension*, (Brussels: CEPS, 2002).
4. *Turkish Policy Quarterly*, Winter 2007/8, www.turkishpolicy.com.
5. EU-Turkey Associative Council, 10 May 2010, Brussels, <http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms-data/docs/pressdata/en//er/114363.pdf>

მაია ჯინჭარაძე, ეკატერინე ქარქუსაშვილი, ნათია სორდია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

კონფლიქტი, როგორც განწყობილების შეუთავსებლობა

ხელმძღვანელი პროფესორი: ვახტანგ ნადარეიშვილი

„მე მინდა ხმამაღლა ვუსმინო System of a down-ის „on my mind“-ს ავტობუსით მგზავრობისას“-
„ჩვენ სიმშვიდე და საზოგადოებრივი წესრიგი გვინდა“.

„მე მინდა მოვჭრა ხე, მანქანის პარკირებაში ხელს რომ მიშლის“ - „ჩვენ სუფთა ჰაერი და გლობალური დათბობის თავიდან აცილება გვინდა“...

„მე მინდა მანქანის მართვისას არ შევიკრა ღვედი“ - „ჩვენ ადამიანების უსაფრთხოების უზრუნველყოფა გვინდა“

ურთიერთობის ფორმა, რომელსაც მიზნების, მოთხოვნების, ინტერესებისა და დამოკიდებულებების შეუთავსებლობა, წინააღმდეგობა ახასიათებს კონფლიქტია (კონფლიცტუს) და ლათინურიდან სიტყვასიტყვით ითარგმნება როგორც შეჯახება.

ყოველდღიურ ცხოვრებაში კონფლიქტი იხმარება ნეგატიური მნიშვნელობით, ასოცირდება აგრესიასთან, დავასთან, მუქარასთან, მტრობასთან. არსებობს მოსაზრება, რომ კონფლიქტი ურთიერთობის არასასურველი ფორმაა და მიზანშეწონილია მისგან თავის დაცვა და თუ მაინც წარმოიშვა – დაუყოვნებლივ გადაჭრა. თანამედროვე ფსიქოლოგია კონფლიქტის არამხოლოდ ნეგატიურ, არამედ პოზიტიურ ასპექტზეც ამახვილებს ყურადღებას, მიუთითებს რა კონფლიქტურ სიტუაციებში პოზიტიური მომენტების გამოყოფაზე, რაც დაკავშირებულია პროგრესთან, რეალობის სუბიექტურ გააზრებასთან და განვითარებასთან. ჯ. ფონ ნეიმანი და ო. მორგენშტაინი კონფლიქტს განსაზღვრავენ, როგორც ორი ობიექტის ურთიერთქმედებას, რომელთაც აქვთ შეუთავსებელი მიზნები და ამ მიზნების მიღწევის საშუალებები. ასეთ ობიექტებად შეიძლება განვიხილოთ ადამიანები, ცალკეული ჯგუფები, სოციალური ინსტიტუტები და სხვ.

კ. ლევინის მიხედვით კონფლიქტი სიტუაციაა, რომელშიც ინდივიდზე ერთდროულად მოქმედებს ტოლი სიდიდის, ურთიერთსაპირისპირო ძალები. სიტუაციურ ძალებთან ერთად, კონფლიქტის გაგებაში, წარმართვასა და გადაჭრაში აქტიურ როლს თვითონ პიროვნება თამაშობს.

მ. რობერის და ფ.ტილმანის განმარტებაში აქცენტი კონფლიქტის პოზიტიურ გაგებაზე კეთდება. ის განიხილება, როგორც უკვე არსებული, მიღწეული განვითარების დეზორგანიზაცია და ამასთან ახალი სტრუქტურების გენერატორი.

შეიძლება ითქვას, რომ პიროვნების განვითარება უკვე არსებულ და პოტენციურ შესაძლებლობებს შორის დაპირისპირების კონსტრუქციულად გადაწყვეტის შედეგია და პოტენციურის რეალურად გარდაქმნას, არსებულის ნგრევას და განვითარების ახალ საფეხურზე ასვლას უზრუნველყოფს.

სხვადასხვა თეორიის წარმომადგენლები კონფლიქტის გამომწვევ სხვადასხვა მიზეზებს ასახელებენ, თუმცა სტრუქტურული ელემენტი, ნებისმიერი მიზეზით განსაზღვრულ კონფლიქტს საერთო აქვს. როგორც წესი, იგულისხმება დაპირისპირებული მხარეების არსებობა, რომლებიც იცავენ ან მხარს უჭერენ სხვადასხვა პოზიციას; კონფლიქტის საგანი ანუ ის, რის გამოც ხდება დაპირისპირება; კონფლიქტური სიტუაციის ხატი – რაც წარმოადგენს მხარეების მიერ კონფლიქტის სუბიექტურ ასახვას; კონფლიქტის მოტივები – იგულისხმება შინაგანი ფაქტორები, რომლებიც ურთიერთობებში ჩართულ ინდივიდებს უბიძგებს დაპირისპირებისკენ; კონფლიქტში მონაწილე მხარეების პოზიცია – ანუ ის, რასაც კონფლიქტის განვითარების ნებისმიერ ფაზაზე უცხადებენ ერთმანეთს მონაწილეები.

დაყოფის საფუძვლის მიხედვით, კონფლიქტის სახეების რამდენიმე კლასიფიკაცია არსებობს. თუ საფუძვლად კონფლიქტის გავრცელების სფეროს ავიღებთ, უნდა გამოვყოთ ეკონომიკური, იდეოლოგიური, სოციალური და ოჯახური კონფლიქტი.

თუ დაჯგუფებისას კონფლიქტის ხანგრძლივობისა და ინტენსივობის ხარისხს დავეყრდნობით, გამოიყოფა ინტენსიური, სწრაფად მიმდინარე კონფლიქტი, რომელიც აღმოცენდება ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი მხარეების ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების საფუძველზე; მწვავე, ხანგრძლივი კონფლიქტი აღმოცენდება სიღრმისეული ურთიერთდაპირისპირების საფუძველზე; სუსტად გამოხატული, მდორედ მიმდინარე კონფლიქტი, სადაც ერთ-ერთი მხარე პასიურია, კონფლიქტი აშკარად არაა მწვავე; სუსტად გამოხატული, სწრაფად მიმდინარე კონფლიქტი, რომელიც ზედაპირული მიზეზების ფონზე აღმოცენდება და სიტუაციური ხასიათისაა.

შედეგის საფუძველზე განხორციელებულ კლასიფიკაციაში გამოიყოფა კონსტრუქციული (შემოქმედებითი, პოზიტიური) და დესტრუქციული (დამანგრეველი, ნეგატიური) კონფლიქტები. პირველს მოაქვს დადებითი შედეგი. მეორეს კი - უარყოფითი. პირველისგან თავის დაღწევა არაა საჭირო, ხოლო მეორისგან - აუცილებელია.

კონფლიქტი შეიძლება იყოს დაფარული და აშკარა, ინტენსიური და მივიწყებული, მცირეხნიანი და გახანგრძლივებული, ვერტიკალური და ჰორიზონტალური.

მიმართულების მიხედვით, გამოიყოფა ჰორიზონტალური, ვერტიკალური და „შერეული“ კონფლიქტები. ჰორიზონტალურს მიეკუთვნება ისეთი კონფლიქტები, რომლებშიც ჩართული პირები ურთიერთდაქვემდებარებულნი არ არიან. ვერტიკალურ კონფლიქტებში მონაწილეობენ პირები, რომელთაგან ერთ-ერთი ექვემდებარება მეორეს. შერეულ კონფლიქტებში წარმოდგენილია როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური კონფლიქტის სპეციფიკა.

თუ კრიტერიუმად კონფლიქტური ურთიერთდამოკიდებულების სუბიექტებს ავიღებთ, გამოიყოფა შიდაპიროვნული, პიროვნებათშორისი, პიროვნებასა და ჯგუფს შორის და ჯგუფთაშორისი კონფლიქტები.

დიმიტრი უზნაძის განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიას თუ დავეყრდნობით, კონფლიქტის გამომწვევ მიზეზად განწყობათა შეუთავსებლობა გვევლინება. განწყობა არაცნობიერი ფსიქიკური წარმონაქმნია, რომელიც თავის თავში, მიზანშეწონილი ქცევისთვის საჭირო ფაქტორებს ასახავს. ინდივიდს ყოველი ქცევის წინ ექმნება გარკვეული მიმართულებით ქცევის განწყობა - ამ ქცევისთვის ფსიქო-ფიზიკური მზაობა, რომელშიც ასახულია ის მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილებისთვისაც წარმოებს ქცევა და ის გარემო, რომელშიც უნდა შესრულდეს ქცევა. გარემოში აქტუალურად ან შესაძლებლობის სახით მოცემული, მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი ობიექტი, ინდივიდში გარკვეული მიმართულების ცვლილებებს იწვევს და სანამ მოქმედებას დაიწყებდეს, თავისი მოთხოვნილების და სიტუაციის შესატყვის მოდიფიკაციას განიცდის. ფენომენოლოგიურად ეს მოდიფიკაცია მოცემულია როგორც წინასწარი მიდრეკილება, როგორც გარკვეული მოქმედების ტენდენცია, მოლოდინი, მზაობა აქტივობისთვის (როგორც ასახვითი, ისე რეაგირებითი).

კონკრეტულ შემთხვევებში ჩამოყალიბებული პირველადი, სიტუაციური განწყობების გარდა, არსებობს ქცევაში გამოვლენის და განმტკიცების შედეგად ფიქსირებული, დისპოზიციური განწყობებიც. დიფერენციულ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ადამიანები განსხვავდებიან ფიქსირებულ-დისპოზიციურ განწყობათა სისტემებით, მათი უნიკალური კომბინაცია პიროვნების სპეციფიკას ქმნის. დისპოზიციური განწყობები მუდმივად აქტიურ მდგომარეობაში არიან და ისევე როგორც ზოგადად, ნებისმიერი განწყობა, სინამდვილის სუბიექტურ ასახვას განსაზღვრავენ. მკვლევრები მიუთითებენ, რომ ადამიანების მიერ რეალობა, მათ შორის - კონფლიქტური სიტუაცია - აქტუალური განწყობის შესაბამისად აღიქმება, ე. ი. კონფლიქტის სუბიექტური ხატების საფუძველს წარმოადგენს და მნიშვნელოვანია მისი მიმდინარეობის თავისებურებების შესწავლის საკითხში.

ჯგუფსა და პიროვნებას შორის არსებულ კონფლიქტებს თუ განვიხილავთ, აღსანიშნავია, რომ გარემოსთან ურთიერთობის პროცესი, ერთი მხრივ, პიროვნების დისპოზიციური განწყობების და

მეორე მხრივ, საზოგადოების – ნორმაში ასახულ განწყობათა ინტერაქციას გულისხმობს. ნორმები ადამიანების მიერ იქმნება, ამ ურთიერთობათა რეგულირების მიზნით. ნორმა მოიცავს ღირებულებას და მის შესაბამის აქტივობის მოდელს. ნორმის შემქმნელებს აქვთ მოლოდინი, რომ იმ ერთობის წარმომადგენლები, რომელთაც გაიზიარეს ნორმა, დაიცავენ კიდევც მას, რაც ცხოვრებას პროგნოზირებადს გახდის. თავის მხრივ ნორმის შემსრულებლებსაც აქვთ მოლოდინი, რომ ნორმატიული აქტივობის შედეგი მათთვის სასურველი იქნება. ნორმაზე დაყრდნობით ინდივიდს შეუძლია, ერთი მხრივ, ჯგუფის წევრების ქცევის წინასწარმეტყველება, მეორე მხრივ კი საკუთარი ქცევის აგება. სოციალიზაციის პროცესში, საზოგადოების მიერ შემოთავაზებული ნორმების გაშინაგნება ხდება. ნორმაში ჩართული ღირებულების დაცვის მოთხოვნილება, შესაბამის სიტუაციასთან კომბინაციისას ქმნის განწყობას, რომლის რეალიზებაც, იდეალურ შემთხვევაში, ნორმაშივე მითითებული აქტივობის მოდელის სახით ხდება. განხორციელებულ ქცევაზე დადებითი რეაქცია, განწყობის განმტკიცებას იწვევს და გაშინაგნებული ნორმები განწყობების სახით აგრძელებენ არსებობას. თუ პარკირებასთან დაკავშირებულ მაგალითს განვიხილავთ, ნორმატიული განწყობა უზრუნველყოფს, რომ „მეც მინდა სუფთა ჰაერი და გლობალური დათბობის თავიდან აცილება და აზრადაც არ მომდის ხის მოჭრა“.

ნორმა შეიძლება იყოს ფორმალური და არაფორმალური. ფორმალური ნორმების დაცვა კანონის დონეზე არსებული სანქციებით რეგულირდება. არაფორმალური ნორმების დარღვევაზე საპასუხოდ არსებული სანქცია სოციალური ურთიერთობების ფარგლებში ვლინდება. სანქცია, როგორც ნორმის შესრულების უზრუნველმყოფი მექანიზმი, ნორმაში არსებული ღირებულებისა და აქტივობის მოდელის დაცვის მოთხოვნილების შექმნას უზრუნველყოფს. ხშირ შემთხვევაში შესაძლოა არ ვიზიარებთ ნორმაში არსებულ ღირებულებებს, მაგრამ სანქციის თავიდან აცილების მოთხოვნილება, გვიქმნის ნორმის შესრულების განწყობას, რაც ნორმატიულ აქტივობას ედება საფუძვლად. განხორციელებული ქცევის შედეგით (თავიდან აცილებული სანქცია) განმტკიცებული განწყობა კანონმორჩილ ადამიანებად გვაყალიბებს. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სანქციას არსებითი მნიშვნელობა აქვს პიროვნებისთვის. თუ მე არ მანუხებს, რას იტყვიან ჩემზე შესტემ ოფ ა დონნ-ის მოსმენით შენუხებული მგზავრები, არც მექნება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის განწყობა. თუ ჩემთვის უმნიშვნელოა გადასახდელი ჯარიმა, არც ღვედს შევიკრავ მანქანით მგზავრობისას. იმისათვის რომ სანქციამ ნორმის შესრულება უზრუნველყოს, მისი შემუშავება უკვე არსებული, დისპოზიციური განწყობების საფუძველზე უნდა მოხდეს.

იდეალურ შემთხვევაში, ადამიანთა ერთობის მიერ ნორმის შექმნა თითოეული წევრის აზრის გათვალისწინებას გულისხმობს. რეალურად ასე ვერ ხდება. საზოგადოების წევრთა განწყობების ნორმასთან თანხვედრის ხარისხი განსხვავებულია. თუმცა, ადამიანები დათმობაზე მიდიან და თავიანთი მოთხოვნილებების ნაწილზე უარის თქმით, ნორმებს იცავენ, ამის საპასუხოდ კი თანაზომად დათმობებსა და სარგებელს მოედიან. მოლოდინის გაცრუება და შესაბამისად ჩამოყალიბებული დაძაბულობის, ფრუსტრაციის მდგომარეობა კონფლიქტის გამომწვევი ხდება, რამაც შესაძლოა ურთიერთობათა რღვევა ან განვითარების ახალ საფეხურზე ასვლა გამოიწვიოს.

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავებული განწყობათა სისტემებით ხასიათდებიან. თუ ცალ-ცალკე ან უმოქმედო მდგომარეობაში ისინი ხელს არაფერს უშლის, ურთიერთობის პროცესში არათავსებადი განწყობების რეალიზაცია პრობლემური ხდება - მათ საფუძველზე ქცევის განხორციელება ქმნის დაძაბულობას, რაც კონფლიქტის წინაპირობაა. სხვა სიტყვებით, შეუთავსებელი განწყობები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობა რაიმე სირთულესთან არაა დაკავშირებული. ერთმანეთთან შეხებაში მოსვლისას კი, როცა კონკრეტული აქტივობა უნდა აღძრან, კონფლიქტს წარმოშობენ.

როცა არაცნობიერი რეგულირების რესურსი არაა საკმარისი განწობების თავსებადობაში მოსაყვანად, პიროვნება განწყობის კომპონენტებს ცნობიერი დაკვირვების, შესწავლის, განხილვის ობიექტად აქცევს (ობიექტივაცია), რაც პრობლემის აღმოჩენასა და შესაბამისი ინფორმაციის მიღე-

ბას, ახალი, სრულყოფილი განწყობების შექმნას ედება საფუძვლად. პიროვნების და საზოგადოების განწყობათა თავსებადობაში მოსაყვანად ნებელობითი აქტივობა ხდება საჭირო. ნებელობა ახალი, ადექვატური განწყობების შექმნას უზრუნველყოფს, რაც განვითარების მაჩვენებელია. თუ მე System of a down-ის ხმამაღლა მოსმენას მიშლიან, რაც განწყობის რეალიზებას აფერხებს, ფოკუსირებას ვახდენ პრობლემურ სიტუაციაზე და აზროვნებისა და ნებელობის გამოყენებით ვიქმნი ახალ განწყობას, რომელიც ყურსასმენების გამოგონების ქცევაში რეალიზდება.

განწყობების ჩამოყალიბების, მოქმედებისა და შეცვლის კანონზომიერებების მხედველობაში მიღებით შესაძლებელია არანორმატიული აქტივობის განწყობების ფორმირების პრევენცია და/ან არათავსებადი განწყობების თავსებადობაში მოყვანა და/ან მათი ერთდროული აქტუალიზაციის თავიდან აცილება. ნებელობის მეშვეობით საზოგადოებრივი განწყობების გამოყენებით თუ სოციალიზაციის პროცესში მზა განწყობების გაშინაგნებით, პიროვნება ითვალისწინებს სოციალური გარემოს მოთხოვნებს, რაც აუცილებელი პირობაა პიროვნების სოციალურ ღირებულებებზე დაფუძნებული ნორმატიული აქტივობისათვის, ზოგადად, სოციალური ადაპტაციისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქაჯაია 2011. ნ. ქაჯაია „კონფლიქტის ფსიქოლოგია“ თბილისი 2011
2. უზნაძე 2004. დ. უზნაძე „განწყობის ფსიქოლოგია“. საქართველოს მაცნე 2004
3. ნადირაშვილი 1985. შ. ნადირაშვილი „განწყობის ფსიქოლოგია“ თბილისი 1985.
4. Шели 2003 .Д.Ж. Шели „Криминология“ Москва 2003
5. Д. Майерс “Социальная психология” Москва 7-е издание
6. კორძაძე ზ. სასჯელის მოტივაციური ზემოქმედება//ალმანახი №8-[სისხლის სამართალი]-ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია,-1998
7. კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა პირველი გამოცემა / ფერიდე ზურიკაშვილი, გუგული მაღრაძე, ნანი ჭანიშვილი და სხვ. ; გაეროს განვითარების ფონდი ქალთათვის - 1-ლი გამოც. - თბ., 2002 - 202გვ. ; 29სმ. -რეზ. რუს. და ინგლ. ენ. - ISBN 99928-0-425-4 : [ფ.ა.] [: 17411].
8. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონიდცნობარი / [სარედ.: ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ.; გამომც.: ლაშა ბერაია] - თბ.: ლოგოს პრესი, 2004 - 351გვ.; 20სმ. - (სოციალურ მეცნ. სერია/რედ.: მარინე ჩიტაშვილი). - ISBN 99928-926-9-2 : [ფ.ა.]

დავით ძიძიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგისტრატურა

**მედიის როლი ფსიქოლოგიურ და საინფორმაციო ოპერაციებში
(2008 წ. აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის მაგალითზე)**

ხელმძღვანელი პროფესორი: ოლეგ პანფილოვი

„ომი - ეს არის პოლიტიკის გაგრძელება, სხვა საშუალებებით“ ამბობდა ცნობილი გერმანელი გენერალი კარლ ფონ კლაუზევიცი. თანამედროვე მსოფლიოში ბოლო 2 საუკუნის განმავლობაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები კი თამამად შეიძლება შეფასდეს, ბრძოლად მსოფლიოს კონკრეტულ ნაწილზე გავლენის მოპოვებისათვის. გავლენის მოსაპოვებლად საჭიროა სოციუმის (სახელმწიფოს) იმგვარი შეცვლა, რომ იგი თანახმა იყოს მიიღოს თმაშის ის წესები, რომელსაც მეორე მოთამაშე კარნახობს, ეს კი „მონინალმდეგეზე“ აქტიური ზემოქმედების შედეგად მიიღწევა.

ფსიქოლოგიური და საინფორმაციო ოპერაციები, ეს არის სამხედრო მოქმედებების ერთ-ერთი უძველესი მიმართულება, რომლის მიზანია, ცნობიერებაზე ზემოქმედების საშუალებით მიღწეულ იქნას კონკრეტული სამხედრო-პოლიტიკური მიზანი. ჯერ კიდევ ჩვ. წ. ა. IV საუკუნეში გამოჩენილმა ფილოსოფოსმა და სამხედრო მოღვაწემ, სუნ ძიმ, თავის ტრაქტატში „ომის ხელოვნება“ აღნიშნა, რომ „მხედართმთავრის ხელოვნება მდგომარეობს სამხედრო ძალების გამოყენების გარეშე გამარჯვების მოპოვებაში“. ამ ტრაქტატში კარგად არის აღწერილი უძველესი შ-ის ძირითადი მიმართულებები. ფსიქოლოგიური ომი აერთიანებს იმ ღონისძიებებს, რომელთა დახმარებითც ხდება ისეთი ინფორმაციის გადაცემა, რომელიც ზემოქმედებს მონინალმდეგის ცნობიერებაზე და ინვესს მისი ქცევის შეცვლას.

როცა საქმე გვაქვს ინფორმაციის გადაცემასთან, დამეთანხმებით ამ სფეროში მედია უდავოდ უკონკურენტოა. ალბათ სწორედ ამიტომ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, ზემოქმედების იარაღად, გამოყენებას სხვა და სხვა სფეროში, დიდი ხნის ისტორია აქვს. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ რეკლამა, რომლის გავრცელებაც სწორედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ხდება, ხოლო მისი მიზნები სამრეწველო მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობს.

რეკლამის მთავარი მიზანია, აიძულოს მომხარებელი შეიძინოს კონკრეტული კომპანიის პროდუქცია, რაც ცნობიერებაზე ინტენსიური ზემოქმედებით მიიღწევა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის ცნობიერი და ქვეცნობიერი უკანასკნელი 2 საუკუნის მანძილზე აქტიური შეტევის ქვეშ იმყოფება სხვა და სხვა სფეროს წარმომადგენლების მხრიდან, რათა ამ უკანასკნელთა მიერ დასახული მიზნები იქნას მიღწეული. აქვე კიდევ ერთხელ უნდა დავაზუსტოთ, რომ ფსიქოლოგიური ზემოქმედების ოპერაციები, უძველესი დროიდან იღბს სათავეს, თუმცა ტექნოლოგიურმა რევოლუციამ სწორედ უკანასკნელი 2 საუკუნე აქცია ამ სფეროს პროფესიონალთა ზეობის ხანად. მათ კი შ-ის განვითარება არსებითად ახალ საფეხურზე გადაიყვანეს. მედიამ კი ამ საფეხურზე ერთ-ერთი ძირითადი ნიშა შეავსო.

ფსიქოლოგიური ოპერაციების სპეციალისტები, გამოყოფენ ზემოქმედების რამდენიმე ძირითად ხერხს. ესენია:

ფსიქოლოგიურ – საინფორმაციო ზემოქმედება – რაც გულისხმობს ზემოქმედება ინფორმაციული მატარებლებით და ზოგადად ინფორმაციით. ხშირად ამ ტიპის ზემოქმედებას ინფორმაციულ პროპაგანდისტულადაც მოიხსენიებენ.

ფსიქოგენური ზემოქმედება – იგი ძირითადად წარმოადგენს კვლევებს, რომელთა მიზანია, მოხდეს საკუთარი პირადი შემადგენლობის დაცვა ფსიქოგენური ზემოქმედებისაგან, (ფსიქოგენური დანაკარგებისაგან), როგორცაა – ნერვულ-ფსიქოლოგიური მოშლილობა, სტრესი და ა.შ.

ფსიქონალიტიკური (ფსიქოკორექციული) ზემოქმედება – რომელიც მიმართულია ადამიანის ქვეცნობიერზე თერაპიული ზემოქმედებისაკენ, ჰიპნოზისა და ღრმა ძილის სტაიაშია. ამ ტიპის ზემოქმედების სრულყოფისათვის აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა ნაცისტურ გერმანიასა და საბჭოთა კავშირში.

ნეიროლინგვისტური ზემოქმედება () – რომელიც მოწოდებულია, ადამიანის ცნობიერებაში კონკრეტული ლინგვისტური ნაწილების ჩანერგვისაკენ, რითიც ახორციელებს ადამიან(ებ)ის ქცევის სასურველი მიმართულებით ცვლას.

ფსიქოტრონული ზემოქმედება – ეს არის ზემოქმედება არაგაცნობიერებული გზებით. (ჰოლოგრაფები, პარაფსიქოლოგია 25-ე კადრის ეფექტი და ა.შ.)

ფსიქოტროპული ზემოქმედება – ზემოქმედება ხორციელდება მედიკამენტოზური ჩარევის შედეგად.

შ-ი ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სამხედრო ოპერაცია სამი დონის მიხედვით იყოფა, ესენია სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური. ზემოქმედების წყაროების მიხედვით განასხვავებენ სამი ტიპის ფსიქოლოგიურ ოპერაციებს - თეთრს, ნაცრისფერს და შავს.

ყოველივე ზემოთაღნიშნული წარმოადგენს საბრძოლო მოქმედებებში ჩართული ქვედანაყოფების მხარდაჭერ ელემენტს, რომლის მიზანიც როგორც უკვე ვთქვით ამოცანის ისე მიღწევაა, რომ საკუთარი ძალის აქტიური გამოყენება არ გახდეს საჭირო.

სამწუხაროდ, შეიარაღებული კონფლიქტები ჩვენი უახლესი ისტორიის განუყოფელი ნაწილია, ჩვენი ძირითადი მონინააღმდეგე კი ბოლო 2 საუკუნეა უცვლელი რჩება. ჯერ იყო მას მეფის რუსეთი წარმოადგენდა, შემდეგ იგი საბჭოთა რუსეთად გადაიქცა დღეს კი თანამედროვე რუსეთი უქმნის საფრთხეს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. ბუნებრივია, რომ ქვეყანა რომელიც ბოლო 60 წლის მანძილზე ერთ-ერთი მენინავე იყო, ფსიქოლოგიური ოპერაციების მიმართულებით, თანამედროვე, სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე დღესაც აქტიურად იყენებს მას კონკრეტული სამიზნე აუდიტორიის წინააღმდეგ. ესეიგი საქართველოს წინააღმდეგაც.

ჩემი მოხსენება, წარმოადგენს 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის მიმდინარეობისას წარმოებული ფსიქოლოგიური ოპერაციის ფსიქ - საინფორმაციო ზემოქმედების ოპერაციების ზოგიერთი ასპექტის კვლევის შედეგს, კერძოდ, მედიის როლისა აღნიშნულ ოპერაციაში. იმისა, თუ რა მიზნებს ემსახურებოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მოქმედებები და მოხერხდა თუ არა ამ მიზნების მიღწევა.

საკვლევი პერიოდი მოიცავს, როგორც აქტიური საბრძოლო მოქმედებების, ასევე პრე და პოსტ-ომისეულ პერიოდს, რადგან ფსიქოლოგიური ომი, მახასიათებლებიდან გამომდინარე, ეფექტურია როგორც საბრძოლო ასევე არასაბრძოლო ვითრებაში.

ძირითადი დანაყოფები რომელსაც რუსეთი მხარდაჭერის ოპერაციებისას იყენებს დაკომპლექტებულია ფსიქოლოგიური და საინფორმაციო ომის წარმოების სპეციალისტებით, ხოლო სტურუქტურაში შემავალი ერთეულებიდან აღსანიშნავია ტექნიკური დაზვერვის დანაყოფი და საინფორმაციო უსაფრთხოების დანაყოფი, ასევე არალეტალური იარაღის გამოყენებს პრეცედენტები, როცა რადიო-ელექტრონული ბრძოლის ქვედანაყოფები სპეციალურ ტექნიკური საშუალებების მეშვეობით ახერხებენ დასახული ამოცანის შესრულებას. რა თქმა უნდა რუსეთის სამხედრო პოლიტიკური ხელმძღვანელობა, ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ იარაღად მას-მედიას განიხილავს და საკმაო ბერკეტებსაც ფლობს საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებისათვის.

რაც შეეხება საქართველოს, მისი შეიარაღებული ძალების სტრუქტურაში, 2008 წელს ფსიქოლოგიური ოპერაციების ქვედანაყოფი არ არსებობდა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენება, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეზე თითქმის არ დაფიქსირებულა, თუ არ ჩავთვლით საქართველოს მხრიდან, საკუთარი მოსახლობის მიმართ გამოყენებულ რამდენიმე ელემენტს, როგორც იყო

საომარი ვითარებისას მხოლოდ პოზიტიური ინფორმაციის გავრცელების ტენდენცია, რაც მოგვიანებით მკვეთრად შეიცვალა. ასევე საკვლევ პერიოდში დაფიქსირებულ იქნა, კონკრეტული სატელევიზიო სიუჟეტები, რომლებიც ომის წინა პერიოდში იქნა გასული ეთერში და რომელიც ამჟამად ამზადდება საზოგადოებას მოსალოდნელი საბრძოლო მოქმედებებისათვის.

რუსეთის მხრიდან ოპერატიულ-ტაქტიკურ დონეზე მუშაობის მაგალითად შეგვიზღია მოვიყვანოთ ცხინვალის მოსახლეობაზე განხორციელებული ქმედებები, რომელთა მიზანს წარმოადგენდა ქართველების როგორც აგრესორების ხატის შექმნა, ასევე ქალაქ ცხინვალის მოსახლეობის ევაკუაციის საინფორმაციო უზრუნველყოფა, რისთვისაც აქტიურად გამოიყენებოდა ქალაქში მოქმედი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ასევე თვითაღიარებული მთვრობის ბეჭდვისა და მასობრივი კომუნიკაციების სამინისტროს რესურსები.

მონინალმდგის ძირითადი მოქმედებები მიმართული იყო სტრატეგიულ დონეზე, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა მსოფლიოში არსებული საზოგადოებრივი აზრის ფორმირება მისთვის სასურველი მიმართულებით. რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა აცნობიერებდა რა იმას, რომ სხვა და სხვა დონის საერთაშორისო უწყებებში, არსებობდა საშუალებები ობიექტური ინფორმაციის მისაღებად, სამიზნე ობიექტად აირჩია მოსახლეობის ის ფენები, რომელთა ინფორმაციული უზრუნველყოფა სწორედ მის-ის საშუალებით ხდებოდა და აქტიურად აამუშავა მის ხელთ არსებული ყველა რესურსი, რათა რაც შეიძლება მეტად მომხარყო საქართველოს როგორც აგრესორი ქვეყნის სტატუსის ტირაჟირება.

ქართულმა მხარემ რუსეთის აგრესიულ ქმედებებს მხარდამჭრი ქვეყნების დახმარებით უპასუხა და საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობისას რუსეთის ზემოთაღნიშნული მიზნები მიღწეული არ იქნა, პირიქით საერთაშორისო მხარდამჭრით სწრაფად იქნა ორგანიზებული კონტრზომები, რომელთა მთვარ მიზანსაც რუსეთის დისკრედიტაცია წარმოადგენდა, როგორც თავად რუსი ექსპერტები ამბობენ, მძლავრი საინფორმაციო ჭიდილის პირობებში რუსეთს მოუხდა პოზიციების დათმობა და სტრატეგიულ დონეზე ოპერაციის მიზნები მიუღწეველი დარჩა. მიუხედავად ამისა, რუსეთს ამ მიზნების მიღწევაზე უარი არ უთქვამს და იგი დღესაც აგრძელებს კონტროლირებადი არხების საშუალებით ომის შესახებ მისთვის მომგებიანი ინფორმაციის გავრცელებას.

რუსული მხარე აქტიურად მუშაობდა ინტერნეტსივრცეში, რომელიც დღეს დღობით მედიის მუშაობის კიდევ ერთი მიმართულებაა. რუსმა სპეციალისტებმა, ომის დაწყებიდან რამდენიმე საათში მოახერხეს ყველა ოფიციალური საიტის „გატეხვა“ და მათი როგორც ინფორმაციის გავრცელების წყაროს დაბლოკვა. ამას მოყვა თავდასხმები ქართული ელექტრონული სივრცის იმ ვებ-რესურსებზე, რომლებიც ინფორმაციას ინგლისურადაც ავრცელებდნენ. ეს და სხვა ამ ტიპის მოქმედებები რომლებიც ომის პრე მიმდინარე და პოსტ პერიოდებში დაფიქსირდა მიმართული იყო ძირითადი სტრატეგიული მიმართულების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ანუ იმისაკენ რომ უცხოეთის მოქალაქეებს არ ჰქონოდათ საშუალება ინფორმაცია ქართული მხარისაგანაც მიეღოთ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 2008 წლის მოვლენებისას, როგორც რუსეთის ასევე საქართველოს მიერ წარმოებული ფსიქოლოგიური ოპერაციის ფსიქო-საინფორმაციო კომპონენტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა საერთაშორისო მხარდამჭრის მოპოვება, რისთვისაც ორივე მხარე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს იყენებდა. ყველაზე პოპულარული ამ მიმართულებით ტელევიზიის გამოყენება იყო, რადგან ვიზუალური ზემოქმედების ეფექტი, გაცილებით უფრო ოპერატიული და ეფექტურია, რასაც როგორც ერთი ასევე მეორე მხარის სპეციალისტები კარგად აცნობიერებდნენ.

შედეგობრივი თვალსაზრისით, პრე-პერიოდში არსებით წარმატებას ვერცერთმა ძალამ ვერ მიაღწია, რადგან ინფორმაციო მოსალოდნელი სამხედრო ესკალაციის შესახებ, დასავლელ მაყურებელზე ნაკლებად ახდენდა გავლენას, რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ აღნიშნულ პერიოდში

ოპერაცია არ იყო კარგად დაგეგმილი და წინა პერიოდის სამუშაოები, ისეთი როგორცაა სამიზნე აუდიტორიის შესწავლა, ან არ ან ცუდად იყო ჩატარებული.

უშუალოდ საბრძოლო მოქმედებებისას, რუსეთმა 9 აგვისტოს დილისათვის მოახერხა უპირატესობის მოპოვება, თუმცა უკვე 10 აგვისტოს საღამოდან, მას შემდეგ რაც გავრცელებულ იქნა გორის დაბომბვის კადრები ეს უპირატესობა დაიკარგა და ქართულმა მხარემ, მოკავშირეების დახმარებით კონტრშეტევა დაიწყო გადასვლა.

პოსტომისეულ პერიოდში რუსულმა პროპაგანდისტულმა მანქანამ დიდი თხები დახარჯა ომის ახალი სცენარის დასამკვიდრებლად, თუმცა ეს არც თუ ისე იოლი აღმოჩნდა და თუ რეიტინგებს დავეყრდნობით საქართველო ფსიქოლოგიური ოპერაციების ფსიქო-საინფორმაციო კომპონენტში დღესაც ინარჩუნებს ლიდერობას.

დამონმებული ლიტერატურა:

- 1) ედვარდ ლუტვოკი „სტრატეგია ომისა და მშვიდობის ლოგიკა“. 2007. ბკურ სულაკაურის გამომცემლობა;
- 2) სუნ-ძი „ომის ხელოვნება“. 2007. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა;
- 3) d.d. ЖочАпцоА „СсихолоАичАскиА Аойны“. поскАh, 2008А.
- 4) გ.დ. Ирысько „sАкрАти СсихолоАичАской Аобны“. пинск, 1999А.
- 5) HEADQUATERS DEPARTMENT OF THE ARMY „Psychological Operations Tactics, Techniques, and Procedures“ Washington,DC, 2003

ელენე ბექაური, ნინო ნიკოლაიშვილი

სასწავლო უნივერსიტეტი: საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

ქართულ-ოსური ურთიერთობების ასახვა მედიაში

ხელმძღვანელი პროფესორი: ნინო მინდიაშვილი

1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველო დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა, რომელიც როგორც იურიდიული სტატუსის მქონე ქვეყანა, საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის ცენტრალური კომიტეტის კონტროლის მეშვეობით გადიოდა. 1921 წლის 6-8 სექტემბერს, ე.წ. “სამხრეთ ოსეთის” რევოლუციური კომიტეტისა და პარტიული კომიტეტის გაერთიანებული სხდომა გაიმართა, რომელმაც “სამხრეთ ოსეთის” თვითგამორკვევისა და პოლიტიკური მოწყობის საკითხი განიხილა. სხდომამ დაადგინა საქართველოს ტერიტორიაზე ე.წ. “სამხრეთ ოსეთის” სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა შექმნილიყო, რომლის ცენტრი ცხინვალის იქნებოდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა, საკითხის სიღრმისეული შესწავლის შემდეგ, შეუძლებლად მიიჩნია არა თუ ე. წ. “სამხრეთ ოსეთის” რესპუბლიკის, ან ავტონომიური რესპუბლიკის, არამედ ავტონომიური ოლქის შექმნაც კი, რადგან “სამხრეთ ოსეთი”, როგორც მთლიანი გეოგრაფიული ერთეული არ არსებობდა, მიუხედავად ამისა, ოფიციალურად იქნა აღიარებული და დადასტურებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში ე.წ. “სამხრეთ ოსეთის” ავტონომიური ერთეულის შექმნა. ამ მოვლენების შემდეგ ოსებს მიეცათ განვითარების ყოველგვარი საშუალება, ქართველები და ოსები ერთად, მეგობრულად ცხოვრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, მე-20 საუკუნის დასასრულს კი ეს მეგობრობა მტრობაში გადაიზარდა და საქართველომ დაკარგა თავისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონი, რომლის დაბრუნებასაც თითქმის ორი ათეული წელია უშედეგოდ ვცდილობთ.

1989 წლის 23 ნოემბერს განვითარებული მოვლენები ქართველებისა და ოსების რეალური დაპირისპირების გამოხატულებაა. ხსენებულ დღეს თბილისიდან ცხინვალისკენ ავტომანქანების უზარმაზარი კოლონა დაიძრა. 10 000-ზე მეტი დემონსტრანტი მიტინგის ჩასატარებლად ერთდროულად გაემართა. ეს აქცია პასუხი უნდა ყოფილიყო იმ პოლიტიკოსებისადმი, რომლებიც “სამხრეთ ოსეთის” საქართველოდან გამოყოფას და რუსეთის შემადგენლობაში შესვლას ითხოვდნენ. მსვლელობის ორგანიზატორები საქართველოს ეროვნულ განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები იყვნენ. მომიტინგეებს გზა ცხინვალის შესასვლელში საბჭოთა კავშირის შინაგანმა ჯარმა გადაუკეტა. ეს დღე ქართულ-ოსური დაპირისპირების ათვლის წერტილად იქცა. მიუხედავად რთული ფონისა, ორმა ერმა სცადა მოვლენებში გარკვევა, მათ მოახერხეს ვნებების ჩაცხრობა და ერთობლივი დეკლარაცია შეიმუშავეს, რომელიც ითვალისწინებდა ყველა საკონფლიქტო სიტუაციის მოგვარებას, თუმცა “კეთილისმყოფელებმა” ამ შემთხვევაშიც არ დააყოვნეს და ცეცხლზე ნავთი დაასხეს, მერე კი მართლაც რთული გახდა სიმართლისა და სიცრუის გამიჯვნა. ჭეშმარიტების დადგენას მედიის ტენდენციურობაც უშლიდა ხელს. რუსულ-ოსური ოფიციალური პრესა შეიარაღებულ დაპირისპირების პირობებში შეგნებულად ეწეოდა ანტი-ქართულ პროპაგანდას, მოვლენათა განვითარებას სუბიექტურად უდგებოდა და ცალმხრივად აშუქებდა. 1990-1993 წლებში ოსური პრესაში გამოიხატებოდა აშკარა აგრესია, ისინი არ ერიდებოდნენ ისეთი სტატიების გამოქვეყნებას, რომლებიც სიძულვისა და მტრობას აღძრავდა ჩვენი ერის მიმართ. თუმცა, ქართული მედიაც მიკერძოებული სტატიებითა და გულგრილობით იმავე პოლიტიკას ატარებდა. 2000 წლიდან ვნებები უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც ჩაცხრა, მტრობაში გადაზრდილმა მეგობრობამ გაღლობა დაიწყო, სატატიებში ჩნდება თბილი სიტყვებით წარსულის გახსენება და მომავლის უეკეთესობისაკენ შეცვლის სურვილი: “ბედნიერება წარსულს ჩაბარდა როდესაც კავშირი 1991 წლიდან განწყდა, “ქვეყანა დაიქცა” რადგან ერ-

თად გაზრდილმა ქართველმა და ოსმა ხელი ერთმანეთის სისხლში გაისვარა, ცხოვრება ტკივილად იქცა, ერთმანეთისკენ სავალ გზაზე იმხელა უფსკრული გაჩნდა, რომ ახლობლების დასატირებლად ვერ ჩავდიოდით საქართველოში. 35 წელია ახალციხეში ვცხოვრობ და ძველი ბედნიერი დრო მენატრება, რა გვექონდა გასაყოფი?! არასდროს მიგრძენია ქართველებისგან, რომ ოსი ვარ.”

სამწუხაროდ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა ცხადად დაგვანახა, რომ ეთნოკონფლიქტი კვლავ ჩიხში მოექცა და ის მოჩვენებითი პოზიტივები, რომელიც ომამდე რეგიონში შეინიშნებოდა, პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა, ყველამ კარგად იცის, რომ ამ ტრაგიკული მოვლენების განვითარებაში ჩვენმა ჩრდილოელმა მეგობარმა მთავარი როლი ითამაშა. მთლიანად “განმინდეს” ქართული ეთნოსის წარმომადგენლებისგან ჩრდილო ქართლის (ე.წ სამხრეთ ოსეთის) ტერიტორია. გარდა ამისა მიაყოლეს არაერთი რეგიონი და სოფელი, შედეგად 160 000 ადამიანი დევნილად აქციეს. მათი ნაწილი რუსეთში გადასახლდა, ზოგიც საქართველოს სხვა კუთხეებში გადავიდა საცხოვრებლად, სოციალური და სხვა პრობლემებისთვის თავის ასარიდებლად.

აგვისტოს ომმა მსოფლიო მედიის ყურადღება მიიქცია. სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტების მიერ ეს ომი შეფასდა, როგორც რუსეთ-საქართველოს ომი. “რუსეთმა საბჭოთა კავშირის აღდგენა საქართველოდან დაიწყო და ეს საქართველოს ტრაგიკული გეოპოლიტიკური ბედია, მაგრამ ეს არ არის 1921 წელი და ვერავინ დააკნინებს ჩვენი ტერიტორიების ანექსიას “ აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა. ქართულ-რუსულ-ოსური მედიის მოსაზრებები რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ქართული მედიით გავრცელებული ინფორმაცია ომის დაწყებაში რუსეთს ადანაშაულებდა, რუსული მედია კი სრულიად განსხვავებულ მოსაზრებას აშუქებდა. ერთ მხარეს მეორეზე პრეტენზიათა მთელი ნუსხა ჰქონდა შედგენილი და ორივე ამტკიცებდა, რომ მათი არგუმენტები ჭეშმარიტია, მაგრამ ფაქტია, რომ არაერთ ყალბ და გაზვიადებულ ინფორმაციას ავრცელებდნენ. ქართული პრესის პარალელურად ოსური გაზეთი თითქმის ყველა ნომერში ბეჭდავდა სერიებს ქართველთა აგრესიის შედეგად დაღუპულთა შესახებ. მოგვითხრობდა, თუ რა ხდებოდა ცხინვალში, როგორ ემალებოდა სიკვდილს მოსახლეობა. მართლაც საშინელებაა ამ ტრაგედიის მოსმენა, მაგრამ რთულია განსაჯო, თუ ვინ იყო მართალი. მსგავს ფაქტებს ქართული მედიაც აშუქებდა, ქართულ-ოსური მედია ერთმანეთს ადანაშაულებდა, თუმცა საერთო ტრაგედიის შესახებ არავინ საუბრობდა. არა და ომში, სამხედროების გარდა, უამრავი მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა, როგორც ქართველების ასევე ოსების მხრიდან. [21. 3.IX.08.]

რუსეთი ყველანაირად ცდილობდა სიტუაციის გამწვავებას. ის არაფერს ერიდებოდა იმისთვის, რომ ოსი ხალხი აემხედრებინა ქართველების წინააღმდეგ. სამაუწყებლო და ბეჭდურ მედიაში გაჩნდა მძლავრი ანტი-ქართული კამპანია. საინფორმაციო საშუალებები ძალას არ იშურებდნენ იმისთვის, რომ ყველაფერი ქართველებს დაბრალებოდათ და მტრის ხატად წარმოეჩინათ. იმავე სცენარით მოქმედებდა ოსური მედიაც. გაზეთ “იუჟნაია ასენიას” ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ, რომ თითქოს საქართველო დიდი ხნის განმავლობაში გეგმავდა ოსებზე თავდასხმას, აქვე ნათქვამია თუ როგორ შემოჰყავდათ მძიმე ტექნიკა და თვითმფრინავებიდან როგორ ბომბავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. იმის შესახებ კი დუმან თუ როგორ მოულოდნელად შემოვიდა რუსული ტექნიკა როკის გვირაბიდან და საჰაერო სივრციდან დაიბომბა ქართული სოფლები.

ქართველი პუბლიცისტები ცდილობდნენ ეჩვენებინათ ის სიტუაცია, რომელშიც კონფლიქტის ზონაში მცხოვრებნი იმყოფებოდნენ. ისინი აღგვიწერდნენ მოსახლეობის განცდებს, სროლისა და აფეთქების ხმის ქვეშ დაჩოქილ მოხუც ქალს, რომელიც უფალს ქვეყნის გადარჩენას სთხოვდა. “ამაზე მძიმე არაფერი შეიძლება იყოს!” ამბობდა იგი და მართლაც ასე გახლდათ. პუბლიცისტი ისე ხატონად გადმოგვცემს ამბავს, რომ ძალაუვნებურად მტრისადმი ზიზღსა და სიძულვილს გვინერგავს, ასევე გვიჩვენებს იმ შემზარავ კადრებს, რომლებიც არაერთხელ გაშუქებულა ქართულ მედიაში. ქართველები როგორც აფხაზეთში, ასევე ოსეთშიც დღემდე დევნილებად რჩებიან, ხოლო ოსები უკვე აგვისტოს ბოლოს დაუბრუნდნენ საკუთარ სოფლებს. ოსური მედია მოგვითხრობს როგორ ხვდებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაბრუნებულ ოსებს. „დღეს ამ ბავშვებმა

ფეხი დადგეს თავისუფალ მიწაზე” - ვკითხულობთ გაზეთში. ამ დროს თუ სად არიან ქართველი დევნილი ბავშვები, სრულიად არ აინტერესებთ. მათ შესახებ ცნობებს მხოლოდ ქართული გაზეთები გვანვდიან, მაგრამ ოსების შესახებ ისინიც არაფერს გვეუბნებიან. ამგვარად როგორც ერთი, ასევე მეორე მხარე ვერ ხვდება, რომ ასეთ პოლიტიკას ორივე ერი დალუპვისკენ მიჰყავს, ხოლო მესამე ძალა ამას თავის სასარგებლოდ იყენებს. და მართლაც, რუსეთმა მიზანს მიაღწია, მან არა მარტო შუღლი გააღვივა ქართველ და ოს ხალხებს შორის, არამედ მოაწყო ქართველთა გენოციდი, როგორც აფხაზეთში, ასევე სამაჩაბლოში ქართველები დევნილებად აქცია, ორივე მათგანი კი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა.

ვფიქრობთ, გარდა ზემოთქმული პრობლემებისა ქართულ მედიაში ხშირია ტერმინების და სახელწოდებების არასწორად გამოყენება. პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებისაგან ხშირად ისმის- ოსეთი ჩვენი, ოსეთი ქართული სახელმწიფოს ტერიტორიაა. თუ ოსეთია ჩვენი როგორღაა?! რა თქმა უნდა, ამგვარი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ჩვენი ხელისუფლების იმ პოლიტიკის ნაწილია, რომელსაც ისინი ატარებენ ქართულ-ოსურ კონფლიქტთან დაკავშირებით, თუმცა, მაინც ვფიქრობთ, რომ ამ საკითხში მეტი სიფრთხილეა საჭირო. ქართულ მედიაში ძალიან ხშირად გაისმის “დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთი,” ეს ნიშნავს, რომ ფაქტიურად ტერიტორია ნამდვილად სამხრეთ ოსეთია. რა თქმა უნდა, ამის მთქმელი ჟურნალისტები, ვერ აცნობიერებენ სინამდვილეში რას ამბობენ. რასწორად გვეჩვენება კიდევ ერთი ტერმინი, “თვითგამოცხადებული რესპუბლიკის” გამოყენებაც. თვითგამოცხადებული ნიშნავს, რომ არ არის აღიარებული, მაგრამ კანონიერი საფუძვლები გააჩნია ამ თვითგამოცხადებულ რესპუბლიკას და მომავალში მოხდება სხვათა მიერ მისი აღიარებაც.

საერთოდ ყველა სახელმწიფო თვითგამოცხადებული დამოუკიდებლობის დეკლარაციის საფუძველზეა შექმნილი.

კონფლიქტური სიტუაციები უარყოფითად მოქმედებს ადმიანებზე, იწვევს მათ გაუცხოებას და ზნეობრივ დეგრადაციას ეს პრობლემა ქართველებმა და ოსებმა თვითონ უნდა მოაგვარონ, ყოველგვარი მესამე ძალის გარეშე. რისი საფუძველიც ის მეგობრულ-ნათესაური ურთიერთობებია, არც თუ შორეულ წარსულში რომ არსებობდა ჩვენ შორის.

ოსების ერთ-ერთი საყვარელი დღესასწაულია “ძვებრონობა” რომელსაც აუცილებლად ზეიმობენ. საქართველოს მკვიდრი ოსებიც მუდმივად აღნიშნავდნენ ამ დღესასწაულს, თანაც მარტო კი არა ქართველებთან ერთად. საბჭოთა ეპოქაშიც კი, როდესაც ეკლესიაში ლოცვა იკრძალებოდა, ქართველები და ოსები ერთად დიდ მთაზე ადიოდნენ და საერთო სალოცავში ღმერთს სამშობლოს და ერთმანეთის კარგად ყოფნას სთხოვდნენ. ველა ოჯახს განსაკუთრებული სტუმრიანობა ჰქონდა იმ დღეს, ცხვებოდა ოსური ხაჭაპური, იხარშებოდა ლუდი, საკლავი იკვლებოდა და უზარმაზარი სუფრა იშლებოდა ეს ყველაფერი კი ქართულ-ოსური ცეკვების თანხლებით, საოცარი ლხინი იმართებოდა. ქ. ცხინვალის განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდა, სადაც ხშირად იმართებოდა შეხვედრები ქართველ მწერლებთან, პოეტებსა თუ საზოგადო მოღვაწეებთან. ცნობილია გალაკტიონის დიდი მეგობრობა ცნობილ ოს პოეტ ,რევაზ ასაევთან, რომელიც მისი ხშირი სტუმრი გახლდათ. უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში ქართულ-ოსური ურთიერთობები ჩვენდაუნებურად მტრობაში გადაიზარდა და პოლიტიკოსთა ამბიციების გამო ორი მეგობარი ერი დაპირისპირებულ ბანაკებში აღმოჩნდა, სამწუხაროდ ახლო მომავალშიც არ ჩანს იმედისმომცემი პერსპექტივა და მაინც დაპირისპირება ქართველ და ოს ხალხს შორის არა ადამიანების ურთიერთზიზღის, არამედ ბინძური პოლიტიკის შედეგია, რომელსაც ჩვენს დაუკითხავად აძლევენ მათთვის საჭირო მიმართულებას. ყველასთვის ცხადია, რომ კონფლიქტი „მესამე ძალის“ არცთუ ამაო მცდელობით, ხელოვნური გაღვივების გზით წარმოიქმნა და დროშიც საკმაოდ გაინელა. ეს არის დაპირისპირება რომელიც სჭირდება მხოლოდ მესამე ძალას, არც ოსს და არც ქართველს. მიუხედავად იმისა, რომ ომი კლავს, არ ძალუძს გაანადგუროს სიყვარული, ურთიერთდახმარების სურვილი და ჰუმანურობა. ღირსება- თვისება, რომელიც ორივე ერს თანაბრად გააჩნია ჯობნის ომის კანონებს,

იმარჯვებს ადამიანობა, რომლის მთავარი მამოძრავებელი ძალა არის მიზანი - ადამიანის გადარჩენა, მიუხედავად იმისა, ვინც არ უნდა იყოს ის, ნამდვილად მტერი, თუ უბრალოდ მტრად შერაცხული.

“ყველა ომი ერთ დღეს აუცილებლად მთავრდება. მთავარია სანამ ის ბოლოქრობს, მისი ხანძარი სულში არ შეუშვა, რომ ადამიანობა არ დაგაკარგვინოს. მის დასრულების შემდეგ როდესაც ყველაფერი დაინმინდება და დრო ყველას თავის ადგილს მიუჩენს, სული და სინდისი სუფთაა უნდა გქონდეს” ამ სიტყვების ეროვნებით ოსმა ავტორმა, მადინა შიუკაევამ 2008 წლის ომის დროს საოცარი სიმამაცე გამოიჩინა. იგი მიიჩნევს რომ ძალა, რომელიც ომის დროს, განსაცდელში მყოფი ადამიანების დახმარების დროს იგრძნო ჩვეულებრივი სიყვარულის ძალაა, რომელიც თუ არ გაგაჩნია საფრთხის წინაშე მყოფს თვითონაც წაგახდენს და ვერავისაც ვერ დაეხმარები.

და ბოლოს, ზოგიერთი ოსი პოეტი საკმაოდ დაძაბულ და ცხელ პერიოდში თავისი ლექსებით ცდილობდა ყინულის გაღობას. არაერთი ლექსი დაიბეჭდა, ოსურ პრესაში, რომელთა ნაკითხვაც საკმაოდ მძაფრ ემოციას იწვევს.

მაგალითად, აზა ხუდუაევას ლექსი:

„Букетик ландишей“....
„Где ты теперь и как сложилось
Мой словный друг, судьба твоя?
Твои мне ландыши проснулись
Долекой юности друзья.“
ან ზინაიდა ბიტაროვა:
„Двор детства“
„Кавказ, утоплённый в крови
Кавказ д без дружбы и любви...
И ты, грузин, теперь д мой враг?
А мы росли в адних дворах.
Двор детство, солнечный мой двор
Мне не поверить до сих пор,
Что ты грузин, теперь... мне враг!
Ведь жили мы в одних горах.
Двор детства, мой свободной двор,
Я не приду к тебе, как вор:
Я не хочу распятой быть...
Мне все равно тебя любить.
Двор детства, мой веселы двор!
Мы были вместе: Я, Анзор,
Иринка, Гиви, Тамрико,
Не уходите далеко.“

ამ ლექსებში აშკარაა ის დამოკიდებულება, თუ გნებავთ მონატრება, რასაც დრომ და უკუღმა დატრიალებულმა ბედის ბორბალმა ვერაფერი დააკლო...

ომი ომმა შეცვალა, ტკივილს ტკივილი დაემატა, მაგრამ ბზარის ამოვსება შესაძლებელია სანამ სიკეთის ხსოვნა ცოცხლობს, იმედი ვიქონიოთ, რომ მტრობით დანგრეულს სიყვარული აღადგენს.

ნინო ნოზაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი*

**სამსხვერპლო ცხოველების გამოსახულებები ქართულ
საეპოქალური არქიტექტურაში**

ხელმძღვანელი პროფესორი: ელენე გოგიაშვილი

ცხოველთა ცალკეული გამოსახულებები არქაული დროიდან იღებს სათავეს და ხალხის რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში სხვადასხვაგვარ ახსნას პოულობენ.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ეკლესია-მონასტრებზე ხშირად ვხვდებით ზოომორფულ გამოსახულებებს, რომლებიც, გარკვეულწილად დაკავშირებულია სალოცავების დაარსებასთან ან ღვთისმსახურების რიტუალებთან. მათზე ძირითადად გამოსახულია სამსხვერპლო ცხოველები.

ქართული ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური და ფოლკლორული მასალის მიხედვით ნათლად იკვეთება ხარის, ირმისა და ცხვრის სიმბოლოები, რომლებიც, ერთი მხრივ მითოსური (ნაყოფიერება, ბუნების ძალთა აღორძინება), მეორე მხრივ კი ქრისტიანული მნიშვნელობითაა დატვირთული.

ხარის კულტს კავკასიელი, კერძოდ, ქართველი ხალხის რწმენა-წარმოდგენებში უდიდესი ადგილი აქვს დათმობილი. მისი კულტი საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და ქრისტიანულ რელიგიაშიც კი შეაღწია. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეპოქასა და გეოგრაფიულ გარემოში მასში ისეთი შინაარსი იყო ჩადებული, რამაც ხელოვნებაში ამ სიმბოლოს ასეთი ხანგრძლივი არსებობა განაპირობა. ხარის გამოსახულებანი უკვე ადრესამინათმოქმედო კულტურების ძეგლებში გვხვდება. იგი სხვა ჩლიქოსნებთან ერთად (ირემი, შველი, თხა) გამოისახებოდა. განსაკუთრებით იგრძნობა ხარის კულტი ჩათალ-ჰუიუკის (ძვ.წ. VII-VI ათასწლეულები) ნამოსახლარზე, რომლის საკურთხევლებში დიდი რაოდენობით გვხვდება ხარის თავის ანდა, უბრალოდ, ხარის რქებისა და თავის ქალის გამოსახულება – ხან მოხატულობაში, ხან კი თიხაში ნაძერწი. [აფანასიევა, ...1986:34]. ამ ძეგლებზე ხარები ამკარად საკულტო ცხოველებია, რომლებიც ქალღვთაებებისადმი იწირებოდა. მსხვერპლშენიერების რიტუალთან იყო, დაკავშირებული აგრეთვე რქიანი თავის ქალებისა და ამ ქალებიდანვე ამოზრდილი რტოების შენახვა. მცენარეული და ცხოველური სიმბოლიკის ამგვარ სინთეზში გაერთიანებული იყო წარმოდგენები სიკვდილისა და აღორძინების შესახებ. ეს ძეგლები ანუ პირველყოფილი „ტაძრები“ ძვ.წ. VII-VI ათასწლეულებს ეკუთვნის და იმ ხანიდან მოყოლებული ხარს, როგორც ღვთაებას, საპატიო ადგილი ეკავა მინათმოქმედი ხალხის რელიგიურ პანთეონში [Археология зарубежной Азии, 1986. 33-37].

ხარის კულტის განხილვისას მნიშვნელოვანია ბოლნისის სიონი. იგი სახელგანთქმულია როგორც ისტორიული, ასევე მხატვრული მნიშვნელობითაც. პირველად, ბოლნისის სიონში გვხვდება სწორედ სკულპტურული და ორნამენტული დეკორი (ხარის თავი, სხვადასხვა ფრინველისა და ცხოველის რელიეფური გამოსახულება), რომლებიც წინაქრისტიანულ ხანასთანაა დაკავშირებული, მაგრამ შეთვისებულია ქრისტიანული სარწმუნოების მიერ.

ი. სემიონოვის მიხედვით, ისეთ ხალხებში, სადაც ხარის კულტი მინათმოქმედებასთან იყო დაკავშირებული ნათლად იკვეთება მონადირეობასთან ასოცირებული წარმოდგენები. მან საგანგებოდ აღნიშნა ისეთი დღესასწაულები, როგორიცაა ქართველების მიერ სამსხვერპლო ხარების შეწირვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ იქ, სადაც ნახსენებია მსხვერპლშენიერვა არ ფიგურირებს „მხვნილი“ ხარი, ყველგან არის მწარმოებელი „ხარი“, რომელიც არ გამოიყენება გამწვანებად.

ქართველთა შორის გავრცელებული ხარის შენირვის წესი, რომელიც ი. სემიონოვს ვ. ბარდაველიძის მიხედვით აქვს დამონმებული, გულისხმობს სვანეთში ღვთის სახელზე გაშვებული ბუღა ხარის-ვისხვის შენირვის წესს. აქვე უნდა ვახსენოთ არქანჯელო ლამბერტის მიერ აღწერილი ილორის წმ.გიორგის დღესასწაული, როდესაც ეკლესიაში ხარი მოჰყავდა წმ.გიორგის. ამ ხარის ხორცი იჭრებოდა წვრილ ნაჭრებად და ხალხს ურიგდებოდა. „ამ ხორცს გაახმოვდნენ კვამლზე და დიდის სასობით შეინახავდნენ ავადმყოფობის დროს მოსახმარად. დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ხორცი საუკეთესო ნამალია“ გვამცნობს ლამბერტი. მისივე ცნობით დაკლული ხარის საუკეთესო ნაწილები, რქებითურთ ეკუთვნის მთავარს. იგი ამ რქებს შეამკობს ოქროთი, ძვირფასი ქვებით და დიდი დღესასწაულის დროს იმ რქებით დალევს ღვინოს წმ.გიორგის სადიდებლად (ი. სურგულაძე. „მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში“. თბ., 2003წ. 97,98).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქართველთა რელიგიურ წარმოდგენებში არსებობს მოსაზრება, რომ ქრისტიანულ წმინდანებს ნებით მოჰყავს სამსხვერპლო ცხოველი. იგი მას ნებაყოფლობით ენიშნება. ამ ფაქტის გამოვლინებად ითვლება ჩვენ მიერ ნახსენები ილორის წმ. გიორგის დღეობა. ა. ლამბერტი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ამ დღესასწაულს არა მარტო ოდიშის მოსახლეობა, არამედ აფხაზები და სვანებიც ესწრებოდნენ. დღესასწაულის წინა დღეს ეკლესიის კარიბჭესთან ამალით მისული მთავარი გალავანს კლიტით აკეტილებდა და ზედ თავის ბეჭედს ასვამდა. მეორე დღით მთავარი გათენებამდე ბრუნდებოდა ეკლესიაში ამაღასთან და ხალხთან ერთად, შეამონმებდა თავის ბეჭედს, მეორე მოხსნიდა მას და შედიოდა გალავანში. გალავნის ბჭესა და ეკლესიას შორის დაინახავდნენ წმინდანის მიერ მოყვანილ ხარს და ყველა მონიშნებით დახრიდა თავს. ეკლესიაში მაშინვე იწყებოდა ზარების რეკვა და ყველა იგებდა რომ წმინდანმა სასწაული ამ წელსაც აღასრულა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მართალია მისვლა გარეგნულად ნებაზე დამყარებულს ჰგავს, მაგრამ სინამდვილეში ეს „ნებაყოფლობითი“ მსხვერპლი და მოლოცვა შიშზე დაფუძნებული. (ი. სურგულაძე. „მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში“. თბ. 2003წ. 154,157).

საყურადღებოა ისიც, რომ რიტუალურ მასალაში მჟღავნდება გარეული ნადირ-ფრინველის შინაურით ჩანაცვლების ტენდენცია. ცნობილია, რომ ირემი „წმინდა ნადირია“. ხალხი საგანგებოდ ცდილობდა მათ მოპოვებას საკურთხეველისთვის. „წმინდა ნადირი“ მჭიდრო კავშირშია სალოცავებთან. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს ლეგენდა ხარისა და ირმის შესახებ, რომლის თანახმად სალოცავში თავის ნებით მომავალ სამსხვერპლო ირემს ჩაენაცვლა ხარი. მსგავსი სიუჟეტები სხვა ხალხების ზეპირსიტყვიერებაშიც დასტურდება (ი. სურგულაძე. „მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში“. თბ., 2003წ. 102,103).

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოპოვებული მასალა ცხადყოფს, რომ მე-17 საუკუნის შუახანებში აფხაზეთში, მესხეთში, იმერეთსა და სვანეთში დასტურდება წმ. გიორგის დღის მსგავსი რიტუალი, თუმცა სამსხვერპლო ცხოველია არა ხარი, არამედ ირემი., რომელიც ამა თუ იმ მიზეზების გამო გაუნაწყენებიათ, რის შემდეგაც ირემი აღარ გამოჩენილა და მის ნაცვლად წმინდანს ხარის გამოგზავნა დაუწყია. გადმოცემის თანახმად, ხონის სალოცავში მოდიოდა არა ერთი ირემი, არამედ მთელი ჯოგი, რომელთა ხორცით ხალხი სუფრას შლიდა წმინდანის სახელობაზე.

ჩვენი მსჯელობისთვის საყურადღებოა ერთ-ერთი ლექსი:

„ეს ჩვენი წმინდა გიორგი
მალა გორაზე სვენია,
ნადირი ბევრი მიუდის,
არჩვი, ირემი, შველია,
დათვს რალა მოარბენინებს,
ვაი შიში რა ძნელია.“

სალოცავში თავის ნებით მისული სამსხვერპლო ცხოველების შესახებ წარმოდგენები მთელ კავკასიაშია ცნობილი. სავარაუდოდ ამის მიხედვით იქმნება სიუჟეტები ტაძართა ადგილის შერჩევის შესახებ. კერძოდ, როდესაც ტაძრის ასაგებ ადგილს მიაჩვენებს ნებით მიმავალი ხარი, სადაც ხდება ცხოველებით შეწირვა ცხოველები, ან სულაც ტაძრები იგება.

როდესაც სამსხვერპლო ცხოველებზე ვსაუბრობთ აუცილებლად უნდა ვახსენოთ ცხვარი. მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამსხვერპლო ცხოველთა რიგში სწორედ იმის გამო რომ იგი ყველაზე უდრტივნიველი ცხოველია. მის ამ თვისებას სამმაგი მნიშვნელობა აქვს: 1. იგი იმეორებს სალოცავში თავისი ნებით პირველად მისული ცხოველის შეწირვის პირველ სცენას; 2. ყოველი კერძო შემთხვევა აჰყავს სასწაულებრივ მნიშვნელობამდე; 3. მიაჩვენებს იმ უმთავრესზე, რისთვისაც მსხვერპლი შეწირება: შესაწირავი მიღებულია. აქედან გამომდინარე, იძულებითი მსხვერპლი არ არსებობს. მსხვერპლშეწირვა მაშინ განხორციელდება, როცა შეწირვა ნეტარებაა შეწირულისთვის (ი. სურგულაძე. "მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში". თბ. 2003წ. 155,156,157,158).

თუ საქართველოში მოკვლეულ მასალას ამ ისტორიულ ფონზე განვიხილავთ, ვნახავთ რომ ქართულ სამყაროში ხარის კულტი ადრინდელ არსებობდა. უკვე ენეოლითურ ნამოსახლარებზე (არუხლო, ნოფი) ვხვდებით ხარის პატარა ქანდაკებებს, ხოლო გუდაბრტყაზე – სარიტუალო დანიშნულების მქონე ხარის ნიღბებს. ხარის კულტს დაუკავშირა რქიანი სადგარი ო. ჯაფარიძემ: "ხარი, რომელიც ერთი მხრივ, დიდი რაოდენობით ხორცეულს იძლევა, ხოლო მეორე მხრივ, ჩანს, იწყება მისი გამოყენება გამწვებ ძალად, ენეოლითის ხანიდან მოყოლებული კულტის ობიექტი ხდება. ამ პერიოდში მისი კულტი მძლავრად იკიდებს ფეხს; ამის საბუთად შეიძლება ისიც გამოდგეს რომ ენეოლითის ხანაში ხარის კულტთან დაკავშირებული გამოსახულებები მრავალ ვარიანტს იძლევა" (ხელცულებზე გამოსახული ხარის სხეულის ნაწილები) (ჯაფარიძე).

ხარის კულტი ფართოდ იყო გავრცელებული და ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებობდა სხვა მცენარეულ, ნაყოფიერების, ასტრალურ კულტებთან.

ხარის კულტთან არის დაკავშირებული ერთ-ერთი ლეგენდა, რომლის თანახმად, ქარელში, სოფელ სალოლაშენთან არის „დედოფლის მინდორი“ და „დასასრულად“ ნოდებული ადგილი, რაც ნმიდა შენახულ ადგილს ნიშნავს. აქ გლეხკაცი არ ხნავდა და არც საქონელს უშვებდა. დაცვისა და შეუხებლობის ნიშნად ამ მდელის ხნულის შემოვლებით სარყავდნენ. ერთ-ერთი სარყვის დროს დაღლილ გუთნისდედას ჩასძინებია და საკვირველი ჩვენება უხილავს, გამოღვიძებულს არავისთვის უთქვამს, მხოლოდ ღვთისაგან მითითებულ ნიშანს ელოდა, რომელსაც ხვნა უნდა შეეფერხებინა. მართლაც, სარყვისას უღლეული შედგა და ადგილიდან აღარ იძვროდა, მეხრეს ხარების გასაფიცებლად შოლტი გადაუკრავს გუთნის შემაფერხებელ მცენარეთა ფესვების ლანძღვით. მაშინათვე გულნასული მეხრე მინაზე დაენარცხა და სული განუტყევა. ხნულის გათხრისას დიდმონამე გიორგის ქვაში ნაკვეთი ხატი გამოჩნდა. დღესაც აქ, „დასარყულ“ მინდორზე ნმიდა გიორგის ბარელიეფში ნაკვეთი ქვის ხატი დევს, რომლის შესახებაც გუთნისდედას სიზმარეულ ჩვენებაში ეუწყა: – ამოებრძანებინა, გაუხედნავ ხარებზე დაედო და ღვთის ნებისათვის მიენდო. კერძოდ, სადაც ხარები დაღლილნი დაწვებოდნენ, იქ აეგოთ დიდმონამე გიორგის სახელობის ეკლესია. ურემზე დაბრძანებული ხატით გაუხედნავმა უღლეულმა თრიალეთის ქედს მიაშურა. ეკლესიისაკენ მიმავალი გზის შუა წელზე საჯავარედ ნოდებული შესასვენებელი ადგილია. აქ შეჩერებულან დაღლილი ხარები, შეუსვენიათ და გზა გაუგრძელებიათ. დღეს აქ მორწმუნენი ჩერდებიან, რომ ძალამოკრებილნი კვლავ შეუდგნენ ეკლესიისკენ მიმავალ აღმართს. ბოლოს ხარები არაქათგამოცლილნი დაწოლილან. ამ ადგილას სამი მონაზონი შეკრებილა, რომელთაც ღვთის შემწეობით აუგიათ სარყის ნმიდა გიორგის ეკლესია და მონასტერი დაუარსებიათ (ოხანაშვილი).

ხარის კულტთან ერთად უნდა შევეხოთ გარეული ცხოველის – ირმის კულტს. ქართულ ფოლკლორში ირემი ხშირად წარმოდგენილია როგორც ზებუნებრივ ნიჭთა მატარებელი და ღვთაების სამყაროსთან დაკავშირებული არსება. ხალხურ ზღაპრებში ვხვდებით ისეთ დეტალებს, რიტაც ვრწმუნდებით, რომ ირემი დაკავშირებულია ღვთაებრივ ძალებთან. განსაკუთრებით საკურადლე-

ბოა ერთ ქართულ ზღაპარში დაცული წარმოდგენები, რომლის თანახმადაც კაცი ღმერთს დაეძებს და მასთან მისვლას ახერხებს მთის წვერზე მდგარი ირმის უზარმაზარი, ცადაწვენილი რქებით.

ხალხურ სიტყვიერებაში და სახვით ხელოვნებაში ირმის რქები, წარმოდგენილია, როგორც მათი ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანი. ხალხის წარმოდგენებთან ერთად ისტორიული მასალაც გვარწმუნებს იმაში, რომ ირმის რქებს დიდი საკულტო მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველოს მთიანეთში თითქმის ყველა სალოცავს ამკობს ირმის რქები.

აღსანიშნავია, რომ ხალხის წარმოდგენებით ზებუნებრივი ძალით არიან დაჯილდოებულნი ირმის ძუძუნანოვი გმირებიც.

ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად თამარს შვილი არ უნდოდა. მზის სხივი ეცა და დაორსულდა. ბავშვი საიდუმლოდ იშვა და გამდელს უბრძანა უსიერ ტყეში მიეტოვებინა. ტყეში ბავშვს ირემი მოეველინა მხსნელად. ერთხელ თამარმა ნადირობის დროს ნახა ეს ბავშვიანი ირემი და შეაპყრობინა ამის შემდეგ ბაგრატიონები ირმის ხორცს არ ჭამდნენო.

ფოლკლორული მასალის მიხედვით ირმის რძე და ირმის წველა ღვთებათა ხვედრია.

მატერიალური კულტურის ძეგლებზე ირმის გამოსახულებები ხშირად რელიგიურ-კოსმოგონიურ კონტექსტშია მოქცეული.

ირემი საქართველოს უძველესი მოსახლეობის რწმენებსა და რიტუალებში ენეოლითის ხანიდან მონაწილეობს. ქვაცხელებზე მოპოვებულ ჭურჭლის სარქველებზე ვხვდებით რქამაღალი ვაცისა და ირმის გამოსახულებებს. (ი. სურგულაძე. "მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში" თბ. 2003. 22,23).

ირმის გამოსახულებები მრავლადაა კავკასიონის ბრინჯაოს ხანის გამოსახულებებზე. ის ცალკე ფიგურის სახითაა გამოსახული.

ირმის გამოსახულებადაა მიჩნეული სტეფანწმინდის, ბრინჯაოს ფრაგმენტებზე შერჩენილი ცხოველის ფიგურის ნაწილი. ამ ფიგურისგან გადარჩენილია მხოლოდ კისერი, ორი წინა ფეხი მაღალ ნაბიჯში და კორპუსის წინა ნაწილი. კისერი მთლიანად სწორ ხაზებად დალაგებული წერტილებითაა დაფარული. ბეჭების ადგილას კი ორი სტილიზებული მცენარეა გამოსახული წერტილებით. ირმის ამავე მონახაზს იმეორებს წოისის განძის ბრინჯაოს ცული. ირმის თავი და კისერი დაფარულია წერტილებით, კორპუსის შუა ნაწილი კი – შტრიხებით, რომელსაც ფხისებრი ფორმა აქვს. რაც შეეხება მცენარისებურ ხშირტოტებიან რქებს, ისინი უტრირებულიადაა გამოსახული. სხვაობას წარმოადგენს კუდის გამოსახულება. წოისის ცულის ირმის კუდი არის გრძელი, დახრილი, მცენარის ნიშნების მქონე გამოსახულება. ამით შორდება ირმის გამოსახულება მის რეალურ მოდელს. საფიქრებელია, რომ ცხოველის ასეთი გამოსახულება, ავტორის მხრიდან, უნდა იყოს მცენარისეულ და ცხოველურ სიმბოლოთა სემანტიკური გაიგივება.

ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალის მიხედვით, ირემი დაკავშრებულია ბუნების აღორძინების ძალებთან. არქეოლოგიური მასალა გვაძლევს ამ საკითხის უფრო ღრმად შესწავლის საშუალებას. ბრინჯაოს ცულებზე გამოსახული კორპუსი ხშირად ბადურებითაა შევსებული, კუდი კი მცენარის სახითაა გადმოცემული, ირმის რქაც ფორმით უახლოვდება მცენარეს. ისმება კითხვა-რა არის ცხოველის ნაწილის ბადურით შევსების მიზეზი, როდესაც შესაძლებელია ბუნების გამოსახვა ან ამ სივრცის სუფთად დატოვება? ამ საკითხის გარკვევისთვის საჭიროა გავერკვეთ გეომეტრიული ფონის და, კერძოდ, ბადურის ხასიათში.

ბადურას იყენებდნენ ერთგვაროვანი სივრცის გადმოსაცემად. მაგალითად, ეგვიპტელები ქალაქის ნიშნად ხმარობდნენ წრეში ჩახატულ სილუეტურ ჯვარს. ეს ყოველივე მიდის ჯვრის სიმბოლიკისკენ, რომელიც ძველ ხალხებში მთელ ქვეყნიერებას: მის ოთხ მხარეს წარმოსახავდა. ქრით ან სხვა ფიგურით გადმოცემული ჯვარი კი ასახავდა კონკრეტულ ადგილს (სახლი, სოფელი, ქალაქი). ამდენად, ოთხკითხედი და წრე მინის სიმბოლოადაა გააზრებული. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ირმის სხეულზე დატანილი ბადურა სწორედ მინის სიმბოლოა. ამ მოსაზრებას რამდენიმე ფაქტი ამყარებს:

1. ცხოველების სხეული რქისა და ბუნვის მიმართ განიხილებოდა მიწად, რადგან ძველ მიწათ-მოქმედს მიაჩნდა, რომ ბუნვისა და რქის პერიოდული ცვლა ასევე მწვანის ამოსვლა სიკვდილისა და გაცოცხლების ანალოგიური მოვლენა იყო.

2. ძველ ხალხებს მცენარის ანალოგად მიაჩნდათ ცხოველის ნამოზრდილი კუდი და რქა.

ასეთი მოსაზრებები უნდა გაჩენილიყო მიწათმოქმედების განვითარებასთან ერთად. სწორედ ამ მიზეზებმა განაპირობა ირმის ქცევა ბუნების დედური ღვთაებების პროტოტიპად, მის ზოომორფულ სახედ.

ირემთან არის დაკავშირებული ჩაბალახის ნომ. 1 სარტყლის მხატვრობა. აქ მეტად საინტერესო სიმბოლურ კონტექსტშია წარმოდგენილი ირმის ფიგურა. მას ზურგზე მტაცებელი ფრინველი აზის, მისი მკერდის წინ კი ვერტიკალურადაა აღმართული გველის სხეული. ირემი ფანტასტიკური ცხოველის მსგავსად თავის გარშემო ქმნის კომპლექსს, სადაც ფრინველი წარმოადგენს ცის სარტყელს, მეორე ელემენტი-გველი კი მიწისა. რაც შეეხება ირემს, იგი მწვანე ბუნების ნაყოფიერების ძალებსა და, როგორც ბუნების დიდი დედის სიმბოლო, ცისკრის ვარსკვლავსაც განასახიერებს.

მაშასადამე, ჩვენ მიერ ჩამოთვლილ გამოსახულებათა ასეთი ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ მისი შემოქმედი ეთნიკური ჯგუფი უკვე დაშორებული იყო ტოტემურ წარმოდგენებს. (ი. სურგულაძე, "მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში", 2003.24-33).

ბუნების აღორძინება-კვდომის პროცესი დაუკავშირდა ბუნების დიდი დედის კულტს. რწმენათ ასტრალიზაციის პერიოდში ირემი და ვარსკვლავი ნაყოფიერების ღვთაებათა დამაკავშირებელ პლანეტა ვენერას წარმოადგენს და ერთ სემანტიკურ ველში ექცევიან.

შუა ბრინჯაოს ხანიდან კი არქიტექტურაში ძირითადად ზოომორფული თემატიკა სჭარბობს, რასაც ხელი შეუწყო რელიგიასა და მითოსში მომხდარმა გარდაქმნებმა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ ატენის ჩრდილო ფასადზე, შესასვლელის ტიმპანზე, გამოსახულია ორი ირემი. აფსიდის გვერდის ლავგასიონის ჩრრდნის ქვეშ – წმინდანი და მის წინ მდგომი კტიტორი, ხოლო მარცხენა ნიშში ორი რელიეფური სცენაა წარწერებით: დავით გარეჯელის მონაფე ლუკიანე ირემს წველის და სამსონის ლომთან შებრძოლება. ირმის ამგვარი გამოსახულება გარკვეულწილად დაკავშირებული უნდა იყოს ტაძრის დაარსებასთან.

ზოომორფული ძეგლების განხილვისას აუცილებელია შევხებით ცხვრის კულტს. კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ სარკის წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც ცხვრის კულტთან არის დაკავშირებული. ერთხელ ყიფიანებს ცხვარი მიუყვანიათ სარკის წმიდა გიორგის ეკლესიაში. ტრადიციისამებრ, ცხვარი ტაძრისათვის უნდა შემოეტარებინათ. ვეება ჭედილა ხელიდან დაუსხლტათ და სამი კილომეტრით დაშორებული ყინწვისის ეკლესიისკენ გაიქცა. დადევნებულებმა საოცრება იხილეს – ცხვარი გზის მიუთითებლად ყინწვისის ეკლესიაში მივიდა, სამჯერ გარშემო შემოუარა და კვლავ სარკეს ეკლესიისკენ გამოსწია. ეკლესიის კარებთან წინა ორი ფეხი მოიდრიკა და დაჩოქილმა თავი მიწას დაადო. ამის ხილვით შეძრული ხალხი შემოქმედს განადიდებდა და უფალს მადლობდა, რომელმაც პირუტყვის მიერ განსწავლა მცირედ მორწმუნენი თავმდაბლობასა და ღვთის მორჩილებაში.

ცხვრის კულტი არა მარტო რომ დაკავშირებულია ეკლესია-მონასტრებთან, რელიგიურ რიტუალებთან, სადაც იგი აშკარად სამსხვერპლო ცხოველია, არამედ იგი გარკვეული სახით უკავშირდება საფლავებსაც. ამ კუთხით საინტერესოა ცხვრის ქანდაკება, რადგანაც იგი მჭიდროდ უკავშირდება ქრისტიანულ აზროვნებას. მესხეთისა და ქვემო ქართლის გარდა, ცხვრის ქანდაკების საფლავის ძეგლებად გამოყენება საქართველოს სხვა კუთხეებში არ დასტურდება. დასავლეთ საქართველოში კი (იმერეთი) ცხვრის ბარელიეფით შემკული ქვები ფართოდ არის გავრცელებული. მიუხედავად იმისა, რომ ცხვრის დიდი კულტი არსებობდა წინაქრისტიანული ხანის საქართველოში მისი სიმბოლური მნიშვნელობის გაღრმავებაში დიდი წვლილი მიუძღვის ბიბლიის წიგნებს. საფლავის ქვებზე გამოსახული ცხვრები თავისი შინაარსით ქრისტიანულ აზროვნებას უკავშირდება. ამ გარემოებას ორი მი-

ზეზი განაპირობებს: პირველი, როდესაც კრავი განასახიერებს სამსხვერპლო ცხოველს და მეორე, როცა მასში იგულისხმება ისრაელის ერი ანუ ფარა ცხვრისა.

ცხვრის კულტის უდიდესი მნიშვნელობა იმითაც დასტურდება, რომ ქართულ სასულიერო მწერლობაში ხშირად ვხვდებით ქრისტეს ეპითეტებს: „ტარიგი“, „ცხვარი“, „კრავი“ იმ სიმბოლური გაგებით, რასაც ზოგადქრისტიანული მწერლობა აკანონებს.

მაშასადამე, უძველესი პერიოდიდან დღემდე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ზოომორფულ გამოსახულებებს როგორ რელიგიური, ასევე მითოლოგიური თვალსაზრისით. ჩვენ ვეცადეთ მეტნაკლები სიზუსტით აგვესახა ის ზოგადი სურათი, რომელიც გვაქვს ამ ცხოველების (ხარი, ირემი, ცხვარი) სახით ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. აბაკელია „სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში“ თბ., 1997.
2. ე. ნადირაძე „საქართველოს მემორიალური კულტურა.“
3. ი. სურგულაძე “მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში”, თბ., 2003. გამომცემლობა თბილისი.
4. www.google.ge.
5. www.wikipedia.org.
6. <http://saunje.ge/index.php?id=1249&lang=ka>.

სოფიკო ხელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

**იონა ხელაშვილისა და სოლომონ დოდაშვილის
მსოფლმხედველობათა შედარება**

ხელმძღვანელი პროფესორი: დავით ჯალაღონია

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის და XIX საუკუნის პირველი მესამედის ქართულ ფილოსოფიურ ისტორიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ორ ქართველ მოღვაწეს – იონა ხელაშვილს და სოლომონ დოდაშვილს. მათი მეგობრული ურთიერთობის შესახებ კარგად ჩანს ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან. დოდაშვილისთვის იონა ხელაშვილი პატივსაცემი პიროვნებაა, რომლის უშუალო შეგირდად თვლიდა იგი თავის თავს. იონა ხელაშვილის, დიდი პატრიოტი და კაცთმოყვარე, დიდ მატერიალურ მზრუნველობას იჩენდა დოდაშვილის მიმართ, წლების განმავლობაში გრძელდებოდა ურთიერთობა მათ შორის. მიუხედავად ამისა, მათი მსოფლმხედველობა და ფილოსოფიური შეხედულებები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა.

იონა ხელაშვილმა ახალგაზრდა ქართველში აღმოაჩინა არაჩვეულებრივი ფილოსოფიური ნიჭი. იგი ოცნებობდა მისი სახით მოემზადებინა როგორც საქართველოს პატრიოტი, აგრეთვე ჰყოლოდა ერთგული იდეური მომხრე. იგი არ იშურებდა არც ცოდნას და არც სახსრებს, რათა სოლომონი გამოსულიყო “ერის მოყუარე” და “მამულის სამსახურის მოსურნე”.

იონა ხელაშვილმა სოლომონ დოდაშვილის სახით საქართველოს მისცა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, მაგრამ როგორც თეოლოგი, მან ვერ შეძლო დიდხანს დარჩენილიყო სოლომონ დოდაშვილის იდეურ დამრიგებლად. როდესაც ვლასპარაკობთ იონა ხელაშვილის გავლენაზე სოლომონ დოდაშვილის მსოფლმხედველობაზე, საჭიროა გავითვალისწინოთ ამ გავლენის ფარგლები.

სოლომონ დოდაშვილმა უარყო იონა ხელაშვილის იდეოლოგიური კონცეფცია-“ფილოსოფოსის სიმდიდრე ღმერთის სამსახურშია”. ეს გამომდინარეობს დოდაშვილის ძირითადი ფილოსოფიური შრომის “ლოგიკის” შინაარსიდან, რომელშიც სავსებით გამორიცხულია თეოლოგია, თუმცა უნდა ითქვას, რომ არა იონა ხელაშვილი და მისი ქველმოქმედება შეიძლება სოლომონ დოდაშვილს თავისი “ლოგიკა” ვერც კი გამოეცა.

იონა ხელაშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი მისმა პროფესიამ ითამაშა. ღვთისმეტყველური თეოლოგიური ცოდნით შეიარაღებული იონა ფილოსოფიაშიც თეოლოგად დარჩა, ამიტომ მისი ფილოსოფია ნახევრად თეოლოგიაა. მას მთელი სამყარო წარმოუდგენია, როგორც ღმერთის შემოქმედება. ღმერთი კი ერთია, უცვლელი, ყოვლისმომცველი და ყველგან არსებული, ყოვლისმფარველი და კეთილი, თავისთავადი, მარადიული, დაუსაბამო და დაუსრულებელი. „ყოველთა კეთილად დამბადებელი დიდ ფრიად ზეცათა კეთილ და უკეთეს ყოველთა ზედა”⁶

იონა ხელაშვილის წარმოდგენით “ღმერთი არის თქვენ შორის, არათუ მხოლოდ სულებთა შინა, არამედ ყოველთად ყოვლისა შინა, ნევრთა და ასოთა შინა თქვენთა და უფროსლა ცელებთა შინა და არ ძალუძს თვით მყოფსა თვისი დასასრული”.⁷

იონა ხელაშვილის მსოფლმხედველობის დასახასიათებლად საყურადღებოა ტრაქტატი, რომელსაც ეწოდება “ფილოსოფიური კითხვა-მიგებანი”, სასულიერო ხასიათს ატარებს მისი ავტობიოგრაფიული თხზულება “რონინი”. ავტორის აზრით, თხზულებაში მოთხრობილი მთელი რიგი ამბები როგორც პირადი ისე ზოგადი ღვთის ნებით ხდება.

⁶ თ. კუკავა. ს. დოდაშვილის რიტორიკა. საიუბილეო კრებული მიძღვნილი ს. დოდაშვილის 180 წლისთავისადმი. გვ. 52. 1986 წ.

⁷ იქვე. გვ. 52.

სოლომონ დოდაშვილის მსოფლმხედველობა კარგად ჩანს მის “რიტორიკაში”, სადაც ბევრი საინტერესო შეხედულება აქვს გამოთქმული. იონა ხელაშვილის მიერ სოლომონ დოდაშვილისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში იგი რჩევა დარიგებას აძლევს დოდაშვილს, როგორი უნდა იყოს რიტორიკა, წერილიდან, ისევე როგორც რიტორიკიდან ჩანს, სოლომონი ითვალისწინებდა იონას რჩევას, მაგრამ მსოფლმხედველობიდან გამომდინარე მთლად არ მიჰყვება მის ნააზრევს.

სოლომონ დოდაშვილმა თავის თხზულებაში არ შეიტანა არაფერი ღვთისმეტყველური, რასაც ასე დაჟინებით ურჩევდა იონა, სამაგიეროდ მან დაასახელა ქართველი მოღვაწენი ანტონი, იოანე პეტრიწი და, თავის მხრივ, დაუმატა იონა, რომელსაც ზემოთ დასახელებულ მოაზროვნეებზე არანაკლებ პატივს სცემდა, როგორც მოღვაწესა და დიდ პატრიოტს. სწორედ იონა ხელაშვილთან მისმა სიახლოვემ განაპირობა ქართული ფილოსოფიური ძეგლების ცოდნა.

სოლომონ დოდაშვილის აზრით, ფილოსოფია, როგორც მეცნიერება, მოიცავს სამ სფეროს: ზოგად თეორიას, შემეცნებლისა და შესამეცნებლის შესახებ, ეთიკას და ესთეტიკას. პირველი არის გონების სწავლა, მეორე-გულის, მესამე-გრძნობისა. ისევე როგორც ადამიანის გონება, გული და გრძნობა ერთ მთლიანს ქმნის, ასევე ერთ მთლიან სისტემას წარმოადგენს ფილოსოფია. ქედან ცხადია, რომ ამ სამი მომენტის ცენტრალური საკითხი ადამიანს უკავშირდება, ამიტომ ადამიანია ფილოსოფიის ძირითადი პრობლემა და საგანი ანუ, როგორც სოლომონ დოდაშვილი წერს: “ფილოსოფიაში შემეცნებელი პირი და შემეცნების უმთავრესი საგანი ადამიანია”.⁸ ამიტომ ფილოსოფია არის მეცნიერება ადამიანის მოქმედების როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური საფუძვლების შესახებ.

სოლომონ დოდაშვილის აზრით, გარემომცველ სამყაროს საკუთარი წესრიგი აქვს, რომლის მიხედვითაც იგი ადამიანს წარმოუდგება, როგორც “ურთიერთობათა სისტემა, რომელშიც ყველაფერი გაზომილი, აწონილი და აღრიცხულია”.⁹

ფილოსოფიას საქმე აქვს ცნებებთან, რომლებიც საგნებიდან გვაქვს მიღებული, ვინაიდან ცნებები ადამიანშია, მის ცნობიერებაშია, ამიტომ სოლომონ დოდაშვილი გამოთქვამს აზრს, რომ “ფილოსოფოსობა... ნიშნავს ყურადღება მივაპყროთ თავის თავს, ჩვენზე თავის თავს, რათა გამოვიცნოთ და გავიგოთ თვით ჩვენი თავი და ამ გზით დავადგინოთ სამყარო ჩვენში და ჩვენთან.”¹⁰

იონა ხელაშვილის და სოლომონ დოდაშვილის ფილოსოფიურ შეხედულებათა განსხვავება სრულიად ბუნებრივად გამოჩნდება, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სოლომონ დოდაშვილის მსოფლმხედველობა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის უახლესი ფილოსოფიის გავლენით ჩამოყალიბდა. მან კარგად იცოდა რუსული ენა, პეტერბურგის ინტელიგენციის წრეში ტრიალებდა, დადებითად იყო განწყობილი პროგრესულად მოაზროვნეებისადმი, ის თავისი ეპოქის შვილი იყო და, მაშასადამე, იზიარებდა კიდევ მისი დროის მსოფლმხედველობას.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში თეოლოგიური ფილოსოფიის შესაძლებლობანი მცირდებოდა, ხოლო საბუნებისმეტყველო კვლევა-ძიებაზე აღმოცენებული ათეიზმი იყო აზროვნებისთვის გეზის მიმცემი. სწორედ ეს მომენტია დაკავშირებული სოლომონ დოდაშვილის სახელთან.

იონა ხელაშვილი იმ დროისათვის ღრმად განათლებული ადამიანი, აგრეთვე კარგად იცნობდა იმდროინდელ რუსულ და მსოფლიო აზროვნებასა, კულტურას, მაგრამ მისი სიდიადე სწორედ იმაში ჩანს, რომ მან არ გადაუხვია თავის მსოფლმხედველობას, მეტიც იგი კრიტიკას არ იშურებდა ათეისტების და ნატურალისტების მიმართ. იონა ხელაშვილი თავისი სააზროვნო ვითარებისათვის კარგად მომზადებული, ამავე დროს ენერგიული და აქტიური კაცი იყო. მას დიდი პათოსი ახასიათებდა რწმენის დაცვისა და ქადაგების საქმეშიც – “ფილოსოფოსის სიმდიდრეა მსახურება ღვთისათ” – წერდა იონა.

მკვლევარი ნინო მახათაძე მართებულად შენიშნავს: რომ მართალია, იონა ხელაშვილი წმინდა თეოლოგიური თხზულებების ავტორია, მაგრამ ეს ფაქტი არ გვგონია უფლებას გვაძლევდეს მასზე

⁸ ს. დოდაშვილი „ლოგიკა“ გვ. 12.
⁹ ს. დოდაშვილი, „ლოგიკა“ გვ. 29.
¹⁰ ს. დოდაშვილი „ლოგიკა“ გვ. 11.

ვთქვათ, რომ იონა ხელაშვილის სახით “საქმე გვაქვს გარკვეულ წარმომადგენელთან იმ თეოლოგიური რეაქციონული მიმდინარეობისა, რომელიც გააფთრებით ებრძოდა ქართული აზრის განვითარებას რუსული მონინავე აზრების ზეგავლენით მატერიალისტური ფილოსოფიის მიღწევათა შეთვისებისაკენ”,¹¹ როგორც ამ აზრს პროფესორი შალვა ნუცუბიძე გამოთქვამდა. აქ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ იმ პერიოდში, (საბჭოთა) როდესაც მოღვაწეობდა პროფესორი ნუცუბიძე უღმერთობა და ღვთის გმობა კანონიერ ცხოვრებას ნიშნავდა. ვფიქრობ, ამით იყო გამოწვეული შალვა ნუცუბიძის გადაჭარბებული კრიტიკა ხელაშვილის რეაქციონერობის შესახებ.

ღმერთის რწმენის საკითხზე ფილოსოფოსებს შორის მუდამ აზრთა სხვადასხვაობაა. სხვა და სხვა იყო იონა ხელაშვილისა და სოლომონ დოდაშვილის მსოფლმხედველობა. თუმცა უნდა ითქვას, რომ წარმოდგენა ღვთისმეტყველებაზე, ანუ თეოლოგიაზე განიცდის ევოლუციას. ამაზეც შეიძლება იყოს დამოკიდებული ფილოსოფოსთა ნააზრევი.

იონა ხელაშვილი ერთ-ერთ თავის წერილში დოდაშვილისადმი წერდა: “სახელი შენი აღწერილი იქნება წიგნებში, ხოლო შენს საფლავზე აღიმართება ძეგლები, შენი გენიალურობის და მთელი ივერიისადმი დამსახურების მაუწყებლად”.¹²

დოდაშვილის ძეგლები იონას უშუალო დახმარებით და ხელშეწყობით, მართალია საფლავზე არა, მაგრამ მის სამშობლოში აღიმართა და მან დაიმკვიდრა სახელი “განმანათლებელი”.

თვით იონას დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან გამოცემული არ არის არც ერთი ძეგლი, ამიტომ კვლავ ძალაში რჩება სოლომონისადმი მის მიერ მიწერილი სიტყვები: “(ჩემი წიგნებში) ხვიმრსა ქუეშე არიან უმსახუროდ ძმითა და ერისა, არა მივიან შემწენი და ცენზურნი გამჩხრეკნი, რათამცა განმემრავლებინა”.

სავსებით ვეთანხმები ქალბატონ ნინო მახათაძეს, რომელიც მწუხარებას გამოთქვამს იონა ხელაშვილის თხზულებათა გამოცემის თაობაზე და სურვილს გამოთქვამს, იონას, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტის, საზოგადო მოღვაწის სათანადო პატივის მიგებისათვის.

ვფიქრობ, კარგი იქნება საქართველოს საპატრიარქო კიდეც ერთხელ, გაეცნოს იონა ბერის ცხოვრებას და მოღვაწეობას უფრო საფუძვლიანად და თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაისვას მისი წმინდანად შერაცხვის საკითხი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შ. ნუცუბიძე. ქართული ფილოსოფიის ისტორია ტ. II.
2. თ. კუკავა. ს. დოდაშვილის რიტორიკა. 1986 წ.
3. ს. დოდაშვილი, „ლოგიკა“.
4. საიუბილეო კრებული მიძღვნილი ს. დოდაშვილის 180 წლისთავისადმი. 1986 წ.
5. ნ. მახათაძე, „იონა ხელაშვილის „რონინი“ კორნელი კეკელიძის საიუბილეო კრებული.

¹¹ შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. II გვ. 458-59.

¹² ა. ამირხანოვა, ს. დოდაშვილის ფილოსოფიურ-იდეური წყაროები. საიუბილეო კრებული, გვ.80 1986 წ.

ქეთევან მარიდაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

შორისდებული ინტერნეტსივრცეში

ხელმძღვანელი პროფესორი: ნინო შარაშენიძე

შორისდებული ჰქვია ბგერას, ბგერათა კომპლექსს ან სიტყვას, რომელიც ადამიანს აღმოხდება პირიდან ბუნების ამა თუ იმ მოვლენის თუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რომელიმე კონკრეტული ვითარების განცდის გამო, რომელიც მოკლე, სწრაფი და უშუალო გამოძახილია ამ განცდისა. შორისდებული თავისი დანიშნულებით უტოლდება სიტყვას, წინადადებას. ის ინტონაციურად მდიდარი და მრავალფეროვანია, რაც განპირობებულია თვით ბუნების მოვლენებისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა მრავალფეროვნებით.

შორისდებული მეტყველების ნაწილებში პირველად რომაელმა გრამატიკოსებმა შეიტანეს.

შორისდებული, როგორც მეტყველების ნაწილი, თავისებურია სპეციფიკური სემანტიკისა და ფორმის მიხედვით. ამით იგი მკვეთრად განსხვავდება სხვა მეტყველების ნაწილებისაგან. წინადადების ორგანიზმში შორისდებულის უცხოობა ნათლად და სრულად აისახება იმით, რომ ის არის გრძნობისა და არა წარმოდგენის ნიშანი. ყველა დანარჩენი სიტყვა ენაში წარმოდგენის ნიშანია.

შორისდებულის სპეციფიკური ხასიათი, დროთა განმავლობაში, განაპირობებდა მის შესახებ გამოთქმულ აზრთა სხვადასხვაობას. მეცნიერთა ერთი ჯგუფი (მ. ლომონოსოვი, ა. ვოსტოკოვი, ფ. ბუსლაევი და სხვა) შორისდებულს თვლის დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად. მეორენი (კ. აკსაკოვი...) ამტკიცებენ, რომ შორისდებული არ არის სიტყვა და ამიტომ იგი არ შეიძლება ჩაითვალოს მეტყველების ნაწილად. ამ შეხედულების მიმდევარი, ბოგოროდიც კი წერს: „წარმოშობით, შორისდებულები წარმოადგენენ რეფლექტორულ ბგერებს, რომლებიც გამოწვეულია ამა თუ იმ ძლიერი ემოციური მდგომარეობით. მაგალითად, ტკივილის, სიხარულის გრძნობით. ენის შემდგომი განვითარების პროცესში ისინი ხდებიან ემოციის გამომხატველი სიტყვიერი წამოძახილის სიმბოლოები“.

შორისდებული, როგორც ტერმინი, ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ანტონ პირველისგან მომდინარეობს. იგი რთულფუძიანი სიტყვაა და შედგება ორი ნაწილისაგან შორის+დებული. ქართველი გრამატიკოსები ძირითადად ამ ტერმინს ხმარობენ.

შორისდებული ფართოდაა გავრცელებული ქართულ ენაში. ა. შანიძე გამოყოფს შორისდებულთა სამ შინაარსობრივ ჯგუფს:

1. შორისდებულები, რომლებიც ამა თუ იმ გრძნობის გამოძახილს წარმოადგენენ;
2. შორისდებულები, რომლებიც გამომხატავენ ფიცილს, ალერსს;
3. შორისდებულები, რომლებიც მოუბრის ნებადსურვილს ასახავენ.

თანამედროვე ქართულ ენაში შორისდებულთა გამოყენების სიხშირე იზრდება. იქმნება ახალი შინაარსის მქონე შორისდებულები, რომლებიც უცხო ენის გავლენით შემოდიან და ადგილს იკვიდრებენ არა მარტო ზეპირ მეტყველებაში, არამედ მხატვრულ ლიტერატურაში, მოკლე ტექსტურ შეტყობინებებსა და რაც მთავარია, ისინი ფართოდ ვრცელდება სოციალურ ქსელში, კერძოდ კი სხვადასხვა ფორუმში. ე.წ „ფორუმის ენა“ განსხვავებული და შეძლებისდაგვარად გამარტივებულია. ამიტომაცაა, რომ ემოციის გამომხატველი შორისდებული აქ ადვილად იმკვიდრებს ადგილს. ინტერ-

ნეტსივრცეში მათ უამრავ სახესხვაობას ვხვდებით, რის საფუძველზეც შესაძლებელია შორისდებულთა კლასიფიკაცია.

ინტერნეტსივრცეში წარმოდგენილი შორისდებულების ანალიზის დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზოგიერთი შორისდებული შეიცავს ისეთ ბგერას, რომელიც სალიტერატურო ენაში ხმარებული ასოებით ვერ გადმოიცემა, რის გამოც, საჭიროების შემთხვევაში, ასეთ ბგერას ან მიახლოებით გადმოსცემენ, ან საერთოდ გამოტოვებენ ხოლმე. ერთნაირად დაწერილ შორისდებულებს ზოგჯერ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ და გამოთქმაც განსხვავებული, მაგრამ წერის დროს ყოველთვის არ აისახება განსხვავება. გამოთქმული შორისდებულის ემოციის გაგება უფრო ადვილად შესაძლებელი, ვიდრე ასოებით ჩანერილი შორისდებულისა, რადგან შორისდებულის წარმოთქმას თანსდევს ინტონაცია, ჟესტდმიმიკა, რომლებიც აზუსტებენ მის მნიშვნელობას. ხოლო წერილობითი სახით წარმოდგენილი შორისდებულის შინაარს კონტექსტიდან გამომდინარე ვხვდებით.

ინტერნეტსივრცეში მრავლადაა ისეთი შორისდებულები, რომლებსაც აქვთ ვითარებათა შესაბამისობის ფართო დიაპაზონი. ამ ტიპს მიეკუთვნება „აუ“ შორისდებული. მისი მეშვეობით ემოციის დადგენა, ვერბალური ურთიერთობისას, მხოლოდ კონტექსტის საშუალებით შეიძლება. ეს შორისდებული ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს აღტაცების, გაოცების გამომხატველი, მაგალითად, „აუუ, ეს რა მაგარი ჩანთა გიყიდა“. ხოლო მეორე შემთხვევაში, ფრაზაში „აუ“ შორისდებულის საშუალებით მელანქოლიური განწყობილება გამოიხატოს. მაგალითად, „აუუ რაა, რატომ ვერ მიგებს ვერავინ?“.

ასეთივე ტიპის შორისდებულებაა „უი“, რომელსაც ხშირად იყენებს ინტერნეტმომხმარებელი საკუთარი განცდის გამოსახატავად. „უი, მე მაპატიეთ, მგონი წარმოდგენის უნარი დავკარგე“. „უი“ შორისდებული განსხვავებული მნიშვნელობით არის გამოყენებული შემდეგ მაგალითში: „უი, რა კარგად მოგიფიქრებია“.

„ვაიმე“ მეტად საინტერესო შორისდებულია სემანტიკის თვალსაზრისით. ის ორი კომპონენტისგან შედგება ვაი+მე. ძველი ქართულისთვის „ვაი“ შორისდებული უცხო არ იყო. ის გამოხატავდა მძიმე ემოციურ განცდას. მასზე დართული მე პირის ნაცვალსახელი კი კიდევ უფრო ამძაფრებდა უარყოფით ემოციას, თუმცა დროთა განმავლობაში „ვაიმე“ შორისდებულის სემანტიკური მნიშვნელობა გაფართოვდა და მან სასიხარულო განცდის გამოხატვის ფუნქციაც შეითვასა. ინტერნეტსივრცეში „ვაიმე“ შორისდებული ორივე მნიშვნელობით გვხვდება. მაგალითად, „ვაიმე, საგნებზე უკვე შევსებულა ადგილები“, და „ვაიმე, როგორ გამახარე.“ „ვაიმე“ შორისდებულის მსგავსად არის შექმნილი „უიმე“ შორისდებულიც დ უი+მე. „უიმე, რა უბედურებაა“.

შინაარსობლივად მრავალფეროვანი შორისდებულია „ჰმ“. იგი გამოხატავს: მიხვედრასდ „ჰმ, მერე მერე“, დაცინვასდ „ჰმ, რა უნდა ველაპარაკო“, ეჭვს „ჰმ, კალკულუსს ჩავაბარებ ნეტა?“, სინანულს „ჰმ, არადა პატიოსანი აზრები მანუხებდა“, გაკვირვებას „ჰმ, ამას რაღა უნდა?“. „ჰმ“ შორისდებული ასევე გამოხატავს კმაყოფილებას, მრისხანებას, წყენას. როგორც ვხედავთ, ინტერნეტსივრცეში მისი მნიშვნელობა, იმის მიხედვით იცვლება, თუ რა კონტექსტშია ნახმარი, ხოლო მეტყველების დროს, „ჰმ“ შორისდებულს თან ახლავს სხვადასხვაგვარი ჟესტ-მიმიკა: თავის გაქნევა, მხრის აწევა, ირონიული ღიმილი და სხვა.

ფორუმებში, როგორც უკვე აღვნიშნე, გამოიყოფა შორისდებულთა ერთი ჯგუფი, რომლებიც ფონემათა შემადგენლობით მკვეთრად განსხვავდებიან მეტყველების დროს გამოთქმული იმავე შორისდებულებისგან. როდესაც ვერ ხერხდება შორისდებულის სიზუსტით დაწერა, მაშინ ინდივიდი ცდილობს მოიშველიოს ისეთი ასოები, რომლებიც მიახლოებით მაინც გადმოსცემენ სასურველ შორისდებულს. ამის საფუძველზე ჩნდება ერთი და იმავე შორისდებულის რამდენიმე ნაირსახეობა. მაგალითად, „უფ“, „უჰ“, „უხ“. ქართულ ენაში არ არსებობს ფონემა „ფ“, ამიტომაცაა, რომ ვამბობთ „უფ“ შორისდებულს და ვწერთ ფ-ის მაგივრად ფონემას: „ფ“, „ჰ“ ან „ხ“. ამის დამადასტურებელ მაგალითებს ინტერნეტსივრცეში ხშირად ვხვდებით. მაგალითად, „უუფ, მაინც გამაღიზიანეს რაა“, „უჰ, გაიხარე“.

ფორუმებში ხშირად გამოიყენება შორისდებული „ნნ“, თუმცა ფონემათა ამგვარი მიმდევრობა ზუსტად არ აღნიშნავს სასურველ შორისდებულს. იგი თვისი მნიშვნელობით უდრის „არა“-ს, ხოლო მისი რამდენჯერმე გამეორება კი სინანულს გამოხატავს. მაგალითად, „nwnw, ეს ჩემს ფოტოს აკადრე?“.

„ჰაჰ“ შორისდებული გარშემომყოფთა სიცილს, ხშირად ქედმაღლურ დაცინვას გამოხატავს. „ჰაჰ, ეს რას გავს?!“

თანამედროვე ქართულ ენაში უამრავი შორისდებული დამკვიდრდა ინგლისური ენის ზეგავლენით. მაგალითად: „ჰმ“, „უჰ“, „ოჰ“, „ჰეი“, „ო“, „აჰ“.

ინტერნეტსივრცეში დიდი სიხშირით გვხვდება შორისდებული „ვაუ“ (ინგ. „წონ“), რომელიც ასევე ინგლისური ენიდან შეითვისა თანამედროვე ქართულმა ენამ. ეს შორისდებული გამოხატავს აღტაცებას, გაოცებას. „ვაუ, რა ლამაზი სურათია“.

„ბრავო“ რუსული ენიდან შემოსული შორისდებულია. ის გამოხატავს აღტაცებულ შეძახილს. რუსული ენიდან ასევე შემოსული შორისდებულები: „ახ“, „ნუ“, „ურა“ და სხვა. თითოეული მათგანი დიდი სიხშირით გვხვდება ინტერნეტსივრცეში.

ნებისმიერ მსჯელობას, რომელიც მიმდინარეობს სოციალურ ქსელში, კერძოდ კი ფორუმში, თან სდევს ემოციური ხასიათის წარმოჩენა. ხშირად ფორუმის მომხმარებლები ერთმანეთს შორისდებულების დახმარებით თანაუგრძნობენ, დასცინიან, ამხნევენ, მიანიშნებენ, რომ მათი მსჯელობა მიუღებელია, ან პირიქით, ძალიან საინტერესოა. ე.ი, შორისდებული არის ის, რომელსაც ადამიანი მიმართავს ყველა ვითარებაში, როდესაც საკუთარი გრძნობის, ემოციის, დამოკიდებულების გამოხატვა სურს. ხშირად ეს ყველაზე უკეთ გადმოსცემს სათქმელს და მთქმელის ემოციური განწყობილება ადვილად იმიფრება.

ფორუმისათვის დამახასიათებელი არ არის ოფიციალური ენის გამოყენება, რადგანაც მასში არსებული თემები სოციუმის ყოველი წევრისთვის უნდა იყოს მისანვდომი და ადვილად გასაგები. ფორუმში, ამა თუ იმ ადრესატისთვის, სასურველია ჩვეულებრივი, სასაუბრო ენის გამოყენება, რადგანაც ამ შემთხვევაში კომუნიკაცია ადვილად მყარდება. ამაში კი, გარკვეულწილად, შორისდებულები გვეხმარება, რადგანაც ის ადრესატის ემოციას, გრძნობას, განცდას, განწყობას ყველაზე უკეთ წარმოაჩენს. შორისდებულს არ სჭირდება ახსნა. ორ ან მეტ კომუნიკანტს შორის არასოდეს არცერთი მათგანი არ იკითხავს თუ რას ნიშნავს წარმოთქმული ესა თუ ის შორისდებული, რადგან მასში გამოიხატება მთქმელის მთელი ემოცია, რომლის წარმოსაჩენად ხშირად სიტყვები საკმარისი არ არის. ყოველივე ამის დასამტკიცებლად ფორუმი სავსეა მაგალითებით.

თბილისის ფორუმში (<http://forum.ge/>) იყო ერთდერთი თემა: „რელიგია და ფილოსოფია“, სადაც ფორუმის წევრები ერთმანეთს უზიარებდნენ საკუთარ ემოციებს. „ეჰ, ცუდია, თემა ძალიან პასიურობს“, „აუ, ხალხო, ყურანი მინდა და სად ვიშოვო?“, „ეჰ, გიორგი, ინტრიგობაში ჩემპიონი ხარ რაა“, „ოხ, ეგ შურიანი ადამიანი“, „აუ, წრეზე ნუ მატრიალებ“, „ოი, შენ რა გითხარი რაა“.

თსუ-ს სტუდენტურ ფორუმზეც (<http://forum.tsu.ge>) შორისდებულთა უამრავ სახესხვაობას ვხვდებით. მაგალითად, ერთდერთი თემიდან – „სტუდენტთა პრეტენზიები“ – მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითები: „ვაიმე, დამლაგებლები არ მომწონს მაღლივში“, „აუ, ნორმალური და მონესრიგებული ცხრილი მელირსება ოდესმე?“, „ოოო მაღლივის ბიბლიოთეკა მომწონს“, „ეუჰ, დამატბით გამოცდაზე რამე არის გადასახადი?“

„თსუ-ს სტუდენტურმა ფორუმმა“ (<http://forum.tsu.ge>) გამოაქვეყნა თემა „საყვარელი შორისდებული“, სადაც წარმოდგენილია ინტერნეტსივრცეში გამოყენებულ შორისდებულთა სია. აღმოჩნდა, რომ ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს შემდეგი შორისდებულები: „აუ“, „აჰა“, „აა“, „ეე“, „უი“, „უუჰ“, „ჰჰმ“, „ვაიმე“, „უიმი“, „ნნ“, „ვაა“, „ოოო“, „ეეჰ“, „ოჰ“, „ვაუ“, „ფუჰ“, „ოჰო“, „ბრავო“, მათგან:

„აჰა“ გამოიყენება: კი-ს, ჰო-ს და დიახდის მაგივრად; „აჰა, ძალიან კარგი“;

„უუჰ“ – დაზარების გამომხატველია, უარის თქმას უდრის: „უუჰ, ხვალ უნივერსიტეტში არ წავალ“;

„აა“ – მიხედვრას გამომხატავს: „აა, გასაგებია რასაც გულისხმობ“;

„ეე“ – სინანულს: „ეე, არადა მინდოდა მოსვლა“;

„ნნ“ – უარყოფას;

„ვაა“ – გაოცებას, აღტაცებას: „ვაა, რა საპატიო ადგილი დაიკავა ჩემმა თემამ“;

„ფუუჰ“ – ზიზღის გამომხატველია: „ფუუჰ, რა საშინელი ამინდია“;

„ოოო“ – ჩაფიქრებას: „ოო, საინტერესო საკითხია“;

„ეეჰ“ – დანანებას, წუხილს: „ეეჰ, რა ცუდად მაქვს საქმე“;

„ოჰ“ – დაზარებას („ოჰ, რა დროს ინგლისურია“), ან გაოცებას („ოჰ, რა იდეები განუხებს“) გამომხატავს;

„ოჰო“ – გაკვირვებას, გაოცებას: „ოჰო, ამას უყურეთ ერთი“.

დასახელებული შორისდებულების შინაარსის მრავალფეროვნება კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ მათი ანალიზის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა კონტექსტშია გამოყენებული ესა თუ ის შორისდებული. აღსანიშნავია, რომ დასახელებულ შორისდებულებს ინტერნეტსივრცეში ხშირად ენაცვლება ე.წ. „სმაილები“, რომლებიც ასევე ემოციის გამომხატველი არიან, თუმცა შორისდებულებისგან განსხვავებით, ისინი მხოლოდ ადამიანის ამა თუ იმ მიმიკის ამსახველი ხატ-სიმბოლოებია, ((R) რომელთა აღქმა მხოლოდ თვალს შეუძლია. მათი ასოებით ჩანერა ვერ ხერხდება.

ინტერნეტსივრცეში წარმოდგენილი შორისდებულთა ანალიზი ცხადჰყოფს, რომ თანამედროვე ქართული ენა თანდათანობით მდიდრდება ახალი შორისდებულებით, რაც განპირობებულია ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნის საფუძველზე ან რომელიმე უცხო ენის გავლენის წყალობით. თანამედროვე ქართულ ენაში დაიკარგა შორისდებულთა გარკვეული რაოდენობა, რომლებიც გასულ საუკუნეებში ხშირი მოხმარების ობიექტი იყო. მაგალითად, „აბაიმე“, „ვიმ“, „აპა“, „ვაჰმე“, „ოლოლო“ და სხვა. ამასთანავე ზოგიერთმა შორისდებულმა შეიძინა სხვა მნიშვნელობებიც, როგორც ეს მოხდა „ვაიმე“-ს შემთხვევაში.

გამოყენებული ლიტერატურა.

1. გაჩეჩილაძე, ო. შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში, თბილისი, 1979.
2. ჟღენტი, ს. შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში: ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თბილისი, 1965.
3. შანიძე, ა. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973.
4. ინტერნეტი: <http://forum.tsu.ge>, <http://forum.ge/>.

ელენე კიკნაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

სიცოცხლის ხის ვარიანტები ქართულ კულტურაში

ხელმძღვანელი პროფესორი: ელენე გოგიაშვილი

სიცოცხლის ხე მსოფლიო წესრიგის სიმბოლური სახეა როგორც ქართული, ასევე სხვა ძველ ხალხთა მითოლოგიური წარმოდგენების მიხედვით. იგი დგას სამყაროს ცენტრში და განასახიერებს სამყაროს მთლიანობას. „როგორც კოსმიური ღერძი, აერთიანებს სამ სკნელს“ (5. გვ. 137), კოსმოსის სამ სარტყელს - ფესვები მოქცეულია ქვესკნელში, ტანი სკნელზე (მინაზე) დგას, ხოლო წვერი ზეცაშია, რითაც იგი განსხვავდებოდა ქაოსისაგან. ეს არის ადგილი, საიდანაც დაიწყო სივრცის განვრცობა ანუ ცისა და მიწის დაშორიშორება, ესაა ადგილი სადაც შესაქმის აქტი განხორციელდა.

ცხოვრების ხის სიმბოლიკას ზოომორფული და ანთროპომორფული ხასიათი აქვს: წვერსა და ტანს გამოხატავდნენ ფრინველისა და ცხოველის სახით ან ადამიანის სახით, ფესვებს ანუ ქვესკნელს განასახიერებდა თევზი, ქვეწარმავალი.

შუმერულ ეპოსში აღნიშნული კონცეფცია ნათლად ჩამოყალიბებული, „ოდესღაც ხე ერთი, ალვის ხე ერთი, ხე ერთი, / წმინდა ბურანუნას (ევფრატი) პირას დარგულიყო ... / მის ძირში გველმა მოუნუსხველმა დაიბუდა, / მის რტოებში ფრთოსანმა ანზუდმა ბარტყები დასხა, / მის შუაგულში ქალწულმა ლილითმა სახლი გაიკეთა“ (5. გვ. 108).

მითოლოგიურ აზროვნებაში სიცოცხლის ხე წარმოდგენილი ჰქონდათ ცის საყრდენად, მნათობთა სადგურად და ღვთაებათა მშობლად.

მითოლოგიაში არსებობს მსოფლიო ხის შებრუნებული სახეც, როცა ხეს ფესვები ცაში აქვს, ტოტები კი, შესაბამისად, მიწაში. ხის ჰორიზონტალური სქემის გამოსახვისას ხშირად გამოიყენება ორი ჰორიზონტალური ღერძის გადაკვეთა. წარმოქმნილი ოთხი მხარე ქვეყნიერების ოთხ მხარესთანაა დაკავშირებული.

სიცოცხლის ხის ვარიანტებია: სვეტი, რომელსაც ეყრდნობა ცარგვალი; კოშკი, ციდან დაშვებული ჯაჭვი ირემი უზარმაზარი დატოტვილი რქებით, რომლებიც ცამდე აღწევს და ა.შ. მითოლოგიური მთა, ტაძარი, კიბე, ჯაჭვი, ჯვარი მსოფლიო ხის ერთგვარ იზოფუნქციურ სიმბოლოებს წარმოადგენს. „მსოფლიო ხე მრავალ ძველ კულტურულ ხალხებში, მათ შორის ძველ ეგვიპტელებში, მზესთან იყო ასოცირებული. კალპიანი ჩიჩილაკიც ამგვარ კონცეფციას ასახავს“ (2. გვ. 82; 17. სტ. 44-45).

კავკასიელ ხალხთა კოსმოგონიური წარმოდგენების მიხედვით, ხმელეთს მრგვალი ფორმა აქვს და გარშემორტყმულია ზღვით ან მთებით. სამყაროს კიდებზე დგას ცხოვრების ხე. მსგავსი ხედვაა შუმერულ მითოსშიც – როდესაც გილგამეში ქვეყნიერების კიდესთან მიდის და იგი შემდეგ სურათს იხილავს: „რათა მოეხილა აღრალთა ბალი: / ნაყოფს დაუხუნძლავს ხენი ძონისა, / ვაზიც მოჰხვევია ხილვად კეთილი. / მწვანედ შეფოთლილა ხე საფირონისა, ნაყოფი ასხია ხილვად საამური“ (5. გვ. 83).

ცხოვრების ხე ვერტიკალურად აერთებს ცას, მიწას და მიწისქვეშეთს. სამყაროთა შორის კავშირი მყარდება აგრეთვე ჯადოსნური ცხოველების, ფრინველების, ფანტასტიკური არსებების (გმირთა რაშები, არნივები, თეთრი და შავი ცხვრები, დევები, ქაჯები და ა. შ.) მეშვეობით.

სიცოცხლის ხის სიმბოლიკის საკრალურ მნიშვნელობას სიცოცხლე და უმაღლესი მიზანი - უკვდავება წარმოადგენს.

ქართველი ხალხის წარმოდგენით სახლის კერა, დედაბოძი და გვირგვინი ერთ კომპლექსს შეადგენდა და წმინდად იყო მიჩნეული. ცხოვრების ხის სიმბოლოდ დედაბოძი ითვლებოდა. ხალხური წარმოდგენით იგი ისე ებზინებოდა გვირგვინს, როგორც სიცოცხლის ხე ცას.

წმინდა სვეტების თაყვანისცემა ხის კულტს, სიცოცხლის ხის მოტივს უკავშირდება. დედაბოძზე გამოსახვდნენ გეომეტრიულ ორნამენტებს, ფრინველებს, ცხოველებს, ადამიანის ხელს, სხვადასხვა ტიპის ჯვარს, მზეს, ბორჯღალას და სხვა.

ხეთა თაყვანისცემასთან უნდა იყოს დაკავშირებული ხეცურთა სახლის თავხეც, „რომელსაც კეზი ეწოდება. კეზი ძალიან მსხვილი ხეა და ძირს ბოძები უდგას. იგი მთელ სახლს ამაგრებს და ამიტომ სახლის მთავარ საყრდენად ითვლება (9. გვ. 175-176., 10. გვ. 59).

ამ წარმოდგენებს უკავშირდება რწმენა ხის და ტყეების ზებუნებრივი ძალის შესახებ. ჩრდილო-კავასიელი ხალხები (აფხაზები, ადიღები, დაღესტნელები) თაყვანს სცემდნენ ხეებს და მსხვერპლს სწირავდნენ.

სიცოცხლის ხის სიმბოლიკა ხშირად იყო აღრეული ცნობადის ხის სიმბოლიკაში. თავისთავად ცნობადის ხის სიმბოლიკა საკმაოდ ძველია და მან ზნეობრივი ფუნქცია მოგვიანებით შეიძინა. ცნობადის ხის სახეცვლილი ვარიანტია დღეს მთელ მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული საშობაო ნაძვის ხეც. თავდაპირველად მას ვაშლებით რთავდნენ. მოგვიანებით ვაშლები სხვადასხვა სახის სათამაშოებმა და მოსართავეებმა შეცვალა.

ქართულ მითოლოგიურ გადმოცემებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საკრალურ ხესა და მასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს. საქართველოს სხვადასხვა მხარეში წმინდა ხედ ითვლებოდა: მუხა, ცაცხვი, ვაზი, ტირიფი, ალვა, იფანი, ურთხელი, ბზა, და ა. შ. წარმართი ქართველები თაყვანს სცემდნენ მუხას. მათი წარმოდგენით, მუხა მოიაზრებოდა როგორც ნაყოფიერების, სიუხვის, ბარაქისა და ჯანმრთელობის სიმბოლო.

არგონავტების მითში ოქროს საწმისი მუხაზეა ჩამოკიდებული (ამ მხრივ საინტერესო პარალელი ჩნდება ხეთურ მითთან, თელიფინუს შესახებ – მოკვდავი და აღორძინებადი ღვთაების - თელიფინუს წინ - „აღმართულია(მარადმწვანე) ხე ეია, რომელზეც ჰკიდია ცხვრის ტყავი“ (საწმისი). (3. გვ. 166), საწმისი კი ნაყოფიერების, გამრავლების, დღეგრძელობის და ყოველივე სიკეთის სიმბოლოა.. საინტერესოა ასევე, რომ მითოსი წმინდა ხეს ხან მუხად და ხან ალვად მოიხსენიებს. „საწმისი ეიას ხეზე (ურთხელზე) ჰკიდია“ (3. გვ. 167). ქართულ სინამდვილეში ანალოგიური დატვირთვის მქონეა ლახამულაში წმინდა ხის კულტი გირგედით დ მზის ნიშნით. გავრცელებულია აზრი, რომ ეს გარკვეული საკრალური აქტი იყო. იგივე მნიშვნელობა აქვს დღემდე შემორჩენილ წესს საღვთო მუხაზე (ცაცხვზე, იფანზე) ჯიხვის თუ ირმის რქების მიკვრას, ფერადი ნაჭრების ჩამოკიდებას.

მუხა ნაყოფიერებისა და სიცოცხლის მომნიჭებელ ძალად იყო მიჩნეული. მუხის კულტის კვალი ჩანს უძველეს თქმულებებში, ზღაპრებსა და ქართულ ხალხურ სიმღერებში: „მუმლი მუხასაო გარს ეხვეოდაო, / მუმლი ჰქრებოდაო, მუმლი წყდებოდაო, / ხე არ ხმებოდაო“ (16. გვ. 7).

ქართულ ხალხურ სიმღერაში - „მუმლი მუხასაო“ ბევრი საინტერესო სიმბოლური სახეა: „მუხისა ნადგომსა ძირსა, მამლი მუხასაო, / შიგაც რომ წყალი დგებოდა, მამლი მუხასაო, / იქაც რომ თევზი ჩნდებოდა, მამლი მუხასაო

/ იმასაც ხომ დაჭერა უნდა, მამლი მუხასაო, / რითა და რითა შენ, ბიჭო, მამლი მუხასაო, / რითა და მოსეს ბადითა, მამლი მუხასაო / ... ღმერთმან ყველანი მოგასწროთ, მამლი მუხასაო აღდგომა--ქრისტეშობასა, მამლი მუხასაო“. სიმღერაში საინტერესოა თევზის გაჩენის მომენტიც. აქ თევზი, ისევე, როგორც მუხა ძველ მითოლოგიაში გარდაცვლილი და მკვდრეთით აღმდგარი ნაყოფიერების ღვთაების სიმბოლოა (თევზი ხელახალი დაბადების სიმბოლოა). ქრისტიანულ ლიტერატურაში იესო ქრისტე პირდაპირაა მოხსენიებული „თევზად“.

საქართველოში წმინდა ხეთა შორის ყველაზე უფრო გავრცელებული მუხისა და ცაცხვის თაყვანისცემა იყო: „უზარმაზარი მუხა დგას ... უზარმაზარი ცაცხვი დგას“ (15. გვ. 131). ქართული გადმოცემა მოგვითხრობს, რომ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიის ადგილზე ძველად მდგარა უზარმა-

ზარი წმინდა მუხა, რომელსაც ხალხი თაყვანს სცემდა. მეფის გაქრისტიანების შემდეგ მუხა მოუჭრიათ და მის ადგილზე ჯერ ხის, შემდეგ კი ქვის ეკლესია აუშენებიათ.

მარტვილის ეკლესიის დაარსების ლეგენდის მიხედვით, დღევანდელი მარტვილის ტაძრის ადგილას წმინდა მუხის ხე მდგარა, რომელიც ანდრია პირველწოდებულს მოუჭრევინებია და მის ადგილზე მარტვილის სახელით ცნობილი ეკლესია აუშენებიათ.

მუხისა და ცაცხვის თაყვანისცემაზე მეტყველებს გეოგრაფიული ტერმინებიც. აღსანიშნავია «რკონი» და «ჭყონდიდი». სახელწოდება «რკონი» მიგვანიშნებს, რომ აქ ცაცხვზე ადრე მუხის თაყვანისცემა უნდა ყოფილიყო გავრცელებული. იმერეთში ცაცხვის შემად მოჭრა დიდი ცოდვა ყოფილა. იმ ადგილებში კი სადაც ეკლესია არ იყო, მის მაგივრობას ცაცხვის ხეები სწევდნენ.

ალვის ხე, როგორც წმინდა, საკრალური და გამორჩეული, მრავლადაა ქართულ ზღაპრებში („ნიქარა“), ასევე ხალხურ პოეზიაში: „შიგ ალვის ხე ამოსულა, იავ ნანინაო, / ტოტები აქვს ნარგიზისო, ვარდო ნანინაო“ (16. გვ. 9-10).

„საკრალური ხეებიდან, ფშავში ცნობილია ლაშარის მუხა, ხოლო ხევსურეთში – ხმალას ალვის-ხე“ (1. გვ. 22). სვანეთში კი გვხვდება ასწლოვანი ხეებით დაფარული ადგილები, საიდანაც ნაფოტის გამოტანაც კი ღვთის რისხვას იწვევდა (უფალი მოავლენდა უჩვეულოდ მსხვილ სეტყვას). სვანეთში ასეთ წმინდა ხეებად ითვლებოდა ფიჭვი, ნაძვი, კედარი (კედარი ასევე წმინდა ხეა „გილგამეშიანში“). მათთვის შესანიშნავი კი მიჰქონდათ და იქვე ლოცულობდნენ, „წყალთა კურთხევის დღეს აქ ჯერ ნაძვის ხე ჩამოივლის, მერე – ალვისა“ (15. გვ. 122).

მარადმწვანე ურთხელის კულტი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებობდა. ეს ხე თითქმის ყველგან გვხვდება განსხვავებული სახელწოდებით. სამეგრელოში არსებობდა დღესასწაული – „ურთხაობა“, რომელიც გაზაფხულზე ტარდებოდა. ხესთან მიჰქონდათ მჭადის ფქვილისა და ღერ-ლილისაგან გამომცხვარი კვერები, რომელთაც ურთხელის წინვს ურევდნენ. ამ კვერებს აცხობდნენ როგორც შვილების, ისე ხის სახელზე და ლოცულობდნენ.

ურთხელი წმინდა ხედ იყო მიჩნეული ფშავშიც. მისი ხელის ხლება და მოჭრა სასტიკად იკრძალებოდა. ურთხელს სალოცავთან ახლოს რგავდნენ. იგი დაკავშირებული იყო მიცვალებულის კულტთანაც. ფშავში გავრცელებული წეს-ჩვეულების თანახმად, თუ ვინმე იკარგებოდა, მის სახელზე მოჭრიდნენ მის სიმაღლე ურთხელს და რიტუალის გათვალისწინებითა და ყველა წესის დაცვით დაკრძალავდნენ.

საინტერესოა შუბნურის ხატის დაარსების შესახებ არსებული გადმოცემა: მოშულლე ხევსურთაგან დაჩაგრულ პირს, რომელიც უცხო რჯულისა ყოფილა და თუშეთიდან ჩამოსახლებულა ხევსურეთში, თავის დამცველად თუშეთიდან წამოიღია ამ ჯვრის საკუთრება, ვერცხლის თასი და იმათ სახლში ჩაუმარხავს, ვისაც მტრობდა. ამის შემდეგ იმ ოჯახში კერის შუაში ამოსულა იფნის ხე, რომელიც მოუჭრიათ და გადაუგდიათ. მეორე დილას ხე ისევ ამოსულა, ისევ მოუჭრიათ. მესამე დილით ხეს გველი ამოჰყოლია. იქ შუბნურის ჯვარი დაარსებულა.

ქართული მითი იცნობს წმინდა ხის ისეთ სახესაც როგორცაა ხმელი ფიჭვი. აღნიშნული სიმბოლური ხატის სემანტიკა შემდეგია: „მოჭრილი ხმელი ხე გამოსახავს სულიერი ძალებისაგან დაცლილ ცნობიერებას, ანუ ბიბლიურ ენაზე – სიცოცხლის ხის ძალებისაგან მოწყვეტას, გამხმარ ხე – ცნობადს“ (11. გვ. 31).

ფშავლების წარმოდგენით ლაშარის ჯვრის მუხა ზეცასთან ოქროს შიბით (ოქროს ჯაჭვი) იყო დაკავშირებული. ანგელოზები ჩამოდიოდნენ და ხის კენწეროზე სხდებოდნენ ხოლმე.

„ბერმუხა... ფშაური ანდრეზის მიხედვით წმინდა მუხა, რომლის საშუალებითაც ლაშარის წმ. გიორგი მორიგე ღმერთის კარამდე აღიოდა...“ (4. გვ. 44).

ღვთაების სამყოფელს წარმოადგენს ლაშარის მუხა. იგი არა მარტო ღვთაების სადგომად გვევლინება, არამედ სიცოცხლის ხის მოტივსაც უკავშირდება. მთაზე დგას მუხა, მუხაზე კიბეა შედგმული, კიბის თავში ღვთისშვილია, რომელიც შიბით, საკიდით არის გამოზმული ცას. იგი ამ გზით მიდის საყმოს მიერ შეწირული ძღვენით მორიგე ღმერთთან. ღვთისშვილი შუამავალია ცასა და მიწას შორის.

რის, იგი არის ის შიბი, რომელიც სამყაროსა და მორიგე ღმერთს ერთმანეთს უკავშირებს. ქართული ლექსი ასე გვიამბობს ამბავს: „ბერი გიორგი მეც ვიყავ, ცას ვები ოქროს შიბითა, / ხმელგორზე მედგა ბერმუხა, ზედ ავდიოდი კიბითა“ (4. გვ. 113).

გადმოცემებში ხშირად გვხვდება სასიცოცხლო სუბსტანციის სხვა მატარებლებიც. მაგ.: ნაყოფი – ბრონეული (მოგვიანებით იგი ვაშლმა შეცვალა), რომელიც უკვდავებისა და ხელდასხმის სიმბოლოდ აღიქმება მკვდრებით აღდგომის შემდეგ.

საკრალური ხის სიმბოლო ნათლად ჩანს ლეჩხუმში დადასტურებულ რიტუალ ში, „ბატონების მისართმევი ხის ტოტის“ სახით, რომელიც წარმოადგენდა აყვავებულ ხის ტოტს, მორთულს სხვადასხვა ფერის ბაფთებით, ხილით, ნითელი კვერცხებით, ფრინველების შეღებილი გმოსახულებებით და სხვ. „ქართველ ხალხში მსოფლიო ხის კონცეფციის ფართოდ გავრცელებაზე მიუთითებს, ჩიჩილაკის გარდა, ... ე. წ. „ბატონების ხე“ და „კელაპტარი“ (2. გვ. 82).

რიტუალში „ხვამლობა“, რომელიც სულთმოფენას ესადაგება, ყველა ასრულებდა ლოცვას, სახლში „დააბრუნებდნენ“ ტაბლას და ნიგვზის ხის ქვეშ გავიდოდნენ. აქ სრულდებოდა „სახვამლობო რიტუალი“: ლოცულობდა ოჯახის უფროსი ქალი, რომელიც აანთებდა ერთ სანთელს, კაკლის ხის ქვეშ მიყვანილ ბავშვებს თავზე სპეციალურად ამ დღისათვის დაკლულ და შემწვარ წინილას შემოატარებდა და დალოცავდა. სახვამლობო კაკლები ეკუთვნოდა ოჯახს, უბანს, გვარს, სოფელს, რომელიც, უმრავლეს შემთხვევაში, ხველა-სახადისათვის იყო შეწირული.

სიცოცხლის ხის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო იპოსტასად ქართული ყოფისათვის შეიძლება მაინც ვაზი ჩაითვალოს: „ვაზი ღვთაებრივ – მზის მცენარედ ითვლებოდა. ჩვენი წინაპრების წარმოდგენით, ის იყო „სიცოცხლის ხე“ (1. გვ. 217). აღნიშნული აზრი საყოველთაოდ მიღებულია ქართულ მეცნიერებაში. ვაზი როგორც საკრალური მცენარე დაკავშირებული იყო მზის თაყვანისცემასთან – „ხეთაგან ვაზი იყო მზის ხვედრი. ... ვაზი ქალურ სანყის გამოხატავდა, მზე – ვაჟურს“ (8. გვ. 24).

ქართულმა მითოსურმა აზროვნებამ ქრისტიანობასთან ერთად ვაზის სახე ღვთისმშობელს დაუკავშირა, რაც ქართულ საგალობლებშიც აისახა: „ქრისტიანობამ მზისა და ვაზის სიმბოლიკა გამოიყენა. ... ვაზისა და მზის ერთიანობა ღვთისმშობლის ჰიმნიშიც შესულა. ... „შენ ხარ ვენახი“ (8. გვ. 27).

სიცოცხლის ხის ვარიანტის მობილურ სიმბოლოს წარმოადგენს საქორწილო რიტუალებში ფართოდ გავრცელებული «მაშხალა» ან «ჩირაღდანი» (მრავალტოტიანი ხის ფორმის საგანი, რომელზედაც ჩამოკიდებულია ხილი, ჩურჩხელები, ყვავილები, პურის ცომისაგან გამომცხვარი ადამიანის და ცხოველების ფიგურები, მთლიანად მოხარშული ქათამი, რომელსაც თავზე ბუმბულს უტოვებდნენ), „ჯვრის პური“ (ზოომორფული ფიგურებით შემკული პური, რომელსაც მექორწილებს მიართმევდნენ).

სამყაროს აზრობრივ ღერძს ბიბლია „სიცოცხლის ხედ“ წარმოგვიდგენს. თურმე ამ „ხე“-ზეა დამოკიდებული ხალხის არა მხოლოდ სიცოცხლე, არამედ ცნობიერის, შემეცნების უნარი. „სიცოცხლის ხე“ გარდაცვლილ ადამიანთა სულების სასუფეველში გაყვანის ერთგვარ მექანიზმსაც წარმოადგენს.

სვეტიცხოველი, როგორც წმინდა სვეტი, სიცოცხლის ხის სახეა ქართულ ქრისტიანულ კულტურაში. „სოლომონის ტაძრის ... ადგილას მიიტანეს ხე, რომელიც სამოთხის ხის ტოტის დანერგვით იყო გაზრდილი. ... სწორედ ამ ხისგან იქნა დამზადებული გოლგოთას ის ჯვარი, რომელზედაც მაცხოვარი გააკრეს. ... ამ ცოცხალი სვეტის სიმბოლიკას უკავშირდება მცხეთის ცოცხალი სვეტიცხოველი...“ (12. გვ. 219). როგორც ქართლის ცხოვრება გადმოგვცემს, სვეტიცხოველი აღმართა იქ, სადაც ადრინდნე წმინდა ხე იყო ამოსული: „იმ ადგილს, სადაც უფლის კვართი იყო დაფლული და საფლავზე ნაძვი აღმართულიყო“ (12. გვ. 195). სიცოცხლის ხის გამოსახვა ჩვეული მოვლენაა ქართულ საეკლესიო ფერწერაში და ხატწერაში, რისი მაგალითებიც უხვადაა დღემდე შემორჩენილი.

მითოლოგიაში ქალი ხშირად მოიაზრება, როგორც ცხოვრების ხის სიმბოლო. „რაც შეეხება სიცოცხლის ხესთან გამოსახულ დედობრივი ფუნქციების მატარებელ ხატ-ღვთაებას, ამ მხრივ მეტად საინტერესოა ხახულის კარედის ერთ-ერთ ფირფიტაზე ალვის ხის ფონზე გამოსახული ღვთისმშობე-

ლი, რომელსაც ხელში თითისტარი უჭირავს. თითისტარის სიმბოლიკა ორგვარად შეიძლება იქნეს გაგებული: ა) როგორც მსოფლიო ღერძის სიმბოლო – ბერძნული მითოლოგიის ღვთაებას, მოირების დედას – ანანკეს, მუხლებზე თითისტარი ედო, რომელიც სამყაროს ღერძთან იყო გაიგივებული. ბ) როგორც ერის მფარველობისა – ქრისტიანულ ტრადიციაში მოირები (ქართული «ბედის მწერლები») მფარველმა ანგელოზმა შეცვალა. გარდა მფარველი ანგელოზისა, რომელიც კონკრეტულ ადამიანს უკავშირდება, ყველა ერი დაკავშირებულია მაღალი რანგის ღვთიურ არსებასთან (მაგ. მთავარანგელოზთან), რომელიც წარმართავს ერის სულიერ ცხოვრებას და მის მფარველად გვევლინება. ტრადიციის მიხედვით კი საქართველო ღვთისმშობლის ნილხვედრ ქვეყანადაა მიჩნეული” (10. გვ. 57-83).

სიცოცხლის ხისგანაა გაკეთებული მოსეს კვერთხიც. სიცოცხლის ხისგანაა გამოთლილი ის სვეტიც, რომელიც სოლომონის ტაძრის ლეგენდაში გვხვდება. სოლომონს სურდა ძელი ტაძარში სვეტად გამოეყენებინა (კოსმიური ხის კიდეც ერთი იზოფუნქციური სიმბოლო - სვეტი, საყრდენი, რომელსაც ზეციური სამყარო ეყრდნობა), მაგრამ ვერ შეძლო. ძელი მდინარეზე გადაეს და იგი ხიდის (ხე მაინც არ კარგავს თავის საკრალურ ფუნქციას, იგი ჰორიზონტალურ სიბრტყეშიც «ხიდის» მოვალეობას ასრულებს) მოვალეობას ასრულებდა, სანამ საბას (შიბას) დედოფალმა არ ნახა და მისგან ჯვარი არ გააკეთებინა. ლეგენდის მიხედვით სწორედ ამ ჯვარზე ეწო იესო ქრისტე.

როგორც ვხედავთ, ბიბლიურმა სიცოცხლის ხემ გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა და მან ჯვრის სახე მიიღო. სტრუქტურულად და ქრონოლოგიურადაც იგი წარმოადგენს შუალედურ სიმბოლოს მსოფლიო ხესა და ადამიანს შორის, როგორც ორივე მათგანის გეომეტრიული გამოხატულება.

თემასთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ: სიცოცხლის ხის სახეს ქართულ ყოფიერებაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილი უკავია.

„ხის“ მხატვრული, რელიგიური თუ მითოლოგიურ – საკრალური სახეებითაა გამსჭვალული ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება - პოეზია, ანდრეზები, ზღაპრები და მითები.

გარდა ზეპირსიტყვიერებისა, „ხის“, როგორც მსოფლიო წესრიგისა და სიცოცხლის უნივერსალური სახის ნიმუშები მრავლად მოიპოვება ქართული ყოფის თითქმის ყველა გამოვლინებაში – არქიტექტურა, ხატუნა, საოჯახო თუ სარიტუალო ნივთები და ა.შ.

თუ განვიხილავთ დროით ძრილში, „ხის“ „ხატი“ ქართულ სინამდვილეში ფიქსირდება არქაული დროიდან მოყოლებული დღემდე და წარმოადგენს ქართველი ერის სულიერ-კულტურული და კოსმოგონიური წარმოდგენების ფიქსაციის უმნიშვნელოვანეს არქეტიპულ სახეს.

წარმოდგენები სიცოცხლის ხის შესახებ თანაბრად გავრცელებულია საქართველოს ყველა კუთხეში თავისი გამოვლინების მრავალფეროვნებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალიბეგაშვილი გ. – ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები, გვ. 22, 29, 217, თბ., 1992.
2. ბარდაველიძე ვ. – ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 2006.
3. გიორგაძე გ. – ათასი ღვთაების ქვეყანა, თბ., 1988.
4. კიკნაძე ზ. – ქართული მითოლოგია, თბ., 2007.
5. კიკნაძე ზ. – გილგამეშისანი, თბ., 1984.
6. მაკალათია ს. – ფშავი, თბ., 1985.
7. ოჩიაური ალ. – ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988.
8. სირაძე რ. – სახისმეტყველება, თბ., 1982.
9. სურგულაძე ი. – ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბ., 1986.
10. სურგულაძე ი. – მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბ., 2003.

- 11 . ქვრივიშვილი ო. – ქართული ზღაპრების ხატოვანი მეტყველება, თბ., 2003.
- 12 . ქვრივიშვილი ო. – სვეტიცხოვლის მისტერია, თბ., 2000.
- 13 . შარაშენიძე ჯ. – შუმერები და მათი კულტურა, თბ., 1983.
- 14 . ლექსო არ დაიკარგები, თბ., 1985.
- 15 . სვანური ზღაპრები, თბ., 1991.
- 16 . ქართული ხალხური პოეზია, თბ., 1974.
- 17 . Урушадзе Н. – Древнегрузинское пластическое искусство, Тб., 1988.

თათია ლაბაძე

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

**„მონონებისა“ და „სიყვარულის“ სემანტიკის შემცველი
ფრაზეოლოგიკები ქართულში**

ხელმძღვანელი პროფესორი: ნინო შარაშენიძე

ცალკეულ სიტყვა-სახელებთან ერთად ენაში გამოიყოფა სიტყვათა მყარი შეხამებანი, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ სინამდვილის მოვლენათა აღსანიშნავად. ენა ფლობს ურიცხვ მზა ფორმებს, რომლებსაც ამოსავალი მნიშვნელობის გარდა გადატანითი გაგებაც აქვთ. ფრაზეოლოგია იწყება იქ როდესაც მისი კომპონენტის მნიშვნელობა ირდილება და შესიტყვება გვევლინება სემანტიკურ მთელად. ფრაზეოლოგიკები გამოხატავენ ერთიან აზრს და წარმოადგენენ სიტყვის ეკვივალენტებს. მაგ. თვალი ჰკრა „დანახვას“. მართალია ისინი ჩვეულებრივ არ არიან ცნების ერთადერთი აღმნიშვნელნი, მაგრამ დიდია მათი ემოციური ძალა ადამიანის განწყობილებისა და სულიერი მდგომარეობის გადმოსაცემად. მათ აკისრიათ ექსპრესიული ფუნქცია და ენას ხდიან მრავალფეროვანს, უფრო მოქნილსა და ხატოვანს.

ლიტერატურაში უხვად იხმარება იდიომები და ფრაზეოლოგიკები, რომლებიც თავისთავად ბევრს მეტყველებენ მათი შემქმნელი ხალხის ბუნებაზე, ფანტაზიაზე, ემოციასა და ეროვნულ სულზე.

ნაშრომში ასახულია „მონონებისა“ და „სიყვარულის“ სემანტიკის შემცველი იდიომები და ფრაზეოლოგიური შესიტყვებები, რომლებიც დაჯგუფებულია გარკვეული სემანტიკური ველების მიხედვით. საბოლოოდ ნაშრომის მიზანია აჩვენოს თუ რა ლექსიკური საშუალებები გამოიყენა ენამ იმისათვის, რომ ადამიანისათვის „მონონებისა“ თუ „სიყვარულის“ გრძნობა გამოეხატა.

თავდპირველად განვიხილავ ფრაზეოლოგიკებთან იმ იმ ჯგუფს, რომელსაც სემანტიკური თვალსაზრისით პირველი შთაბეჭდილების, პირველი ნახვის ეფექტი აქვთ. ერთი ნახვით აღძრულ გრძნობაზე მიუთითებენ:

თვალი ზედ დარჩა
თვალის მოტაცება
თვალის შევარდნა
თვალი წაუგორდა
თვალში მოსვლა
თვალის დატანება
თვალის დაჭერა
გუნებაში მოსვლა
თვალისა და ყბის დადგმა.

ეს ის პირველი ეფექტია, რომელიც გარეგნულ მხარეს გულისხმობს. როდესაც მომხიბლავი გარეგნობა ან სილამაზე გამოიწვევს მსგავს მოქმედებებს საპირისპირო სქესში, ასე ვთქვათ, პირველი ეფექტი მონონებისა თვალზე მოდის.

შემდეგი ნაბიჯი, მონონებისა თუ სიყვარულისა, გულს უკავშირდება, ე.ი. გრძნობა უფრო ღრმაა და იგი სცდება გარეგნულ მახარეს.

გული უცემს
გული შეექმნა
გულის ათამაშება

გულის ატოკება
გულის შევარდნა
გულის შეგორება
გულში ჩავარდნა
გული გაჰყვა.

ამათგან ზოგიერთი „მონონებისა“ და „სიყვარულის“ სემანტიკის შემცველი ფრაზეოლოგიზმი მონონებით გამონვეულ რეალურ მოვლენას აღწერს:

გულის ატოკება
გული უცემს
გულის აძგერება.

ზოგიც არარეალურს:

თვალეზით ჭამს
გულის ბუდიდან ამოვარდნა
სისხლის აღელვება
სისხლის აჩქროლება
გულის ათამაშება
გულის შეგორება
გულში ჩასმა.

სიტყვათა ამგვარმა შეხამებებმა შეიძლება აგრეთვე მიგვითითოს სიყვარულითა თუ მონონებით გამონვეული გრძნობის ხანგრძლივობა:

წამწამზე უზის (სულ მუდამ ახსოვს)
გულში უზის//გულში ჯდომა
თვალში უზის.

პირველი ეფექტი, როგორც აღვნიშნე, თვალზე მოდის, ხოლო სიტყვათა მყარი შეხამებანი, რომლებშიდაც ლექსიკური ერთეული „გული“ ფიგურირებს გრძნობის სიძლიერეზე მიგვანიშნებს. „მონონებისა“ და „სიყვარულის“ სემანტიკის შემცველ ამგვარ ფრაზეოლოგიზმებს რა თქმა უნდა თან უნდა სდევდეს გარკვეული მოქმედება, რომელიც აღნიშნული გრძნობით იქნება განპირობებული. ასეთებია:

გულის მოგება
გულის მონადირება
გულის მოპოვება.

თუმცა იმავე გრძნობამ და სიყვარულმა შეიძლება სულაც არ განაპირობოს მოქმედება, არამედ ამ გრძნობის გაყინვა ერთ ადგილას, რასაც კარგად გამოხატავს ფრაზეოლოგიზმი

გულის დახურვა (განცდათა და გრძნობათა გაუმჟღავნებლობა)

ან კიდევ:

გულში ჩაკვლა კი უკვე ამ გრძნობის გამოცხადებაა.

მოყვანილ ფრაზეოლოგიზმებში რომელი სქესი ფიგურირებს, მამაკაცი თუ ქალი, არ ჩანს. თავისუფლად შეიძლება ნებისმიერი მათგანი ორივეს მიემართოს ცალ-ცალკე; მითითებული არც ისაა გრძნობა ცალმხრივია თუ ორმხრივი, ქართულ ენას მოეპოვება ფრაზეოლოგიური შესიტყვებები, რომლებშიც სემანტიკური გადაზრებისას შესაძლებელია ამოვიკითხოთ გრძნობათა თანხვედრა ორივე სქესისა:

გულის სწორი
გულის ტოლი
სულის სწორი

აქედან კი გვაქვს :

გულის გასწორება.

საყვარელი არსება გააზრებულია, როგორც ყველაზე მშვენიერი ამიტმაც მას მიემართება სილამაზის აღმნიშვნელი არა-ერთი ეპითეტი, რომლითაც სიყვარულის ობიექტს ამკობენ. საყვარელ არსებას მიემართება:

ამომავალი მზე
მზეთუნახავი
ქალთამზე
ნანანატრი
ღვთისმშობელა
თვალის ჩინი
თვალის სინათლე
ცით მონყვეტილი ვარსკვლავი.

განსაკუთრებულ სილამაზეს მიანიშნებს ფრაზეოლოგიზმები:

მზე
მზეთუნახავი
მზის შვილი
ამომავალი მზე.

აქედან გამომდინარე, სიყვარულის სემანტიკის შემცველად მოიაზება ფრაზეოლოგიზმი: „მზე და მთვარე ამოსდის“.

ახლა კი განვიხილოთ მსგავსი ფრაზეოლოგიზმები უფრო ღრმა სემანტიკური ველის მიხედვით: გულის დარდი

„დარდი“ თავისი პირდაპირი მნიშვნელობით უარყოფით გრძნობას გამოხატავს, მაგრამ სიყვარულთან მიმართებით დადებით ელფერს იძენს. ერთგავრ ეპითეტადაც არის გამოყენებული შემდეგ ფრთიან რაზაში, „გულის დარდო“. ამდაგვარი სემანტიკის შემცველია ფრაზა, „სულის ტკივილო“.

ეპითეტში – „გულის დედოფალი“

ძლიერი გრძნობა ჩანს. უპირველესად, თავის სემანტიკურ მნიშვნელობას ამ ფრაზეოლოგიზმს ფრაზის მეორე ნაწილი – „დედოფალი“ სძენს. დედოფალი უკვე მიუთითებს გამორჩეულობაზე, ერთადერთობაზე, განსაკუთრებულობაზე. იგივე შეიძლება ითქვას ფრაზეოლოგიზმზე – „გულის ვარდი“. ვარდი ყვავილთა შორის გამორჩეულია ამ სიტყვათშეხამებაშიც სატრფოც ასევეა გამორჩეული სხვა ქალთაგან.

„მონონებისა“ და „სიყვარულის“ სემანტიკის შემცველი ფრაზეოლოგიზმები ძირითადად ქალისადმი მიმართული. მაგ; მდედრობით სქესს მიემართება „დედოფალი“ და „ვარდი“; ფრაზეოლოგიზმი „გულის ვარდი“ შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ქალისადმი იყოს მიმართული.

ფრაზეოლოგიზმი „დედავ და თვალო“ ორმაგად ძლიერ გრძნობას გამოხატავს:

„დედავ“ – ძვირფასი ადამიანი

„თვალი“ – ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ორგანო ადამიანისათვის.

ზებუნებრივი, არამინიერი სილამაზის გამომხატველია შემდეგი ფრაზეოლოგიზმები:

ღვთისმშობელა

ციდან ჩამოსული ანგელოზი

ეს ფრაზეოლოგიზმები სულიერი და ფიზიკური სილამაზის ერთობას გულისხმობენ. ამგვარადვე სულს უკავშირდება შემდეგი ფრაზეოლოგიზმები:

სული (საყვარელი ძვირფასი არსება)

სულში ჩაკვრა (ძლიერ შეყვარება)

სულში ჩაძვრენა.

შეჯამებისას შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი ფრაზეოლოგიზმები გამორჩეულობას მიუთითებს. კიდევ ერთხელ ვნახოთ.

მზე (სიცოცხლის წყარო)

ვარდი (გამორჩეული ყვავილთა შორის)

მარგალიტო (გამორჩეული ძვირფას ქვათა შორის).

ახლა საერთოდ „სიყვარულისა“ და „მონონების“ სემანტიკის შემცველ ფრაზეოლოგიზმებს, რაც შეეხება მოყვანილი მასალა, ერთი შეხედვით, გვეუბნება თუ რა ლექსიკური საშუალებები გამოიყენა ენამ იმისათვის, რომ სიყვარულით გამონეული გრძნობა გამოეხატა. თავშივე გამოვყავი თუ როგორ გადმოიცა გრძნობის სიძლიერე და სიხისტე. ტექსიკურ ერთეულებად, როგორც ვხედავთ ძირითადად გამოყენებულია „თვალი“ და „გული“. გვხვდება აგრეთვე „სული“. როგორც აღვნიშნე, თვალისა და გულის შემთხვევაში გადმოიცა გრძნობის სიძლიერე-სისუსტე. დავაკვირდეთ გრადაციას. თვალთ გადმოიცა ზედაპირული გრძნობა, ის რაც ფარეგნულ სილამაზეს ეხება. სიტყვა გულის შემცველმა ფრაზეოლოგიზმებმა უფრო ღრმა გრძნობა გამოხატა. ხოლო, რაც შეეხება სულს. აქ გრძნობის გამოხატვის უმაღლესი საფეხური ჩანს (სულში ჩაკვრა, სულში ჩაძვრენა,) რაც ადამიანისთვის უპირველესი სიყვარულია და ქრისტეს მცნებათაგან უმთავრესი, კარგად ასახა ზემოთ აღნიშნულმა ლექსიკურმა ერთეულებმა. თვალის და გულის ერთმანეთზე უფრო მიშვნელოვანია ადამიანისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტვა- თქმანი, 1979.
2. რ. ამირეჯიბი, სიკვდილიდ სემნტიკის შემცველი ფრაზეოლოგიზმები. ქართულში, ენათმეცნიერები საკითხები 1999, 1.
3. რ. ამირეჯიბი, შიშის სემნტიკის შემცველი ფრაზეოლოგიზმები. ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, 1999, 4.
4. ალ. ნიანი, ქართული იდიომები. თბილისი, 1966.

თინათინ ჯიქურაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

აღვის ხისა და მუხის სიმბოლიკა ქართულ ხალხურ ზღაპრებსა და პოეზიაში

ხელმძღვანელი პროფესორი: ელენე გოგიაშვილი

ხე ერთდერთი უძველესი და უნივერსალური სიმბოლოა, რომელიც თითქმის ყველა კულტურასა თუ რელიგიურ სისტემათა უმეტესობაში ზესწრაფულ დინამიკაზე მიგვანიშნებს. ალბათ, ამიტომაც მარტო ბიბლიაში ხის რვაასამდე სახეობაა მოხსენიებული, თავად სამყარო კი წარმოდგენილია ერთიან ხედ, რომლის ჩრდილშიც დასახლდა ხალხი (ელაშვილი 2008, გვ. 5).

ქართულ ქრისტიანობამდელ და ქრისტიანულ ცნობიერებაში ხე მამრობითი სანყისის ერთპიროვნული გამოსატყულებაა. წარმართულ საქართველოში არსებული ხის კულტის, როგორც მამრობითი სანყისის, გადმონაშთს ქრისტიანულ საქართველოშიც ვხვდებით, სადაც თითქმის ყველა წმინდა ხე ან ტყე წმინდა გიორგის სახელითაა მონათლული. საინტერესოა რკონის ღვთისმშობლის ეკლესიის წმინდა ცაცხვის ხე, რომელიც სავსებით ლოგიკურად ღვთისმშობლის სახელთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, თუმცა ამ ღვთაებრივი ხის მარცხნივ ვკითხულობთ შემდეგ წარწერას – „ცაცხვის წმინდა გიორგის ხე“ (იქვე).

წმინდა ხეებზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

ქართულ ხალხურ ზღაპრებსა და ლექსებში ხშირად ვხვდებით ხეს, რომელსაც გარკვეული დატვირთვა აქვს. ქართულ ხალხურ ზღაპრებში ხე დაკავშირებულია როგორც მამაკაცთან, ისე ქალთან. ხშირია სიუჟეტი, როდესაც ქალი იქცევა აღვის ხედ (იშვიათად ვაშლის ხედ), რომელსაც მაგიური ძალა აქვს. ხშირ შემთხვევაში შეუძლია საუბარი ან აქვს უნარი თავისი მოქმედებით (ფოთლების შრიალი, ტოტების ჩამონევა და ა.შ.) მიახვედროს ცოცხალი პერსონაჟი რაიმეს. ასეთი სიუჟეტიკა ზღაპრებში: „სამი და“, „ია-ხათუნი“, „გველადქცეული მზეთუნახავი“ და ა.შ. (ქართული ზღაპრების სკივრი). ვფიქრობ, აღვის ხე გარკვეულწილად აღდგენის სიმბოლოცაა ზღაპრებში, რადგან პერსონაჟი აღვის ხედ გარდაისახება სიკვდილის შემდეგ, აღვის ხედ ყოფნა კი დროებითაა, ასე ვთქვათ მოსამზადებელი ეტაპია კვლავ ადამიანად გარდასახვისთვის. ზემოთ ვახსენეთ, რომ ზღაპრებში ხშირია პერსონაჟის ქცევა აღვის ხედ. ადამიანისა და ხის მიმსგავსებამ, უძველეს რწმენასთან დაკავშირებულმა აღვის ხის სიმბოლოურმა მნიშვნელობამ ბრწყინვალე გამოსატყულება პოვა არქაული ელემენტებით დატვირთულ ლექსში „სიზმარი“:

- წუხელი სიზმარი ვნახე,
ნეტავ, დედავ, რაო?
- აღვის ხე რომ წამოიქცა,
ნეტავ, დედავ, რაო?
- შვილი, შენი ტანი არის,
ვაჰ, შენს დედასაო!
- იმას ტოტები ემტვრევა,
ნეტავ, დედავ, რაო?
- შვილო, შენი მკლავებია,
ვაჰ, შენს დედასაო!“

(კოტეტიშვილი 1961, გვ. 283-285).

ამის შემდეგ ლექსი გრძელდება, მაგრამ ალვა აღარ არის ნახსენები. ეს ნაწყვეტი, ჩემი აზრით, ენათესავება ზღაპრებში გავრცელებულ სიუჟეტს პერსონაჟის ალვის ხედ გარდასახვის შესახებ. ზღაპრებშიც ალვა პერსონაჟის ტანს განასახიერებს, მისი ტოტები კი ხელებს.

ალვის ხე ხალხურ პოეზიაში მიემართება ქალს და მის ფიზიკურ მშვენიერებაზე მიუთითებს ან, მეორე შემთხვევაში, დაკავშირებულია ადამიანის რწმენადწარმოდგენებთან და აქვს საკრალური მნიშვნელობა. ალვის ხე, რომ ქალის ტანკენარობაზე მიუთითებს უცხო არაა. ალბათ ამიტომაც მიემართება ალვის ხე ხალხურ ზღაპრებში ძირითადად ქალს: სწორედ ქალი პერსონაჟი გარდასახება ხოლმე მშვენიერ ალვის ხედ. პოეზიაში კი ამას ადასტურებს მრავალი ლექსი: „თვალ-ქოჩორ გადახატულო, ტანი-ალვისა, ჭირიმე“, „ტანადა ჰგევხარ ნამყენსა, ამოსულს ალვის ხისაო“, „ქალო, გევხარ ალვის ხესა ბაღჩაშია დანერგულსა“ და ასე შემდეგ. (კოტეტიშვილი 1961, გვ. 35, 37, 39).

საინტერესოა ადამიანის რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებით ალვის ხის გამოვლენა. ალვა უძველეს საკულტო ხედ იყო მიჩნეული და ხალხურ პოეზიაში შემორჩენილია უძველესი წარმოდგენები, რომლის მიხედვითაც ალვა ყურძენსაც ისხამს:

„წმინდის გიორგის კარზედა ხე-ალვა ამოსულაო,
ზედ გამოსხმია ყურძენი, საჭმელათ შემოსულაო,
ჩვენი ბატონის ქალების საკრეფლად წამოსულაო“

ან:

„იაგუნდის მარანშია, იავ ნანინაო,
ღვინო სდგას და ლალი სჭვისო, ვარდო ნანინაო,
შიგ ალვის ხე ამოსულა, იავ ნანინაო,
ტოტები აქვს ნარგიზისო, იავ ნანინაო,
ზედ ბულბული შემომჯდარა, იავ ნანინაო,
შავარდენი ფრთასა შლისო, ვარდო ნანინაო.“

(კოტეტიშვილი 1961, გვ. 27)

არსებობს ამ ლექსის მეორე ვარიანტიც :

„იაგუნდის მარანშია
შიგ ღვინო და ლალი ბჭვისო
შიგ ალვის ხე ამოსულა
ნორჩია და შტოსა შლისო,
ზედ ბულბული შემომჯდარა,
გასაფრენად ფრთასა შლისო“

(აბაკელია)

„პირველი „იავნანა“ სრულდებოდა ბატონების ავადმყოფობის დროს და მას გარკვეული რიტუალური დანიშნულება ჰქონდა. საინტერესოა სახეს ქმნის მარანში ამოსული ალვის ხე, რომელსაც ნარგიზის ტოტები აქვს. საინტერესოა, რომ ორი ფრინველია ნახსენები: ბულბული და შავარდენი. შესაძლებელია, ეს იყოს ერთგვარი გამოვლინება ღვთაებრივი ხისა, რომელზეც ფრინველები სხედან. ფრინველი ნახსენებია მეორე ლექსშიც, რომელიც ქართლ-კახურ საწესო სიმღერაშია წარმოდგენილი“ (აბაკელია).

აღვის ხეზეა საუბარი კიდევ ე
„ჩვენი ბატონის კარზედა
ხე ალვად ამოსულაო
წვერამ მაუსხამ ყურძენი
საჭმელად ჩამოსულაო
მისი უჭმელი ქალ-ვაჟი
უდროოდ დაშაულაო.“
(აბაკელია)

აღნიშნულ ტექსტში ცხოვრების ხესთან მდგომი ქალ-ვაჟი სამოთხიდან გაძევებულ წარწყმედილი კაცობრიობის პირველ ცოდვილ წყვილთანაა დაკავშირებული. მაგრამ თუ თავდაპირველი დაღუპვის მიზეზი ცხოვრების ხიდან აკრძალული ნაყოფის ქამა, გემება იყო, ქრისტეს ვნებიდან მოყოლებული უკვე ზეციური საზრდოს უჭმელობა ხდება საბედისწერო, რაც წარუვალ ცხოვრებასთან უზიარებლობას ნიშნავს (იქვე).

როგორც დავინახეთ, ალვა ხშირად უკავშირდება ვაზს საკრალურ ლექსებში. ძალიან საინტერესოა მათი დაკავშირება ერთმანეთთან. ვაზისა და აღვის ხის ასეთი საოცარი სიმბოლური შერწყმა შეიძლება აიხსნას შემდეგი გარემოებით: ვაზი არის სიმბოლო მზესთან სწორფერობის, მზესთან ზიარების, ეს ვაზის შინაგანი ლტოლვა და ბუნებაა, ხოლო მზესთან ზიარების გარეგანი გამოხატულება კი იმიფრება აღვის ხის ზეაღმავალი სწრაფვით ცისაკენ. არც ერთ ტანმალალ ხე-მცენარეში არ იგრძნობა სიმალლისაკენ ლტოლვის ასეთი დინამიკა და ენერგია, რა განწყობილებასაც ტოვებს აღვის ხე (ელაშვილი, 2002 „ლიტერატურული ძიებანი“).

საინტერესოა ლექსი „თეთრი ციხე დგა სულეთში“:

„თეთრი ციხე დგა სულეთში წვერი ცას მიუბჯენია მაგანეთ აღვის ხეი დგას, ცაში მოუდის წვერია	ბოლოზედ ვეშა-წყარო დის სასმელად გემნიერია მადლიან მავლენ,წყალსა სმენ ცოდვიან მწყურვალენია.“
---	--

(აბაკელია)

ამ ლექსში სამოთხეში წარმოდგენილი თეთრი (წმინდას მნიშვნელობით) სალოცავია, რომელთანაც ტრადიციულად წარმოდგენილია საკრალური ხე, ამ შემთხვევაში აღვის ხე და, როგორც სამყაროს ღერძისთვისაა დამახასიათებელი, ერთი წვერი ცაშია მიბჯენილი, ხოლო მეორე ბოლოშია. ვეშა-წყარო, სავარაუდოდ ქრისტეს ალევორიაა, დის. აქ მორწმუნეთა უკვდავების წყაროსთან ზიარების მოტივია ასახული (იქვე).

ზემოთ ვისაუბრეთ აღვის ხის როლზე ზღაპრებში, კერძოდ ქალის გარდასახვაზე აღვის ხედ. რაც შეეხება **მამაკაცის ხედ ქცევას**, ძირითადად, გავრცელებულია სიუჟეტი, როდესაც უმცროს ძმას კლავენ უფროსები და მკვლელობის ადგილზე ამოდის ხე მაგიური თვისებებით. ასეთი სიუჟეტი ზღაპარში „ბრდღვიალა ყვავილი“ (უცნობი ქართული ხალხური ზღაპრები) რომელშიც უმცროსი ძმა მოიპოვებს ყვავილს, თუმცა მას მოკლავენ უფროსები და მის საფლავზე ამოვა ლერწამი, რომლისგან გამოთლილი სალამური ლაპარაკობდა. სწორედ მან გააგებინა მამას უმცროსი ვაჟის ამბავი. ასე ხდება მოხეურ ზღაპარში „ცხრა ძმის ერთი საცოლე“. უკვდავების წყალს მოიპოვებს უმცროსი ძმა, რომელსაც მოკლავს უფროსი და წყალს მზეთუნახავს მიუტანს. იქ, სადაც უმცროს ძმას უფროსთან ჩხუბი მოუვიდა, წყალი დაიღვარა და ხეკეთილა ამოვიდა, რომელმაც გააცოცხლა უმცროსი ძმა, მფრინავ ხალიჩად იქცა და ვაჟი მეფის სასახლეში მიიყვანა (ონიანი 1969, გვ.362). ამ ზღაპარს პარალელი მოეძებნება სვანურში, სადაც გვხვდება ზღაპარი „ცოლდექარი“. აქ უმცროსი ძმა, რომელმაც მოიპოვა უკვდავების წყალი მეფის ასულის გადასარჩენად, მოკლა შუათანამ, შუათანა მოკლა უფროსმა და წყალი მიუტანა მეფეს. უმცროს ძმასთან მივიდა თამარ მეფის კეთილი ხე-მცენარე.

მან ჩამოუშვა ფოთლები შრიალით, აიხუტა ვაჟი და გააცოცხლა. ხე-მცენარის ფოთლები იქცნენ მფრინავ ხალიჩად და მიიყვანეს ვაჟი მეფის სასახლეში.

როგორც დავინახეთ, ხეს ხშირად აქვს პერსონაჟის დამხმარის ფუნქცია. ასეა, მაგალითად, კიდევე ერთ სვანურ ზღაპარში „ალექსანდრე“ (ონიანი 1969, გვ. 358), რომელშიც ალექსანდრეს ორი დედაბერი აძლევს კაკალსა და ნაბლს, რომლის საშუალებითაც საბოლოოდ აცოცხლებენ ვაჟს და ეხმარებიან კუდიანის მიერ გატაცებული მზეთუნახავის დაბრუნებაში. ზღაპარში კაკალი და ნაბლი ადამიანის ქომაგ, დამხმარეაა წარმოდგენილი. მათი ფუნქცია ყოველთვის დადებითია, ისინი ადამიანური ენით ელაპარაკებიან ზღაპრის გმირს, ასწავლიან ჭკუას, აძლევენ დარიგებებს და იხსნიან ყოველგვარი გასაჭირიდან. ორივე აღჭურვილია ზებუნებრივი, ღვთაებრივი, მაგიური მონაცემებით: გმირი რასაც ინატრებს, ყველაფერი უსრულდება.

საინტერესოა **მუხის სიმბოლიკაც**. მუხა სხვა ხეებისგან გამოირჩევა განსაკუთრებული სიმბოლური დიაპაზონით. იგი თავიდანვე ითვლებოდა შეუდრეკელობის, სიძლიერისა და უკვდავების სიმბოლოდ. ქართულ ხალხურ ზღაპრებში მუხა ხშირად წარმოდგენილია არწივთან ერთად: მუხაზე არწივს აქვს ბუდე. ასეთი სცენაა დახატული ზღაპრებში „მონადირე და დიდი არწივი“, „მფრინავი მზეთუნახავი“, „უფლისწულის სიზმარი“ და ა.შ. (ქართული ზღაპრების სკივრი). ზღაპარში „მონადირე და დიდი არწივი“ წარმოდგენილია სამ მუხაზე მჯდარი დიდი არწივი. აქ ერთადაა თავმოყრილი რიცხვთა სიმბოლიკა (სამი), ფრინველთა სიმბოლიკა (არწივი) და ხის სიმბოლიკა (მუხა).

არწივისა და მუხის ერთმანეთის გვერდით წარმოდგენაც არაა შემთხვევითი, რადგან, როგორც ცნობილია, არწივიც სიძლიერის მიმანიშნებელი ერთდერთი სიმბოლოა. საინტერესოა ზღაპარი „ასფურცელა“, სადაც მუხა ღვთის ნების გამოხატულების საშუალებადაა ქცეული: ხეზე მიბმულმა ასფურცელამ სთხოვა ღმერთს, თუ ის ტყუოდა თავის ძმებთან, იქვე მომკვდარიყო, თუ არადა მუხის მოგლეჯა შეძლებოდა, ამის შემდეგ მან მართლაც მოგლიჯა მუხა.

მუხა ხშირად დაკავშირებულია წყალთან, ნაყოფიერებასა და ძალასთან. ზღაპარში „და-ძმა“ ბერიკაცი მუხასთან მიდის შვილის სათხოვნელად. მუხა ეტყვის ნადი, გეყოლობაო. მეორედ წყალს სთხოვს, წყალიც მისცა. მესამედ კი გაჯავრდა მუხა და მოხუცს ეყოლა არწივის ქალი, რომელმაც ყველაფერი გადაჭამა.

მუხა წყალთანაა დაკავშირებული ცნობილ ხალხურ ლექსში „**მუმლი მუხასაო**“.

„მუმლი მუხასაო
გარს ეხვეოდაო
მუმლი ჰქრებოდაო
მუმლი სწყდებოდაო
ხე არ ხმებოდაო.

მუმლი მუხასაო
გარს ეხვეოდაო
მუხა დამძიმდაო
წყალში ჩავარდაო
წყალი შეგუბდაო

ნაპირს გადვდაო
მუმლი შენუხდაო
მალე დაიხრჩვაო
მუმლი დაიხრჩვაო
მუხა გადარჩაო“

(კოტეტიშვილი 1961, გვ. 250)

საინტერესოა მუხის სიმბოლიკის გამოვლენა ადამიანთა რწმენა-წარმოდგენებში. მუხა, ალვის ხესთან ერთად, საკრალური ხეა. ხშირად ამ ხეების ამოსვლა რომელიმე სალოცავის ნებას მიენერება და იმ ადგილას არსდება კვრივები. ამგვარი ხეები, როგორც წესი, ქვის წყებითაა შემოლობილი, ზოგიერთ მათგანს თავზე ლითონის ჯვარიც აქვს დამაგრებული. საკრალური ხეებიდან ფშავში ცნობილია ლაშარის მუხა, ხოლო ხევსურეთში—ხმალას ალვის ხე. (ალიბეგაშვილი 1992, გვ. 8).

ფშაური თქმულებით, მუხა იდგა ლაშარის გორზე, შიბით იყო მიბმული ცაზე, როდესაც ხეზე კატა დაკლეს, შიბი მოსწყდა და ცისკენ გაფრინდა. ეს თქმულება ენათესავება ლექსს „იამბე ციხის ნაშალო“, რომელიც, მეორე მხრივ, დაკავშირებულია ზურაბ ერისთავთან. როგორც ცნობილია, **ზურაბ ერისთავმა** 1620 წელს მოინდომა ფშავ-ხევსურეთის დამონება. თუ ერისთავს სურს საყმოს დამარცხება, მან ჯერ ჯვრების წინააღმდეგ უნდა გაილაშქროს—მოჭრას ფშავში ლაშარის მუხა და ხევსურეთში ხმალას ალვის ხე. მაგრამ მათი მოჭრა იოლი არაა, ისინი ხომ საკულტო-მრონმდინარი და

ოქროს შიბიანი ხეებია, რომლებიც ამყარებენ კავშირს ცასა და მიწას შორის. შიბი, იგივე ციური ჯაჭვი, ფშავ-ხევსურულ მითოსში ის საგანია, რომელიც საყმოსა და მორიგე ღმერთს ერთმანეთთან აკავშირებს. ხალხის წარმოდგენით, შიბი ზეციური წარმომავლობისაა, რომლითაც, მაგალითად, ლაშარის წმინდა გიორგი ცას იყო გამობმული. ქვემოთ გავიცნოთ ლექსი, სადაც მოთხრობილია ამბავი ციხედსიმაგრის ალების შესახებ, ეს კი იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ მოჭრიდნენ გალავანში მდგარ ხეს (მუხას, ალვის ხეს). თავის მხრივ, ხის მოჭრაც შეუძლებელი იყო ჩვეულებრივი ხერხით, საიდუმლოება ერთმა ბერმა იცოდა. ლექსში „**იამბე ციხის ნაშალო**“, ციხე ყვება, რომ ის შალვას აუშენებია, ხევისბერს უკურთხებია და დაცულია. „ალვის ხეც გვერძე მდგომია, ღვთისაგან მოლოცვილიაო“ დამბობს ციხე. ზურაბ ერისთავი ციხეს ვერაფერს დააკლებდა მისთვის საიდუმლო რომ არ გაემხილათ:

„ერთი ყოფილა ღულელი
ალშაურელი ბერიო
იმან ასწავლა კატაი
ზედ ხეზე დასაკვლელიო
შიბი ცისაკე გაფრინდა,
წიოდა როგორც გველიო“

(ალიბეგაშვილი 1992, გვ. 29)

ასე დაკარგა ციხემ ღვთიური მფარველობა და დაეცა კიდეც, ხოლო მორიგე ღმერთმა დაიბრუნა თავისი შიბი. თუკი ბატკანი, ციკანი, კურატი და ა.შ. ჯვრის ან ხატისთვის მირთმეული მსხვერპლია, ხეზე დაკლული კატა ანტიმსხვერპლად ითვლება. იგი აფრთხობს ანგელოზებს და წყვეტს შიბს. (იქვე).

მუხაზუა საუბარი კიდევ ერთ ფშაურ საწესო ლექსში:

„წმინდა გიორგი მეც ვიყავ
ცას ვები ოქროს შიბითა
ხმელგორზე მედგა ბერმუხა
ზედ ავდიოდი კიბითა
ჩემს საყმოს შემონადღვენი
ღმერთთან ამქონდა იქითა.“

(კიკნაძე 2008, გვ. 65)

ბერმუხა, ანუ ლაშარის მუხა, იდგა ფშავში ხმელგორზე, სადაც დაარსებულია ლაშარის სალოცავი წმინდა გიორგის სახელზე. ამ ლექსში აღსანიშნავია, რომ მის ყოველ სტრიქონში ცისა და მიწის კავშირია ასახული. ამ შემთხვევაში ჩვენ გვინტერესებს ხე, ფშაურ ლექსში ბერმუხის სახით წარმოდგენილი. ლაშარის ბერმუხა ტიპური კოსმიური ხეა. იგი არის ცისა და მიწის დამაკავშირებელი, ზეალსავალი, როგორც გზა ქვემო სოფლიდან ზემო სოფლისაკენ. სწორედ ასეთი გამოყენება აქვს წმინდა გიორგის ხეს (იქვე).

„იამბე ციხის ნაშალო“ და „წმინდა გიორგი მეც ვიყავ“ ერთმანეთს ჰგავს იმით, რომ ორივე შემთხვევაში ხეს (მუხას ან ალვის ხეს) აქვს საკრალური მნიშვნელობა: ის აკავშირებს მიწასა და ცას და, ამდენად, გარკვეულწილად, წარმოადგენს სიცოცხლის ხის ნიმუშს.

როგორც დავინახეთ, მუხისა და ალვის ხის სიმბოლიკა განსხვავებულია ხალხურ ზღაპრებსა და პოეზიაში. ზღაპრებში ისინი უმეტესად საერთო ფონის შემქმნელ საშუალებებს ხოლო ხალხურ პოეზიაში კი მათ უმეტესად საკრალური მნიშვნელობა და დატვირთვა აქვთ. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ზღაპრებსა და ლექსებში ხეები ერთნაირი დატვირთვითაა გამოყენებული. მაგალითად, მსგავსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ალვის ხე პოეზიაში ხშირად მიემართება ქალს, მის მშვენიერებაზე მიუთითებს, ასევე, ზღაპრებში ალვის ხედ, უმრავლეს შემთხვევაში, ქალი გარდაისახება ხოლმე. რაც

შეეხება კაც პერსონაჟებს, როგორც დავინახეთ, ისინი იქცევიან ლერწმის ხედ ან მათ გვერდით წარმოდგენილია ხე მაგიური თვისებებით, რომელიც აცოცხლებს მათ. ასევე საერთოა ისიც, რომ ზღაპრებშიც და პოეზიაშიც ალვის ხე და მუხა საკრალური მნიშვნელობითაა. ასევე მუხა ხშირად დაკავშირებული ნყალთან და ნაყოფიერებასთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. აბაკელია, მარადიულობასთან ზიარების მოტივი ქართულ ტრადიციაში (იკონოგრაფიული პროგრამებისა და საკრალური პოეზიის მიმართების საკითხი) <http://ijhei.wordpress.com/2008/10/25>.
2. გ. ალიბეგაშვილი, ქართული ხალხურიპოეზიის ნიმუშები, თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“, 1992,
3. ქ. ელაშვილი, „ხეთამეტყველება“, – ქართული ფოლკლორი 4 (XX), 2008.
4. ქ. ელაშვილი, „ქრისტიანული ცნობიერების სიტყვიერი ხატი „წმინდა ნინოს ცხოვრების“ მიხედვით“, – ლიტერატურული ძიებანი 2002, №22.
5. ზ. კიკნაძე, ქართული ფოლკლორი. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008.
6. ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია (მეორე გამოცემა), თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1961.
7. ო. ონიანი, „ხე-მცენარეთა პერსონიფიკაციის საკითხი სვანურ ჯადოსნურ ზღაპრებში“, – ქართული ფოლკლორი III, მასალები და გამოკვლევები, თბილისი გამომცემლობა „მეცნიერება“, 1969.
8. უცნობი ქართული ხალხური ზღაპრები. თბილისი, გამომცემლობა „ზებრა“, 2009.
9. ქართული ზღაპრების სკივრი. მეგრული ზღაპრები და მითები“, თბილისი, გამომცემლობა „ზებრა“, 1994

ქეთევან მარიდაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი*

შრომანის სიმბოლიკისათვის ქართულ მხარელობაში

ხელმძღვანელი პროფესორი: მაკა ელბაქიძე

შრომანის სიმბოლიკა ფართოდ იყო გავრცელებული უძველეს კულტურებში. ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ძველ ბერძნებს მიაჩნდათ, რომ ეს სპეტაკი ყვავილი ზევსის მეუღლის, ქალღმერთ ჰერას რძისგან აღმოცენდა.

შრომანის სიმბოლიკას ფართო დიაპაზონი აქვს. ერთი მხრივ, მისი სითეთრე და სისპეტაკე უბინოების, სისათუეთის სიმბოლო იყო, მეორე მხრივ-შრომანი, როგორც მინის ქალღმერთის ჰერას ატრიბუტი, არა მარტო საბერძნეთში, არამედ ეგვიპტესა და მთელ ახლო აღმოსავლეთშიც გააზრებული იყო, როგორც ნაყოფიერებისა და ეროტიულობის სიმბოლო. შესაძლოა, ამ ყვავილის გრძნობადი გააზრება აღმოსავლეთში გაამძაფრა ფერთა სიმბოლიკამაც, რადგან უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ ქვეყნებში სხვადასხვა ფერის შრომანი ხარობდა და თუ ქებათა-ქების იმ მეტაფორას გავიხსენებთ, სადაც საყვარელი ქალის ტუჩები შრომანთან არის გაიგივებული, საფიქრებელია, რომ სწორედ ნითელ შრომანზეა ლაპარაკი (აბზიანიძე, ელაშვილი 2007: 114).

უძველეს დროში შრომანი ჰერალდიკის უმთავრეს ატრიბუტს წარმოადგენდა. ბიზანტიაში ის იყო მირონცხებული სამეფო დინასტიის კუთვნილების ნიშანი. სწორედ ბიზანტიურ გავლენას მიეწერება, რომ სამეფურცვლოვანი შრომანი 1197 წლიდან საფრანგეთის სამეფო გერბზე გამოისახა. იმავედროულად, შრომანი იყო ქალაქ ფლორენციის, მედიჩების საგვარეულოს და რამდენიმე კათოლიკური წმინდანის ემბლემა(წმ. დომენიკი, წმ. ფრანჩესკო, წმ. ანტონ პადუელი, წმ. იოსები) (აბზიანიძე, ელაშვილი 2007: 114).

წყლის შრომანი ე.წ „ლოტოსი“ სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის და შორეული აღმოსავლეთის უმთავრეს საკულტო ყვავილად იყო მიჩნეული. ცნობილია, რომ ლოტოსის სიმბოლიკის წარმომავლობა ძველი ეგვიპტიდან მოდის. ეს უზადო ფორმის უმშვენიესი ყვავილი, რომელიც ნილოსის ნაპირთან შლამიდან ამოიზრდებოდა და წყლის ზედაპირზე ტივტივებდა, აღიქმებოდა სასწაულებრივ, ღმერთთაგან ბოძებულ საჩუქრად. ამ „საჩუქარს“ ეგვიპტელი ქურუმები განმარტავდნენ, როგორც კოსმიური სიცოცხლის წყაროს, რომელიც, საზოგადოდ, სიცოცხლისა და აღორძინების სიმბოლოა. ამავედროულად, ლოტოსი განასახიერებდა ადამიანის სულიერ ზრდასა და მის უნარს-ღვთაებრივი სრულყოფისათვის მიეღწია. ეგვიპტელები თვლიდნენ, რომ მათი ღმერთები „პირველადი ლოტოსიდან“ იშვნენ, ისევე როგორც მზე დაიბადა პირველადი ქაოსიდან. აქვე უნდა ითქვას, რომ ცისფერი წყლის შრომანი უფრო მეტი მონივნებით იყო გარემოცული, ვიდრე ვარდისფერი და თეთრი, რადგან სწორედ ცისფერი ლოტოსი განასახიერებდა თავმდაბლობასა და სინმინდეს, ხოლო, ამასთან ერთად, ეგვიპტის დედა-მდინარის ნილოსის სიმბოლოც იყო. ლოტოსებისაგან დაწნული გვირგვინი მკვდრეთით აღდგომაზე მიაწინებდა. სამგლოვიარო ცერემონიალის დროს ლოტოსის გვირგვინის ტრადიცია სწორედ ეგვიპტიდან გავრცელდა ძვ. საბერძნეთში, იტალიასა და წინა აზიაში (აბზიანიძე, ელაშვილი 2006: 127).

ჩინურ, ინდურ და იაპონურ კულტურებში ლოტოსის სიმბოლიკა ანალოგს ვარდის სიმბოლიკის დასავლურ ტრადიციასთან პოვებს. აღმოსავლურ რელიგიებში მნიშვნელობა აქვს ყვავილის ფურცელთა რაოდენობასაც: რვაფურცლიანი ლოტოსი ინდოეთში აღქმული იყო, როგორც „ცენტრი“,

რომელიც ბრაჰმას სასუფეველია და ღვთაების ფარული ენერგიის ხილულ განსხეულებას წარმოადგენს. ვიშნუისტური კოსმოგონიის თანახმად, სამყაროს მშობელი ბრაჰმა იშვა ლოტოსისაგან, რომელიც ვიშნუს ჭიპიდან ამოიზარდა. მისი ეგზოტიკური სიუჟეტი ინდოელი მხატვრების საყვარელი თემაა. ინდოდ-ბუდისტურ იკონოგრაფიაში მრავლად შეხვედებით ლოტოსზე დაბრძანებულ ფეხმორთხმულ ღვთაებებს. მთელ ინდოდ-ბუდისტურ სამყაროში ლოტოსი ერთნაირად სათაყვანებელი სიმბოლოა. ეს ყვავილი თვით ბუდას ემბლემად და იმ სულიერი გამოცდილების სრულყოფას განასახიერებს, რომელსაც ნირვანა მოაქვს (აბზიანიძე, ელაშვილი 2006: 127).

უძველესი კულტურებიდან შროშანის სიმბოლიკა ქრისტიანულ მწერლობაშიც გავრცელდა და მნიშვნელოვანი მხატვრული ფუნქცია შეიძინა. ის იქცა ბიბლიურ სიმბოლოდ.

ვიქტორ ნოზაძე წიგნში „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“ განიხილავს სოსანის ანუ შროშანისა და ვარდის სახელწოდებათა მონაცვლეობას ბიბლიაში. როგორც გამოკვლევებმა ცხადყო, ძველი აღთქმა ვარდს არ იცნობდა, მაგრამ გერმანულ ბიბლიაში, რომელიც ლუტერმა თარგმნა, სიტყვა შროშანი ვარდის მნიშვნელობას იძენს (ნოზაძე 2004: 424).

ცნობილი გერმანელი მეცნიერი ვიქტორ ჰაჰნი ვარდის სიმბოლოს შესახებ შენიშნავს: ლუტერმა გაიზიარა რაბინთა განმარტება და ებრაული სუსან, სუსანაჰ, შეცდომით გადათარგმნა, როგორც ვარდი. ვარდი დასახელებულია აგრეთვე ბიბლიის ქართულ რედაქციებში, როგორც ჩანს, ასევე არასწორად. ვარდი გადმოცემულია ძველებრაული „სუსან“, „სუსანაჰ“, სიტყვით რაც „შროშანს“ აღნიშნავს.

სახელი სოსანი, ლაგარდის მტკიცებით, წარმომობილია ეგვიპტური სიტყვისაგან „სუშენ“, რომელიც ლოტოსის ყვავილს აღნიშნავდა.

შროშანის სიმბოლიკის არსებობა ბიბლიურ წიგნებში უკვე ფაქტია. ბიბლიის შროშანი ანუ შოშანაჰ არის: წითელი შროშანი, წითელი ლილია (ნოზაძე 2004: 424).

თვით სიტყვა „სოსანი“ იხმარება, აგრეთვე, ბერძნულ ენაშიც და გამოითქმის როგორც „სოუსონ“, რომელიც ფრანგულ ენაზე სიტყვა „ლილიას“ შეესატყვისება. არაბებიც „სოუსანოს“ უწოდებდნენ საერთოდ წითელ ყვავილს, როგორებიცაა, მაგალითად, ლილია და ტიტა (ნოზაძე 2004: 425).

არაბულ ბიბლიაში „სუსანა“ ქართული ბიბლიის „შროშანა“-ს შესატყვისია, რომელიც ებრაული „შოშან“-ის, „შოშანაჰ“-ის ტოლფასია.

„მე ყვავილი სავესე და შროშანი ღელეთა...“ ქება ქებათა 2, 1-2

„რომელი ჰმწყი შროშანთა შორის...“ ქება ქებათა 2, 16

შროშანის გვერდით ქება ქებათაში მოხსენიებულია ვარდი, როგორც სრულიად სხვა ყვავილი (ნოზაძე 2004: 425).

ძველი გადმოცემების თანახმად, ფსალმუნთა შემქმნელი მეფე-პოეტის, დავითის ქნარი ამ უსათუთესი ყვავილის ანალოგიით შეიქმნა. ქნარი ებრაულ ენაზე იწოდება „შოშან“ ანუ „სოსანი“.

რენესანსის დროიდან შროშანი ასოცირებულია ხარებასთან. ქრისტიანულ იკონოგრაფიაში გაბრიელ მთავარანგელოზს ღვთისმშობელთან მოახლოებისას ხელში უპყრია შროშანი ან შროშანი ლარნაკში დევს მასსა და მარიამს შორის. რადგან შროშანი გამოხატავს ღვთიური ენერგიის სათნოებრივ ასპექტს, ქრისტიანულ ცნობიერებაში ეს ერთმნიშვნელოვნად აღიქმებოდა, როგორც ღვთისმშობლის ყვავილი. სწორედ სხივჩამდგარი სისათუთე შროშანისა იქცა ღვთისმშობლის სახისმეტყველებად ჰიმნოგრაფიაში. დემეტრე მეფის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ მეორე იამბიკოში „ღვთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი“, მარიამ ღვთისმშობელი. სწორედ შროშანის სიმბოლიკითაა მოწოდებული მეორე იამბიკო თითქმის აკონკრეტებს პირველ იამბიკოში ზოგადად ნათქვამს ღვთისმშობლის გამორჩეულობისა და ერთადერთობის შესახებ (აბზიანიძე, ელაშვილი 2007: 114):

„ღვთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი,
დედა ქალწული, შუენიერი შროშანი
მას ახარებდა ანგელოზი ფრთოსანი“.

ღვთისმშობლის ყვავილის სიმბოლომ ასახვა პოვა ქართულ ჰაგიოგრაფიაშიც. „შუშანიკის მარტვილობაში“ მარტვილი ქალის სახელი, შუშანიკი, ეტიმოლოგიურად „წყლის შროშანი“ ნიშნავს (კალენდარი 1976:306). შუშანიკის სახელი საკრალიზებულია, რადგან ცხოვრებებისა და საეკლესიო ჰიმნებში საკმაოდ ხშირია მცდელობა წმინდანთა სახელების შინაგანი არსის განმარტების. ეს სახელი შეფასებულია ეკლესიის მიერ, რის გამოც მასში ხდება პიროვნების კონკრეტული ცხოვრების სულიერ ნორმად გარდასახვა შესაბამისად, საკუთარი სახელის ქრისტიანული სახისმეტყველების საფუძველზე შესაძლებელი ხდება ამ ძეგლის სიღრმისეული წაკითხვა (ელაშვილი 2009:153).

ჰაგიოგრაფიულ ძეგლში ავტორი საგანგებოდ გვამზადებს იმისთვის, რომ გაგვიმხილოს წმინდანის სახელი: „და ცოლად მისა იყო ასული ვარდანისი... მამისაგან სახელით ვარდან და სიყუარულით სახელი მისი შუშანიკ, მოშიში ღმრთისა, ვითარცა იგი ვთქუთ, სიყრმიტგან თვისით“ (ელაშვილი 2009: 153).

წმინდანის სახელშივეა გაცხადებული მისი ღვთებრიობა, რაც თითქმის ზუსტად ესადაგება მის ღვთიურ გზას. თხზულების ავტორი ყურადღებას ამახვილებს მოწამის ორ სახელზე, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავებული ხასიათის მატარებელია. ერთი მამისაგან წოდებული-ვარდან და მეორედ – „სიყუარულით შუშანიკ“. პირველი დავიწყებული და უფუნქციოა, მეორე კი თავის თავში განასახოვნებს ქრისტიანულ სახისმეტყველებას, რადგან შუშანიკი განმარტებულია, როგორც „წყლის შროშანი“, ხოლო ეს უკანასკნელი კი სიმბოლური სახეა ღვთისმშობლისა. შუშანიკის ღვთისმშობლის სახესთან დაკავშირება კი თავისთავად გულისხმობს მის სიღიადეს, განსაკუთრებულობას, ღვთიურობას (ელაშვილი 2009: 154).

შუშანიკის სახელი შროშანის სიმბოლოსთან ზუსტად და ერთმნიშვნელოვნადაა დაკავშირებული, რადგან ის იყო ადამიანი, რომელსაც შესწევდა ძალა და ენერგია, რომ მიეღწია სულიერი სრულყოფისა და ღვთაებრივი სინმინდისათვის. ალბათ ამიტომაც არის, რომ იაკობ ხუცესი, მხოლოდ და მხოლოდ ამ სახელით მოიხსენიებს მარტვილს. ესაა უდიდესი სულიერი ტევადობის მქონე სახელი, რომელიც სრულიად აშუქებს წმინდანის გზას. სახელ შუშანიკში წარმოდგენილი სიმბოლო შროშანისა ცხადად მიგვანიშნებს სისპეტაკეზე, უდიდეს სინმინდეზე, სულიერ ფერიცვალებაზე.

თუ ამ ყოველივეს გავიაზრებთ, მაშინ ადვილად დავრწმუნდებით იმ ჭეშმარიტებაში, რომ პირველი მარტვილი ქალი სწორედ ღვთისმშობლის სახე-სიმბოლოთი უნდა შემოსულიყო ქართულ ჰაგიოგრაფიაში, როგორც ეს მოხდა შუშანიკის შემთხვევაში (ელაშვილი 2009: 154).

შროშანი ოდითგანვე პოეტთა აღმაფრენის საგანს წარმოადგენდა, მაგრამ საერო მწერლობაში მისი მშვენიერება განზოგადდა და მხოლოდ ადამიანის სულიერებას და ფიზიკურ სილამაზეს მიესადაგა. სოსანი „ვეფხისტყაოსანშიც“ არის ნახსენები. მასთან არის შედარებული ავთანდილი: „დილასა ადრე მოვიდა იგი ნახარდი სოსანი“. ამგვარი მეტაფორა მიანიშნებს იმაზე, რომ ავთანდილი არის პირით სოსანი, ანუ წითელი და ტანით მალალი და წვრილი, ვითარცა ყვავილი შროშანი (ნოზაძე 2004: 425). ეს სახე-მეტაფორა არაერთგზის გამოჩნდა მოგვიანო პერიოდის ქართულ პოეზიაშიც. ნ. ბარათაშვილის ლექსში „საყურე“ ეკატერინე ჭავჭავაძის სილამაზის ღვთაებრიობის განცდა სწორედ შროშანის სიმბოლიკითაა გაცხადებული, ამგვარი მხატვრული მეტაფორა განსაკუთრებული სიღიადითა და ღირსებით ამკობს ტრფობის ობიექტს:

„ვითა პეპელა არხევს ნელდნელა,
სპეტაკ შროშანას ლამაზად ახრილს,
ასე საყურე, უცხო საყურე
ეთამაშება თავისსა აჩრდილს“.

გიორგი ლეონიძის ლექსში „თეთრი შროშნები“ ცხადი ხდება, რომ ამ ყვავილის ხიბლი პოეტისთვის ოდინდელი სიყვარულის და ჯერ კიდევ გაუნელებული გრძნობის სიმბოლოდ ქცეულა:

„თეთრი შროშნები ვერცხლის სურაში
ჩავყარე შენდა მოსაგონებლად“

(აბზიანიძე, ელაშვილი 2007: 114)

უძველესი დროიდან დღემდე შროშანი აღიქმება საკრალურ სიმბოლოდ. ის მომდინარეობს ანტიკური კულტურიდან და სხვადასხვა ეპოქაში, შინაარსის გადააზრების, გარდასახვის გზით ყველა სხვა კულტურას გაივლის და საბოლოოდ ქრისტიანულ მწერლობაში იმკვიდრებს მნიშვნელოვან ადგილს. ღვთისმშობლის ყვავილად მიჩნეული შროშანი ბიბლიურ სიმბოლოდ იქცევა და განასახიერებს სინმინდეს, სიდიადეს, ზეციურობას, ღვთიურობას, სულიერ სისპეტაკეს.

საერო მწერლობის განვითარების ხანაშიც არ კარგავს შროშანი თავის პირვანდელ მნიშვნელობას. აქ ბიბლიური სიმბოლო განზოგადებულ სახეს ღებულობს და მხოლოდ ადამიანის სულიერებაზე ახდენს აქცენტირებას.

ასეთი მრავალფეროვანი გზა განვლო შროშანის სიმბოლიკამ სხვადასხვა კულტურაში. მისი მნიშვნელობა თანდათან გაფართოვდა. შროშანის სიმბოლიკის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ ამ სიმბოლოს შინაარსის გარდასახვის წყალობით შესაძლებელი გახდა მისი შეღწევა განსხვავებულ კულტურებში. მისი შინაარსი იცვლებოდა იმის შესაბამისად რომელი კულტურის სიმბოლოც იყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზ. აბზიანიძე ელაშვილი, ქ. სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, ტომი I. თბილისი: „ბაკმი“, 2006.
2. ზ. აბზიანიძე ელაშვილი ქ; სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, ტომი II, თბილისი: „ბაკმი“, 2007.
3. ქ. ელაშვილი, სიტყვით თხრობა, თბილისი: „ბაკმი“, 2009.
4. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, წმინდანთა სახელები, თბილისი, საქართველოს საკათალიკოსოს გამომცემლობა, 1976.
5. ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება, ტომი I, თბილისი, 2004.

თათია ლაბაძე

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

ქრისტიანული მოტივები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში

ხელმძღვანელი პროფესორი: თამარ შარაბიძე

ქართული მსოფლმხედველობრივი აზროვნების საფუძველი ქრისტიანობაა. აქედან გამომდინარე, ძველი მწერლობის როგორც საეკლესიო-სასულიეროსი, ასევე საეროს საფუძველიც ძველი და ახალი აღთქმაა, საიდანაც მოდის ამ ეპოქის მწერლობის ძირითადი მოტივებიცა და მხატვრულ სახეთა მთელი სისტემა, რაც მცირედი ცვლილებებით გადადის ახალ, შემდეგ კი უახლეს მწერლობაშიც. ქართული მწერლობისათვის ძველი, ახალისა თუ უახლესისათვის არც ბიბლიური სიუჟეტებია უცხო. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული მწერლობისათვის თავისი განვითარების ნებისმიერ ეტაპზე ამოსავალი წერტილი ქრისტიანული რელიგიაა. ბუნებრივია, ამ გადასახედიდან, არც ილია ჭავჭავაძის შემოქმედება უნდა იყოს დაშორებული რელიგიურ მსოფლმხედველობას. ამაში მის შემოქმედებასა და, საერთოდ, მოღვაწეობაზე ერთი თვალის გადავლენაც დაგვარწმუნებს.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების რელიგიურობის კვლევაში დიდ დახმარებას მისი მოღვაწეობა გვინებს. ამ მხრივ, მნიშვნელოვნად მიმაჩნია, ყურადღება გავამახვილო რამდენიმე ფაქტზე მისი ბიოგრაფიიდან. ილია ბავშვობიდანვე ეზიარა ქართულ ქრისტიანულ კულტურას და ძველ ქართულ მწერლობას. ის აღიზარდა ქრისტიანული ტრადიციების მატარებელ ოჯახში. ცნობილია, როგორც ჭავჭავაძეთა გვარს საკუთარი კარის ეკლესიაც კი ჰქონდა. მწერალი თავის ავტობიოგრაფიაში დიდი სითბოთი იგონებს სოფლის სკოლაში გატარებულ დროს. დიაკვანთან სიარულს დიდი ზემოქმედება მოუხდენია ყრმის სულზე. „მთავარმა ძალიან კარგად იცოდა ქართული და სახელი ჰქონდა განთქმული საღმრთო წიგნების კარგის მკითხველისა“. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ რომ ილია ჭავჭავაძე კარგად იცნობდა ძველ ქართულ სასულიეროდ-საეკლესიო მწერლობასა, სათანადოდ აფასებდა ქრისტიანულ ლიტერატურას. ამ მოსაზრებას ამყარებს მისი შემოქმედება. მის თხზულებებში, მხატვრულსა თუ პუბლიცისტურ ნაწერებში, ძალზე ხშირად ვხვდებით ციტაციას საღმრთო წერილიდან.

1987 წელს ილია ჭავჭავაძე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა თავისი ღვაწლის, ერისა და ეკლესიის წინაშე დიდი დამსახურებისა და მონამეობრივი აღსასრულის გამო წმინდანად შერაცხა და უწოდა წმინდა ილია მართალი.

რელიგია და რწმენა ილიასათვის ყოველი ადამიანის უმაღლესი მოწოდებაა და ამგვარ დამოკიდებულებას იგი ამჟღავნებდა არა მხოლოდ თავის ნაწარმოებებში, არამედ ცხოვრებაშიც.

ბიოგრაფიულ ფაქტებსა თუ მის მიერ გამოთქმულ პუბლიცისტურ ნააზრევს დიდი მნიშვნელობა აქვს მწერლის შემოქმედების რელიგიურობის კვლევაში. თუმცა, ამოსავალი ისევ და ისევ თავად ტექსტია. უნდა აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში პუბლიცისტურ თუ სალიტერატურო წერილებში, პროზასა და პოემებში უფრო მკაფიოდაა ჩამოყალიბებული სარწმუნოებრივი მრწამსი ვიდრე მის ლირიკაში. როგორც ბატონი ლადო მინაშვილი აღნიშნავს „ილია ჭავჭავაძის მხატვრული სათქმელი თავდაპირველად ლირიკული ფორმით გამოიხატა. ილიამ თავისი მწერლური მოღვაწეობა ლირიკით დაიწყო, ხოლო შემდეგ საკუთარ გრძნობათა დახასიათებას თანდათან შეენაცვლა იმ ვითარების, იმ მოტივთა ფართოდ განსახიერება და გაშლა, რაც მისი გრძნობების განმსაზღვრელად გამოდიოდა. ამან კი ვრცელი ეპიკურ ჟანრები მოითხოვა, ხოლო ასაკში შესულ მწერალთან მხატვრული წარმოსახვა თანდათან მკვლევრისა და პუბლიცისტის მგზნებარე გულმა და დინჯმა არგუმენტირებულმა მსჯელობამ შეცვალა.“ ახალგაზრდა მწერლის ზნეობრივი პრინციპე-

ბის წარმმართველი და მის მიერ შექმნილ მხატვრულ სახეთა წყარო ის აღზრდა-განათლებაცაა, რომელიც ყმანვილმა ილიამ მიიღო და რომელიც უკვე აღნიშნა.

რელიგიური ნაკადი და სახისმტყველების ფორმები ილიას ლირიკაში ფაქიზადაა შემოტანილი და განფენილი, თუმცა ყოველ ლექსს ღვთიურობის ბეჭედი აზის და ქრისტიანულ სამოსშია გახვეული. ყველა პრობლემა, რაზედაც საუბარია მის ლირიკაში – ზნეობრივი სრულყოფილების, სიკეთის, სიყვარულის, თავისუფლებისთვის ბრძოლის, რწმენის, ადამიანის დანიშნულებით, ქრისტიანული სიბრძნითაა ნაკვები. ილია თავის ლექსებში, მაშინაც კი როცა ყოფიერ, მიწიერ საკითხებს განიხილავს, უპირველესად, მიმართავს ღმერთს, ღვთაებას. აგრეთვე ნათლად იკვეთება მის ლირიკაში ბიბლიური სახეები. ილიას ლირიკის რელიგიური პერსონალია ასეთია – მასში ჩანს მამის, ძისა და სულიწმინდის სახეები.

მწერალი გვერდს ვერ აუვლიდა ქრისტიანობის მთავარ მოძღვრებებს, რაც ჩვენი რელიგიის ქვაკუთხედს, პრინციპებს წარმოადგენს რომელთაც მართმადიდებლომა ეყრდნობა. ილია წერდა: „ჩვენ გვესმის, და ადვილად გამოსაცნობიც არის, რისთვის გვიხარია იესო ქრისტეს შობის დღე, ამ დღეს დაიბადა სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და ცხოვრების მომნიჭებელი მაცხოვარი ქვეყნისა, ღმერთი ყოვლად მონყალებისა და ყოვლად მხსნელის სიყვარულისა. გვიმოძღვრა უფალმა: „ვით მამა ზეცისა იყავნ შენც სრული“, უმოძღვრა კაცს და ამით გვამცნო, რომ კაცი შემძლებელ არის აღსვლად ღვთაების სისრულემდე...“

ილიას ადამიანური სრულყოფილების სიმბოლოდ ზეციური მამა ჰყავს მიჩნეული. ქრისტე მთაზე ქადაგებისას მოუწოდებდა ხალხს: „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამაი თქვენი ზეცათაი სრულ არს.“ ილიას ზემოთ აღნიშნული გააზრებანი დიდად გვეხამრება მის ლირიკაში ადამიანის ქრისტიანული იედალის შესასწავლად, იმის წარმოსაჩენად თუ როგორ უნდა გვესმოდეს სახარებისეული სიტყვები: „ვითა მამა ზეცისა იყავნ შენც სრულ.“ ეს კარგად ჩანს მის ლექსში, „როდემდის“.

„როდემდის უნდა ჩვენ არ ვსცნობდეთ სიცოცხლის ფასსა?
როდემდის არ ვსცემთ ღვთიურს ნიჭსა ღირსსა თაყვანსა?
მის ყოველ ნუთსა სიფრთხილითა რატომ არ ვხარჯავთ
და მის აქ ყოფნას ამაოებად რისთვისა ვსახავთ?
ძრწოდე სულელო! ნუთუ ქრისტეს არ ცნობ სიტყვითა,
ნუთუ შენს თავსა მტვრითა შექმნილს ჰხედავ კვლავ მტვრადა
და შენს სიცოცხლეს, ამ უკვდავ ნიჭს, მტვრის თანამგზავრად?
რომ მარტო მისთვის იგი არ გაქვს, ქრისტემ სთქვა ცხადად...
ნუთუ არ იცი რას გამცნებდა ღმერთი ჯვარცმული
როს ბრძანა: „ვითა მამა ზეცის, იყავნ შენც სრული“!

კაცის ღმერთამდე ამაღლების გზები ჯერ კიდევ ძველ აღთქმაშია დასახული, როცა უფალი თავისი სახით ქმნის ადამიანს. ცხადია, რომ ადამიანის პრინციპული მიმსგავსება ღმერთთან ადამიანის სრულყოფილების აღიარებაა, რასაც მხოლოდ ქრისტიანობა უშვებს. აქვე უნდა განისაზღვროს თუ როგორ უნდა უახლოვდებოდეს ადამიანი სიკეთეს, როგორ უნდა დაემსგავსოს ღმერთს?

ადამიანი არ არის შექმნილი მხოლოდ ბიოლოგიური არსებობისათვის, ადამიანი არც მხოლოდ ჭვრეტისთვის არის შექმნილი, იგი შექმნილია იმიისათვის, რომ იმოქმედოს! სრულყოფილება ითვალისწინებს ქრისტეს სიტყვათა შეცნობას, მისი ცნებით საზრდოობას და თუ სჭაირო იქნა უნდა ვემსხვერპლოთ კიდევც მას.

ქრისტიანობის უმთავრესი მცნება სიყვარულია, როდესაც მოციქულები ეკითხებიან მაცხოვარს, რომელი არს უმთავრესი მცნება მაცხოვარი პასუხობს: „ შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა, და ყოვლითა გონებითა შენითა. ესე არს დიდი და პირველი მცნებაი და მეორე მსგავსი ამისა: „ შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავითვისი.“ –

აქედან გამომდინარე უმთავრესია სიყვარულის მცნება. ღვთაებრივი სიტყვა ადრიდანვე აღებეჭდა პოეტის სულს, ეს ჩანს მის ადრეულ ლექსში “გიყვარდეს“.

„კაცო გიყვარდეს!
ცათ შამომძახეს
როს მათ დამბადეს
ყველგან ეგ სიტყვა
და მარად წინ მომყვა
და ქვეყნად ჩემს სვლას
სცემდა წმინდა ნათელს.
მისთვისც გეტყვი ძმას:
შენცა გიყვარდეს!“

ამ ლექსში სჩანს არა მარტო სიყვარულისადმი მისი დამოკიდებულება, არამედ ამ ძალის სანყისი, შთამაგონებელი.

პოეტი თავის ლირიკაში კაცთმოყვარეობას, მოძმეთა სიყვარულს ქადაგებს, რაც ღვთის სიყვარულსაც ითვალისწინებს და ქვეყნად ილიას სვლას წმინდა ნათელს სცემს. ღვთისა და კაცის სიყვარულით უნდა დავემსგავსოთ ჩვენ ქრისტეს, გავხდეთ სრულყოფილნი, რათა ცათა სასუფეველში საუკუნო სიცოცხლე დავიმკვიდროთ. ამით ილია უშუალოდ მიჰყვება სახარებათა იდეალებს.

„შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენტოს გული“

ან კიდევ:

„აღარ მაქვს საზრდო სულისათვის მე
არც სიძულვილში არც სიყვარულში.“

ქრისტიანული სიყვარული ჩანს როცა სამშობლოს სიყვარულზე საუბრობს ილია:

„მას აქეთ რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული
ჰოი, მამულო გამიკრთა მე ძილი და შვება!“
„კარგი გული კი მაშინვე სცნობს,
ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია.“
„მამულისა სიყვარულმა
ძმობა გულში ჩაგვიყენა.“
„და მე არ ვჩივი, დმიხარიან რომ ეგრეთ ჰშვრება
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში.“

ქრისტიანული სიყვარულითაა შთაგონებული ილიას სატრფიალო ლირიკაც:

„და ქალწულების კრთომით, მორცხვობით
მე შენს სიყვარულს მეუბნებოდა.“
„მისთვის, რომ იქ ჰფრენს ხშირად ბუღბული,
სიყვარულითა აღტაცებული,
იქ შეყვარებულს ჩემს წამხდარსა გულს
ვასწავლი მისგან წმინდა სიყვარულს.“
„რა დაგკოცნის შენ სხივი ავრორის,
ცელქ სიყვარულით გაღვიძებულსა.
თუ არ სიზმრით, მაშ რით დასტკბეს
უიმედო სიყვარული!“
„ტურფამ ეგრე განირიდა

ჩემი წმინდა სიყვარული!
„ნეტა იმ დროს!...სიყვარულის
მეტს არაფერს ჩვენ არ ვგრძნობდით“
სად არს აღმტაცის სიყვარულის ტანჯვა სამოთხე?“

ქრისტიანული იდეებიდან უმთავრესი – „გიყვარდეთ მტერნი თქვენნი და აკურთხებდით მწყევართა თქვენთა და კეთილ უყავთ მოძულეთა თქუენთა და ელოცვიდით მათ, რომელნი მგძლავრობდნენ თქუენ და გდევნიდნენ თქუენ – აისახა ილიას „ლოცვაშიც“.

„გთხოვდე, „შეუნდე, არ იციან ღმერთო რას იქმან“.

როგორც ვნახეთ, ილიას ლირიკამ ასახა უმაღლესი ჰუმანიზმის იდეა. რაც ქრისტიანული რელიგიის მთავარ არსს წარმოადგენს. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ სიყვარულის მოტივი გასდევს მის არა მხოლოდ რელიგიური ხასიათის ლექსებს, არამედ მთლიანად ილიას ლირიკა, ამ იდეითაა ნასაზრდოები.

ახლა კი ილიას ლირიკაში გამოვყოფ ერთ მთავარ ქვაკუთხედს და არსს ქრისტიანული რელიგიისა–ამ ქვეყნიური ტანჯვის საფასურად სასუფეველში მოხვედრა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ილიას მოღვაწეობა ამ მოძღვრებას ნამდვილად ითვალისწინებს და მიჰყვება. რა თქმა უნდა ეს იდეა მწერლის შემოქმედებასაც უნდა აესახა.

პატრიოტული მოტივისა და ქრისტიანული ეთიკის შერწყმას წარმოადგენს მომავალი გმირის აღზრდის თემაზე დაწერილი ლექსები. მათ შორის ქრისტიანული ლირიკის ნიმუშია ლექსი „გ.აბ-ხ(ახს)“ მასში წარმოჩნდება თუ როგორი უნდა იყოს ბავშვის იდეალი, როგორ უნდა აღზარდოს იგი. ლექსი დალოცვის ფორმითაა დაწერილი:

„ღმერთო! აკურთხე ამ ყრმისა ძალნი,
ხალხთ სამსახურად მიეცი ღონე,
აღუხვენ ხედვად შისარნი თვალნი,
ტანჯვის ნუგეში მას შთააგონე.

აქ ჩვენთვის საყურადღებოა ერთი ფრაზა „ტანჯვის ნუგეში“, იგი შეიძლება ორგვარად გავიაზროთ: 1. როგორც ამქვეყნიური ტანჯვის საფასურად სასუფეველში მოხვედრის იმედი და 2. პიროვნების ტანჯვის საფასურად ერის ტანჯვის შემსუბუქება. ორგავრი გააზრება ამ ფრაზისა, რა თქმა უნდა ერთმანეთს არ გამოორიცხავს. სამშობლოსადმი თავგანწირვა რჩეულთა ხვედრია. ეს კი უკვე იმას ნიშნავს, რომ თავგანწირვა და თავის შეწირვა უმაღლესი იდეალისათვის–სამშობლოსათვის საუკუნო სასუფეველს დაგიმკვიდრებს. მამულის სიყვარული ადვილი არ არის, ის მსხვერპლს მოითხოვს. არა მარტო ვაჟკაცისაგან, არამედ ქალისაგან და კიდევ უფრო ძნელია მსხვერპლის გაღება დედისათვის. ილიამ კი სწორედ ქართველ დედას მოვალეობად დაუსახა შვილი აღზარდოს სამშობლოსათვის თავგასანიად; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბავშვი ქრისტეს ცნებებზე აღიზრდება.

„ვისაც ძე არ შეუკლავს,
როს მამულს ჭირვებია,
შვილო, იმ ვაგლახ დედას
შვილი არ ჰყვარებია!“ („ნანა“)

საუკუნო სასუფეველს წინ უძღვის მხოლოდ და მხოლოდ სიყვარული. სიყვარული ტანჯვის გზით ანიჭებს პოეტს სულიერ სიცოცხლეს:

„რისთვის მიყვარხარ? მისთვის რომ ცრემლსა
ჰბადავს ჩემს თვალში ეს სიყვარული;

მისთვის, რომ მტანჯველს ჩემ ავსა ბედსა
უფრო სასტიკად ებრძვის ეს გული.
რისთვის მიყვარხარ? მისთვის, რომ შენს თვალს
ამ გულს ალი არ უდნობს ცრემლსა,
მისთვის მიყვარხარ, რომ მაძლევ ტანჯვას
და იმ ტანჯვაში სრულ სიცოცხლესა.“

სიყვარული „სრული სიცოცხლის“ მომნიჭებელია. ადამიანის დანიშნულებას და სულის უკვდავებას ეხება უსათაურო ლექსი „უსულდგმულო ცხოვრება“, სადაც პოეტი მიჯნავს ადამიანში წარმავალსა და მარადიულს, ხორცსა და სულს, ამასთან საულის მარადიულობის წყაროდ საქმეს ასახელებს.

„უსულდგმულო ცხოვრება
ცის ნიჭად ნუ გგონია,
იგი მიწის ყოფილა
რასაც ბოლო ქონია“.
„ვინც კარგი საქმით
აღნიშნავს თავის დროსა!
ის იქავ ენაფება
უკვდავების წყაროს“

აქ ავტორი პირდაპირ ეხმიანება სახარებას, სადაც მაცხოვარი ამბობს: „ხოლო რომელმან სვას წყლისა მისგან, რომელიმე მივსცე მე მას, არრარა იქმნეს მის შორის წყარო წყლისა, რომელი ვიდოდის ცხოვრებად საუკუნოდ“ აქ ზეციური მარადიული ცხოვრებაა ნაგულისხმევი, სულის უკვდავების სათავე პირდაპირ არის გაცხადებული.

ილია ჭავჭავაძის მთელი ცხოვრება და შემოქმედება განმსჭვალული იყო ქრისტიანული სულისკვეთებით. სწორედ ამიტომ შერაცხა იგი წმინდანად ქრისტიანულმა ეკლესიამ. ქრისტიანულ მოძღვრებასა ემყარება მისი ყოველი ნაწარმოები. ილიას ლირიკას აქვს აგრეთვე თანხვედრა ფსალმუნებთან. ილია ჭავჭავაძის რელიგიური აზროვნების წყაროებია: ბიბლია და ქართული ქრისტიანული სააზროვნო ტრადიციები, ძვ.ქართული მწერლობისა და ამ დროს ცნობილი ფილოსოფიური მოძღვრებანი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. ვარდოშვილი, „რელიგიური ნაკადი ილია ჭავჭავაძის ლირიკაში“ თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.
2. ლ. მინაშვილი, „ილია ჭავჭავაძე. თბილისი, ნაკადული. 1986.
3. მ. ნინიძე, „მადლის წყარო“ თბილისი. 1937.
4. ნ. სიჭინავა, „გზა მართლისა“ თბილისი, უნივერსალი, 2007.
5. თ. შარაბიძე, „ქრისტიანული მოტივები XIX საუკუნის ქართველ კლასიკოსთა ლირიკაში“ თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008.

თინათინ ლეკიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

„ფიქრნი მტკვრის პირას“-თემატური მრავალფეროვნება

ხელმძღვანელი პროფესორი: დავით ნონკოლაური

ჯერ განუცდელი, ჯერ უთქმელი სიბრძნე და სევდა შეგვაჟრჟოლებს ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების გაცნობისას.

სევდის მოტივი მეტ-ნაკლებად ყველა რომანტიკოსისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ ეს სულ სხვა სევდაა; ეს გაჩენიდან მელანქოლიური, სულით ობოლი კაცის ტკივილია. „თუ გრიგოლ ორბელიანი დიდ ბავშვად დარჩა სიკვდილამდე, სამაგიეროდ დისნული, ნიკოლოზ ბარათაშვილი ნაოჭებიანი შუბლით დაიბადა“ – წერდა გერონტი ქიქოძე. ეს იყო მისი ტრაგედიის მიზეზიც.

ბიოგრაფები და თანამედროვენი ნიკოლოზ ბარათაშვილს მხიარულ, გონებამახვილ, ენაკვიმატ ახალგაზრდად გვიხატავენ, მეგობართა წრის სულად და გულად. თავის ლექსებსა და წერილებში კი ის გვევლინება შავმოსასხამიან, დემონით შეპყრობილ არსებად, სიკვდილის ლანდადევნებულ ჭაბუკად. სიცილი, დიდი იუმორი, ლალი მხიარულება და უკიდევანო სევდა მისი სულის პოლუსები იყო. გარშემომყოფთაგან ვერავინ ხედავდა მასში „უსაფარ ყრმას“, მსოფლიო მნიშვნელობის გენიოსს, რომელსაც სული ეხუთებოდა ყოველდღიურობის საკანში. (როცა მასზე, როგორც პოეტზე საუბრობდნენ, მის დებს მხოლოდ ელიმებოდათ თურმე, წარმოდგენა არ ჰქონდათ ვინ იყო მათი ძმა).

წინამდებარე მოხსენებაში შევეცდებით, მიმოვიხილოთ ნიკოლოზ ბარათაშვილის საყოველთაოდ აღიარებული ლექსი „ფიქრნი მტკვრის პირას“, „რომელიც პირველი მკაფიოდ გამომჟრავნებული ფილოსოფიური ლექსია პოეტის შემოქმედებაში. შეიძლება ითქვას, რომ ეს პოეტური ნაწარმოები წარმოადგენს მისი ლირიკის მსოფლმხედველობრივ გასაღებს.“

როცა მეგობრებით გარშემორტყმულ კაცს მარტოობა დაახრჩობს, როცა ვერ ხედავს ადამიანს, რომელიც მას გაუგებს, როცა სული ველარ ეტევა სხეულში და მოსწყურდება უსაზღვროება, თავისთავად ჩნდება გაქცევის, წასვლის, გაცლის სურვილი, მაგრამ სად? ღვთის მიერ შექმნილ იმ დიდ ფენომენს უნდა მიაშუროს, რომელსაც ბუნება ჰქვია. ალბათ ამიტომ უბოძა იგი ღმერთმა ადამიანებს, არ განირა სრული მარტოობისათვის; ბუნებას ხომ ხშირად უკეთ შეუძლია გაგიგოს. მან არ იცის, რა არის ბინიერება, ლალატი, უმადურობა, კაცთა მოდგმის დამახასიათებელი თვისებები. ბუნებაში აღმოაჩინა ნიკოლოზ ბარათაშვილმა ის ზნეობრივი ჰარმონია, რომელიც ადამიანთა შორის ვერ ჰპოვა: „ვინც მაღალის გრძობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო,ვისიც სული განვითარებული მეგონა, – მას სული არ ჰქონია,ვისიც ცრემლნი მეგონებოდნენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა..“ „სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი?“ სვამდა კითხვას მარტოსული პოეტი.

ბუნებაში დიდი სიყვარულია გამეფებული. „უსულოთ შორის“ არსებული ენა უფრო მეტყველია, ვიდრე ადამიანებისა:

„და უცხოველეს სხვათა ენათა
არს მნიშვნელობა მათი საუბრის.“

„მე რომ პატარა დამოუკიდებელი მდგომარეობა მქონდეს, ახლავე მივატოვებდი ქვეყანსაც და ადამიანებსაც მათი გაუმადლობით და დამშვიდებული და მოსვენებული გავატარებდი პატრიარქალურ ცხოვრებას მარტივი ბუნების წიაღში, რომელიც ასე დიდებული და მშვენიერია ჩვენს სამშობლოში.“ სწერდა მარტოსული პოეტი თავის ბიძას, ზაქარიას.

ცხადია, მის მოკრძალებულ ოცნებას, ისე, როგორც ყველა დანარჩენს, ახდენა არ ეწერა. თავისი ჯვარი ბოლომდე უნდა ეზიდა, სწორედ კაცთა შორის, ქვეყნის შუაგულში ეცხოვრა და მხოლოდ

განსაკუთრებული სულიერი შეჭირვების ჟამს დროებით მიეშურებინა მასავით სევდიანი ბუნებისათვის, რომელიც საოცრად ესაღბუნებოდა მის მტკივან სულს:

„ნარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად,
აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად,
აქ, ლბილს მდელიოზედ, სანუგეშოდ ვინამე ცრემლით,
აქაც ყოველი არემარე იყო მოწყენით.
ნელად მოლელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა
და მის ზვირთებში კრთის ლაჟვარდი ცისა კამარა
იდაყვ დაყრდნობით ყურს ვუგდებ მე მისსა ჩხრიალსა
და თვალნი რბიან შორად, შორად ცის დასავალსა!“

„ნელად მოლელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა „მდინარე, სამყაროს მარად ცვალებადობისა და მარად უცვლელობის, უბერებლობის სიმბოლო. იგი მოწმეა ათასი ჭირ-ვარამისა და პოეტის დროინდელი თავისუფლებადაკარგული საქართველოს ფუჭი, უსიხარულო ყოფისა.

შორს, „ზენაართ სამყოფისაკენ“, „ცის დასავალისაკენ“ მიაპყრობს მზერას ნიკოლოზ ბარათაშვილი, წუთისოფლის ამაოებით დაღლილს სურს, ზეცის მიღმა შეაღწიოს „ცნობითა ზე მხედველითა“, ის ხომ განსხვავებულია გარშემომყოფთაგან და ზეცასთან დიდ სულიერ ნათესაობას გრძნობს. ბუნებასთან განსაკუთრებული სიახლოვე მისთვის ზეცისაკენ აღმავალი კიბის ერთ-ერთი საფეხურია.

სამყაროს ტრაგიკული მოუწესრიგებლობის შეგრძნება გამუდმებული უკმაყოფილებით, დრტვინვით ავსებდა პოეტის სულს.

„ჩვენის დანიშნულების მიზნის მიუღწევლობამ, ადამიანთა სურვილების უსაზღვროებამ და მთელი მთვარისქვეშეთის ამაოებამ საშინელი სიცარიელით ალავსეს ჩემი სული“, სწერდა პოეტი ზაქარია ორბელიანს. ვფიქრობთ, ამგვარი ტრაგიკული ფიქრები არაა მხოლოდ კონკრეტული ფაქტებითაა ასახსნელი, ესაა საერთოდ ადამიანური არსებობის თანმხლები ტრაგიზმი, რომელიც ყოველთვის იყო და იქნება. (სწორედ ასე განმარტავდა ნ. ბარათაშვილის სევდას ილია). ეს მარადიული ქრისტიანული პრობლემაა სულისა და ხორცის დაპირისპირებას რომ ნიშნავს.

„არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩემი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?“

„ამაოება ამაოთა, ყოველივე ამაო... რაი უმეტესობა კაცისა ყოველსა შინა შრომასა მისსა, რომელ შურების მზესა ქუეშე, ნათესავი წარვალს და ნათესავი მოვალს და ქუეყანა ჰგეის უკუნისამდე“. „ეკლესიასტეს“ დიდი სევდა იღვრება ნ. ბარათაშვილის ლექსის დასაწყისში. ყოველივე ამაოა ამქვეყნად. მაღალი პოეზიით ნათქვამი ეს სიტყვები საუკუნეების სივრცეებს გადასწევდა თქვა თავისი სევდიანი საგალობელი. ასეთი სევდა რჩეულთა ხვედრია. ვერც ბარათაშვილმა აიცილა იგი.

„მანც რა არის ჩვენი ყოფა წუთისოფელი?“

სვამს კითხვას ხანდაზმული ადამიანის სიბრძნით სავსე ჭაბუკი, რომელსაც კარგად აქვს გაცნობიერებული, ნათლად აქვს შეგრძნობილი კაცის სიცოცხლის ხანმოკლეობასა და მისი სურვილების, მისწრაფებების უსასრულობას შორის გაჩენილი წინააღმდეგობა. და პასუხსაც თავის შეკითხვაზე იქვე იძლევა:

„თუ არაოდენ სანყაული აღუესებელი“.

თავად სიტყვა „წუთისოფელი“ მშვენივრად გამოხატავს ამ შეკითხვის არსს და პასუხსაც თავად შეიცავს. ამ ერთ სიტყვაში შესანიშნავად არის ჩატეული ქართველი კაცის სიბრძნე და სამყაროსა და საკუთარი თავის შეცნობის მისეული ნიჭი.

ადამიანი წუთიერი სტუმარია ამ სოფლად:

„წუთია წუთის ქვეყანა დახამხამება თვალისა,
ამქვეყნად წესი არ არის მეორედ მოსვლა მკვდარისა“.
„წუთისოფელი რა არის, აგორებული ქვა არის,
რა წამს კი დავიბადებით, იქვე საფლავი მზა არის“.

ბრძანებდა ჩვენი წინაპარი – ის, ვინც მშვენიერი, ტკბილი, უდიდესი საიდუმლოსა და სიბრძნის შემცველი ქართული ენა შექმნა.

ეს სოფელი მხოლოდ წუთიერი სამყოფელია „ღვთის ხატად“ შექმნილი კაცისა, რომელიც სანამ მარადიულ სასუფეველს დაიმკვიდრებს, დღენადაც საკუთარ ზნეობრივ თვითსრულყოფაზე, ღმერთს მიმსგავსებულობაზე უნდა ზრუნავდეს და ამის მაგივრად გამუდმებით იღვწის, შფოთავს, ბორგავს, ამქვეყნიურ დიდებას მიელტვის. რამდენადაც მოკლეა ეს სოფელი, იმდენად ხარბი და გაუმაძღარი, „აღუვსებელი სანყაულია“ წუთისოფლის სტუმარი, საზღვარი არა აქვს მისი სულის სწრაფვას მიუწვდომელისაკენ. ადამიანის სულიერი მოთხოვნილება განუზომელია. სანუთროს ხანმოკლეობა და კაცის ვნებების, მისწრაფებების სიჭარბე, უსასრულობა თავისთავად ქმნის წინააღმდეგობას ყოფიერებასა და ინდივიდს შორის. სწორედ ამიტომ იგი არასოდეს გრძნობს თავს ბედნიერად. ბედნიერება მისთვის ლურჯი ფრინველივით შორეული და მარად საოცნებო რჩება. გული კაცისა ხარბია და ბევრის მდომი. ეს ყოველივე შესანიშნავად ესმოდა ნ. ბარათაშვილს:

„ვინ არის იგი ვისთვის გული ერთხელ აღევსოს
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?“

ვფიქრობთ, ნიკოლოზ ბარათაშვილის ამ სიტყვებში შოთას სტრიქონების გამოძახილი ისმის:

„გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი
გული ჟამდჟამად ყოველთა ჭირთა მთმო, ლხინთა მდომელი“.

ადამიანის, როგორც „აღუვსებელი სანყაულის“ თემა ნ. ბარათაშვილს საფრანგეთის ლეგენ-დარული იმპერატორის, ნაპოლეონ ბონაპარტისადმი მიძღვნილ ლექსშიც აქვს წამოჭრილი. მასში პოეტი საოცარი სიცხადით ხატავს სახეს ძღვევამოსილი კაცისას, რომლის მშფოთვარე სული სხეულში ვერ ეტეოდა, ვისაც მსოფლიოც კი ეპატარავებოდა ასპარეზად, მაგრამ, დიდების ზენიტში ასულმაც ვერ პოვა ბედნიერება:

„მაგრამ მე გვამში სული ველარ მომთავსებია
მითხზავს გვირგვინსა დიდებისას მე თვითონ ბედი
ხოლო მე უნდა მას მოვასხა შარავანდედი...“
...„ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი“.

ვერ ისვენებს ვერც ღარიბი, ვერც მდიდარი, ვერც მეფე, ვერც ვეზირი. კაცობრიობის ყველაზე საშინელი ბოროტება მიწისათვის ბრძოლაა და იმაზე კი არავინ დაფიქრებულა, რისთვის იბრძვიან. მისწისაგან შექმნა ღმერთმა ჩვენი სხეული. კაენის ცოდვის შემდეგ კი დაწყევლა კაცთა მოდგმა: „მინა ხარ და მინად იქეც!“ და ადამიანები ოდითგან „აღიძვრიან იმავე მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!“

„თვითონ მეფენიც მებრძოლენი
რომელთ უმაღლეს ამაო სოფლად
არღა არის სხვა რამ დიდება, შფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან:
„როდის იქნება ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“

და აღიძვრიან იმავ მიწისთვის,
რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!“

პავლე ინგოროყვას აზრით, ამ ლექსში ორი მეფის სახეა გამოკვეთილი – ბოროტი და კეთილის. „კეთილ მეფის“ სახეში იგულისხმება ერეკლე II, ხოლო მეფე ტირანი, მეფე მებრძოლვე“ მიმტაცებელი, რომელიც შფოთავს, დრტვინავს და იტყვის: „როდის იქნება ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ იმპერატორი ნიკოლოზ I-ია. სიტყვები ბოროტი მეფისა – „როდის იქნება, ის სამეფოცა...“ ლექსების ავტოგრაფიულ ხელნაწერ გამოცემებში, რომელიც საზოგადოებაში გასავრცელებლად იყო დანიშნული ხაზგასმულია. ეს ხაზგასმა, ფარული აზრის განსაკუთრებული მინიშნების მიზნით სცოდნია ბარათაშვილს. ასევე ხაზგასმულია სხვა ლექსში:

„ძიავ, ყაბახი სამშობლო შენი
ნაგართო ავის ენისა გესლმან
სატრფონი მისი შემოგარენი
გარდახვენილსა დაგებშო ეტლმან.“

„ეკლესიასტეს“ სევდაზე ამალღებულ ბრძენი ჭაბუკის მოუსვენარი ფიქრი კაცობრიობის მარადიულ, დაწყვეტილ კითხვებს დასტრიალებს:

„მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს ბოლო მოეღოს,
მაშინ ვინღა სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?“

თუკი ყოველივე ამაოა, თუკი „მოვა სიკვდილი უჩინოდ და ერთ წამში აგვეყრის იარაღს,“ მაშინ რაღა აზრი აქვს კაცის გამუდმებულ შფოთვას, ღვანლს, შრომას?

ბევრ მწერალს დაბადებია ეს კითხვა და ბევრ მათგანს იქვე დაუსვამს წერტილი. ნიკოლოზ ბარათაშვილმა კი თავისი შემოქმედების არც ერთი კითხვა არ დატოვა უპასუხოდ. შეკითხვის შემდეგ პაუზას გვთავაზობს და ამაოებაზე ფიქრს სულის ვაჟკაცურ გაუტეხელობას, დაუმორჩილებლობას შეაგებებს:

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვეკვიანდ შვილნი სოფლისა,
უნდა კიდევცა მისვლით მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!“

საბედნიეროდ, მიუხედავად ყოვლისწამლექავი უკიდევანო სევდისა, ნ. ბარათაშვილი არასოდეს დარჩენილა მის ტყვედ. მრავალი გენიოსისაგან განსხვავებით მსოფილო სევდით დაღდმულ პოეტს ეყო სულიერი ძალა, კეთილშობილური დასკვნები გაეკეთებინა. მისი სიტყვები ადამიანის, მოქალაქის მოვალეობის შესახებ ამსოფლად, გმირობის ტოლფასია, რადგან იმ ჭაბუკისაგან არის თქმული, რომელსაც სული ეხუთებოდა ყოფიერების საკანში, რომელიც უსაშველოდ მარტო იყო, რომელსაც არ გაუმართლა სიყვარულში, კარიერაში და მაინც ეყო ძალა და ვაჟკაცობა, გზა ეჩვენებინა მომავალი თაობებისათვის, ესწავლებინა, რომ ადამიანს, ღვთის ხატად და სახედ გაჩენილს, არა აქვს უფლება, სასო წარიკვეთოს და გულხელდაკრეფილი დაელოდოს სიკვდილს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“ თბ.1968 წ. 95 გვ; 99გვ;169-196გვ.
2. პ. ინგოროყვა, „თხულებათა კრებული“, ტომი I. თბ.1963 წ. 14-79გვ.
3. გ. ასათიანი, „საუკუნის პოეტები“ თბ. 1988 წ. 90-112გვ.
4. გ. ქიქოძე, „წერილები ესსეები ნარკვევები“ თბ.1985 წ. 57-76გვ.
5. შ. რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“ სასკოლო გამოცემა. თბ. 2006 წ. 206 გვ.
6. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო. თბ.1989 წ. 587გვ.

მაგდა ნათაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

ვასილ ბარნოვის „ტკბილი დუღუკი“ და „ყვავილეჭი“

ხელმძღვანელი პროფესორი: ნინო მინდიაშვილი

ვასილ ბარნოვი ითვლება ქართული ისტორიული რომანის ფუძემდებლად. ის პირველი მწერალი იყო, ვინც შეეხო ისეთ თემებს, რაზეც აქამდე აქცენტი არავის გაუკეთებია. შემოიტანა ლიტერატურაში ფილოსოფიური და თეოლოგიური მოსაზრებები. როგორც ცნობილია, მამამისი მღვდელი იყო, მისი პირველი ჭეშმარიტი მასწავლებელი კი კოპალე-იალსარის ხატის დეკანოზი, ქართული წარმართული რელიგიის ერთ-ერთი გადარჩენილი ქურუმთაგანი-კურდღელა. რომლისგანაც შეისწავლა წარმართული ღვთისმსახურების წესები, რაც შემდეგ დიდი ცოდნით აისახა თავის თხზულებებში. აგრეთვე მის ცნობიერებაზე დიდი გავლენა მოახდინა იმანაც, რომ ბარნოვმა დაამთავრა სასულიერო აკადემია და კარგად იცნობდა ფილოსოფიას, რელიგიას, ისტორიასა და სხვადასხვა მოაზროვნეთა თეორიებს, რაც აშკარად შეეცყო შემდგომში მწერლის შემოქმედებას.

ვასილ ბარნოვი სამყაროს აღქმისას ძირითადად სამ პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას: ღმერთზე, მშვენიერებასა და სიყვარულზე.

სამყაროს საწყისს წარმოადგენს ღმერთი. მას ეს ესმის არა თეოლოგიურად, არამედ ფილოსოფიურად. ბარნოვისათვის არ არსებობს ჭეშმარიტი და მცდარი რელიგია. მწერლისთვის ღმერთი არაა არც ქრისტი, არც არმაზი, არამედ პირველმიზეზი ყოვლისა არსებობისა, – აბსოლუტური ნათელი და სიკეთე.

მშვენიერება „ღვთის სახის ანარეკლია“, რომელიც მატერიალურ სამოსელში გვევლინება ამ ქვეყნად.

სიყვარული, ბარნოვის გაგებით, სიკეთეს განასახიერებს და ადამიანებს აკეთილშობილებს. მხოლოდ მას ძალუძს აზიაროს ადამიანი მარადიულ მშვენიერებასა და ნეტარებას, ზეციურ ნათელსა და სიკეთეს.

მშვენიერებასა და სიკეთესთან თანაზიარი სიყვარული, როგორც პლატონის, ისე ბარნოვის კონცეფციით მარადიულია და უძლეველი. პლატონის გაგებით “– ეროსი ყველაზე ძველი, ყველაზე ძალმორჭმული, ყველაზე პატივსაცემი ღვთაებაა უკვდავთა შორის, რადგან ყველაზე მეტად მას ძალუძს სათნობასა და ნეტარებას აზიაროს კაცი, როგორც ამ ქვეყნად, ისე საიქიოში” (ვახტანგ ინაური) – სიყვარული და მშვენიერება ვასილ ბარნოვის (ბარნაველის) პროზაში”. გვ. 11).

სიყვარული და მშვენიერება ბარნოვისათვის ერთი საწყისის ორგვარი გამოვლინებაა. „სიყვარული სიმშვენიერება და თვით ღმერთია. სილამაზე ზეციური და ქვეყნიური ორივე ერთი სიყვარულია” შეიძლება მოისპოს სიყვარულის მატარებელი პიროვნება როგორც „ნივთიერი” არსება, მაგრამ უკვდავი რჩება სული, რომელიც ინარჩუნებს სიყვარულის უნარს (ვახტანგ ინაური. იქვე.).

ბარნოვი რელიგიურ დოგმატიკასა და საეკლესიო კანონისტიკას უპირისპირებდა მარადიულ, ნათელ და დაუსრულებელ სიყვარულს, რომელიც წარმოდგენილია ნაწარმოებში, როგორც რელიგია, როგორც ღმერთის ძალა. მას შეუძლია მიანიჭოს ადამიანს უკვდავება და მარადიული ბედნიერება. სიყვარულის შემწეობით ხდება პიროვნებაში საკუთარი არსების შეცნობა და სულის თანაზრდა, მისი თანაზიარება, რაც უკვდავების თანაზიარებას უსწორდება, რადგან სიკვდილსა და ბედნიერებაზე უფრო ძლიერია. იგი მაცოცხლებელი ძალის მქონეა. ამიტომ, რომ სიყვარულით შეპყრობილი სული გრძნობს, რომ ის უკვდავი და მარადიულია. მას სწამს, რომ წარსულშიც არსებობდა და მომავალშიც იარსებებს. გარდასულ დროთა სურათებიც მკვეთრი ფერებით არის აღბეჭდილი მის

ხსოვნაში. მაგრამ,ეს სიყვარულის სახით აგონდება გმირს, ხოლო სიყვარულის შეცნობისა და დაკარგული ცალის მიგნების შემდეგ,თანდათანობით ნათელი ეფინება მის გარდასულ ცხოვრებას ანმყოში. ხედავს არამარტო იმ გარემოს, სადაც მას უცხოვრია, არამედ ადრინდელი არსებობის დროს ყოფილ სატრფოს სახესაც ცნობს და კვლავ მიილტვის მისკენ.მაგრამ,თუ ანმყოში ვერ მიაღწია მასთან შეერთებას, მას სწამს მომავალი ბედნიერებისა და სჯერა ხელახლად ხილულ სამყაროში მოვლინების შემდეგ ეზიარება მის განუყოფელ ცალთან ერთად ნეტარ ცხოვრებას. (ვახტანგ ინაური. იქვე.გვ.5-6).

ეს არის ძველმდურის თეორია სულთა გრადაციის შესახებ,რეინკარნაცია.(რეინკარნაცია ლათინური სიტყვაა,„რე“განმეორებითი მოქმედების აღმნიშვნელია, „ინკარნაციაკ-განსხეულებას ნიშნავს)ადამიანის სული სიკვდილის შემდეგ უკან ბრუნდება.ეს მოსაზრება ჯერ კიდევ ტომობრივ გაერთიანების დროს არსებობდა.ქრისტიანულ ავტორთაგან ამ იდეას იზიარებდა ორიგენე,რომლის ნაშრომებიცა და შეხედულებებიც 1076წელს კონსტანტინოპოლის მეხუთე საეკლესიო კრებამ დაგმო და გაანადგურა.ამით რეინკარნაცია თითქოს საბოლოოდ აღმოიფხვრა ქრისტიანული მსოფლმხედველობიდან.ორიგენეს ტრადიციაში მდგომი ბევრი ქრისტიანი ავტორი მიიჩნევს,რომ რეინკარნაცია ქრისტიანობისთვის ორგანული იდეაა და მისი მონყვეტა ქრისტიანული აზროვნების სამყაროდან დაუშვებელი შეცდომაა.მათი ავტორები ხშირად ახდენენ სახარების ციტირებასაც.სადაც მრავლად არის პირდაპირი თუ ირიბი მითითება სულის მრავალჯერ მოსვლაზე სააქაოს.ამის დასტურად თუნდაც ბიბლიის იმ ფრაზის მოყვანა შეიძლება,სადაც ნაზარეველი ილიას განსხეულებად მიიჩნევს იოანეს(მათეს სახარება.17-12-13) (“რეინკარნაცია ანუ ვისი ს(ხე)ული გსურს?” www.gvelesiani.de/ge)

რეინკარნაციას მრავლად ჰყავდა ევროპელი მიმდევრები(ტელეზიო,ცვინველი,ბრუნო).სულთა გადასახლების სწამდათ ლაიბნიცს,გოეთეს,შილერს,ბონეს,ლესინგს,შოპენჰაუერს და უამრავ სხვა ცნობილ პიროვნებას. რეინკარნაცია ანუ ვისი ს(ხე)ული გსურს?” www.gvelesiani.de/ge)

განსაკუთრებული აღზევება დასავლეთის სამყაროში ამ შეხედულებამ ჯერ კიდევ ელენა ბლავატსკის თეოსოფიით მე-19 საუკუნის დასასრულს,„ხოლო,შემდგომ რუდოლფ შტაინერის ანთროპოლოგიით განიცადა.”ცხოვრებაში სული არის განმეორება თავისივე თავისა,იმ განცდათა ნაყოფითურთ,რომელიც მას ჰქონდა წარსულ ცხოვრებაში”(რუდოლფ შტაინერი”თეოსოფია”.გვ.65)

ბუდისტები და ჯაინისტები სრულად აღიარებდნენ რეინკარნაციის “ცხოველურ” ვარიანტს.ამ მიმდინარეობაში ყველაფერი წრებრუნვავა.დღეს სული შეიძლება კურდღელში მოვიდეს,ხვალ რაჯისტანის მეფის სხეულში,ზეგ ბზიკში და ასე უსასრულოდ.

ძველ საბერძნეთში რეინკარნაციის მიმდევართაგან განსაკუთრებულ აღნიშვნას “ცოდნის მოყვარულნი“-ფილოლოფოსები პითაგორა და პლატონი იმსახურებენ.

ინდური წამროშობის რელიგიებში რეინკარნაციის იდეა მჭიდრო კავშირშია კარმის ცნებასთან.შეიძლება მოვიტანოთ განსაზღვრება,რომელსაც იძლევა ეპისკოპოსი ნიკოლოზ სერბელი:”რეინკარნაცია ეს არის განმეორებითი დაბადება ანუ დაბადება ახალ სხეულში.კაცის იქნება ის თუ ცხოველის ღვთის ნების თანახმად კი არ გადადის, არამედ კარმის მიხედვით,რომელსაც ემორჩილებიან თვით ღმერთებიც.კარმა ეს არის კეთილ და ბოროტ საქმეთა ერთობლიობა,რომელიც განაპირობებს თუ რომელ სხეულში გამოჩნდება სული,როდესაც დატოვებს მკვდარ სხეულს.კარმა განსაზღვრავს ღმერთებისა და ადამიანის ბედს” (Николай Сербский “Индиские письма”) (წწ.ოლდორტჰოლოხ.გე“მართლმადიდებელი მამები რეინკარნაციის შესახებ)

როგორც ჩანს,ყოველივე ამას კარგად იცნობდა ბარნოვი და თვითონაც ეთანხმებოდა სულთა გრადაციის საკითხს.სწორედ ეს თემა აქვს წამოჭრილი მოთხრობებში “ტკბილი დუდუკი” და “ყვავილებში”.განვიხილოთ თითოეული მათგანი.

მოთხრობაში “ტკბილი დუდუკი” მიხა არის პერსონაჟი,რომელმაც განიცადა რეინკარნაცია.”მაშინვე მენიშნა,მაშინვე მივხვდი,რომ ნაცნობი ჰანგი იყო.ის ხმა კიდევ გამიგონია,როდესაც დიდი ვიყავ და სულ სხვანაირად ვცხოვრობდი“-ეუბნება დათიკოს დუდუკის ხმის გაგონებისას.”მე ჩემს მე-

ულღეს ვნახამ თუ არა მაშინვე ვიცნობ ხმასა და თვალეზაზე”. შეხვდა ქეთეთოს და როცა ქალმა დაკვრა დაიწყო მიხვდა რომ იპოვნა ის, ვისაც ამდენ ხანს ელოდა და ეძებდა. ქეთეთო სიკვდილის წინ იხსენებს მიხას: “მეც ვენამებოდი უშენოდ, სიყვარულო! გავიგე ჩემი შეცდომა, გიცანი, მაგრამ გვიანდა იყო. მინდოდა გამეზიარებინა შენთვის ჩემი ტანჯვა, მაგრამ ეს ღალატი იქნებოდა ნაკურთხი გვირგვინისა.” მხოლოდ ამის შემდეგ კვდება მშვიდად. ქეთეთოსაც გაახსენდა, რომ წინა ცხოვრებაში მიხას ცოლი იყო. მიხა ვერ უძლებს ამხელა დანაკარგს და თავს იკლავს, რათა საიქიოს მაინც შეუერთდეს გულის სწორს.

და რა ხდება “ყვავილებში”?!

გონჯი, კუზიანი ბაბაღე ყველასგან გარიყულია. დასცინიან, ეცოდებათ, აკლია მთავარი-სითბო და სიყვარული. დასაწყისში გადმოცემულია მახინჯი ადამიანის სულიერი მდგომარეობა. “რალა ვარ ან თუ არა გადაგებული ღვთისგანაც და კაცისგანაც უარყოფილი, უსარგებლო, უხმარი, ცოცხლად მკვდარი.” “მე გერი ვარ ცხოვრებას მოძულებული. გაკიცხული, დამცირებული.” ბაბაღე ღმერთს არ საყვედურობს რატომ გასწირა ასე. მაგრამ, “განა მართლა ასეთი უსამართლოა დამბადებელი, რომ თავის გაჩენილისათვის წყალობა რამ არ მიეპყრო სიუხვითაგან თავისისა.” ნუგეშად გამოუჩნდა ყვავილები, რამაც სულ გადაავინყა თავისი დარდი. დაიწყო ფიქრი თუ რატომ იყო ასეთი. “ახ. ნეტავ სად მინახავს ეს მშვენიერი ყვავილები ან როდის? მაგრამ ამქვეყნიური სახისა და ფერისა რომ არ არიან! თუმცა ალბეჭდილი მაქვს გონებაში მათი სახე.” ბაბაღე წინა ცხოვრების ცოდვის საფასურად მიიჩნევს თავის გონჯობას. “ახ. აი, მაგონდება, მაგრამ ვერ მომიგონია! ვიცი, ახლა ძალიან კარგად ვიცი, მაგრამ მაინც ვერ გამიხსენებია.” ბოლოს ყველაფერი ყვავილებმა მოაგონა. გაახსენდა თავისი სიღამაზე, ის მშვენიერი ადგილი სადაც წინა ცხოვრებაში უყვარდა ყოფნა, სწორედ იქ ენახა ეს ყვავილები. ამპარტავნობა რომელიც გამოიჩინა მასზე შეყვრებული ვაჟის მიმართ. სწორედ, ამიტომ დასაჯა ღმერთმა და მოავლინა მეორედ მახინჯი. ამის მერე მშვიდად იტანს გასაჭირს. სააქაოში სიყვარულს მოკლებული იმედოვნებს, რომ საიქიოში “ვპოვებთ ორნივე სამოთხეს ჩემგან ოდესმე უარყოფილსა და დაკარგულს”-ო.

რა არის ამ მოთხრობების ძირითადი იდეა?!

რა თქმა უნდა მთავარი სათქმელი მაინც სულთა გრადაციის არსებობაა, ის რომ რაც სულ გადამოქვს პირველი ცხოვრებიდან ესაა სიყვარული. გარდა ამისა, მოთხრობაში “ტკბილი დუდუკი” გადმოცემულია ერთის მხრივ ბავშვობის დროინდელი წრფელი მეგობრობა და მეორეს მხრივ, პატივმოყვარეობა და ანაგარება.

მოთხრობაში “ყვავილებში” ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა ღმერთი და მშვენიერება სულისა. “სული! სული! ხელმოუკიდებელია იგი, უხილავი. ხატება ღვთისა ხორცში უდნა იყოს ჩასახული, ტანში ჩაქსოვილი! შემოქმედი ყოვლად სრულია ყოველმხრივ! ხორცის სიმახინჯეს ყოველთვის არ მოსდევს სულის სიავე!” აქ გადმოცემულია თუ რა სულიერ ობლობას, დამცირებასა და არასრულფასოვნების კომპლექსს განიცდიან ფიზიკურად მახინჯი ადამიანები. “ახ! რად გგონია სახება ღვთისა მხოლოდ სხეულის აღნაქვსში იყოს დაბეჭდილი? რა იცი, რომ სული ღვთაებრივი არა აქვს მაგ ბეჩავსა? -”. ნანილს აბოროტებს საზოგადოების მსგავსი უგულო დამოკიდებულებანი, ნანილი კი, მიუხედავად ყველაფრისა სულით მშვენიერია. სწორედ ამის ჩვენება სურს ბარნოვს. “შემოქმედი ყოვლად სრულია ყოველმხრივ”- ამბობს მწერალი და ამით ხაზს უსვამს იმას, რომ თუ ფიზიკურად გონჯს აჩენს ადამიანს, სამაგიეროდ სხვა რამეს მიჰმადლებს. მიუხედავად ამისა, მაინც ერთი ღმერთი არსებობს, საწყისი სამყაროსი, რომელიც მუდამ პირველ ადგილზეა მის შემოქმედებაში.

რაც შეეხება მხატვრულ მხარეს. ვფიქრობ, არც ერთ მოთხრობას მხატვრული ღირებულება არ გააჩნია. თუ გადავხედავთ ბარნოვის სხვა ნაწარმოებებს მათ ფონზე მითუმეტეს. თხრობა ორივე ნაწარმოებში მიმდინარეობს უბრალოდ. შეიძლება ითქვას პრომიტიულადაც კი. არ გამოირჩევა მხატვრული ხერხების სიუხვით. სტილით უახლოვდება ზღაპარს. თუმცაღა სასიამოვნოდ იკითხება და სათქმელიც კარგად არის გადმოცემული.

დასასრულისთვის უნდა აღვნიშნოთ, რომ ვასილ ბარნოვი იყო პირველი მწერალი, ვინც შეეხო სულის გრადაციის თემას. რამდენადაც სიყვარული მისთვის არის თვით ღმერთი, ამდენად შეყვარებული ადამიანი თავის თავში ერთგვარად ატარებს ღვთის ნაწილს, რაც აძლევს უფლებას სიკვდილის შემდეგ განიზმინოდს ყოველგვარი ცოდვისგან. მოთხრობებში მთავარ თემად წამოჭრილმა საკითხმა დაგვანახა, რომ "სიყვარული და მშვენიერება ორივე ღმერთია ამ ქვეყნად."

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვახტანგ ინაური "სიყვარული და მშვენიერება ვასილ ბარნოვის(ბარნაველის) პროზაში" (2006წ)
2. რუდოლფ შტაინერი "თეოსოფია"
3. www.gvelesiani.de/ge "რეინკარნაცია ანუ ვისი (სხ)ეული გსურს?"
4. www.odlorthodox.ge "მართლმადიდებელი მამები რეინკარნაციის შესახებ"

ნათია ქვადუა

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

ყრმა მარტვილის სახეები რამდენიმე ქართული და ერთი ბიზანტიური თხზულების მიხედვით

ხელმძღვანელი პროფესორი: ნანა გონჯილაშვილი

ნაშრომში „ყრმა მარტვილთა სახეები რამდენიმე ქართული და ერთი ბიზანტიური აგიოგრაფიული თხზულების მიხედვით“ (კერძოდ: „დავით და ტირიჭანის წამების“, „ცხრა ძმა კოლაელთა წამების“, „წამებაჲ წმიდათა დედათაჲ - სოფიაჲსი და ასულთა მისთაჲ – პისტისი, ელპიდისი, ალაპისი“, „შუშანიკის წამების“) განხილულია ბავშვთა მონამეობის საკითხი. თხზულებათა შესწავლის შედეგად გამოკვეთილი პრობლემატიკა ამგვარია: ყრმის მონამეობის საკითხი, მშობლის როლი ყრმის მონამეობის გზაზე და მარტვილი ბავშვის ღვანლის მნიშვნელობა.

ყოველ აგიოგრაფიულ ნაწარმოებში ძირითადი ის არის, „როგორი ცხოვრებით უნდა იცხოვროს კონკრეტულმა პიროვნებამ, რათა იგი გახდეს იდეალური ადამიანი“. ამის მაგალითი განკაცებულმა იესომ მოგვცა. ყოველი წმინდანის ცხოვრება ბაძვაა მაცხოვრის მიერ განვლილი ამქვეყნიური ცხოვრების გზისა. ისინი ყოველ ნაბიჯზე ემონებებიან ქრისტეს. ბავშვები კი, რომლებიც ქრისტეს მონამეობები ხდებიან, ემსგავსებიან ყრმა იესო ნაზარეველს.

სახარებაში იესოს ბავშვობიდან რამდენიმე ეპიზოდი მოყვანილი. უპირველეს ყოვლისა, ესაა ახალშობილი იესო ბაგაში; შემდეგ უკვე წინადაცვეთილი ყრმის იერუსალმში ტაძრად მიყვანა და მირქმა. სახარება როგორც გვაუწყებს, ყრმა იზრდებოდა და განსაცვიფრებელ სულიერ სიმტკიცესა და სიბრძნეს იჩენდა. თორმეტი წლის იესო მშობლებმა პასექის დღესასწაულზე იერუსალიმში წაიყვანეს. უკან დაბრუნების დრო რომ მოვიდა, იესო უჩუმრად ტაძარში დარჩა. მშობლებმა გზაში აღმოაჩინეს, რომ იგი მათთან ერთად არ იყო. დაბრუნდნენ და მოძღვათა შორის იპოვეს. იგი ისმენდა უფროსების საუბარს და თავადაც სვამდა კითხვებს.

საეკლესიო მწერლობაში ცნობილია ერთი აპოკრიფი – „სიყრმე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“, რომელიც მირქმას იკითხებოდა, როგორც საერთოდ აპოკრიფს ახასიათებს, თხზულება ადადგენს იესოს ცხოვრების ერთ ეპიზოდს, რომელსაც სახარება არ იცნობს. თურმე ერთ შაბათს ხუთი წლის იესოს თიხისგან თორმეტი ჩიტი გამოუძერწავს. ყრმას, შაბათ დღეს გარჯის გამო, მამა გაუჯავრდა. მაშინ იესომ ჩიტები ხელში აიღო და სათითაოდ ცაში ააფრინა. ყველას აკვირებდა ყრმის ასეთი საქციელი და ამბობდნენ: „ესევეთარი არ მიხილავს ჩვენ ყრმაჲ“.

ძველ ქართულში ყრმა/ყმა ნიშნავდა ბავშვს, ახალგაზრდას, ვაჟს, ყრმას. სულხან-საბა წერს: „ჭაბუკი ყრმადაც ითქმის“. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი კი მიუთითებს: „ყრმა - ბავშვი, ყმანვილი, ახალგაზრდა, ჭაბუკი“. სულხან-საბა ყრმას ამგვარად განმარტავს: „ათხუთმეტის წლითგან ვიდრე ოცამდე ვაჟსა და ქალს ყრმაჲ ეწოდების“. „სიტყვის კონის“ სხვადასხვა რედაქციებში ეს ასაკი განსხვავებულია. ყველა შემთხვევაში, საბას მიხედვით, ყრმა 10-დან 20 წლამდე ასაკში თავსდება.

ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებში, „ყრმა“ უფრო მცირე ასაკის ბავშვზე ითქმის. „ყრმა ეწოდება როგორც ჩვილს, ასევე, საერთოდ, ზრდადაუსრულებელ ადამიანს, მოზარდს.“ მართალია, იოანე საბანისძე 17-18 წლის აბოს შესახებ გვაუწყებს: „და ესე იყო ყრმა ჭაბუკი, ვითარ ათვრამეტის, გინა უკნინთს აჩვიდმეტი წლის“, მაგრამ ამ კონტექსტში „ყრმა“ „ჭაბუკის“ გვერდით გვხვდება. ჭაბუკი, საბას მიხედვით, 15-30 წლისაა. შესაძლოა, „ყრმა ჭაბუკი“ ადრეულ სიჭაბუკედ გავიაზროთ.

„ყრმობას“ ასაკობრივი მნიშვნელობის გარდა სულიერი გაგებაც აქვს. მათეს სახარება მოგვითხრობს, რომ იესოს „მოჰგუარეს ყრმები, რაძთამცა ბელი დასდვა მათ ზედა და აკურთხა იგინი, ხოლო მონაფენი ჰრისხვიდეს მათ. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: „აცადეთ ყრმებსა მაგათ მოსვლად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგევითართა არს სასუფეველი ცათაჲ“. ამ ადგილს ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი ასე განმარტავს: „ეგევითართა“ ე.ი. წრფელთა, უცოდველთა, უბოროტოთა. ე.ი. ზრდასრულმა ადამიანმა სულიერი სიმტკიცით უნდა ხელახლა მოიპოვოს ბავშვობის თანდაყოლილი უმანკოება. „რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, ვითარცა ყრმაჲ ესე, იგი უფროჲს იყოს სასუფეველსა ცათასა“. როგორც ვხედავთ, სახარებაში ყრმობა გააზრებულია როგორც განსაკუთრებული სულიერი მდგომარეობა. ბავშვები ყველაზე ახლოს არიან ღმერთთან. ყოველივე ეს მათ სხვათაგან გამოჩეულს და უფრო მეტად ხელშეუხებელს ხდის. თუმცა ნამებათა ჟანრის აგიოგრაფიულ ლიტერატურაში მრავლად არიან მონამე ყრმები.

გურევიჩი აღნიშნავს, რომ „შუა საუკუნეები არ იცნობს ბავშვობის კატეგორიას, ვითარცა ადამიანის განსაკუთრებულ სულიერ მდგომარეობას“. ისმის კითხვა - შეიძლება კი ბავშვის მარტილობაზე საუბარი? რამდენად გააზრებულია ბავშვის ქმედება და არის თუ არა ეს აქტი ნების თავისუფლებაზე დაფუძნებული? სწორედ ამ კუთხით განვიხილავთ ზემოდასახელებულ აგიოგრაფიულ თხზულებებს.

„ცხრა ძმა კოლაელთა მარტვილობა“ არის აგიოგრაფიული თხზულება 7-9 წლის ბავშვების მონამეობრივი თავდადების შესახებ. ყრმები ქრისტიანი ბავშვების ბაძვით მოინათლნენ, რის გამოც წარმართებმა მშობლების მეთაურობით აწამეს ისინი.

„წმამება წმიდათა დედათაჲ - სოფიაჲსი და ასულთა მისთაჲ - პისტიისი, ელპიდისი და ალაპისი“ არის ბიზანტიური აგიოგრაფიის ძეგლი. სოფია ქვრივი იყო, იტალიაში ცხოვრობდა და ქრისტეს მცნებების მიხედვით ზრდიდა შვილებს, რომალთაც სამი ქრიატიანული სათნოების მიხედვით პისტი (რწმენა), ელპიდი (სასოება) და ალაპი (სიყვარული) დაარქვა. მართლმადიდებელთა დენისას ყველგან დაუფარავად იცავდნენ სარწმუნოებას, ამიტომ ისინი რომის იმპერატორს მიჰგვარეს. ადრიენემ არტემიდის კერპის თაყვანისცემა მოსთხოვა მათ, თუმცა უარი მიიღო. სამი დღე მისცა მოსაფიქრებლად. ამ დროსი განმავლობაში დედა ჩააგონებდასა, მოძღვრავდა შვილებს. სამი დღის შემდეგ იმპერატორმა სათითაოდ დაიბარა ასულნი. თავდაპირველად უფროსი, თორმეტი წლის პისტი იხმო. სასტიკად აწამეს იგი, ხელები ზურგსუკან შეუკრეს და გვემეს, შემდეგ მკერდი მოაჭრეს და ჭრილობები გახურებული კეცემით მოუნვეს. ბოლოს თავი მოჰკვეთეს. მის ნამებას უყურებდნენ დედა და დები. ათი წლის ელპიდე გამხმარი ძარღვებით გვემეს ძელზე გააკრეს და რკინის ჩანგლებით ჯიჯგნეს. ბოლოს მასაც თავი მოჰკვეთეს. ჯერი ნაბოლარაზე მიდგა. იგი ისე სასტიკად აწამეს, რომ მისი ნაწილების შეგროვებაც კი ჭირდა. დედას ყველაზე საშინელი ნამება ხვდა წილად. იგი უყურებდა შვილების ტანჯვას, შემდეგ მათი ნაწილები მოაგროვა და თავისივე ხელით აგებულ საყდარში დაფლა. სამი დღის შემდეგ თავადაც მიიცვალა.

ორივე თხზულებაში, „ცხრა ძმა კოლაელთა მარტვილობასა“ და „წმინდა სოფისა ნამებაში“, ყრმა მონამეთა ასაკი თორმეტ წელს არ აღემატება. ისინი სხვადასხვაგვარ სიტუაციაში იმყოფებიან. სოფია მთავარი გულშემატკივარია თავისი ასულებისა. კოლაელი ყრმების მონინაალმდეგენი კი საკუთარი მშობლები არიან. მიუხედავად ამგვარი სხვაობისა, ბავშვები ერთნაირ სიმტკიცეს იჩენენ. ასე მიუგებენ კოლაელი ყრმები მშობლებს: „ ჩუენ ქრისტიანენი ვართ და არა ჯერ-არს, ვითარმცა ვჭამოეთ და ვსუეთ ნაგები კერპთაჲ“. მსგავსად ამისა, პისტი პასუხობს მსაჯულს: „ყვენ, რომელიცა შენ გნებავს და შემაგდე სატანჯველთა, რომელთა ჯერ-გიჩნს. რამეთუ უზეშთაეს მიჩნს ყოველთა სატანჯველთა შემთხვევაჲ, ვიდრემდის სულიერ იყო და ცნობიერ, და არა ესევითარსაჲ სარწმუნოებაჲ და მორჩილებაჲ“.

ორივე შემთხვევაში ყრმათა სიტყვებიცა და საქციელიც ასაკთან შეუფერებლად ბრძნულია. აქ თვალნათლივ იკვეთება პარალელი ქრისტეს ყრმობასთან. გავისხენოთ თორმეტი წლის იესო მღვდელმთავრებთან.

მონამეობის გზაზე შემდგარი ბავშვები ღვთის რჩეულნი არიან, ამიტომ მათზე განსაკუთრებული მაღლი გადმოდის. მათ პასუხებში იგრძნობა, რომ ქრისტე მიუგებს მათ წილ. მათი საუბარიცა და ქცევაც სწორხაზოვანია, კონკრეტული მიზნისკენ მიმართული, თუმცა ისინი თვალახვეული არ მიდიან ამ გზაზე, პირიქით, მათ განსაკუთრებული გონიერება ახასიათებთ. 7 წლის ალაპი თავადვე ეუბნება მსაჯულს: „ნუ გაცთუნებს შენ სიყვარული ჩჩმლისა ამის ჰასაკისა ჩემისაჲ, ვითარცა ადვილად შესაცთომელისაჲ და სიტყუათა მიერ შენთა მსწრაფლ წარსატყუენავისაჲ. რამეთუ ესე გასწიოს შენ შემდგომად მცირედისა საქმით გამოცდილებამან, ვითარმედ ამისვე ძირისა რტომ ვარ მე და მისვე ერთისა მუცლისა ნაშობი, რომლითგანთა რტოთა - ორთა შვილთა გამოცდილებანი მიგიღებთ.“

ჩვენთვის საკვირველია ბავშვების მიერ გამოვლენილი ამგვარი სულიერი სიმტკიცე და ძლიერება, მაგრამ ყრმის სული უფრო შეურყვნელია, ამიტომ უფრო ადვილად ცნობს და იღებს ჭეშმარიტებას. ალბათ, მას უფრო ნაკლები ბრძოლის გადახდა უწევთ საკუთარ თავთან, რადგანაც ჯერ ვნებებით არ არიან შეპყრობილნი და საცდურში ფესვი არ გაუდგამთ. ალბათ ამიტომ არის მათი პაუხები ასეთი ურყევი. თუმცა ისინი მარტო არ არიან, სულიწმინდის მაღლი აძლიერებთ მათ.

ყრმათა მარტვილობაში უმთავრესად სწორედ მათი ყრმობაა გასათვალისწინებელი. ისინი დამოკიდებული არიან მშობლებზე, ამიტომ მნიშვნელოვანია, თუ რა როლს ასრულებს მშობელი ყრმის მონამეობაში. თხზულებათა განხილვის შედეგად ამ საკითხთან დაკავშირებით მშობელთა სხვადასხვაგვარი პოზიცია გამოიკვეთა. კერძოდ, წმინდა სოფია მოძღვრავს ასულებს და პირდაპირ მოუწოდებს, რომ არაფრის ფასად არ დათმონ რჯული. კოლაელთა მშობლები კი თავად გამოუტანენ შვილებს ჩაქოლების განაჩენს, ხოლო წმინდა შუშანიკი უფალს ავერდებს შვილებს.

სოფია თავიდანვე ქრისტიანულად ზრდიდა შვილებს. „სწავლულებითა ყოვლითა და საღმრთოძთა სიტყჳითა“ იყვნენ აღზრდილნი. მსაჯულთან წარდგომის წინ სოფია ესაუბრება შვილებს. დედის სიტყვებს ფსიქოლოგიური დატვირთვა ჰქონდა. იგი ეუბნება „მე ბორციელად გშევენ და საღმრთოითა სიტყჳითა აღგზარდენ“ ახლა გამორჩდება „ნაყოფი სიტყჳათა ჩემთაჲ“, „იხილვებისმცა თქვენ შორის მოთმინებაჲ საკუიეველი...მრავალ ჟამ წრთუნილსა მას თქუენდა სათნობასა მცირედ ჟამისა გამოცდილებაჲ ამხილებს“. შვილებს „ევალებათ“ გაამართლონ დედის იმედი. თუმცა იგი მათ უმხელს ერთგვარ შიშს: „შემადრწუნებს მე ჰასაკი ევე სიჩჩოსა თქუენისაჲ“, მაგრამ აქვე ამხნევეს - „გარნა ნუ შეშინდებით ტანჯვათაგან, რამეთუ გაქუს თანამბრძოლებაჲ იგი ქრისტეს უძლეველი“. საყურადღებო სოფიას მონოლოგში ის არის, რომ იგი ასულთაგან ამ გზით მოითხოვს მშობლის ამაგის გადახდას. „მე უკუე გშევენ შენ, შვილო, და საღმრთობათანი შენთმს დავითმინენ და აღგზარდე ვიდრე მაგის ჰასაკისამდე. გარნა ან მომიღიეს ნაცვალი ზრდილობისაჲ, ფრიად უადრესი მოგიგიეს ნაცვალი ტკივილთაჲ, ... რამეთუ შენ ეგვევითარისა მაგის ასულისა დედად გამოვჩნდი, რომელმან ესრეთ დიდად შეუნიერებით ილუანე ქრისტესთს.“ ისინი ღვთისთვის წირავენ თავს, მაგრამ არანაკლებ აკეთებენ ამას დედისთვის. იგი სწორედ ამ ქრილში წარმართავს მთელ საუბარს. როგორც ჩანს, სოფია ძალიან დიდ როლს ასრულებს პისტის, ელპიდისა და ალაპის წმინდანობაში.

დედის პოზიციასთან და როლთან დაკავშირებით შეუძლებელია არ გაგვახსენდეს წმინდა შუშანიკი. ვარსქენის გამაზდიანების ამბის გაგების შემდეგ პირველად, რასაც იგი აკეთებს, შვილები ეკლესიაში მიჰყავს. საკურთხეველთან წარადგენს მათ და იტყვის ცნობილ სიტყვებს: „უფალო, შენი მოცემულნი არაინ და შენვე დაიცვენ იგინი“. როგორც ჩანს, შუშანიკი დარდობდა შვილებზე, მას საკუთარი მონამეობრივი გზა უნდა გაეველო და მათზე ზრუნვას ველარ შეძლებდა. იაკობ ხუცესი სხვას არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, სთხოვა თუ არა რაიმე შუშანიკმა სარწმუნოების დაცვის შესახებ. ტექსტში კიდევ ერთხელ ჩანან შუშანიკის შვილები: „და უთხრეს ნეტარსა შუშანიკს, ვითარმედ: შვილნი იგი შენნი მოაქცია მოგობასა. მაშინ იწყო თავყანისცემად ღმრთისა მიმართ ტირილითა დიდითა და თავსა ქვე დამართ სცემდა. სულთითქვნა და თქვა: გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ჩემო, რამეთუ იყვენს არა ჩემ, არამედ შენი მოცემულნი. ვითარცა გნებავეს იყავ ნებაჲ შენი, უფალო, და მე დამიცევ საქმეთაგან მტერთასა ... და ვიდრე მუნ ჟამადმდე მოვიდიან იგი შვილნი მისნი ხედვად დედისა თვისისა. ხოლო რაჟამს მიაქცინეს და უარყვეს ღმერთი, ვერღარა იკადრეს ხილვად მისა, არა-

მედ სახელიცა მათი სძაგდა სმენად“. ეს ერთი ნაწყვეტი გვაუწყებს, რომ შვილებსა და შუშანიკს კავშირი არ გაუწყვიტავთ, რომ ვარსქენის აკრძალვისა და მიუხედავად, ისინი დედას ციხეში ნახულობდნენ. ალბათ შუშანიკი, სოფიას მსგავსად მათ განამტკიცებდა რწმენაში და უფლის სიყვარულისთვის თავდადებას ასწავლიდა. საფიქრალია, რომ შუშანიკის შვილები ასაკით შედარებით დიდები იყვნენ, რადგანაც დედა პასუხისმგებლობას აკისრებს თავიანთ საქციელზე. სოფია მოელის, რომ შეიძლება ვერ აიტანონ ტანჯვა მათ, „შემადრწუნებს მე ჰასაკი ევე სიჩჩოისა თქუენისა“. ხოლო შუშანიკი არ პატიობს მათ მამის ნების დაყოლას. თხზულებაში არ ჩანს, თუ როგორ მოხდა მისი შვილების გამაზდენება, საფიქრებელია, რომ ვარსქენმა აღასრულა პეროზ მეფისადმი მიცემული სიტყვა და შვილები ატროშანზე გადაიყვანა („მგელსა“ და „ღმრთის მტერს“ ეს არ გაუჭირდებოდა), შესაძლებელია ეს შვილების ნებითაც მომხდარიყო. მნიშვნელოვანია, რომ შვილებმა მაზდიანობა მიიღეს მაშინ, როცა ბორკილდადებული შუშანიკი ციხეში იტანგებოდა; მათ ნახეს, როგორ აწამა იგი ვარსქენმა და როგორი ტანჯვა დაითმინა დედამ ქრისტიანობისთვის. ვარსქენის „ბუნებით“ ცოლს გამაზდენებული შვილების ნახვა არ სურდა, უფრო მეტიც, მათი სახელების გაგონებაც არ უნდოდა - „სახელიცა მათი სძაგდა სმენად“. საფიქრებელია, რომ შუშანიკი მათგან ელოდა რწმენის ურყევობას, რომ ისინი დაიცავდნენ ქრისტეს რჯულს. ეს მოლოდინი შვილებს კარგად ეცოდინებოდათ, ისინი ხომ პირველი მონაწილე იყვნენ დედის მტკიცე და ურყევი გადწყვეტილებისა (მათთან ერთად დატოვა შუშანიკმა სასახლე) და ვარსქენისაგან მისი არაერთგზის ტანჯვა-წამებისა. როგორც ტექსტიდან ირკვევა, შვილებიც დამნაშავედ გრძნობენ თავს, რადგან ვერლარა იკადრეს ხილვად მისვლა. თუმცა მცირეოდენი წინააღმდეგობაც რომ გაენიათ, მათი ღვანლი აღუნიშნავი არ დარჩებოდა იაკობ ხუცესს.

ყოველივე ეს მხოლოდ ვარაუდია. ჩვენთვის საინტერესო იყო შეპირისპირება შუშანიკისა და სოფიასი, ვითარცა მშობლებისა და ამ მიმართებით მათი პოზიციის წარმოჩენა. შესაბამისად, შვილების გადწყვეტილებებსა და ქმედებებზე მათი გავლენისა და როლის ჩვენება, ასევე - შვილებისა დამოკიდებულება მშობელთა მიმართ.

„ცხრა ძმა კოლაელთა მარტვილობაში“ შვილებს უპირისპირდებიან მშობლები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისინი მშობლების ხელით ეწამნენ. თავად აუწყებს წარმართთა მთავარს ყრმათა საქციელის შესახებ. საინტერესოა მთავრის პასუხი: „შვილნი თქუენნი არიან, ხელმწიფებაჲ გაქუს, უყავთ, რაჲცა გნებავს“. მშობლებმა კი დაუფიქრებლად უპასუხეს: „ბრძანე და მოვედ ჩუენ თანა და ქვითა განვტვიწინეთ იგინი, რაძთა არა სხუანი აჰბადვენ და ქრისტიანე იქმნენ“. თხზულების ავტორიც გაკვირვებულია მათი სისასტიკით და იქვე აღნიშნავს: „გუელთა და იქედნთა, ასპიტთა და მხეცთა იციან წყალობაჲ შვილთაჲ, ხოლო ამათ უსჯულოთა არა ყვეს წყალობაჲ შვილთა მათათვის“. ამ თხზულებაში მშობლის სახე მეტად თავისებურია. არსად მუდგანდება სიყვარული შვილებისადმი. თუ შუშანიკი „თავსა დამართ სცემდა“ შვილების გამაზდენების ამბის გაგებისას, კოლაელთა მშობლები რისხვით აღივსნენ, ბავშვები მოიტაცეს და ცემით დაალურჯეს, შემდეგ კი შვიდი დღე უსმელეჭმელი გამოკეტეს. ბოლოს კი საკუთარი ხელის ჩაქოლეს.

ამრიგად, მშობლის როლი, მათი გავლენა ყრმა მონამეებზე ძალიან დიდია. რომ არა წმინდა სოფია, ძნელი სათქმელია, იქნებოდნენ თუ არა მისი ასულები ასეთი მტკიცე დამცველნი ქრისტიანებისა. თუმცა საკითხის შესწავლამ ისიც გახადა თვალნათელი, რომ მხოლოდ მშობლის მონდომება არ კმარა. საპირისპირო მხრიდან რომ შევხედოთ, კოლაელთა მშობლებმა შვილების მოსაქცევად ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. სულიწმინდის მაღლი აძლიერებდა მათ, რადგან ისინი ღვთის რჩეულნი იყვნენ. ნათლისღების შემდეგ მთლიანად შეიცვალა კოლაელი ბავშვების სულიერი სამყარო. როგორც ზოგადად წმინდანობის გზაზე შემდგარი ადამიანის ცხოვრებაში ხდება ხოლმე, ერთგვარი ძვრა მოხდა მათში. მათ არავინ ჰყავთ დამრიგებლად, დამმოდვრელად, თუმცა არც სჭირდებათ. უამისოდაც ურყევია მათი სიმტკიცე. რომ არა ასულთა სულიერი მზაობა, მხოლოდ სოფია ვერაფერს გახდებოდა. ელპიდე და ალაპი საკუთარი თვალთ უყურებდნენ დის წამებას და იცოდნენ, რომ თავადაც ეს მოელოდათ. ერთმანეთის მაგალითით ძლიერდებოდნენ. რადგან ერთმა დაითმინა ტანჯვა, მეორესაც უწინდებოდა რწმენა, რომ ამის უნარი მასაც შესწევდა. ამასთან, თითო-

ეულის ნამებას თანსდევდა სასწაული. პისტს მოჭრილი მკერდიდან რძე გადმოუვიდა, ხოლო ცეცხლი, რომელში იგი ჩააგდეს, ყველას ნვაავდა მის გარდა. სასწაულით კიდევე ერთხელ დასტურდებოდა, რომ ისინი ჭეშმარიტების გზაზე იდგნენ და მათი რწმენა უფრო ურყევი ხდებოდა.

ამრიგად, საკითხის შესწავლამ გვაჩვენა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მკვლევარი ეჭვქვეშ აყენებს ზრდადაუსრულებელი ადამიანის მონამეობის საკითხს, თხზულებათა განხილვის შედეგად გამოირკვა, თუ წმინდანებისთვის იდეალი მაცხოვრის მიერ განვლილი ამქვეყნიური ცხოვრების გზაა, მონამე ბავშვები ემსგავსებიან ყრმა იესო ნაზარეველს. აგიოგრაფიულ თხზულებებში ისევე წარმოჩინდება მათი სახეები, როგორც ქრისტეს ბავშვობაა ასახული „სახარებაში“. ყრმათა ასაკთან შეუფერებელი სიმტკიცე, შეუდრეკლობა გამოკვეთს მათ გამორჩეულობას. თხზულებათა განხილვამ კიდევე ერთი საკითხი წარმოაჩინა – მშობლის როლი ყრმის მონამეობის გზაზე. ამ მიმართებით განსხვავებული დამოკიდებულება გამოვლინდა ზემოაღნიშნულ ბიზანტიურ და ქართულ აგიოგრაფიულ ნაწარმოებთა შორის. კერძოდ, წმინდა სოფია მოუწოდებს ყველაფრის ფასად დაიცნა ქრისტიანობა. მაშინ, როცა წმ. შუშანიკი უფალს ავედრებს და აბარებს შვილებს. კოლაელთა მშობლები რწმენით კი არ ცდილობენ ყრმათა მოზრუნებას, არამედ მუქარით, იძულებით. თუმცა, თუ თავად ყრმის მოწოდება არ არის, შედგეს წმინდანობის გზაზე, მხოლოდ მშობლი ვერაფერს გახედა. თხზულებებში თავისთავად მნიშვნელოვანია ღვანლი ყრმა მონამეებისა. მათ მიერ დათხეული სისხლი ორმხრივ უბრალოა: ბუნებრივ, ბავშვურ უმანკობას ემატება მონამეობრივი სწმინდე. ტექსტის შესწავლა კიდევე ერთხელ ცხადყოფს, რომ მონამე ბავშვები არათუ ირიცხვნიან წმინდანთა შორის, არამედ აღემატებიან კიდევე მათ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გრძელიძე 1990 თ. გრძელიძე ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ბავშვები – ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ 2 1990.
2. კეკელიძე 1952. კ. კეკელიძე ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია თბილისი 1952.
3. მეტრეველი 2004. ს. მეტრეველი ბავშვი მონამე ქართულ აგიოგრაფიაში – ლიტერატურული ძიებანი ტ. XXV 2004 წ.
4. მეტრეველი 2004. ს. მეტრეველი ბავშვი მონამე ქართულ აგიოგრაფიაში – ლიტერატურული ძიებანი ტ. XXV 2004 წ.
5. სირაძე 1987. რ. სირაძე ქართული აგიოგრაფია თბილისი „ნაკადული“ 1987.
6. ქართული მწერლობა I ტ. „ნაკადული“ თბილისი 1987
7. ძველი მეტაფრასული კრებულები – „მეცნიერება“ 1986.

მიხეილ ჯავახიშვილი ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში

ხელმძღვანელი პროფესორი: ნინო მინდიაშვილი

მიხეილ ჯავახიშვილი ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ეს საკითხი თავისმხრივ ფართო მაშტაბისაა, რამოდენიმე ათეულ წელს მოიცავს და საკმაოდ მრავალფეროვანი განხილვის საგანია, ამიტომაც ამჟამად ჩემს ნაშრომს სისრულის პრეტენზია არ გააჩნია. ამ საკითხს უამრავჯერ შეხებიან, მასზე მრავალი დისერტაციაა მიძღვნილი. მეც გავბედავ ჩემის მხრივ შევეხო ამ თემას, შეძლებისდაგვარად თავი მოვუყარო და განვიხილო თუ რა გზები განვლო და როგორ აფასებენ მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებას ქართველი კრიტიკოსები.

ქართული ლიტერატურის კრიტიკაში მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების განხილვა-შეფასება სამ ძირითად პერიოდად შეიძლება დავყოთ:

1. 1903–1912 წლები როცა ლიტ.კრიტიკა შეეხო მწერლის პირვანდელ მოთხრობებს ამ პერიოდში ხდება როგორც დამწყები, ნიჭიერი მწერლის შეფასება, ძირითადად ქებითა და მოწონებით შეხედნენ მწერლის გამოსვლას სამოღვაწეო ასპარეზზე.

2. 1923–1936 წ.წ ა) 1923–29 წ.წ დადებითად აფასებენ, ნიჭიერი და დიდი მომავლის მქონე მწერლად ესახებათ. ბ) 1929–36 წ.წ ანტისაბჭოთა პოზიციაზე მდგარ შემოქმედად იქნა გამოცხადებული (შემოქმედების გაკრიტიკება და მიწასთან გასწორება)

3. მესამე პერიოდი იწყება მწერლის რეაბილიტაციის დღიდან. (“რეაბილიტირებული მწერლის ლიტ. რეაბილიტაციის პერიოდი”) ვინც უარყოფით პოზიციაზე იდგა ისინიც კი აქებდნენ დაადიდებდნენ მწერლის შემოქმედებას.

მწერალი ათეული წლების განმავლობაში ქვეყნისა და ხალხის მტრად იყო გამოცხადებული, მის ნაწარმოებებს 50–იანი წლების მეორე ნახევრიდან აეხსნა ტაბუ.

ახალგაზრდა მწერლის პირველივე პუბლიკაციებმა, უპირველეს ყოვლისა “ჩანჩურამ” ლიტ.საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. ლიტ.კრიტიკა დიდი მოწონებით შეხვდა დამწყები მწერლის პირველ შემოქმედებით ნაბიჯებს. (დადებით შეფასებას აძლევდნენ მწერლის დანყებით შემოქმედებას: იოსებ იმედაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, ქრისტეფორე რაჭველიშვილი, მიხეილ კინწურაშვილი..) მისი მოთხრობები რომლებიც პირველი როვოლუციის პერიოდში გამოქვეყნდა, მიჩნეული იყო მაღალმხატვრულ, ოსტატურად დაწერილ ნაწარმოებებად, რომლებშიც გამომჟღავნდა მწერლის ჰუმანიზმი და დემოკრატიზმი, მაღალი ნიჭი.

ივანე გომართელი მიიჩნევდა, რომ „ერთადერთი ბელეტრისტი, რომელზედაც ღირს მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ, ბატონი ადამაშვილია. ამ მწერალმა თავისი კალმის პირველივე ცდით დაგვიმტკიცა, რომ საკმაოდ ძლიერი ფანტაზია და ნიჭი აქვს... დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას რომ ბ–ნ ადამაშვილი ფოტოგრაფიულად გადმოტანას არ ცდილობს, მისი მისწრაფება უფრო შორს მიდის და უბრალო წამბაძველობით და აღწერილობით არ კმაყოფილდება.“

მიუხედავად იმისა რომ მწერალი რეალისტია, უკიდურესობაში არასდროს ვარდება. მას სინამდვილის მხატვრულობა აინტერესებს და არა მისი ასლი.

კიტა აბაშიძე: „იმ მწერალთა შორის, რომელთაც რევოლუციის ეპოქაში იჩინეს თავი, ყველაზე დიდი ყურადღების ღირსია ადამაშვილი, რომელსაც უეჭველი ნიჭი აქვს მხატვრისა და თავისებური მანერა წერისა. ამ მანერაში ნატურალიზმი და რომანტიზმია შედუღებული.“

მიხეილ ჯავახიშვილის სამწერლობო ასპარეზზე გამოსვლის მიზანი იყო მისი სიტყვებითვე რომ ვთქვათ “საჭიროა საზოგადოებას ვაჩვენოთ ხალხი, ვინც ისტორიას ქმნის და ასეთები მარტო მეფეები და სარდლები არ არიან” ჯავახიშვილმა შექმნა ისეთი გმირები რომლებზეც მანამდე დრო არ და-

ხარჯულა ე.წ. „საზოგადოებას ვერმორგებული ადამიანები“, ყველა მათგანს თავის პროტოტიპი ჰყავს. მწერლის ნაწარმოებების პირველ ტომში შესული მოთხრობების მიხედვით („ჩანჩურა“, „ლ“ უპატრონო“, „ეკა“ ლ...) „ჩანჩურათა“ მწერლად იწოდება. თედო ბეგიაშვილი მ. ჯავახიშვილის შემოქმედების შესახებ („კვაჭი კვაჭანტირაძე“, „დამპატიჟე“) მსჯელობს ჟანრულ თავისებურებებზე და შემდეგ მწერლის მოთხრობების პირველ ტომთან დაკავშირებით ამბობს, რომ შინაარსობრივად ღირებული არ არის, მწერალს სინამდვილისადმი გზა აუქცევია. კროტიკოსი ხშირად აღნიშნავს მ. ჯავახიშვილის რევოლუციურ თემატიკასთან განდგომას და ბოლოს მიუთითებს რომ: „სამაგიეროდ მ. ჯავახიშვილის ნაწერები თავისი ეპიკური სტილით, ლამაზი ენით, ალაგ-ალაგ კარგი სურათებით და ისტორიულ მოვლენათა მხატვრულ ფორმებში გადმოცემით მშვენიერი საკითხავია.“

მ. ჯავახიშვილის შეფასებაში კრიტიკოსების დიდი ნაწილი ობიექტურად აფასებს მწერლის შემოქმედებას, ზოგიც სუბიექტური და ტენდენციურია, ზოგ შემთხვევაში სცილდება კიდევ ჯანსაღი კრიტიკის მიზანდასახულობას. მაგრამ სამწუხაროდ იმდროინდელი წყობილებისა და გამო 20–30-იანი წლების კრიტიკა ვერ იძლევა მდიდარი შემოქმედების მრავალმხრივ, ობიექტურ ანალიზს. იდეოლოგიური დოგმატიზმით შებოჭილი საბჭოთა პერიოდის ლიტ. კრიტიკა ხშირ შემთხვევაში ცალმხრივად აფასებდა ნაწარმოებს და უმთავრესად მსჯელობის საგნად მხოლოდ სოციალური პრობლემები იყო ქცეული. ის აზრობრივი ქვეტექსტები და შენიღბულად გამოხატული კრიტიკულ-ოპოზიციური თვალთახედვა კი, რითაც უთუოდ ხასიათდება რომანი, მეტწილად ყურადღების მიღმა რჩებოდა. მხოლოდ 90-იანი წლების, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდგომ შესძლო კრიტიკამ მრავალმხრივი შეფასებების მიცემა ნაწარმოებებისადმი.

ცალკე განხილვის საგანია ე.წ. მეორე პერიოდი მწერლის შემოქმედებისა 1924–37 წწ. 15 წლიანი პაუზის შემდეგ მწერალი კვლავ ახალი იდეებითა და სიტყვით უბრუნდება სამწერლობო ასპარეზს („ტყის კაცი“). კრიტიკოსების შენიშვნით სტილი უფრო დაიხვეწა, წერის მანერა უფრო გამოირკვა, ახსნა გაცხოველდა. მაგრამ მიზეზებისა და გამო ყველაზე მეტად ამ პერიოდში წამოვიდა კრიტიკის ქარცეცხლი მწერლის შემოქმედების მიმართ. კრიტიკოსების ერთი ნაწილი ე.წ. პროლეტარული კრიტიკის წარმომადგენლები ავტორს ბრალს სდებდნენ ნაციონალიზმსა და ბატონყმური სინამდვილის შელამაზებულ წარმოსახვაში, ბოლშევიკური ორგანიზაციის როლის დაკნინებაში („ქალის ტვირთი“), რევოლუციური მოვლენების არაობიექტურად აღწერაში, კლასობრივი მტრებისადმი გამოვლენილ თანადგომაში და ა.შ.

მწერალს დადებით შეფასებასთან ერთად უამრავი კრიტიკაც აქვს მიღებული, ზოგი სამართლიანად უმეტესი კი სუამართლოდ. უარყოფითად ფასდება „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „დამპატიჟე“. გასაკვირი არცაა თუ რატომ გამოიწვევდა საბჭოთა წყობილების დროს ეს ნაწარმოებები აღშფოთებას.

გ. მუშიშვილი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს „დამპატიჟეს“, დიდი არშფოთებით აღნისნავს რომ განა დამპატიჟეების ბატონობა საბჭოთა წყობილებაში? განა დამპატიჟეები იმარჯვებენ მებაღე თევდორებზე? აკრიტიკებს და ეჭვი შეაქვს ჯავახიშვილის რეალისტობაში. გასაკვირი არცაა რომ ისეთმა ნაწარმოებებმა როგორებიცაა „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „დამპატიჟე“, განსაკუთრებული კრიტიკის ქარცეცხლში გაიარეს. კვაჭანტირაძის გროტესკული სახის შექმნით ჯავახიშვილმა ამხილა სოციალური წყობა, რომელმაც წარმოშვა ასეთი გმირები. მწერალმა მხატვრული დამაჯერებლობით წარმოსახა რუსეთის იმპერიის მმართველი წრეების ზნეობრივი დაცემა.

1929–36 წწ. ქართული ლიტერატურული კრიტიკისათვის დამახასიათებელია მწერლის შემოქმედების უარყოფითი შეფასება, მისადმი მტრული დამოკიდებულება, იყვნენ ისეთებიც რომლების სპეციალურ წერილებში თუ მწერალთა კავშირში გამართულ დისკუსიებზე, იქ ნაკითხულ მოხსენებებსა და წარმოთქმულ სიტყვებში თავს ესხმიან მწერალს და ძალზე თავგამოდებით ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ მ. ჯავახიშვილი მიუღებელია იდეურადაც და სუსტია მხატვრულადაც, (მ. რადიანი, ბ. ჟღენტა, თ. ბეგიაშვილი) მათ მ. ჯავახიშვილის კრიტიკა თანდათან ორგანიზებულ ცილისწამებაში გადაზარდეს.

1932 წელს მწერალი იძულებული გახადეს ეთქვა: “ჩვენ გვექონდა შეცდომები, პირადად მე ავტორი გახლავართ „დამპატიჟე“, „გივი შადური“ და სხვა ისეთი ნაწარმოებების, რომლებსაც არასწორადაა გამოსახული რევოლუციონერული დღევანდელი სინამდვილე”.

მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან არც ერთი ნაწარმოები არ ქცეულა ისეთი საყოველთაო ინტერესის საგნად, როგორც “არსენა მარაბდელი”. (1925–32წწ.) ბევრმა მწერალმა ეს ნაწარმოები მწერლის საუკეთესო ქმნილებად აღიარა და მას განსაკუთრებული ადგილი მიუჩინა, საერთოდ, ქართული რომანისტიკის ისტორიაში. “არსენა მარაბდელი” საბჭოთა იდეოლოგიური პრინციპების გავლენის შედეგად შექმნილ რომანად გამოცხადდა, სწორედ ამან განაპირობა განსაკუთრებული ყურადღება, მათი თქმით მწერალი ამ ნაწარმოებით ახალი იდეოლოგიის სამსახურში ჩადგა. “არსენა მარაბდელი” ეს ის ნაწარმოებია რომელმაც მწერალს ერთდროულად სახელიც მოუტანა და ფაქტიურად მისი სიკვლით დასჯის ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც ეს “ხმაური” გახდა. იმ კრიტიკოსებმა, რომლებიც მ. ჯავახიშვილის პირველი კრებულის ნაწარმოებებს მდაბიურად და სუსტი თემატიკის მქონედ ასახელებდნენ “არსენა მარაბდელს” აღმავლობის გზაზე შედგომად თვლიდნენ მწერლის შემოქმედებაში. კრიტიკოსი მალაქია ტოროშელიძის აზრით “არსენა მარაბდელით” მწერალი მტკიცედ დაადგა შემოქმედებითი გარდაქმნისა და პროლეტარიატის იდეურ პოზიციებთან დაახლოების გზას და ამ ისტორიული ჟანრის რომანში ავტორმა ძირითადად სწორად დაასურათა დარღვეული ქართველი თავადაზნაურული არისტოკრატის ტიპები და მათთან დაპირისპირებით გვიჩვენა გლეხთა რევოლუციური მოძრაობის გმირები.

1955 წლიდან გამოქვეყნებულ ყველა მასალაში დადებითად აფასებენ მ. ჯავახიშვილის შემოქმედებას და ერთხმად აღიარებენ, რომ იგი დიდი მწერალი იყო.

ამრიგად, ასე თუ ისე მწერალს მრავლად ჰყავდა დადებითი თუ უარყოფითი შეფასებების მიმცემი საზოგადოება, ისეთი ინტერესი და ხმაური რაც მ. ჯავახიშვილის ნაწარმოებებმა გამოიწვიეს არცერთ მწერალს არ დაუმსახურებია, რაც თავისთავად ცხადყოფს მწერლის სიდიადესა და განსაკუთრებულობას. მწერლის რეაბილიტაციის შემდგომ ისინი ვინც მანამ უარყოფითად იყო განწყობილი მწერლის შემოქმედებისადმი, უკვე აღარ იზიარებენ თავიანთ ადრინდელ მოსაზრებებს და მალალ შეფასებებსაც კი აძლევენ მწერლის შემოქმედებას. რაც სავსებით ნათელს ხდის მათი რეაბილიტაციამდელი შეფასებების მოტივს.

შოთა აგლაძის მსგავსად (5.) მინდა თემა დავასრულო მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვებით, სადაც ჩანს მწერლის დამოკიდებულება სალიტერატურო კრიტიკისადმი და რაც ყველაზე მეტად ცხადყოფს სხვადასხვა დროს მწერლის ნაწარმოებებისადმი ავ-კარგ დამოკიდებულების სიმართლესა თუ სიცრუეს: „მეკითხებით რანაირ გავლენას ახდენს თქვენზე კრიტიკაო. ძალიან მეჩოთირება მაგრამ მაინც გიპასუხებთ. – ბერძენმა ფილოსოფოსმა ზენონ ელეველმა თქვა: – ჩემი მოძმეთა კილვა რომ არა მწყინდეს არც მათი ქება გამიხარდებოდაო. მხოლოდ ფლიდი არ გაიზიარება ამ აზრს. სრული სიმართლეა, მაგრამ ქებაც არის და კილვაც, კრიტიკაც არის და კრიტიკოსიც. მე იმთავითვე საკმაოზე მეტი ქება მხვდა იმდროინდელი კრიტიკოსებისაგან (ზანგი(გიორგი რცხილაძე), კ. აბაშიძე და სხვ.) მაგრამ არც მაშინ ამსხმია თავბრუ და არც ახლა გაფუმნარებივარ მკილავ რეცენზენტებს. ჩემი ხნის კაცს დროის მიერ სულიერი იმუნტიტი აქვს აცრილი და კრიტიკოსი აგრე ადვილად ვერ შეარყევს მას. მე მხოლოდ მართალსა და გულწრფელ კრიტიკას ვუნენე ანგარიშს და მხოლოდ მას ვემორჩილები. მაგრამ რა არის სიმართლე? ვინ არის გულწრფელი და ვინ არა? კმარა, თორემ აქ ისე ბნელი და უსაზღვრო ასპარეზი იწყება, რომ ამაზედაც ერთი ან რამდენიმე ტომი დაინერება. ზოგჯერ კი მგონია, რომ ყველა ნიგნი, რაც ამ ქვეყნად არსებობს, ბოლოსდაბოლოს ამ თემაზე და მხოლოდ ამაზეა დაწერილი.“

ლიტერატურა:

1. ტარიელ კვანჭილაშვილი – მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება, თბილისი, 1987წ.
2. ავთანდილ ნიკოლეიშვილი – „XXს.მწერლობა“, ქუთაისი, 2002წ.
3. ია ქადაგიძე – “პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების საკითხი მ.ჯავახიშვილის სამი რომანის მიხედვით“. თბილისი, 2002წ.
4. შოთა აგლაძე – მიხეილ ჯავახიშვილის პროზა. თბილისი, 1993წ.
5. შოთა აგლაძე- „მიხეილ ჯავახიშვილი ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში“ თბილისი, 1993წ

**ტრადიციული და თანამედროვე ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობაში
“ხევისბერი გოჩა”**

ხელმძღვანელი პროფესორი: დავით ნონკოლაური

“ხევისბერი გოჩა” ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების უმაღლეს მწვერვალს წარმოადგენს როგორც თავისი მსოფლმხედველობრივი სიღრმით, ისე – მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისითაც. შეიძლება ითქვას, რომ აქ იკვეთება ორი დაპირისპირებული მხარე, ორი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, ერთი მხრივ, ხევისბერისა და, მეორე მხრივ, ონისეს სიმართლე.

საქმე ეხება დიდ, წრფელ, უანგარო სიყვარულს, თუმცა ონისესათვის ძიძიასადმი გაჩენილი ეს ღვთიური გრძნობა “უკანონო” ხდება, უფრო მეტიც, ბოროტ და დამღუპველ ცოდვადაც კი იქცევა. ამკარაა, რომ ეს ახალგაზრდა გულს დაემონა და გონებასაც კი არ აძლევს წინააღმდეგობის სათანადოდ განწევის საშუალებას. თავისთავად ცხადია, რომ ონისე, თავისი თანატოლების მსგავსად, ჭაბუკურ თავდავინცებას აპყვავს, ბოლომდე მიენდო ახალგაზრდულ გატაცებას, დაივიწყა ჭეშმარიტების არსი, ის მორალურ-ზნეობრივი მხარე, რაც იმ ეპოქისა და კონკრეტული საზოგადოების, მოხვედების ცხოვრების მთავარი მაჯისცემა იყო. ვფიქრობ, ონისე გარკვეული კუთხით მართალია, რადგან მასაც აქვს სიყვარულის უფლება, მასაც ხომ შეუძლია უყვარდეს სულით ხორცამდე. მოციქული პავლე თავის ეპისტოლეში ამბობს: „წინასწარმეტყველებაც რომ მქონდეს, ყოველი საიდუმლო და მთელი ცოდნაც რომ ვუნყოფდე, სრული რწმენაც რომ მქონდეს, მთების გადაადგილებაც რომ შემეძლოს, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არარაობა ვიქნებოდი“. თუმცა ამკარაა, რომ ონისე შეცდა სწორედ რომ სიყვარულის არჩევანში, ძმადნაფიცს უღალატა და, შესაბამისად, ხევის კლდესავით მყარი ტრადიციები ჩამოშალა და დაარღვია, მაგრამ ამბობენ გულს ვერ უბრძანებ, იგი თავად ირჩევს მას, ვინც ასარჩევიაო.

აქვე საყურადღებოა ერთი ფაქტი, ხევისბერის ვაჟი ცდილობს სიყვარულის გრძნობისაგან გათავისუფლებას, სწორედ ამ მიზნით იგი ფშავში მიდის სტუმრად ბიძებთან. ცხადია, რომ პიროვნულ მესთან მარტო დარჩენით მას სურს, წინააღმდეგობრივი ძალების ურთიერთკავშირსა და ცვალებადობას ჩასწვდეს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენრაფვის მის შინაგან სამყაროში არსებული იდუმალეზის ამოცნობას. რასაკვირველია, ონისეს უნდოდა, მოვალეობა განცდებზე წინ დაეყენებინა, ანუ გულიდან ამოეღო ის, ვინც ცხოვრების უმთავრეს დანიშნულებას აკარგვინებდა, მაგრამ ამის განხორციელების რამდენიმე მცდელობამ კიდევ უფრო მეტად შეაგრძნობინა ის სიყვარული, რომელიც მუდამ მიუღებელი იქნებოდა საზოგადოებისათვის. გამოდის, რომ მთავარი გმირის პიროვნებაში ორმაგი სახე იკვეთება, რომელიც არ აძლევს მას საღად განსჯისა და ადეკვატურდ მსჯელობის უნარს.

ის, რომ ონისესა და ძიძიას მართლაც გულწრფელად შეუყვარდათ ერთმანეთი, ეს თვით ჰაერშიც იგრძნობა, აქაც კი სიყვარულისა და ურთიერთტოლვის მარცვლებია გაბნეული. ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ადგილს, რომელიც წინ უძღვის ონისეს შინ დაბრუნებას და ძიძიასთან შეხვედრას:

“დილის ნიაგმა დაჰქოლა, ნისლი შეარყია, შეაღელვა, მოეშველა მზის ქუშიც და ნისლმა აღშფოთებულს საყვარელსავით, რომლისთვისაც განთიადს მოესწრო, წყნარად მთა-მთა დაიწყო გაპარვა!”

როგორც ვხედავთ, ავტორს ძიძიასა და ონისეს სიყვარულის მოტივი ბუნებაში გადააქვს, რომლითაც პრაქტიკულად მიგვანიშნებს, რომ ამგავრი გრძნობა თვით ბუნებიდან მომდინარეობს, ბუნებრივია.

რა თქმა უნდა, ბუნებრივი სიყვარული თემურ ყოფაშიც შეიძლება განსახიერებულყო ბუნებრივად, თავისუფლად. ეს მაშინ, თუ წყვილთა დაოჯახება ყველა ნათესავის სურვილიც იყო. წინააღმდეგობის შემთხვევაში კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა თემისაგან აუკრძალავ ერთ წესს – ქალის მოტაცებას. ეს ფაქტიც საწყენი იყო, თუმცა ადვილად დასაძლევია. ონისესათვის ქალის

მოტაცებაც კი აკრძალული იყო. აშკარაა, რომ მან მძიმე შეცდომა დაუშვა, თავისი სამიჯნურო სურვილების ასრულებისათვის სრულიად არ გაუნია ანგარიში დროისა და ადგილის ძალიან დიდ, თითქმის საკრალურ მნიშვნელობას. ძიძიასთან შეხვედრის გამო მან დაივიწყა მამულის ვალი, დაივიწყა ადგილი, სადაც უნდა ყოფილიყო და ამით ისარგებლა კიდევ მტერმა. აქაც გრძნობამ და ნების სისუსტემ გადაფარა უპირველესი ეროვნული ღირებულება, ხევის დაცვის ინტერესი. თავისათად ცხადია, რომ მსგავსი ქმედება ვერ გამართლდება ვერც ასაკითა და ვერც ერთი რომელიმე ძლიერი გრძნობის არსებობით. ონისემ ცხოვრებაში სამჯერ, სამივეჯერ რამდენიმე წუთით დაივიწყა, რომ კაცი ტანჯვისათვის არის გაჩენილი. სწორედ იმიტომ, რომ მან, ხევსიბერი გოჩას ვაჟმა ეს დაივიწყა, სიტყვა ჯვარს ეცვა, ჯვარცმული სიტყვა კი, როგორც წესი, ქვეყანამ სამუდამოდ დაიმახსოვრა.

ონისე ისჯება თავდავიწყებისათვის, რომელიც სინდისის დავიწყებაცაა. თუმცა გასათავლისწინებელია, რომ მას სჯის არა საკუთრივ თემი, რომელიც მშობლიურთან ერთად სოციალური და სამართლებრივი ფენომენიცაა, არამედ მამა-საკუთარი სისხლი და ხორცი.

გურამ ასათიანის აზრით, თუ ონისეს გულის ხმას დავეუგდებთ ყურს, აღმოჩნდება, რომ უკანონო, უმართებულო, ბუნების სანინააღმდეგოა არა ის გრძნობა, რომელმაც მისი სული შეიპყრო, არამედ – ადამიანთა მიერ გამოგონილი “წესები”, რომელიც ამ გრძნობის განხორციელებას უშლის ხელს. სწორედ რომ ამ წესების დამცველად გამოდის გოჩა, რომელიც არსებულ გრძნობათა ცდუნებებთან შეურიგებლობის განსახიერებაა. მისთვის თემის მორალი და ღირსება ყველასა და ყველაფერზე მაღლა დგას, ამიტომაც საკუთარ შვილსაც კი არ პატიობს ემოციურ სისუსტეს. მას არ ძალუძს შინაგანი ხმის უკუგდება, მითუფრო, მორალური კოდექსის ღალატი. მართალია, ონისეს მოკვლით იგი ბუნების წინააღმდეგ მიდის, მაგრამ, ჩემი აზრით, სწორედ ეს ქმედება აქცევს მას ხევსიბერ გოჩად, რადგან ამ ქნედებით იხსნება მთლიანად მისი პიროვნული სახე. თუმცა აქ იგრძნობა კიდევ ერთი ტრაგიზმი. წუთიერი აღელვების შედეგად, მან შვილის სისხლით შეიღება ხელები.

თუმცა ფაქტია, რომ თუ ძველი თემობა იყო შესანიშნავი, ეს ხდებოდა არა იმის გამო, რომ საზოგადოება უზრუნველყოფდა ცალკეული პიროვნებების ბედნიერებას, არამედ იგი მკაცრად ინარჩუნებდა ადამიანურ პრინციპებს: ღირსებას, კეთილშობილებას, სინდისს, სამართალს, შესაბამისად, ამ ტრადიციების კვლავ არსებობისათვის იბრძვის ხევსიბერი, ამოტომაც საკუთარ სისხლსა და ხორცს სწირავს მსხვერპლად. მართალია, ონისემ მიუტევებელი ცოდვა ჩაიდინა, მაგრამ საინტერესოა ჰქონდა თუ არა უფლება ხევსიბერ გოჩას, რჩეულთა შორის რჩეულს, უბრალო მოკვდავს ასეთი სასტიკი მსჯავრი გამოეტანა მეორე ადამიანისათვის, ასე შეუბრალებებლად დაესაჯა იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი დაემორჩილა მასზე ძლიერ გრძნობას?!

ჩემი აზრით, ხევსიბერს არ ჰქონდა ადამიანის, მით უფრო, შვილის მოკვლის უფლება, რადგან იგი ამით უფლის მცნებების წინააღმდეგ წავიდა, გაცილებით უფრო მძიმე ცოდვა ჩაიდინა, ვიდრე ონისემ. ქრისტიანულ სარწმუნოებაში ღმერთისათვის მიუღებელი და მიუტევებელი არის 3 ქმედება: ღვთის გმობა, კაცის კვლა და თვითმკვლელობა. აშკარაა, რომ პიროვნება, რომელიც 3 მომაკვდინებელი ცოდვიდან 2-ს ჩაიდენს, ვერ გამართლდება იმით, რომ ის ხევის მთავარი იყო და ასე მოქცევა მის უშუალო მოვალეობას წარმოადგენდა. სწორედ იმიტომაც, რომ ხევის მთავარი გახლდათ, ვალდებული იყო ალტერნატიული გამოსავალი ეპოვა.

ლიტერატურა :

1. ქართული ლიტერატურის ისტორია, ალ.ყაზბეგი, თბ., 1974, გვ. 372-378.
2. ახალი ქართულის ლიტერატურის ისტორია II, „ხევისბერი გოჩა“, თბ., 2003, გვ. 450-458.
3. გრ. კიკნაძე, ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები, ალექსანდრე ყაზბეგი, თბ., 1978, გვ. 326-330.
4. ლ. მინაშვილი, ლიტერატურული ნარკვევები და წერილები, თბ., 2003, გვ. 177-242.
5. თ. წონონავა, ლიტერატურული ნაწარმოებები სკოლაში, თბ., 2010, გვ. 303-320.
6. ახალი აღთქმა, მოციქ. წერილი კორინთელთა მიმართ, სტოკჰოლმი, 1996.

სოფიკო ძნელაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი, დოქტორანტურა

„გაუცხოებული გმირის მხატვრული პარადიგმა მე-20 საუკუნის 70-იანი წლების პროზაში“

ხელმძღვანელი: პროფ. თამარ პაიჭაძე

მე-19 საუკუნის ქართული მწერლობა ტრადიციული განვითარების გზით მიდიოდა თუმცა ახალი მეთოდოლოგიური რეალიზაციისკენ სწრაფვა იქაც შეინიშნებოდა. ამ მხრივ გამოირჩევა ვასილ ბარნოვის, ჭოლა ლომთათიძის და სხვათა შემოქმედება. რაც შეეხება მე-20 საუკუნის 70 დიან წლების ქართულ პროზას შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაფერი უფრო თვალსაჩინოდ წარმოგვიდგინა ნაირა გელაშვილმა, გურამ დოჩანაშვილმა და სხვა.

მნიშვნელოვანია 70 დიან წლების გამორჩეული ქართველი მწერლის გურამ დოჩანაშვილის შემოქმედების ის ნაწილი სადაც გაუცხოებული გმირის პრობლემა ყველაზე ნათლად წარმოჩნდება, აღნიშნული პრობლემები ერთდერთი განმსაზღვრელი ნიშანია პოსტმოდერნისტული მიმდინარეობის, რომელიც ნათლად წარმოადგენს ლოზუნგს “ღმერთი მოკვდაკვდ ღმერთის სიკვდილმა უამრავი კითხვა წარმოშვა, ადამიანები ყველას და ყველაფრის მიმართ კარგავენ შიშს. გაუცხოებული ადამიანი ეძებს მისთვის იდეალურად მიჩნეულ სამყაროს, სადაც სრულ თავისუფლებას ეზიარება.

გურამ დოჩანაშვილის შემოქმედების ერთ რომელიმე მიმართულების ჩარჩოში მოქცევა შეუძლებელია. მის თხზულებებში გარკვეული ასპექტით ასახულია, როგორც მოდერნისტული, ასევე რეალისტური მიმდინარეობის პოზიციები, ამავე დროს მწერალი იყენებს პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს. ამ მხრივ აღსანიშნავია, მისი მოთხრობა “ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოებიკკ, რომლისთვისაც ავტორს ქვსათაურად მიუწერია: “ფანტასტიკური მოთხრობაკკ ამ ნაწარმოებში ნათელია, რომ “კომენტატორის ნიღბის უკან თვით მოთხრობის ავტორი ანუ ავტორის ნიღაბი დგას (ანუ ორმაგ ნიღაბთან გვაქვს საქმე), რაზედაც ნათლად მიგვანიშნებს თუნდაც ავტორის მიერ მოთხრობელისთვის შერქმეული სახელი -ფრედერიკ მეკკ(1:98) - აღნიშნავს მკვლევარი ლევან ბრეგაძე.

გურამ დოჩანაშვილს თხრობა გადააქვს გამოგონილ სამყაროში, სადაც არაბუნებრივი და უჩვეულო ხასიათის გმირები მოქმედებენ. ამ ნაწარმოებში ძირითადად ორი სიუჟეტური ხაზია მოცემული. ერთი, ბესამეს თავგადასავალია, რომელიც ამ მოთხრობის ძირითად იდეურ ჩანაფიქრს წარმოადგენს და მეორე ფრედერიკ მე-ს ერთგვარი ლირიკული მონოლოგი პროსპერ მერიმეს “კარმენისკკ შესახებ, რომელიც ძირითად სიუჟეტურ ხაზში ნაწყვეტის სახითაა ჩართული, რაც პოსტმოდერნიზმისთვისაა დამახასიათებელი.

სოფლელ ობოლ ბიჭს ბესამეს, შემთხვევით შეხვდება მოხუცი მუსიკოსი, რომელიც ჩამოიყვანს მუსიკალური ტრადიციებით მდიდარ ქალაქ-ალკარასში. ბესამე არაჩვეულებრივი მუსიკალური ნიჭისა და დიდი გრძნობების მქონე ბავშვია, რომელსაც წმინდა და ამაღლებული სიყვარულით შეუყვარდება მოხუცი მუსიკოსის შვილიშვილი რამონა. ბესამე დადის კონსერვატორიაში, ეუფლება მუსიკის ჯადოსნურ სამყაროს და ესწრება პროფესიონალი მუსიკოსთა კონცერტებს. ერთხელ მას უთანხმოება მოუვიდა ისტორიის მასწავლებელთან-კარტუზო ბაბილონიასთან იმის გამო, რომ ბესამე ბეთხოვენს უფრო აფასებდა და პატივს სცემდა, ვიდრე ნაპოლეონს. ეს მასწავლებელი ბესამეს აღდგენით სამუშაოებზე გაამწესებს, აქედან იწყება მისი უცნაური ამბავი. ირკვევა, რომ აღდგენითი სამუშაოები ეს არის ვატერპოლოსთვის მზადება ისეთი ძალისხმევი მეთოდებით, რომლის ძირითადი მიზანია ადამიანის ფიზიკურად გაძლიერება და სულიერად დაცემა, იგი ხდის ადამიანს დაუნდობელს აკარგინებს ყოველგვარ ადამიანურ ღირსებებს. ამას კარგად ახერხებს სხვადასხვა ორი-

გინალური მეთოდების მეორე მწვრთნელი ჟუსტინო რექსაჩე. მოთხრობილი ამბავი რეალური ცხოვრებისეული ამბის შთაბეჭდილებას არ ტოვებს, მაგრამ გურამ დოჩანაშვილი იმდენად მხატვრულად გადმოგვცემს თავის ჩანაფიქრს, რომ მკითხველს მასში არაერთი საყურადღებო ქვეტექსტის ამოკითხვა შეუძლია. ვარჯიშის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ მწვრთნელი აღსაზრდელებს ჩაყრის ისეთ ვიწრო სენაკში, სადაც განძრევის საშუალება არა აქვთ და თავზე ვირთხებს დააყრის. მოსწავლეებს შორის სრული ისტერიკა სუფევს. ასეთი წვრთნის შემდეგ ბესამე, რომელიც უცოდველობის განსახიერება იყო, რადიკალურად გარდაიქმნება. მანამდე მოცარტის მუსიკის მოსმენაზე ოცნებობდა, ხოლო ამის შემდეგ, როდესაც შინ მობრუნებულს რამონამ უთხრა: “ჩქარა ბესამე კონცერტზე არ დაგაგვიანდესლ უკრავენ მოცარტსკკ, -ბესამემ ამბობს: “ერთი მაგისღრალაც უცხო ხმა ბოროტი ხმა ჰქონდაკკ ბესამემ თანდათან დაკარგა ადამიანური სახე. მწვრთნელი ასეთი შთაგონებით ზრდიდა მათ: “დაუნდობლები უნდა იყვნეთ, ჩემო კარგებო, სხვას თუ დაინდობ, ის არ დაგინდობს და ის არ სჯობია შენ არ დაინდო, შოშიებო ჰა? ვატერპოლოში ამხანაგობა ვის გაუგია დაუნდობლნი უნდა იყვნეთ. თვით ცხოვრებაა ვარეტოპოლო, თვითონ ცხოვრება და ყოველი მოქალაქის მთავარი მიზანი ისაა, რომ ცხოვრებაში გამარჯვებული გამოვიდეს. გამარჯვებული კი ისე ვერ გამოხვალ, სხვას თუ არ დაამარცხებ და სხვა რომ დაამარცხო, ამისთვის ათასნაირი ხერხი და ხრიკია საჭირო და ამეებს კი ვატერპოლოზე უკეთესად ვერაფერი შეგასწავლით “გვრიტნოკკ(2:123) მისი აღზრდილები თანდათან კარგავენ ადამიანის სახეს, ბესამემ ფიზიური ძალით ყველას გადააჭარბა, მას ყოველ ფეხის ნაბიჯზე უწევდა იმის დამტკიცება, რომ მიუხედავად ობლობისა, ყველას სჯობდა, ამ თავდაცვის ინსტიქტმა მხეცივით დაუნდობელი გახადა. ბესამე გახდა ცნობილი წყალბურთელი. მწერალმა გვიჩვენა ეპოქა, სადაც ყოველგვარი ფასეული იკარგებოდა, ინგრეოდა მორალურ-ზნეობრივი იმპერატივები ადამიანები კარგავდნენ ჭეშმარიტ სახეს, ეს იმ ეპიზოდთანაც ნათლად ჩანს, როდესაც ბესამე მის პირველ სიყვარულს რამონას ნადირივით ამოიღებს ილიაში და გასაუპატიურებლად ტყისკენ მიათრევს, აქ ჩანს ის საოცარი გარდატეხა, რომელსაც გარემო პირობები ახდენს ადამიანზე ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობამდე. მაგრამ ადამიანი, რომელიც ამ ბოროტებას დაუპირისპირდება, მოხუცი მუსიკოსია, რომელიც კვლავ ძლიერად იმოქმედებს ყოფილ მონაფეზე და ადამიანურ სახეს დაუბრუნებს მას. სიმბოლურადაა აღწერილი მოთხრობის ფინალი, მოძღვარს ბესამე შეჰყავს ბინძურ გომურში, ჩააყენებს მუხლამდე უნმინდურებაში, ხელში ფლეიტას დააჭერინებს და აამბორებს. ეს სიმბოლური ქვეტექსტი შეიძლება ასეც აიხსნას: თავიდან ადამიანის თუნდაც უცოდველი სული გარემო ფაქტორების ზემოქმედებით შეიძლება ჭუჭყსა და სიბნელებაში ჩაეფლოს. ამით ადამიანი კარგავს სიკეთის კეთების უდიდეს მადლს, მოყვასისადმი სიყვარულს და დაუნდობელ მხეცად გადაიქცევა, მაგრამ ხელოვნების წყალობით და მასთან ზიარებით შეუძლია პირვანდელი სახის დაბრუნება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოთხრობაში ჩართულია მეორე სიუჟეტური ხაზიც. ავტორი ფედერიკ მე-ს სახელით ესაუბრება მკითხველს, უფრო ხშირად კი პროსპერ მერიმეს “კარმენსკკ. ეს საუბრები წარმოადგენს მხატვრული პირობითობის ისეთ სახეს, სადაც იგნორირებულია დროისა და სივრცის ელემენტები. აფრედიკ მე გვიყვება კარმენის შესახებ და ამ გზით მოთხრობაში შემოაქვს მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ “ფანტასტიური მოვლენებიკკ, რადგან თავიდანვე ვიგებთ, რომ ეს “ფანტასტიური მოთხრობააკკ. ნაწარმოების დასაწყისში მოულოდნელადაა ჩართული ეს ეპიზოდი „აქ აფრედიკ მეს ცოტათი მოშივდა და გაახსენდა, ფანტასტიკურ ნაწარმოებში ფანტასტიკური მოვლენებიც საჭირო როა, ხოლო დანიშნულება ესე დააკისრა ისეთ მარტივ და ამ შემთხვევაში უწყინარ საგანს, როგორცაა სიგარეტი და მაშინვე თამბაქოს ნაწარმი “კარმენკკ (ნამდვილი კარმენიც თამბაქოს ქარხანაში მუშაობდა ერთ ხანს, სანამ მოლპულ გზას დაადგებოდა) გახსნა, ამოიღო ორი ღერი სიგარეტი, სამკუთხა ტაფაზე დადო, კარაქით შეწვა და მიირთვა კიდეცკკ(2:111) მოთხრობის ბოლოს საკრავს ორი დატვირთვა მისცა ავტორმა— თავისუფლება და სიყვარული ის რისკენაც ტანჯვით მიეახლებიან ხოლმე, ის, რაც სანწყისია ღვთური მადლისა. მწერალი აღფრთოვანებულია კარმენის პერსონაჟით “დიადმა ხელმა ვრცელი მოთხრობა დაწერა შენზე, მაშინ როდესაც, რამდენ უბი-

ნო ქალთა სქესის წარმომადგენელს შეცდომით დებუმაც კი არ ღირსებია. ის კი არა და, გადასარევი ოპერაც კი შეგვიტოხზეს შენზე მაშინ, როდესაც რამდენ დადებით ოჯახის შვილს აბლავლებული სიმ-
ლერაც კი არ ღირსებია. რა ნახეს მაინც შენში ასეთი, მაგრამ მიყვარხარ, მტკივიხარ, კარ-
მენკკ(2:147) კრიტიკოსთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ასეთი დამატებითი სიუჟეტური ხაზი ყოველ-
გვარი ლოგიკის გარეშეა ჩართული ნაწარმოებში. მათი აზრით, ამ მოთხრობის სტრუქტურაში ასეთ
ხერხს აკლია ფუნქციური დანიშნულება და არ ემსახურება მოთხრობის ძირითადი პრობლემის გახ-
სნას, მწერლისეული ჩანაფიქრის განვითარებას. ამ მხატვრული ელემენტის გამოჩენას ნაწარმოებში
ხელი შეუწყო დასავლეთის ლიტერატურით ზედმეტმა გატაცებამ.

ამასთან დაკავშირებით კრიტიკოსთა შორის განსხვავებული აზრი არსებობს, მაგალითად, ლე-
ვან ბრეგაძე აღნიშნავს, რომ „ვინც გურამ დოჩანაშვილის შემოქმედებას დაჰკვირვებია, ის უთუოდ
შეამჩნევდა მისი წერის მანერისთვის დამახასიათებელ ერთ თვისებას: მასთან ძლიერია ესეისტური
ნაკადი, რომელიც ორგანულად ერწყმის მხატვრულ ქსოვილს და სპეციფიკურ, ძალზე თანამედრო-
ვე ელფერს ანიჭებს ნაწარმოებს.კკ(1;102)

კრიტიკოსი თვლიდა, რომ ესეისტური ნაკადი ამ მოთხრობაში სწორედ ჩართული ეპოზოდების
სახით გამოვლინდა. ამგვარი ჩართული ეპიზოდები, ძირითად სიუჟეტურ ხაზთან ერთი შეხედვით,
მეტისმეტად დაცილებულ თემებზე ჩვეულებრივი მოვლენაა პოსტმოდერნიზმისთვის. ამ მოთხრო-
ბაში მეტატექსტები, “კარმენისკკ თემებზე “უსისტემობასკკ კი არ ამკვიდრებს, არამედ, პირიქით,
მხატვრული იდეის გამოკვეთას ემსახურება. თავისუფლების მოყვარე კარმენი აქ რექსაჩეს ზედმე-
ტად მორჩილ აღსაზღველებს უპირისპირდება.

ლევან ბრეგაძე აღფრედიკ მეს მხატვრულ სახეს “ავტორის ნიღბის საქრესტომათიო ნიმუშისკკ
უნოდებს. უკავშირებს მას “პოსტმოდერნისტულ ორმაგ ნიღბსკკ და აღნიშნავს; “აფრედიკ მეც
სტილური ეკლექტიზმით გამორჩეული მხატვრული ტექსტის შემაკავშირებელ ფაქტორად გვევლი-
ნება და მოვლენათა განვითარების ეპიცენტრიდან გვანვდის მეტატექსტუალურ კომენტარებს.

აფრედიკ მე ის მეტაპერსონაჟია, რომელიც თავისი კომენტარებით სათანადო განწყობას უქმნის
მკითხველს, ახდენს მის ორიენტირებას, განმარტავს უცნაური, არატრადიციული ხერხების გამოყე-
ნების მიზნებს. მოკლედ, მხატვრული ტექსტის მნიშვნელოვანი მაკონსტიტუირებელი (საფუძველ-
დამდები) პრინციპის განსახიერებაა.კკ(1;103-104) ამ ლიტერატურული ხერხის გამოყენებას მკვლე-
ვარი პოსტმოდერნისტულს უწოდებს და იქვე ყურადებას ამახვილებს ქვესათაურზე (“ფანტასტიუ-
რი მოთხრობაკკ)

„ეს პოსტმოდერნისტული თამაშია სიტყვის პოლისემიით. ფანტასტიკური უჩვეულოს, ჯერარ-
ნახულს, არაჩვეულებრივს, დიდებულსა და ბრწყინვალესაც ნიშნავს. ამგვარი ღრმად დაფარული,
ხუმრობანარევი თვითმეფასებაც წმინდანელის პოსტმოდერნია.კკ(1:106)

ამგვარად, ჩართული ეპიზოდი მოთხრობაში ავტორს მიზანმიმართულად აქვს გამოყენებული.
ამ მხატვრული ელემენტის გამოყენებით, ის უფრო მრავალფეროვნად და ხაზგასმულად გამოხა-
ტავს თავის ძირითად სათქმელს, რომ ნამდვილი ხელოვნების შესაქმნელად საჭიროა ორი არსებითი
ნიშანი; თავისუფლება და სიყვარული.

გურამ დოჩანაშვილი მთლიანად არ იზიარებს პოსტმოდერნისტული მიმართულების ყველა დე-
ბულებას, მაგრამ ერთი რამის თქმა კი თამამად შეგვიძლია, რომ ის საკმაოდ ხშირად იყენებს, ამ
მიმდინარეობისთვის დამახასიათებელ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს ესენია;

1) ავტორის ორმაგი ნიღაბი, რომელიც გულისხმობს მწერლის რეფლექსიას ტექსტსა და მისი
შექმნის პროცესზე.

2) ესეისტურ-თეორიული ჩანარტები.

3) ირონია, როდესაც ირონიზებულია არა მხოლოდ პერსონაჟის პოზიცია, არამედ გვხვდება
ირონია ავტორის პოზიციიდანაც.

4) ინტერტექსტუალური თამაში.

5) თამაში სიტყვის პოლისემიით.

- 6) სტილური ეკლექტიზმი.
- 7) მეტატექსტუალური კომენტარები.
- 8) მეტაპერსონაჟები.
- 9) სინტექსური წყობის რღვევა.
- 10) გრამატიკული და პუნქტუაციური წესების უარყოფა.

ყველა ზემოთ აღნიშნული მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალება გვხვდება გურამ დოჩანაშვილის მოთხრობაში “ვატერ(პო)ლო ანუ აღდგენითი სამოშაოებიკკ.

გურამ დოჩანაშვილის ერთ-ერთ გამორჩეული რომანია “სამოსელი პირველიკკ. სადაც კარგად არის ნაჩვენები გმირის ფსიქოლოგიურ, რელიგიური გარდატეხა, მწერალი ათასგვარი მხატვრული ხერხების წყალობით გვიჩვენებს, გზას, რომელიც გმირმა საკუთარი თავის შეცნობამდე განვლო, გზას რომელიც სავსე იყო უამრავი სირთულეებით, და რომელიც საბოლოოდ უფლისაკენ მიდიოდა. ნაწარმებში არის უამრავი პერსონაჟი, მეტატექსტების სიმრავლე.

თავად ავტორი რომანის დასაწყისში წერს „ეს წიგნი სიკეთესა და ბოროტებაზეა, მათ შეცნობაზე. სოფელ ბიჭ დომენიკოზე, ლტოლვილი კაცის ნაამბობის შემდეგ ის მშობლიურ სახლს-კარს ტოვებს და ლამაზ-ქალაქში მიდის.

თანდათან მრავალ ადამიანთან ურთიერთობისას, ის შეიმეცნებს, თუ რა არის მეგობრობა, სიყვარული, სიკეთე, პატიოსნება, გულწრფელობა.კკ(3;1)

რაც შეეხება გურამ დოჩანაშვილის რომანს “სამოსელი პირველიკკ რომელიც ნათლად გადმოგვცემს გაუცხოებული გმირის მხატვრულ პარადიგმას მასზე საუბრისას შეუძლებელია პარალელი არ გავავლოთ

თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეულ მწერალი პაულო კოელისთან. მწერლის მთავარი სათქმელიც ესაა, გმირმა უნდა შეიმეცნოს საკუთარი თავი, “ალქიმიკოსიკკ ამის ნათელი დადასტურებაა. კოელის მთავარი მოქმედი პირი სანტიაგო და დოჩანაშვილის რომანის მთავარი გმირი დომენიკო იმ ტიპის ადამიანები არიან, რომლებიც ცხოვრებისეული ამოცანის ამოსახსნელად ერთსა და იმავე გზას დაადგენენ, მიზნად დაისახეს მათთვის უცნობი სამყაროს ხილვა, სადაც მათი ცხოვრებისგან სრულიად განსხვავებული ამბები ხდებოდა, ამ სამყაროსკენ მიმავალი გზა უამრავი დაბრკოლებით იყო აღსავსე.

აღსანიშნავია, რომ არც ერთ გმირს ოჯახის მხრიდან არავითარი პრობლემა არ შექმნიათ, პირიქით-მშობლები შვილებს საკუთარი თავის ძიებაში დაეხმარნენ. როდესაც სანტიაგომ მღვდლობაზე უარი განაცხადა და თავისი სურვილი მამას გაანდო, მან არა თუ ხელი არ შეუშლა შვილს, არამედ გასამგზავრებელი ფულიც კი მისცა. სანტიაგომ იმ ფულით ცხოვრები იყიდა და ასე დაიწყო მისი თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრება. „და როცა მამა გზას ულოცავდა, შვილმა მის თვალებში ამოიკითხა, რომ, სიბერის მიუხადავად, ისიც მოგზაურობის დაუძლეველ ლტოლვას გრძნობდა, მაგრამ გულში იკლავდაკკ(4:12) შვილმა მამის სურვილების განხორციელება შეძლო. “ცხოვრება სწორედ იმით არის საინტერესო, შეიძლება ყველა სიზმარი ახდესიკ(4:13) -სწორედ ამ სიზმრის ასახდენად მიდის გმირი, სიზმრისა, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა. მან ეგვიპტის პირამიდების ხილვა გაიხადა ცხოვრების მთავარ მიზნად.

სანტიაგოს თუ სიზმარი აიძულებს უხილავი და შორეული სამყაროს შეცნობისკენ სვლას, დომენიკოს ამის სურვილს ლტოლვილი გაუჩინს, რომელიც ბედისწერამ მის სოფელში სრულიად შემთხვევით მიიყვანა.

დომენიკო ბავშვობაში ყოველთვის ერთსა და იმავე თამაშს თამაშობდა მუდამ შინიდან გარბოდა, მაგრამ ყოველთვის უკან ბრუნდებოდა. რას იფიქრებდა, რომ ამ თამაშს რეალობად აქცევდა მამისა და “სამოსელი პირველის დახმარებითკკ ლტოლვილი გაქრა, მაგრამ ჭაბუკს დაუტოვა უდიდესი სურვილი “ლამაზი ქალაქისკკ ხილვისა. მამამ მისცა ამ სამოსელიდან წილი, ასე დაადგა დომენიკო 6 ათასი დრაკანითა და მოგზაურობის დაუოკებელი სურვილით აღჭურვილი საკუთარი თავის შეცნობისკენ მიმავალ გზას.

ორივე გმირს ამ უცნობი მიმართულებით მიმავალ გზაზე ისეთი ადამიანები ხვდებიან, რომლებიც სწორი მიმართულებით სიარულს ასწავლიან. სანტიაგოს მელქისედეკი მფარველობდა, ხოლო დოკენიკოს მამა, რომლის არსებობას ჭერზე გაჩენილი ლაქით შეიგრძნობს.

ამ გზაზე ორივე მათგანს დიდი გაჭირვება გადახდებოდა, მოხვდებიან ბრძოლაში, საიდანაც მფარველების წყალობით თავს უვნებლად დააღწევენ, მაგრამ ყველაზე დიდი ბრძოლა ცხოვრებასთან ელით. დომენიკო მამის მიერ მიცემულ ფულს ხარჯავს მაშინ, როდესაც სანტიაგოს თავის შესანახად მუდმივი მუშაობა უნევს. გმირებმა, გაჭირვების გარდა, სიყვარულიც გამოსცადეს, სანტიაგოს ფატიმა, არაბი ქალიშვილი შეუყვარდება, ხოლო დომენიკო ცოლად შეირთავს ლამაზ-ქალაქელ ანა-მარიას, მაგრამ მასთან ყოფნა არ დასცალდა, ქალს უბედური შემთხვევის შედეგად კლავენ. სანამ ცოლ-ქმარი იყვნენ, მაშინაც არ გრძნობდა დომენიკო თავს ბედნიერად, მას ცოლი ყოველთვის შორეული და მიუწვდომელი ერვენებოდა, გრძნობდა, მათ შორის ვიღაც იყო, ის, ვინც თავისუფლად ცხოვრების საშუალებას არ აძლევდა. ცოლი მუსიკასთან “ღალატობდაკკ მას.

დომენიკოს ავტორი მგზავრად მოიხსენიებს იგივე ითქმის სანტიაგოზეც, ისიც მგზავრია, რომელიც ბედნიერებას ეძებს და პოულობს კიდეც. მას უყვარდება ქალი, რომელიც სიყვარულის ენაზე ლაპარაკობს, რომელიც სიყვარულისთვისაა შექმნილი.

“ყველგან უდაბნოს შუაგულში თუ დიდ ქალაქში, ერთი ადამიანი მეორეს ეძებს და ელოდება. როცა დგება მათი გზების გადაკვეთისა და თვალბეჭდის წამი, წარსულიც და მომავალიც აზრსა და მნიშვნელობას კარგავს, რჩება მხოლოდ ეს ერთი წამი და გასაოცარი რწმენა იმისა, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი ერთი და იმავე ხელით არის ნაწერი, ეს ხელი ადვიტებს სულში სიყვარულს და ტყუპისცალ სულს აპოვინებს ყოველს, ვინც შრომობს, ისვენებს ან განძს ეძებს.კკ(4;75)

ფატიმას უდაბნოში გაიცნობს სანტიაგო, იქ სადაც ძლიერი სიყვარული იციან და სადაც შეყვარებული ქალები სამყაროს აღსასრულამდე ელოდებიან საყვარელ მამაკაცებს. “უდაბნომ საჩუქარი მომიტანა და ეს შენ ხარკკ –უთხრა შეყვარებულს ქალმა.

ასევე უდაბნოში გაიცნობს სანტიაგო ალქიმიკოსს. მან ურჩია, საყვარელი ქალთან დარჩენის მაგივრად, განძის საძებრად წასულიყო, რადგან მასზე ფიქრი არასდროს მოასვენებდა. განძისაკენ მიმავალ გზაზე სანტიაგო მხოლოდ საკუთარი გულის მოსმენას ცრდილობს. ის შეიმეცნებს უფალს, რაც დაეხმარება კიდეც მიზნის მიღწევაში. დომენიკოც ასევე იპოვის თავის თავში უფალს, რაც ხდება საფუძველი “უძლები შვილის დაბრუნებისა.კკ მართალია, ის გლახაკი და უპოვარი ბრუნდება მშობლიურ სახლში, მაგრამ ბრუნდება სულიერად ამაღლებული და განწმენდილი, მისი დაბრუნების შემდეგ სამოსელი პირველი ცეცხლში ინთქმება, რაც ნიშნია იმისა, რომ დომენიკომ ცხოვრების უმთავრესი გამოცდა წარმატებით ჩააბარა.

რაც შეხება სანტიაგოს, ის ბელადის ტყვეობიდან თავის დაღწევის შემდეგ განძის საძიებლად მიდის, მისი გზამკვლევის როლს ალქიმიკოსი ასრულებს, ის ოქროს მისცემს, რადგან იცის, რომ ორჯერ გაძარცვეს და „ის, რაც ერთხელ მოხდა, შეიძლება აღარასოდეს განმეორდეს, მაგრამ ორჯერ მომხდარი აუცილებლად განმეორდება.კკ(4:79)

ეგვიპტეში მარტო დარჩა გმირი პირამიდების წინაშე, არ იცოდა, სად ეძებნა განძი და სასონარკვეთილებისაგან ატირდა, სიმბოლურია ის, რომ ცრემლის ადგილზე ქვიშაში ხოჭო მიცოცავდა, როგორც ავტორი გადმოგვცემს ხოჭო ეგვიპტეში ღმერთის სიმბოლო იყო. ეს ნიშანი სანტიაგოს უფრო მეტად აახლოებს უფალთან. “ფული რად მჭირდება, თუკი სიკვდილი მელის, ფული ნუთიერადაც ვერ გამიხანგრძლივებს სიცოცხლესკკ –ფიქრობდა სანტიაგო და თან განძს ეძებდა. პირამიდებთან ისევ მძარცველები ესხმიან თავს. ის იძულებულია, სამშობლოში დაბრუნდეს, სადაც ელის ის, რასაც ეძებს. ალქიმიკოსმა უკან დასაბრუნებელი გზა დაუტოვა სანტიაგოს, თავის საქციელს კი ასე უხსნის „რომ გამეფრთხილებინე, პირამიდებს ველარ ნახავდი. საცოდაობა იქნებოდა ამ სილამაზის უნახავად უკან დაბრუნება.კკ(4:126) თუმცა ეს არ იყო მხოლოდ პირამიდების გამო გავლილი გზა, ეს იყო გზა, სადაც სანტიაგომ საკუთარი თავი იპოვა და ეზიარა ყველაზე დიდ ბედნიერებას სიყვარულს. განძის პოვნის შემდეგ ფატიმასთან წასვლა გადაწყვიტა.

ნაწარმოებში ორივე გმირი სიყრმანვილის ასაკშია ნაჩვენები. იმ ასაკში, როდესაც ადამიანს ჰგონია, რომ საკუთარი ბედის შეცვლა შეუძლია, როდესაც ბედისწერას ებრძვის.

“სიყმანვილეში ყველა ადამიანმა იცის, რა ბედიც ელის. ცხოვრების ამ პერიოდში ყველაფერი გასაგებია და ყველაფერი შესაძლებელი, ამიტომ არ ეშინიათ, ისწრაფვიან იმისკენ, რისი გაკეთებაც სურთ. მაგრამ დროთა განმავლობაში იდუმალი ძალა არწმუნებთ, რომ ოცნების ასრულება შეუძლებელია. კკ(4:20)

თუმცა სანტიაგო ანგრევს ამ სტერეოტიპს. ის ცვლის თავის ცხოვრებას და ბედს, მიზნის მისაღწევად იბრძვის და აღწევს კიდეც, ამის ძალას აძლევს მელქისედეკის სიტყვები “ადამიანს მხოლოდ ერთდერთი მოვალეობა აკისრია ამქვეყნად ბოლომდე მიჰყვეს ბედს ეს არის მთავარი, დაიხსოვო, როცა გნადია რაღაც, მთელი სამყარო გეხმარება სურვილის შესრულებაში. კკ(4:22)

დომენიკო სანტიაგოს მსაგცად გარბის და ეს გაქცევა თავისუფლებისკენ სწრაფვა და საკუთარი თავის შეცნობისკენ მიმავალი გზაა. “უძლები შვილისკკ იგავის მსგავსად გმირები უკან ბრუნდებიან. ბესამე და დომენიკო სრულად გაუცხოებული გმირები არიან.

თავისუფლების სურვილით შეპყრობილ გმირებს სურდათ ვრცელი სამყარო ეხილა, ამ გზაზე, საკუთარი თავის გარდა, არავინ არ ელობებოდათ. სანტიაგოსთვის ცხვრები, მედუქნის ქალიშვილი და ანდალუსიის ველები ეს ყველაფერი მხოლოდ მიზნამდე მისასვლელი ბილიკები იყო. განძისკენ მიმავალი გზა მან უფლის მიერ გამოგზავნილი ნიშნებით შეიცნო. მანშეძლო იმის ამოკითხვა, რაც ცხოვრებამ შესთავაზა, უკან მორალურად და ზნეობრივად ამაღლებული დაბრუნდა.

“ვატერ(პო)ლო ანუ აღდგენითი სამოშაოებიკკ ამ რომანისგან განსხვავებით, “სამოსელი პირველიკკ, მართალია, არ ხასიათდება წმინდა პოსტმოდერნისტული მიმართულებით, მაგრამ მასში შეიძლება გარკვეულ წილად ამ ნიშნების დანახვა, რომანის რთული სტრუქტურული აგებულება ამის საშუალებას იძლევა.

თუმცა აღსანიშნავია, რომ 70დღიანი წლების ქართულ მწერლობაში გურამ დოჩანაშვილმა სრულად ახალი პრობლემები წამოჭრა, რაც პირდაპირ კავშირშია პოსტმოდერნისტულ მწერლობასთან, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ მწერლის ერთ რომელიმე ჩარჩოში მოქცევა შეუძლებელია. მთავარი პერსონაჟები გაუცხოებულები არიან იმ გარემოსთან სადაც უწევთ ცხოვრება, ამის გამო ხშირად თავად ქმნიან მოდერნიზებულ სამყაროს, რომელშიც მოქმედების სრული თავისუფლება აქვთ. პოსტმოდერნისტული მიმდინარეობა არ ცნობა საზღვრებს, რეალურსა და გამოგონილ სამყაროს შორის ზღვარი მოშლილია.

გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოებებში გაუცხოებული გმირის პარადიგმის გადმოცემას, ნოვატია მწერლის შემოქმედებაში ნათლად გამოვლინდა, რაც 21დე საუკუნის ქართული ლიტერატურის გარკვეულ ორიენტირადაც შეიძლება მოვიხაზოთ.

ბიბლიოგრაფია:

1. ბრეგაძე ლევან, „პოსტმოდერნიზმი ქართულ მწერლობაში“, ჟურნალი „სჯანი“, თბილისი, 88-110 6 2005 წელი.
2. დოჩანაშვილი გურამ, „ვატერ(პო)ლო ანუ აღდგენითი სამოშაოები“, „მოთხრობები“, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1987 წელი, 1-560.
3. დოჩანაშვილი გურამ, „სამოსელი პირველი“, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1990 წელი.
4. კოელიო პაულო, „ალქიმიკოსი“, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2004 წელი, 1-125.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

ქეთევან სამადაშვილი
უნივერსიტეტი, მაგისტრატურა

**მზით გალექილი გალახის პოეზია (ოთარ ჩხეიძის მხატვრული
სამყაროს გააზრებისათვის)**

ხელმძღვანელი პროფ: თამარ პაიჭაძე

ოთარ ჩხეიძე ქართული სიტყვიერების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი საოცრად თვითმყოფადი, ძარღვიანი ქართული სიტყვა ყოველთვის შეუღამაზებლად ასახავდა არსებულ რეალობას. მაშინ, როცა თვითგადარჩენის ინსტინქტით შეპყრობილი მწერლების ერთი ნაწილი მტყუან-მართალს ერთმანეთში ურევდა, ოთარ ჩხეიძე „გაუზზარავი მწერლური სინდისით“ აფასებდა მოვლენებს. როგორც ტ. ჭანტურია აღნიშნავს: „მისი რომანების სერიაში უკეთ, ვინემ რომელიმე სხვა თანამედროვე მწერლის წიგნებში, მოცემულია თითქმის მთელი მეოცე საუკუნის საქართველოს ცხოვრების რთული და საინტერესო სურათი.“[4,405]

მისი შემოქმედება გაჯერებულია წრფელი ადამიანური თანაგრძნობით – „მწერალიც იქაა, სადა ადამიანი შესჭიდებია ბედისწერასაო“, [1,212] – აღნიშნავდა თავად. მისი 22-ვე რომანი, უამრავი ბრწყინვალე მოთხრობა თუ ესე პერსონაჟთა საინტერესო გალერეას ქმნის, მაგრამ ამჯერად მწერლის გასაოცარ პეიზაჟებზე გავამახვილებთ ყურადღებას, მშობლიური მიწის შთაგონებით რომ გააცოცხლა შემოქმედმა.

სწორედ ამ პეიზაჟებითაა „ამოქარგული“ ოთარ ჩხეიძის მდიდარი მემკვიდრეობა. ავტორი უბადლო ოსტატობით ხატავს ქართულ სანახებს. ლამის ხელშესახებია მისი თოვლი, აისი თუ დაისი. კაკლიანში ანივლებული ჟრუანტელისმომგვრელი ქარი, ლურჯი სალამოები თუ მტვრიან გზაზე გაფენილი ნახირი.

მწერალი პოეტური უშუალობით აღიქვამს ადამიანურ გრძნობებზე მოძალებულ ბუნებას, აყურადებს მის მარადიულ, გამყინავ სუნთქვას, თითოეული ადამიანის მიერ ერთხელ მაინც განცდილს და ნაგრძნობს: „ქარიშხალი რას შეაკრთობდა, როგორ შეარხევდა ზეცა დამძიმებული შავი ღრუბლებითა, ქუში ღრუბლებითა... მაინც დაიგუგუნა დიდმა კაკალმა, რისხვითა და ზარით დაიგუგუნა, სადღაც დაიქუხა, სადღაც რაღაცა გასკდა და მიწა შეიძრა.“[1,487]

მხოლოდ ასეთი ზვიადი, დიდებული სტიქიის ფონზე შეიძლებოდა ცხოვრების წამიერებაზე ჩაფიქრებული ერეკლე ტატიშვილის მონუმენტური ფიგურის დანახვა: „ფოთლები წიოდა, წიოდა დიდი ფოთლები დიდი კაკლისა, ეს არ უშლიდა, ფიქრს არ უშლიდა, არ უშლიდა მოგონებებსა, უფრო შველოდა, ამოჰქონდა მიმქრალი და მინავლებული...“ [1,488]

მწერალი ყმანვილური უშუალობით შეჰხარის სოფლის მტვრიან შარავზაზე ავარდნილ ბორი-აყს. ან, იქნებ, ეს გულისგულში შემონახული ბავშვობის მოგონებებია, ისეთივე წმინდა და ლამაზი, როგორც თავად ბავშვობა.

მოთხრობაში „დედა“ ო. ჩხეიძე ლაკონიურად, ყოველი სიტყვის აწონვით, აღწერს სოფელში გაზრდილი ადამიანებისთვის საოცრად ნაცნობ, დაუვინყარ იდილიას: „ნახირი დაბრუნდა, დაბინავდა, მიწყნარდა ხმაური, ბლავილი, ზმუილი. მტვერი დაწკნა, ნახირისაგან შემოტანილი მტვერი. რძის სუნი დადგა ბაკებში. შორს ლიხის მთაგრეხილზე ჩამოფენილი წითელი ფარდა თანდათან დაილია, დავინროვდა, ზოლად გაიხლართა და ისიც გაქრა, უეცრად გაქრა, სილურჯე წამოვიდა, სიგრილე და სილურჯე მოედო სოფელსა.“ [1,445]

ასე წარმტაცად ბინდდება მის მშობლიურ სოფელში, ნალკოტადქცეულ მიწაზე. თუმცა ადამიანებს აქაც სტკივათ, აქაც აწუხებთ უერთმანეთობა, ენატრებათ და ელიან.

დინჯია მისი თხრობის სტილი, ქართლური იოტათი გამყარებული. ბუნების ყველაზე ამაღლებული, ამაღლევებელი პეიზაჟის მიღმა კი დიდი სევდა იგრძნობა – წარმავალობის, ტერფდამჩნეულობის: „ღრუბლები მისცურავდა ცაზედა, ლურჯსა, კრიალა ცაზედა, ღრუბელიც თეთრი იყო, თეთ-

რი, გადაპენტილი. მერე ღრუბელიც აიმღვრეოდა, ლურჯი ზეცაცა, ქარი იმიტომა ჰქროდა, იმიტომა ძრიალებდა ხეები.“[2, 211]

შთაბეჭქდავია თვითმფრინავიდან დანახული ალპური ზონის პეიზაჟი, „ყვავილების ზეიმში, სინათლის, სიქორფის ზეიმში“[3,427] გადამდნარი. მკითხველის თვალწინ სვანეთი ცოცხლდება თავისი პირველქმინილი დიდებულებით: „იქვე, საიდანაც ხელისგულივით მოსჩანდა სათავე ზესხოსი, ვეება ყინული ფრთილებიდან რომ ჩამოკიდულიყო, დაფებივით რომ ჩამოდიოდა ნაკადულები, ჩამოდიოდა და იხვეოდა, იგრინებოდა ხევის თითისტარზედა; ბზინავდა ხევი, მით უფრო ბზინავდა ნაკადულები და ყინვარები, მზე უხვად ეხვეოდა ყველაფერსა.“[3,427]

თითქოს სიტყვაძუნად, მაგრამ საოცარი დაგემოვნებით ხატავს მწერალი „თქორში გამოლანდულ“ სვანურ კოშკებს, უშგულის მშვენებას, შეჰხარის ლანდების, ვაჟკაცობის საუფლოს. მას, როგორც მისივე პერსონაჟებს, ჭაობის და ქვესკნელის ზღაპრებს ზეცისა ურჩევნია, „ლალი ფიქრი რომ იცის, ალტაცებისმომგვრელი.“[3,427]

მწერალს განსხვავებული, საკუთარი სამყარო აქვს: ამალეებული, ღრუბლებში მორიალე, ირეა-ლური ხილვებით სავსე: „ეჰა, სადირბოზე განელილა მზეი და ჩახჩახა ღრუბლებში ლივლივებს დოქი, მისცურავს, ლივლივებს, ლივლივებს დოქი.“[1,517] სიტყვის განმეორება ამდაფრებს ალქმას, შთაბეჭქდილებას.

განსაკუთრებით მშვენიერია კალმის მაგიური ძალით გაცოცხლებული ტბის პეიზაჟი: „... ის ტბა რო იყო, ხარისთვალაი, ლამაზი ტბაი, ღრმაი, სევდიანი, დალლილი გზითა, განვლილი გზითაცა და გასავლელითაცა, – მაინც რო უნდა ადგეს და ნავიდეს, იაროს, იაროს და იაროს.“ [2,343]

ო. ჩხეიძესთან თოვლს რალაც სულ სხვანაირი, საკრალური დატვირთვა აქვს: „ჰაერი იყო გაყინული, გაყინული და წმინდა და საახალწლო კიჟინა რეკდა, როგორც ზარი, ზარი ძლიერი, უხილავი“[1,496] – ამ მოთხრობაში სპეტაკ სითეთრეში ჩაძირული მოხუცის კარ-მიდამო თითქოს განგაშის უხილავ ზარს აუტანია, რასაც ფანტელების ოდნავგასაგონი შრიალი და მიტოვებული, ადამიანის მარჯვენას მოკლებული ეზო ადასტურებს.

სხვაგან მწერალი გულისფანცქალით მიუყვება დათოვლილ ფრიალოებს, ასე მშობლიურს ქართველი კაცისთვის: „ფრიალოები ბზინავდა მზიგულადა, დათოვლილი მწვერვალებიცა ბზინავდა, ოლონდ სხვადასხვაგვარადა ბზინავდა და სხვასხვაგვარ შიშსაც გამოსცემდა შელამებისასა, ტყეც დაიბუზუნებდა.“[1,397] მის „ნაკრძალისეულ“ პეიზაჟზე თითქოს ის შიშიცაა გამოხატული, ხელუხლებელმა, ტყეში ჩაფლულმა ბუნებამ რომ იცის, ქარიანში ფიჭვნარის კენესას რომ ნააგავს. ამ ზღაპრულ საუფლოში ერთგვარად გამარტივებულია ცხოვრება – „ამაო ყოფის ამაო საზრუნავისგან“ თავისდახსნის, მოლულუნე ბუხართან განმარტოებისა და ჩაფიქრების დაუოკებელი სურვილი იგრძნობა.

ოთარ ჩხეიძის პერსონაჟები, ცხოვრების ორომტრიალისაგან გადალლილნი, ხშირად უბრუნდებიან ბავშვობის კერას, რათა თვალთაგან ბურუსი გადაინმინდონ, თავიდან, თუ ეს შესაძლებელია, პირველი ნაბიჯებიდან, დაინყონ ყველაფერი. მათ თითქოს სწადიათ განვლილი გზის, გადატანილი ტკივილების წაშლა. მწერალს სწამს, რომ მათი ჩამქრალი, დანაცრებული გრძნობების გამოფხიზლება მშობლიურ სანახებს, ნაცნობ პეიზაჟებს, ბუნების ნიაღს, მიწას შეუძლია: „ირგვლივ სრული მდუმარება იყო, სდუმდა დათოვლილი მინდორი, დიდი მინდორი, რომელსაც თავს წასდგომოდა ზვიადი, დათოვლილი მთაგრეხილი, სდუმდა, გამტკნარებულიყო მიდამო, ხოლო თოვლი ხასხასებდა, ფერად-ფერად სხიოდა ძალმილეულ, დალლილ მზისქვეშა. ცა მდუმარებდა, თოვლში ჩაფლული.“[3,268]

რომანში „ბორიაყი“, 1924 წლის პოლიტიკურ მოვლენებს რომ ასახავს, ბუნების პეიზაჟები საოცრად ორგანულად, უშუალოდ ესადაგებიან განწირული ადამიანების სულის მდინარებას.

„ბორიაყი“ თითქოს მონუმენტური მხატვრული ტილოა, ერთი ამოსუნთქვით დახატული, ორიგინალური, ქარიშხლიანი.

ირგვლივ მტვერია, „მტვერი აგვისტოსი, ბულიანი აგვისტოსი“, შემანუხებელი ახალგაზრდა, იმედებით სავსე მოგზაურისათვის, სულ მალე თავადაც რომ დასწრულდება სიმარტოვითა და შიშით.

რომანი მუქი ფერებითაა დახატული. ღვთის მსგავსად და ხატად შექმნილი ადამიანების სისასტიკე და გაუტანლობა ერთი დიდი, უსაშველოდ განვლილი ღამის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა მწერალი ამ წკვარამ სიბნელეშიც პოვებს გამოსავალს, – ეს მიწაა, ქართული მიწა, ღმერთთან, მარადიულობასთან გაიგივებული. მისგან მიდიან და მასვე უბრუნდებიან ადამიანები: „მიწას მიჰქონდა დარდი, მიწა იტევდა ყველა ფიქრსა, ურვასა, ვაებასა. მიწა აცხრობდა ყველა მღელვარებასა, შმაგ ვნებებსა, ვნებებს აღმრევთა ცხოვრებისასა, მიწის აღრევა აღარ შეეძლოთ. სიმშვიდე ამოდიოდა მიწიდანა, ნიბისის მიწიდანა.“[2,175]

მისეული მიწა თითქოს ცოცხალია, ფეთქავს, სუნთქავს. მწერალი მიწასთან აიგივებს ქართული თვითმყოფადობის ფესვებს, ჩვენს იდენტობას.

ქართული მიწის ხელთუქმნელ სანახებს შეეხიზნა ზურაბ ქვაცხელიც, „ცხრანყაროს“ პერსონაჟი, სოფლის თავკაცი, თუმცა, ბედის უკუღმართობით, თანასოფლელებისაგან გარიყული.

იგი პირველქმნილი ბუნების შვილია, ფუტკრებთან და ირმებთან მოსაუბრე, ტყის ქომაგი: „ირემი ტყისაა, ტყემ იცის ტყისა!“[2,353] – აცხადებს ზურაბი.

რომანი დიდოსტატის კალმითაა დაწერილი. მწერალი აცოცხლებს ქართული მთიანეთის ზეამტაც სურათებს, ადამიანების სულის მეოხად რომ ჩნდებიან და ქრებიან: „იდგა ჟამი სავსე მთვარისა, მზე ჩადიოდა და თითქოს არცაო, ისე ჩადიოდა, მთვარე მაშინვე აენთებოდა, მისდარაჯებოდა ჩამავალ მზესა. ...ტყეც ანათებდა, ენთო და ანათებდა ყველა და ყველაფერი, – იდგა ჟამი სავსე მთვარისა.“[2,378]

მხოლოდ გულბოროტი ადამიანები არღვევენ თავიანთი სისასტიკით ბუნების იდილიას. იმ დღეს, უმანკო ნუკრი რომ დაჭრეს, „სისხლად ჩავიდა მზეი, სისხლის კვალი დასტოვა გზაზედა. ეს ჩაბრძანება არ ვარგოდა, ავადა ბზინავდა ეს სისხლის კვალი. ...ის დიდხანს გაჰყურებდა სისხლიან კვალსა, ღრუბლის ქულათა სისხლიანთა...“[2,353]

არადა, ისეთი მშვენიერია განთიადი ცხრანყაროზე, მდუმარე დიდებულებით რომ ხვდება მომლოცველთ! მწერალი თითქოს ჯადოსნური კალმით ახერხებს საოცრად ცოცხალი, მფეთქავი, დინამიკური სურათების შექმნას: „ცვარნამი დიდხანსა ციმციმებს მზეზედა, ციმციმებს ყვავილები ცვარნამით გალუმპული, ციმციმებს და მირბიხარ, ციმციმებს და ელავს, სრიალებს, გადაიტალღება ფერადფერადა, ცისარტყელებად გადაიტალღება... გესმის ჩურჩული ტყისა, მათაა ჩურჩული, ჩურჩული ბუნებისა, დუდუნი ღვთაებრივი...“[2,417]

ოთარ ჩხეიძის რომანებსა თუ მოთხრობებში განსაკუთრებული თანაგრძნობითაა გამოკვეთილი ბუნებაზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცის სახე, დასურათებულია უაღრესად ქართული პეიზაჟები.

თავად მწერალი თავისი შემოქმედების მუხტს მშობლიური მიწის ნიალიდან იღებდა – შემთხვევითი როდია მრავლისმეტყველი მინანერი მისი რომანებისა თუ მოთხრობების ეპილოგზე – „ყელ-ქცეული, ესა და ეს წელი“...

ამ დიდებული, თვალწარმტაცი პეიზაჟების მიღმა დგას ღრმად ჩაფიქრებული, ქართულ მიწა--წყალზე უზომოდ შეყვარებული მწერალი, რომლის მთელი შემოქმედება „მზით გალეპილი ბალახის“ პოეზიაა.

ბიბლიოგრაფია :

1. ჩხეიძე ო., ორტომეული, ტ. II, თბ., 1974;
2. ჩხეიძე ო., „ბორიაცი“, „ცხრანყარო“, თბ., 1984;
3. ჩხეიძე ო., „ბურუსი“, „აღმართ-დაღმართი“, „ნაკრძალი“, თბ., 1979;

ვიოლეტა ავეტისიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტურა

**აღმოსავლეთისა და დასავლეთის დიალოგი გრიგოლ რობაქიძის რომანში
„გველის პერანგი“**

ხელმძღვანელი პროფესორი: თამარ ლომიძე

გრიგოლ რობაქიძე (1880-1962 წ.წ.) არის მე-20 საუკუნის ქართული „ინტელექტუალური ემიგრაციის“ ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი. ემიგრაციამ დიდი ზეგავლენა მოახდინა მწერლის მსოფლმხედველობაზე და თავისებურად განაპირობა მისი შემოქმედების მხატვრული სურათი. მწერალი, თავისი წიგნების სიუჟეტის განვითარებისთვის, ირჩევს როგორც აღმოსავლურ, ასევე დასავლურ სამყაროს. რობაქიძის მხატვრულ პროზაში ჩვენ ვხვდებით მრავალი ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხს. მათი კულტურის, ცხოვრებისა და ხასიათის აღწერით მწერალი ამდიდრებს თავის შემოქმედებას. რობაქიძის ნაწარმოებებში ჩვენ შეგვიძლია ვიხილოთ როგორც აღმოსავლური და დასავლური კულტურების წარმომადგენელთა ურთიერთობა, ასევე მრავალი კულტურის მხატვრული სინთეზი. ამის ნათელი მაგალითია გრიგოლ რობაქიძის რომანი „გველის პერანგი“ (1926 წ.).

ამ წიგნში მოქმედება ვითარდება ძირითადად სპარსეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე. მაგრამ ავტორი არ განსაზღვრავს მოცემული რომანის შინაარს მხოლოდ სპარსელებისა და ქართველების ცხოვრების აღწერით; იგი მრავალი ეროვნებისა და რასის წარმომადგენელთა ბედზეც გვიამბობს. რომანში ნათქვამია: „რუსები. ლიტველები. პოლონელები. ბერძნები. ოსები. ქართველები. სომხები. ყველაზე მეტი დ რუსები. მათზე მეტი დ ქართველები. კიდევ მეტი დ სომხები. პროფილები: ასსარგადონიდან კარაპეტამდე“ [რობაქიძე 1988: 67].

აღსანიშნავია, რომ „გველის პერანგი“-ს იმ ეპიზოდებში, როდესაც მოქმედება ირანში ვითარდება, ავტორი ამა თუ იმ პერსონაჟის ეროვნულ იდენტობაში გარკვევას ცდილობს. მაგალითად, რომანის მთავარ გმირს მწერალი შეიყვანს თხრობაში შემდეგი სიტყვებით: „ქვის ლომთან ზის უცხო კაცი. <...> უცხო კაცი არ არის: არც სპარსი არც ოსმალის არც ჰინდუ არც ებრაელი არც სლავი არც ფრანგი არც გერმანელი. არც ქართველი?!“, დ ეკითხება თავის თავს მთხრობელი. და აქვე ჩნდება ვარაუდი, რომ უცხო კაცი „ჰგავს მხოლოდ ინგლისელს. ისიც პირველი შეხედვით“ [რობაქიძე 1988: 15]. ან მაგალითად, რომანის ერთ-ერთი პერსონაჟის აღწერა: „კაცმა არ იცის: ბერძენია ტრაპიზონიდან თუ სომეხი როსტოვიდან თუ აისორი ურმიიდან“ [იქვე: 33]. ხანდახან ავტორს უჭირს ადამიანის ეროვნების კონკრეტული განსაზღვრა, მაგალითად: „გენერალი ნ. ნ. ბარათოვი დ ოსი თუ კაზაკი თუ ორივე ერთად“ [იქვე: 17], დ ვარდება საგონებელში მწერალი.

გრ. რობაქიძემ ამაოდ არ შეარჩია ირანის ტერიტორია, ანუ აღმოსავლური სივრცე „გველის პერანგი“-ს სიუჟეტის ძირითადი ნაწილის განვითარებისთვის. მწერლის სტატიაში „სიცოცხლის განცდა დასავლეთსა და აღმოსავლეთში“ ამის ახსნა მოიძებნება. მწერალი ამბობს: „აღმოსავლეთში დედამინა უფრო მეტია, ვიდრე წმინდა ჰესის: ის კოსმიური ყოფიერებაა, რომელშიც მითის სუნთქვა აღმოცენდება. ადამიანი ამ ლანდშაფტში პატარა ჩანს, თითქმის შეიძლებოდა გვეთქვა დ ერთი ციდა. თვით ლანდშაფტს ადამიანის აღმატებული სიდიდე აქვს. დრო აქ არ მიედინება, ის, სივრცეში ამაღლებული, გაქვავებულია დ და წამი თავის თავში მარადისობას ინახავს. <...> აღმოსავლეთში კითხულობენ: „საიდან?“ და აუჩქარებლად მოლოდინში რინდდებიან. დასავლეთში კითხულობენ: „საით?“ და მოუთმენლობით მოუსვენრად დრტვინავენ...“ [2].

მოცემულ რომანშიც გადმოცემულია მწერლის დამოკიდებულება აღმოსავლური და დასავლური კულტურების მიმართ, ავტორი ამბობს: „<...> დასავლეთში არ იციან „მამა“. იქ „შვილია“ მხოლოდ. ისიც მოწყვეტილი. აღმოსავლეთში ჰამლეტ შეუძლებელია: მამას მოცილებული. აქ არც ფაუსტია: მამას რომ დაეძებს. ჩვენში „შვილი“ იმთავითვე მამის წიაღშია. ეს კანტის თავში არ შევა.“ [რობაქიძე 1988: 46]. აქედან გამომდინარეობს „გველის პერანგი“-ს პერსონაჟების მთავარი პრობლემა, დ

ისინი ხომ თავიანთ „ძირებს“ მოწყვეტილნი არიან. ეს არის მათი ტკივილი და დარდი. მათ აერთიანებს სევდა, ნოსტალგია თავიანთ ისტორიულ სამშობლოზე. მაგალითად, რომანის ერთ ეპიზოდში არჩიბალდ მეკემის „თანამგზავრი დ 50 წლის ჰებრაელი დ განზე გაჩერებულა და კლდეების მიმართ რალაცას მღერის... რას მღერის?! თუ რას სტირის?!“, დ ფიქრობს არჩიბალდნი. „ჰებრაელიც რალაცას უხმობს დ (თუ იგონებს?!). უხმობს ალთქმულ ქვეყანას. იგონებს ძველს მამულს. სევდა უცნოის. ოხვრა უთქოის“ [რობაქიძე 1988: 119], დ ნათქვამია წიგნში. მაშასადამე, „გველის პერანგში“ გრ. რობაქიძე ხაზგასმით აღნიშნავს ადამიანის კავშირს თავის „ძირებთან“, ანუ წინაპრებთან და ისტორიულ სამშობლოსთან. რომანის მიხედვით, ეს კავშირი დროს არ მიეკუთვნება და იარსებებს მანამდე, სანამ არსებობს კაცობრიობა. ამის გაცნობიერება კი, რომანის მიხედვით, სწორედ აღმოსავლურ სივრცეში ხდება.

უნდა აღინიშნოს, რომ გრ. რობაქიძე საქართველოს, თავისი კულტურით, აღიქვამდა როგორც აღმოსავლეთის ერთ-ერთ ნაწილს. „გველის პერანგში“ ნაჩვენებია ავტორის მიერ მშობლიური კულტურული სივრცის აღქმის თავისებურებათა ხასიათი. მაგალითად, ქართული სიმღერის აღწერით მწერალი გვიხატავს საქართველოს ისტორიას, კულტურასა და ბუნებას. ნაწარმოებში ნათქვამია: „მღერიან „მრავალჟამიერს“ კახურს: რომელიც მოდის როგორც ალაზნის ველი. ჯერ ნელი. მერე ახშირებული. მერე ამწვარი. შემდეგ ნაპირებგადალახული. ბოლოს: მოქნეული როგორც სალტე. აქ ლხინია ვაჟკაცის რომელიც ომიდან დაბრუნდა გამარჯვებული. მღერიან „მრავალჟამიერს“ ქართულს: რომელიც იღვრება როგორც ქართლის ველი მდორე. ჯერ ისიც შენელებული. შემდეგ გაქანებული. შემდეგ ქედგაზნექილი. ბოლოს ქედამართული. აქ არის ციხის დაცვა მეციხოვნეთა მიერ: რომელთაც იციან განდობა და გატანა. გაუძლებს ციხე ყოველთვის შემოსეულებს?! და სიმღერას ბოლოში გაგუდული ბოლმა გადაჰკრავს ოდნავ. მღერიან მაღალ „დელიას“. თითქო დამცხრალ გრიგალს იმერთა მთებიდან შენელებით ხევებში ჩაშვებულს“ [იქვე: 37]. აქ მწერალი აღნიშნავს, რომ „ეს სიმღერა იშვიათია: საქართველოშიაც კი. აქ არის: კახის ლხინი და ხმალი დ ქართლის სიმტკიცე და ფარი დ სვანის ჯავშანი და „ლილე“ დ ხევსურის შუბლი და შემართება. მღერიან. მღერიან: თითქო დედოფალი მოჰყავდეთ... ერთიმეორეს გადაჭდობილ ხმლებზე“ [რობაქიძე 1988: 37].

რომანის მიხედვით, ქართულ ცეკვაში კი გამოხატულია მთელი ქართველი ერის ხასიათი. წიგნში ნათქვამია: „მოშორებით უკრავს საზანდარი დ (ახლოვდება). ცეკვავენ „ლეკურს“ <...>. ვაჟი გამოიხმობს სათნოების დაჰს ქართველს. <...> რამდენი ვაჟური შეტევა და რამდენი ქალური გარინდება?! რამდენი კამარა სიყვარულის თუ ტრფიალის პოემის?! ბოლოს: თითქო ქალის დატყვევება და აჭრილი კამარით მის გატაცება. მაგრამ არა. ტყვე ქმნილი ქალი ვაჟის მკლავებისათვის მთელი სხეულით გადახსნილი დ (თითქო ეს ათამაშებული სხეული აფეთქილი გულია მარტო) დ უეცარი მოსხლეტით ვაჟის რკალიდან გავარდება ქალწულური დარცხვენით. ცეკვა თითქო წყდება: არ თავდება. ეს ბეჭედია ქართული რასის და მისი სირაინდის. <...> ეხლა „მთიულს“ ცეკვავენ. რიტმი სადა დ მაგრამ ლამაზი როგორც პირველსუნთქვა ატეხილი ჭალების. მარტო ცეცხლი. მარტო ატეხვა. მარტო სიგიჟე. ხალისი პირველმინის. ლხენისათვის ეს პირველრიტმი უფრო ლალია და ზღუდეგადამლახავი. ცეკვავენ ერთსა და იმავეს. მაგრამ დ ეხლა გვარობით. ერთი გვარი ერთი იერით ცეკვავს. მეორე დ სხვარიგათ. მესამე დ კიდევ სხვანაირად. ირკვევა არა მარტო რასსა მთელის დ არამედ ჯიშის ცალკეულ გვარის“ [იქვე: 39-40].

„გველის პერანგში“ ასევე აღწერილია სხვადასხვა კულტურათა თავისებური შეჯახება და შერწყმა. მაგალითად, რომანის ერთ-ერთ ეპიზოდში ნათქვამია: „სომხების სუფრაზე თარი. ვილაც გასაოცრად უკრავს. თარი ნელდება და მეორე კაცი დაირს იღებს. შეათამაშებს ხელში და ყურთან მიიტანს: და... გაჰკივის მწარედ ბაიათს... უეცრად ქართული სუფრიდან გაისმის სმური: დ გაუმარჯოს იმ ამბავს: რომ სომეხი სპარსეთში ქართული სიტყვებით სპარსულ ბაიათს გაჰკივის“ [იქვე: 70-71]. რომანის სხვა ნაწილში, სადაც მოქმედება უკვე თბილისში ვითარდება, მწერალი გამოხატავს აზრს და გვაჩვენებს თავის დამოკიდებულებას კულტურათა სინთეზის მიმართ. წიგნში ნათქვამია: „სიტყ-

ვა ქართული. ბაიათი სპარსული. ხმა „ყარაჩოღელის“. რასსის დომხალი?! აქ თუა წვალეზა“ [რობაქიძე 1988: 210], – ფიქრობს რომანის ავტორი.

წიგნში ასევე გამოხატულია ერთ-ერთი გმირის და ამერიკელი მილიარდერის ფერგიუს ურვორის უტოპიური იდეა, სურვილი შეიქმნას იდეალური სამყარო სადაც მხოლოდ გამორჩეული ადამიანები იცხოვრებენ. რომანში ნათვამია: „ფერგიუს ურვორ უცნაური კაცია. მას აქვს ვილლა ხმელთაშუა ზღვის პირას გამართული. <...> იგი იწვევს ყოველ ზაფხულს რჩეულ პირებს ევროპის ყველა კუთხეებიდან. ჰქმნის მათთვის ახალ ქვეყანას. ცხოვრობს შექმნილი ქვეყნით“ [იქვე: 19]. ამ გმირს მხოლოდ ის ანუხებს, რომ „მთელი მისი ვილლა მთელი მისი მორთულობით მთელი მისი სტუმრებით მთელი მისი მიდამოებით და არ შეუძლია მას გადაისროლოს ბადესავით თვითონ ზღვაში და გახადოს იგი მცურავ კუნძულად. სამი დღის შემდეგ (კი დ ვ. ა.) ვილლა ხმელთაშუა ზღვის პირას უდაბურია“ [იქვე]. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ურვორის სტუმრებს „ძირებმა გაიტაცეს“ [რობაქიძე 1988: 24].

რომანის მიხედვით მხოლოდ რელიგიას შეუძლია სხვადასხვა ეროვნების, კულტურისა და მრწამსის ადამიანთა გაერთიანება. ნაწარმოებში ნათქვამია: „მალღობზე და ტაძარი ოზირისის. ტაძარში გაისმის სახელიც „ელოლჰიმის“. არაბები და სემიტები და ჰებრაელები და შავკანიანი ტომები: ყველანი იქ მიდიან წირვისა და ლოცვისათვის“ [იქვე: 120]. აქედან გამომდინარე, სწორედ წმინდა ადგილებში სიტყვები „რუახჰ ელოლჰიმ“, ანუ „თითოეული და მთელი“ ჭეშმარიტ აზრს პოულობენ და მათი ღრმა არსი სრულიად გასაგები ხდება.

ბიბლიოგრაფია

1. რობაქიძე 1988: გრ. რობაქიძე, გველის პერანგი. ფალესტრა. თბილისი, მერანი, 1988.
2. გრ. რობაქიძე, სიცოცხლის განცდა დასავლეთსა და აღმოსავლეთში// <http://burusi.wordpress.com/2010/02/04/grigol-robakidze-7/> (ბოლო ნახვა - 15.06.2012).

თათია ლაბაძე

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

ნერსე ერისთავის მხატვრული სახის რეცეფცია თანამედროვე ქართულ მხარლობაში

ხელმძღვანელი პროფესორი: მაკა ელბაქიძე

ნერსე II ერისთავის შესახებ ისტორიული წყაროები ძალიან მწირ ინფორმაციას გვანვდის. თანაც ჩვენემდე მოღწეულ ცნობებში არეულია ამ პერიოდის ქართლის მმართველთა ზეობის წლები და თანმიმდევრობა. კ.კეკელიძე აღნიშნავს: „რალაც ნაგლეჯები შემოუნახავს ისტორიულ გადმოცემას, მაგრამ ერთმანეთშია არეული ყველაფერი“ სხვა მკვლევრებიც მიუთითებენ, რომ ნერსეს ზეობის პერიოდის რალაც მონაკვეთი მატრიანიდან უსათუოდ ამოვარდნილია. სხვადასხვა წყაროების მონაცემები ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა.

ისიც აღსანიშნავია, რომ როდესაც ამა თუ იმ ისტორიულ წყაროებში ნერსე მეორეა დასახელებული, ის ყოველთვის იხსენიება გაკვრით და ყოველთვის რაიმე მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით, მაგალითად, „მატიანე ქართლისაი“ გვაუწყებს: „რამეთუ მამაადარნესეს ნერსე, ძე ვარაზ-ბაკურ ანთიპატრიკისა, და ამის ვარაზ-ბაკურის მამა, სახელით გუარამ კურაპალატი, ძე პირველისა სტეფანოზისი და ძმა დემეტრესი,- ესენი გარდაცვალებულ იქნეს.“

მეორე ისტორიული წყარო, სუმბატ დავითის ძის ქრონიკაც, ასევე, გაკვრით და სასხვათაშორისოდ გვაუწყებს: „და მერმე ერისთავობდა ნერსე და ძენი მისნი ფილიპე და სტეფანოზ და ადარნესე და ძენი მისნი გურგენ ერისთავი, აშოტ კურაპალატი...“

„მოქცევაი ქართლისაის“ ერთ ვარიანტში ვკითხულობთ: „და მერმე ერისთავობდა ნერსე დიდი და ძენი მისნი ფილიპე და სტეფანოზ, ადარნესე და გუარამ...და ძენივე ადარნესესნი აშოტ და გურგენ...“

ნერსე ერისთავის მხატვრული სახე საკმაოდ მკრთალად და სქემატურად არის წარმოდგენილი ქართულ აგიოგრაფიულ მწელობაში, კერძოდ, „აბოს წამებასა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში.“ ნერსე ერისთავის პიროვნება აქ, ისევე როგორც ისტორიულ მატრიანებში, ნაჩვენებია სხცა მოვლენებთან თუ პერსონაჟებთან დაკავშირებით.

იოანე საბანისძის „აბოს წამების“ მეორე, აგიოგრაფიული თავი ნერსე ერისთავის ამბის თხრობით იწყება: „რამეთუ იყო ჟამი, ოდეს ერისმთავარი იგი ქართლისაი სახელით ნერსე, ძეი ადარნესე კურაპალატისა და ერისმთავრისაი, მოწოდებულ იქმნა ქვეყანად ბაბილოვნისა მფლობელსაგან მის ჟამისა სარკიმოზთაისა ამირა მუმნისა აბდილაისაგან, რომელი იყო ქალაქსა მას დიდსა ბაღდადს, რომელიცა იგი მან აღაშენა.“(ძეგლები 1963:55).

ხოლო შესმენითა ბოროტთა კაცთაითა საპყრობილესა შეაგდო მან ნერსე, ერისთავი ქვეყანისა ამის ქართლისაი.“ თხზულებაში არაბთა ხალიფისგან შერისხული ერისთავის მხატვრული სახე ქართლისთვის მეტად რთული ვითარების ფონზეა წარმოჩენილი: „მიერთგან და ვიდრე აქამომდე ნაშობნი რისტეანეთანი გარდაგვლარძნეს– რომელნიმე მძლავრებით რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკვრებით. და სხვანი, რომელნი–ესე ვართ მორწმუნენი, მძლავრებასა ქვეშე დამონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა ხარკსა ქვეშე მათსა გვემულნი და ქენჯნილნი, ძვირ-ძვირად ზღვეულნი, შოშითა განილევან და ირყევან, ვითარცა ლერწამნი ქართაგა ძლიერთა. არამედ ქრისტეს სიყვარულითა და შიშითა, ჩვეულებისაებრ მამულისა სღვისა, ჭირთა მოთმინებითა არა განეშორებიან მხოლოდშობილსა ძესა ღმრთისასა.“(ძეგლები 1963:50).

როგორც ისტორიული წყაროებიდანაა ცნობილი, ქართლში პოლიტიკური ვითარება განსაკუთრებით დამძიმდა აბბასელი გვარის პირველი ხალიფების მეფობაში, რომელთაც შემოიღეს მკაცრი სარწმუნოებრივი, მაჰმადიანური მიმართულება პოლიტიკაში. მათ დრს ხალხი, დიდი და პატარა, შე-

ვინროებული იყო. ქვეყანა მძიმე ტვირთქვეშ იჭყლიტებოდა. ამ მკაცრ მმართველთა გუნდს ხალიფა მანსურიც ეკუთვნოდა, რომლის მმართველობის მეორე ნახევარში, კერძოდ, 772 წელს იგი „მონოდე-ბულ იქმნა ქუეყანად ბაბილოვანისა“ (ჯავახიშვილი, 1977:81).

ფაქტია, ნერსეს ბაღდადში ხმოზა სერიოზული პოლიტიკური მიზეზებით იყო გამოწვეული. ამირა მუმინი აბდილა ქართველთა ერთგულებისათვის უწყებოდა ერისთავს და მოსვლისთანავე „შეს-მენითა ბოროტთა კაცთაითა შთააგდო საპყრობილესა ნერსე ერისთავი ქვენისა ამის ქართლისაი და პყრობილ იყო იგი მუნ ჟამადმდე სამისა წლისა ვიდრემდის ბრძანებითა ღმრთისაითა მოკუდა აბდი-ლა ამირა მუმინი და დაჯდა მის წინ ძეი მისი მაჰდი. ხალიფა მაჰდიმ გამოიყვანა ნერსე „მწარისა მის-გან საპყრობილისა და განუტევა იგი კუალად ერისმთავრობით აქა ქვეყნადვე თუისად.“ ნერსე ერისთავს მაინც დიდხანს ვერ უსიამოვნებია არაბებისათვის და ბოლოს მაინც „კუალად იყო გან-რისხებაი ხელმწიფეთა მათ სარკინოზთაი ნერსე ერისთავსა ზედა. სასტიკად ჰბრძოდეს მას სარკი-ნოზთა ერი“, ამიტომ „ივლტოდა იგი“ ჩრდილოეთისაკენ პოლიტიკური თაშესაფრის და დახმარების მისაღებად „როგორც ჩანს, ხაზართა მეფემ, რომლის დახმარების იმედიც ჰქონდა ერისთავს, ვერ გა-ბედა არაბთა წინააღმდეგ რაიმე ქმედითი ღონისძიებების განხორციელება. შედეგად, ნერსემ ბიზან-ტიის მძლავრი „ფრთის ქვეშ“ მყოფ აფხაზეთს მიაშურა „სადაც ლეონ მეფის კარზე დროებით თავშე-საფარი ჰპოვა ოჯახის წევრებთან და თავის ამაღლასთან ერთად.

„შემდგომად სივლტოლისა მის ნერსეისისა ქართლით წარმოავლინა მაჰდი ამირა მუმინმან ბრძა-ნებითა ღმრთისაითა სტეფანოზ ძე გურგენისი ერისთავისაი, დისწული ნერსეისა ერისმთავრად ქვე-ყანასა ამას ქართლად“. ესე ამბავი გახარებია ნერსეს და დაშვიდებულა, „რამეთუ უფლები იგი სახ-ლისა მისისაგან არა განაშორა ღმერთმან“. მან არაბთა ხალიფას შინ დაბრუნების ნებართვა სთხოვა და თანხმობის მიღების შემდგომ ერისთავობის პატივყარილი თბილისში დაბრუნდა.

რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ მწირი ცნობებიდან? მართალია, ამ თხზულებიდან გამომ-დინარე ჩანს, რომ ნერსე ერისთავი საკმაოდ მნიშვნელოვანი პიროვნება იყო, რომ, ფაქტობრივად, აბოს სულიერი მეტამორფოზა სწორედ მას უკავშირდება, მგრამ თავად ნერსეს სახე კი მეტად მკრთალადაა წარმოდგენილი ნაწარმოებში. კონკრეტულად არც ის ვიცით, თუ რატომ შეიპყრეს ნერსე, ან მეორედ რატომ დატოვა თბილისი. ავტორი არ განმარტავს, რომ მისი ხაზართს წასვლა ან-ტიარაბული მიზნებით უნდა მომხდარიყო. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ავტორი თითქოს განზრახ მოსავს იდემალებით ნერსეს პიროვნებას. იგი მხოლოდ ფონია აბოს მხატვრული სახის წარმოსაჩენად.

(ჭელიძე 1976:35) ნესეს ცხოვრებიდან მხოლოდ ის ეპიზოდებია მოხმობილი, რაც აბოს თავგადა-სავალის უმთავრეს მომენტებს უკავშირდება.

მეორეხარისხოვანი პერსონაჟის ხატვის ამგვარი მანერა აგიოგრაფიული ძეგლის სპეციფიკით უნდა აიხსნას. ამ ჟანრის თხზულებებში ყურადღება კონცენტრირებულია მონამისა ან მოღვანის სუ-ლიერ მისიაზე და არა, თუნდაც, გამორჩეული ისტორიული პირის მოღვაწეობაზე, ამ შემთხვევაში ავ-ტორის მიერ შემუშავებული იდეოლოგიურ- მსოფლმხედველობრივი კონცეფცია, ასეთი იყო: როცა ქართლის გადარჩენა ომით შეუძლებელია, ის იდეოლოგიურად უნდა გადარჩეს. (ელაშვილი 2009:130) ეს პოზიცია, რომელიც ნაწარმოებში განმტკიცებულია აბოს მონამეობრივი ღვაწლის ჩვე-ნებით (აბო მაგალითია რწმენაშერყეული ქართველებისათვის) სერიოზული მსოფლმხედველობრივ დატვირთვას იძენს გიორგი მერჩულის თხზულებაში, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. შემთხვევი-თი არაა ის ფაქტიც, რომ „უდაბნოთა ქალაქმყოფელის“, „ზეცისა კაცის და ქუეყანისა ანგელიზის“, გრიგოლის „სულიერი აღზრდა მზადდება ქართლში, სწორედ ნერსე ერისმთავრის ოჯახში, წარჩინე-ბულთა, დიდებულთა თუ მართლმორწმუნეთა წრეში. ამგვარად უნდა ვივარაუდოთ რომ ნერსეს კარზე ხდება შორსგამიზნული და მასშტაბური ეროვნულ-განმათავისუფლებელი კონცეფციის შე-მუშავება და, ამასთანავე, იმ სახელმწიფოებრივი საწყისების წარმოშობა, რომელიც დავით აღმაშე-ნებლის და თამარ მეფის ეპოქაში უმაღლესი სახელისუფლო ცნობიერების ჩამოყალიბებაშია გამო-ხატული. ყოველივე ამისთვის ამ ეტაპზე აუცილებელი იყო ქართული ეკლესიის „ცნობიერი ავტოკე-

ფალია“ რაც გრიგოლ ხანძთელის სახელთანაა დაკავშირებული. ეს კი მომავალში იქცა საბაბად და საფუძვლად ერთიანი სახლმნიფოს შექმნისა.

საგულისხმოა ის გაერმოება, რომ სწორედ სასულიერო ძეგლის სააზროვნო სივრცეში, კონკრეტული ისტორიული პირის კერძოდ, ნერსე ერისთავის საკმაოდ მკრთალი შტრიხებით მოწოდებული სახისმეტყველებითი პორტრეტი ეხმარება მკითხველს აბოს და „ გრიგოლ ხანძთელის ღვანლის“ ცნობიერ გაშინაარსებაში. (ელაშვილი 2009:137).

ამგვარია ნერსე ერისთავის მხატვრული სახის რეცეფცია ქართულ აგიოგრაფიაში. საინტერესოა, როგორ გარდასახა მისი მხატვრული სახე XX საუკუნის რეალისტურ პროზაში?

ვლადიმერ ტატიშვილის რომანი „აბო თბილელი“ სიუჟეტურად მიჰყვება აგიოგრაფიულ ტექსტს. მოქმედება ბალდადიდან იწყება იმ მომენტში, როდესაც საპყრობილიდან გათავისუფლებილ ნერსეს ტკივილების დასაამებლად აბოს მიუჩენენ. პირველივე ნახვისას ჩნდება რაღაც უხილავი კავშირი არაბ ყმანვილსა და ქართლის ერისმთავარს შორის.

„ეს ყმანვილი, - ფიქრობდა ნერსე,- ქვეყნის მბრძანებლებსა და დიდებულებს ემსახურება. განა განებივრებული ადამიანები ჩასწვდებიან მისი ოსტატობის დიდ ძალას? ღმერთმა იგი გააჩინა იმათ იმედად, რომლებმაც ტყვეობის სისასტიკე იგემეს.“ (ტატიშვილი 1984:4).

დასწვდებულ ნერსეს შვება მიანიჭა აბომ, ერისთავიც მოხიბლულია მისი პროფესიონალიზმით და პიროვნული თვისებებით: „მართლაც ამაყი ყმანვილია“-აღნიშნავს იგი. ამავე დიალოგში ნერსეთი მოხიბლული აბო მზადაა მას გაჰყვეს ქვეყნის კიდემდე: - „თქვენ ყველაზე ვაჟკაცური ადამიანი ხართ, ჩემო ხელმწიფე, დედამინის ზურგზე თქვენი ტოლი ვერ მოიძებნება!“ მოვლენის ასეთი სწრაფი განვითარება საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ მართლაც რაღაც ზებუნებრივი კავშირი არსებობს ამ ორპიროვნებას შორის. ამასვე ამყარებს ნერსეს ნათქვამი ფრაზა: „მართლაც ჩვენ ერთმანეთს არ უნდა დავშორდეთ, აბო.“ (ტატიშვილი 1984:6).

რომანში ნერსეს სახე ახალი პორტრეტული შტრიხებით ივსება, რასაც, ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოკლებულია აგიოგრაფიული თხზულების პერსონაჟი. როგორც რევაზ სირაძე შენიშნავს, „აგიოგრაფიაში გვაქვს ხატი და არა პორტრეტი, უფრო სწორად, ხატის შტრიხები“. აქ გმირის სახე იძენება აგიოგრაფიული შაბლონის მიხედვით. (სირაძე, 1987:3).

სამაგიეროდ, რეალისტურ რომანში მოცემულია ნერსე ერისმთავრის ფსიქოლოგიური პორტრეტი, მისი განცდები, ემოციები, სისუსტეები ისიც ნიშანდობლივია, რომ ქართლის ერისთავის სახე შეფასებულია სხვა პერსონაჟოს, ამ შემთხვევაში აბოს პოზიციიდან, რაც თანამედროვე რომანის ერთ-ერთი მახასიათებელია: „აბოს დანგრეულმა მეტეხმა ნერსე მოაგონა, სწორედაც რომ ტაძარს შეადარა იგი: „ნერსე ისეთი იყო როგორც ეს ტაძარი, მისი დანგრევა შეიძლებოდა მოსპობა კია არა“. ამ რომანში ნერსეა მთავარი ფიგურა და რომანის სიუჟეტიც ნერსეს ირგვლივ ვითარდება. (ტატიშვილი, 1984:275).

ნოდარ წულეისკირის ნაწარმოებში „ღვანლი და წამება აბოსი და იოანესი“, ნერსეს სახე ოდნავ განსხვავებულადაა წარმოდგენილი. ერისმთავარი ნაკლებად ებმება პოლემიკაში და გულჩათხრობილ პიროვნებად გვევლინება. არაბეთიდან დაბრუნებული, სიკვდილს სასწაულებრივად გადარჩენილი ნერსე კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა. თუმცა ნაწარმოებში გაოკვეთილია ის თვისებები ერისთავისა, რომლებიც სავსებით შეესაბამება მის ისტორიულ როლს. ავტორი ნერსეს თავისუფლებისათვის, ადამიანური ღირსებისათვის მებრძოლ გმირად გვიხატავს. რომანში ხაზგასმულია ისიც, რომ ნერსე აბოზე განსაკუთრებულ იმედს ამყარებს. ერისმთავრის აზრით, ამ ჭაბუკმა მნიშვნელოვანი მორალური დარტყმა უნდა მიაყენოს არაბებს, რაზეც, ფაქტიურად დამოკიდებულია ქართლის მომავალი ბედი.

ამ თვალსაზრისით განსხვავებულ სურათს ვაწყდებით პოსტმოდერნისტულ რომანში „ღვინომუქი ზღვა“. როგორც ვიცით, პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია. ტექსტის ან მოვლენის თავისუფალი ინტერპრეტაცია. ინტერპრეტაციის თავისუფლება, და, ამავე დროს, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა თავისთავად შედეგია იმისა, რომ ამ ეპოქაში აღარ არსებობს ბლო-

ლიტურის ქეშმარიტების, უნივერსალური იდეის ან ერთიანი სისტემის გაგება და, შესაბამისად, მათ-დამი ერთგულების აუცილებლობა. შუასაუკუნეებში ზოგად მოვლენათა თუ ლიტერატურულ ტექსტთა გააზრება ხდებოდა ღვთისადმი, აბსოლუტისადმი მიმართებით. ამდენად, ინტერპრეტაცია, ამ ცნების პოსტმოდერნული გაგებით, ანუ მოვლენათა გააზრება ინდივიდუალური პოზიციის თანახმად, მიზეზობრივი საფუძვლების ინდივიდალური შერჩევით, ფაქტობრივად დაუსჭვებელი იყო და ერესის საფრთხემდე მიდიოდა. აზრობრივი მოღვაწეობის მიზანი ამ შემთხვევაში იყო არა თითოეული მოვლენისათვის საკუთარი მიზეზის, საკუთარი სარსებო სივრცის მოძიება, არამედ მათი აღქმა ღვთიური ჩანაფიქრის საფუძველზე, შესაბამისად ღვთიური ქეშმარიტების იდეასთან და ერთიან სარწმუნოებრივ სივრცეში მათი ადგილის მოძებნა.

პოსტმოდერნისტული ინტერპრეტაცია კი არის სწორედ ის, რაც ამგვარი ერთიანობის დარღვევის შედეგად შეიძლება მივიღოთ, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ ამ შემთხვევაშიც პოსტმოდერნიზმის პროცესიც მოდერნიზმში იღებს სათავეს, რამდენადაც სწორედ ამ ეპოქაში მოხდა ერთიანი სარწმუნოებრივ - მსოფლმხედველობრივი სივრცის დაშლა, ინდივიდის მოწყვეტა ამ სივრცისგან, ინდივიდუალური პოზიციის დაპირისპირება ზოგად, ტრადიციულ პოზიციასთან და სუბიექტური ქეშმარიტების პრიორიტეტის აღიარება ობიექტური ქეშმარიტების ყავლგასულ იდეასთან მიმართებაში. (სჯანი 2005:23).

შესაბამისად, ზურაბ ქარუმიძის რომანში პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი სპეციფიკითაა გადმოცემული მთავარი სათქმელი. ჩარჩოებშია მოქცეული ისტორიული და აგიოგრაფიული თხზულების პერსონაჟი, რის შედეგადაც ვიღებთ ნერსეს სრულიად განსხვავებულ სახეს. ავტორმა „გადმოზრუნებული“ გამოსახულების მისაღებად თავისებურ ხერხს მიმართა- ერესთავის პიროვნება არა ისტორიულ რაკურსში, არამედ არაბების პოზიციიდან დაგვანახა. შესაბამისად, კეთილშობილი, გულადი, დიდბუნებოვანი ადამიანის ნაცვლად მივიღეთ მრისხანე, ეშმაკი და ცბიერი პერსონაჟი, მოლაღატეც კი. „ქრისტეს მიმდევართ ღალატი სჩვევიათ და ორგულობა არ შეიშვენა ნერსე ბატრიკმა გულმონყალება ხალიფა მაჰდის“. (ქარუმიძე 2000:213).

ბუნებრივია განსხვავებული ინტერპრეტაცია ეძლევა აბოს ქართლში ჩამოსვლასაც. „ყრმა იყო ჭაბუკი 17 წლისა და შათანიც იმიტომ შეუჩნდა და შეაცდინა... ნერსე ბატრიკსა წამოყვა ჯურზაანის ქალაქ თიფლისში“ (ქარუმიძე 2000: 212).

როგორც ვხედავთ, აგიოგრაფიული პერსონაჟი თანამედროვე რომანში თავისებური ინტერპრეტაციით წარმოგვიდგება:

1) ის იძენს ხასიათის ნიუანსებს, აგიოგრაფიული შაბლონით დაშვებული არ არის, შესაბამისად, აქ დახატულია მისი შინაგანი სამყარო გრძნობები, განცდები.

2) აგიოგრაფიულ თხზულებებში ნერსე მეორეხარისხოვანი პერსონაჟია. რეალისტურ რომანებში კი ერთ-ერთი მთავარ ფიგურად წარმოგვიდგება შესაბამისად, მისი ხასიათის გახსნა ხორციელდება სხვა პერსონაჟებთან დიალოგის, პოლემიკის ელემენტების გამოყენებით.

3) პოსტმოდერნისტული რომანი, ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, გვთავაზობს ნერსეს სრულიად სანინააღმდეგო სახეს, მის „ამოზრუნებულ“ გამოსახულებას. ამ შემთხვევაში ისტორიზმის პრინციპი უგულებელყოფილი არ არის, თუმცა კი ეს მოსალოდნელი იყო ამ ტიპის რომანისთვის. უბრალოდ, ქართლის ერესთავის სახეცვლილი პორტრეტის შესაქმნელად გამოყენებულია სხვა ხედვის კუთხე, განსხვავებული რაკურსი-არა ის, თუ რა იყო ნერსე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ელაშვილი ქ. სიტყვით თრობა. თბილისი: ბაკმი 2009
2. სირაძე რ. ქართული აგიოგრაფია. თბილისი: 1987
3. ტატიშვილი ვ. აბო თბილელი. თბილისი: მერანი 1984.
4. ქარუმიძე ზ. ღვინომუქი ზღვა. თბილისი : აზრი 2000.

5. ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები. თბილისი :1987.
6. ნიფურია ბ. ინტერპრეტაციის თავისუფლებიდან თამაშის უფლებამდე. თბილისი: სჯანი 2005.
7. წულეისკირი ნ. ღვანლი და წამება აბოსი და იოვანესი. თბილისი: მერანი 1981.
8. ჭელიძე ვ. ქართლის ცხოვრების ქრონიკები. თბილისი 1997.
9. ჯავახიშვილი ი. თხზულებანი. ტ.VIII . თბილისი: მეცნიერება, 1977.
10. ჯავახიშვილი ი. თხზულებანი. ტ.II . თბილისი: მეცნიერება, 1983.

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის

ნინო მათეშვილი, მარიამ ლამბაშიძე
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

ნორვეგიის სამეფო: სოციალურ-ეკონომიკური დახასიათება

ხელმძღვანელი: პროფ. კახაბერ ლორია

1. რატომ ეს ქვეყანა?


ვიდრე ქვეყნის დახასიათებაზე გადავიდოდეთ, სოციალურ-ეკონომიკური კრიტერიუმების მიხედვით, გვინდა ორიოდ სიტყვით მოგახსენოთ იმის შესახებ, თუ რამ განაპირობა ჩვენი არჩევანი.

ერთის მხრივ ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ ნორვეგია არის მრავალმხრივად განვითარებული, მონინავე ევროპული სახელმწიფო, რომელიც სამაგალითოა ყველა დანარჩენისთვის. ამას ნათლად ქვემოთ მოცემულ დახასიათებაშიც ვიხილავთ.

მეორეს მხრივ ჩვენი არჩევანი განპირობებულია იმით, რომ ვსწავლობთ ნორვეგიულ ენას და გვაქვს ნორვეგიულ ხალხთან ურთიერთობის ბედნიერება, რაც გვიორმაგებს ინტერესს ამ ქვეყნის მიმართ.

ვფიქრობთ, თემაზე მუშაობის პროცესში ბევრ, როგორც ჩვენთვის, ისე თქვენთვის საინტერესო ფაქტს აღმოვაჩინოთ ნორვეგიის სამეფოს შესახებ.

2. ქვეყნის ზოგადი დახასიათება (ქვეყნის სახელწოდება, ფართობი, სახელმწიფო წყობა, ტერიტორიული ორგანიზაცია)



დროშა



გერბი

ნორვეგია, ოფიციალურად ნორვეგიის სამეფო, მდებარეობს ჩრდილოეთ ევროპაში, სკანდინავიის ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილში. მისი დედაქალაქია ოსლო. ეს უკანასკნელი, ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს და წარმოადგენს ნორვეგიის უდიდეს ქალაქს.

ქვეყნის ფართობია 385 252 კვ.კმ.

ნორვეგია ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვით უნიტარულია და იყოფა 19 მსხვილ ადმინისტრაციულ ოლქად. თავის მხრივ, ეს 19 ოლქი იყოფა 430 მუნიციპალიტეტად. ოლქებს ხელმძღვანელობენ მთავრობის მიერ არჩეული მმართველები დ გუბერნატორები, ხოლო მუნიციპალიტეტებს დ მერები. ნორვეგიაში არის 96 დასახლება, რომელსაც ქალაქის სტატუსი გააჩნია. უმეტეს შემთხვევაში, ქალაქების საზღვრები ემთხვევა შესაბამისი მუნიციპალიტეტის საზღვრებს.

ნორვეგიის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა:

ISO-კოდი	ოლქი	ადმინისტრაციული ცენტრი	ყველაზე მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტი
01	სტფოლდი	სარპსბურგი	ფრედრიკსტადი
02	კერჰუსი	სლო	ბარუმი
03	სლო	ქალაქი ოსლო	სლო
04	ედმარკი	ამარი	რინსაკერი
05	პლანი	ლილეჰამერი	იევიკი
06	უსკერუდი	რამენი	დრამენი
07	Vესტფოლდი	თიონსბერგი	სანეფიორი
08	თელემარკი	შიენი	შიენი
09	აუსტ-აგდერი	რენდალი	არენდალი
10	ვესტ-აგდერი	კრისტიანსანი	კრისტიანსანი
11	ლუგალანდი	სტავანგერი	სტავანგერი
12	ორდალანდი	ერგენი	ბერგენი
13	შონ-ო-ფიურანე	ლაიკანგერი	ფიორდე
14	იორე-ო-რუმსდალი	ოლდე	ოლესუნი
15	სურ-თრონდელაგი	თრონდჰაიმი	თრონდჰაიმი
16	ნურ-თრონდელაგი	შტეინჰერი	სტეინჰერი
17	ურლანი	უდიე	უდიე
18	თრომსი	თრომსო	თრომსო
19	ინმარკი	Vადსო	Vადსო

წყარო: http://en.wikipedia.org/wiki/Norway#Administrative_divisions

ნორვეგია მმართველობის ფორმის მიხედვით საპარლამენტო კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაურია მეფე დ ჰარალდ V (დ V, 1991-დან), მთავრობის მეთაური კი პრემიერ მინისტრი დ იენს სტოლტენბერგი (Jens Stoltenberg 2005-დან).

საკანონმდებლო ორგანოა სთურთინგი დ იგივე პარლამენტი. სთურთინგი შედგება ორი პალატისაგან დ ლათინგი (45 წევრი) დ ოდელს-თინგი (124 წევრი).

3. ქვეყნის მდებარეობა

ნორვეგია სკანდინავიის ნახევარკუნძულზე მდებარეობს. მას უკავია ნახევარკუნძულის დასავლეთი ნაწილი დ არქტიკული არქიპელაგი - შპიცბერგენი. ნორვეგია მოიცავს უამრავ კუნძულსა დ ფიორდს - მცირე ზომის ყურეებით ღრმად დაკბილული საზღვაო სანაპირო. ფიორდები ზღვის ტალღებისგან დაცულ ბუნებრივ ნავმისადგომებს ქმნიან. ქვეყნის უმაღლესი მწვერვალია დ გალჰოპინგენი (2 496 მ.). ქვეყანა გადაჭიმულია 25000 დ 83000 კილომეტრზე. ნორვეგიას აქვს 1629 კმ სიგრძის სახმელეთო საზღვარი შვედეთთან, 727 კმ დ ფინეთთან დ 196 კმ საზღვარი აღმოსავლეთით - რუსეთთან. ჩრდილოეთით, დასავლეთით დ სამხრეთით აკრავს ბარენცის, ნორვეგიისა დ ჩრდილოეთის ზღვები; აგრეთვე სკაგერაკის სრუტი.

ნორვეგია არქტიკულ წრეში მდებარეობს, რის გამოც მისთვის დამახასიათებელია მკაცრი კლიმატი.

4. ქვეყნის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის სამეურნეო შეფასება

ნორვეგია მდიდარია სხვადასხვა სახის ბუნებრივი რესურსით

ოფშორული ჰიდროკარბონატების ბუნებრივი საბადოები აღმოაჩინეს 1960 წელს, ხოლო მისი შემდგომი გამოყენება-განვითარება დაიწყო 1970-იან წლებში. პროდუქციის ზრდა შეინიშნა 90-იან წლებში. ამ პერიოდში ნავთობის სექტორი გაფართოვდა დ გახდა უმნიშვნელოვანესი, სტრატეგიული, ნედლეული ქვეყნისთვის. ამჟამად, მოპოვებული ნავთობის მოცულობა დაახლოებით 2,6 მლნ ბა-

რელია დღეში. 2010 წლის მონაცემებით, ნორვეგია იყო მსოფლიოში რიგით მე-7 უდიდესი ნავთობექსპორტიორი ქვეყანა, ხოლო დღეს მე-5 ადგილს იკავებს. 2010 წელს ქვეყნის შემოსავლის 26% ნავთობზე მოდიოდა. აღსანიშნავია, რომ ნორვეგიაში, ნავთობის ინდუსტრიაში ჩაბმულია 40 000 ადამიანი მოპოვებით სამუშაოებზე, ხოლო 25 000 ადამიანი დ ნავთობთან დაკავშირებულ სხვა საქმიანობაში. ნავთობის წარმოებამ პიკს 2000 წელს მიაღწია, თუმცა იყო საშიშროება, რომ ეს ტენდენცია დიდხანს არ შენარჩუნდებოდა. სამეცნიერო-ტექნოლოგიურმა პროგრესმა, მოპოვების ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებამ გააფართოვა მოპოვების არეალი და 2011 წელს ნავთობისა და გაზის დიდი ნაწილი მოიპოვებოდა ნორვეგიის კონტინენტურ შელფზე. სანავთობო ფონდები ემსახურება ქვეყნის განვითარებასა და სტაბილური ცხოვრების ხელშეწყობას.

ნორვეგია ფლობს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ბუნებრივ რესურსს და გაზს. მისი წარმოება ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სწრაფად გაიზარდა ახალი საბადოების აღმოჩენისა და ნავთობის შემცირების გამო. გაზის ექსპორტის მიხედვით, ნორვეგია მსოფლიოში მე-3 ადგილზეა, კანადისა და რუსეთის შემდეგ. ქვეყანა დასავლეთ ევროპაში მოიპოვებს ყველაზე მეტ გაზისა და ნავთობის ნედლეულს. მისი გაზისა და ნავთობის ექსპორტი ერთად საერთო ექსპორტის 47%-ს შეადგენს.

ნორვეგია მდიდარია რკინის საბადოებით, სპილენძით, ტყვიით, თუთიით, პირიტით, ტიტანით, ნიკელითა და მოსაპირკეთებელი მასალით. ასევე მდიდარია წყლის რესურსებით, რაც ქმნის დამატებით ნედლეულს და თევზს. თევზის რეწვა სანაპირო ზოლში მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყაროა. თევზის ექსპორტით მიღებული მოგება თითქმის 30 მლრდ კრონს შეადგენს.

ნორვეგია მდიდარია ტყისა და შიდა წყლის რესურსებითაც. ქვეყნის მთის მდინარეები მძლავრ ჰიდრორესურსებს ქმნიან. მიღებული ენერჯია თითქმის 100%-ით აკმაყოფილებს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებას და ამასთან ერთად ექსპორტის საშუალებასაც იძლევა.

5. ქვეყნის მოსახლეობა და მეურნეობის გეოგრაფიული სურათი

ნორვეგიის მოსახლეობა 4 707 270 ადამიანია, რომელთა 94,4% ნორვეგიელები და სამის წარმომადგენელი არიან (დაახლ. 60 000 კაცი). სამები ჩრდილოეთ ნორვეგიის, შვედეთისა და ფინეთის მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენენ. დანარჩენი მოსახლეობის 2,3% ევროპის სხვა ქვეყნების წარმომადგენლები არიან. ქვეყნის ოფიციალური ენაა ბუქმოლი და ნი-ორშკი, 6 მუნიციპალიტეტში კი საუბრობენ სამის ენაზე. მოსახლეობის 85,7% ევანგელისტ-ლუთერნები არიან, მუსლიმები და 1,8%.

ნორვეგიაში მოსახლეობის საშუალო ასაკია 40 წელი, ხოლო სიცოცხლის ხანგრძლივობა 80,3 წელია. მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურა შემდეგნაირია და 100 ქალზე მოდის 98 კაცი.

ნორვეგიის მოსახლეობის დინამიკის განხილვისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ როგორც ბუნებრივ ისე მექანიკურ (მიგრაცია) მოძრაობაზე. ბუნებრივი მოძრაობის კომპონენტები შობადობა – 10,8 პრომილეს (ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებით) და სიკვდილიანობა - 9,22 პრომილეს შეადგენს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივი მატება დაბალია და 1,2%. ნორვეგია მაღალ განვითარებული ქვეყანაა, შესაბამისად დემოგრაფიული გადასვლის მე-4 ეტაპზე იმყოფება. სწორედ ამას მონიშნავს ქვეყანაში სიცოცხლის მაღალი ხანგრძლივობა და ბუნებრივი მატების დაბალი დონე, რაც განპირობებულია იმით, რომ ნორვეგიაში კარგად არის ჯანდაცვის სფერო განვითარებული, მოქმედებს ოჯახის დაგეგმვის ინსტიტუტი, ხშირია გვიანი ქორწინებები, დიდია ქალის როლი საზოგადოებრივი საქმიანობის მრავალ სფეროში.

რაც შეეხება მიგრაციას, მისი კომპონენტებია ემიგრაცია და იმიგრაცია. დღეს ნორვეგიელ ემიგრანტთა რაოდენობა 4,7 მლნ-ია, რომელთა დიდი ნაწილი ცხოვრობს აშშ-ში. იმიგრაციის მხრივ ნორვეგია დიდი რაოდენობის მიგრანტთა სამშობლო გახდა. რაც შეეხება იმიგრაციას, აღსანიშნავია, რომ 2007 წელს 62 100 ემიგრანტი შემოვიდა ნორვეგიაში, რაც 2006 წელთან შედარებით 35%-ით მატებული იყო. სტატისტიკური მონაცემებით ბოლო წლებში ნორვეგიაში დაბადებული ბავშვების საერთო რაოდენობის 27% იმიგრანტებზე მოდის. იმიგრანტები ძირითადად არიან პოლონელები, გერმანელები, შვედები, ერაყელები, პაკისტანელები, რუსები.

მოსახლეობის დიდი ნაწილი სამხრეთნაწილში ცხოვრობს, რაც განპირობებულია ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით - მთაგორიანი რელიეფითა და მკაცრი კლიმატით. აქედან გამომდინარე, ნორვეგია დაბალი სიმჭიდროვით ხასიათდება და 12,5 კაცი 1 კვ. კმ-ზე.

ნორვეგიას საკმაოდ მრავალფეროვანი მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა აქვს. სასოფლო სამეურნეო პროდუქტებიდან ნორვეგია აწარმოებს: ქერს, ხორბალს, კარტოფილს და სხვა. ქვეყანაში განვითარებულია როგორც სარძევე ისე სახორცე მეცხოველეობა.

ნორვეგიის შრომითი რესურსი 2. 645 მილიონი ადამიანს შეადგენს. უმუშევრობის მაჩვენებელი 3.1 %-ია. მათგან 19-24 წლის უმუშევარი ახალგაზრდების რიცხვი დაახლოებით 9%-ია.

მოსახლეობის დასაქმება სექტორების მიხედვით შემდეგნაირია:

- სოფლის მეურნეობა და 2.9 %
- მრეწველობა და 21.1 %
- მომსახურების სფერო – 76 %

სოფლის მეურნეობის დაბალი ხვედრითი წილი ქვეყნის სამეურნეო სტრუქტურაში განპირობებულია რთული კლიმატური და სხვა ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით. ნორვეგიის ტერიტორიის 2/3 ტუნდრას, კლდეებსა და თოვლით დაფარულ მიწებს უკავია. ამის გამო, მიწის მხლოდ 3%-ია დამუშავებული ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ისიც მდინარის აუზებში.

მრეწველობას დარგებიდან ნორვეგიას განვითარებული აქვს: ნავთობისა და გაზის წარმოება, კვების, ქაღალდის, მსუბუქი და ქიმიური მრეწველობა, გემთმშენებლობა, ხე-ტყის გადამამუშავება და მოპოვებითი მრეწველობა.

როგორც ვხედავთ, მომსახურების სფეროში დასაქმებულია მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი, რაც ახასიათებს მაღალგანვითარებულ ქვეყნებს. ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტურიზმს. ნორვეგია ძალიან მიმზიდველი ქვეყანაა, გამოირჩევა მრავალფეროვანი ლანდშაფტების მონაცვლეობით.

ნორვეგიის მშპ 278.1 მლრდ \$ (მსოფლიოში 47-ე ადგილზე), ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით კი 55.300 \$ (მსოფლიოში 9-ე ადგილი). აღნიშნული მონაცემები წლიდან-წლამდე მზარდია.

ექსპორტიდან შემოსული თანხაა და 162.7 მლრდ \$ (31-ე ადგილზე მსოფლიოში). ნორვეგიის საექსპორტო ნაწარმის ძირითადი მიმღები ქვეყნები არიან: დიდი ბრიტანეთი და 27.2 %, ჰოლანდია და 11.5 %, გერმანია და 11.1 %, საფრანგეთი – 7.1 %, შვედეთი 6.5 %, აშშ და 5.6 %

ნორვეგიაში იმპორტირებული საქონლის ძირითადი ნაწილი კი შემდეგი ქვეყნებიდან მოდის: შვედეთი და 13.3 %, გერმანია - 12 %, ჩინეთი და 9%, დანია და 6.3 %, დიდი ბრიტანეთი და 5.4 %, ჰოლანდია და 4.1 %

ნორვეგიამ შეძლო შეექმნა ძლიერი ეკონომიკური სისტემა, რომელიც სამაგალითოა სხვა ქვეყნებისთვის.

6. ქვეყნის თანამედროვე გეოპოლიტიკური მდებარეობა და მოიკლე ისტორიული ცნობები

ნორვეგიას გეოპოლიტიკური მდებარეობის მიხედვით, ხელსაყრელი პოზიცია უჭირავს მსოფლიოს ფიზიკურ რუკაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი სამი მხრიდან წყლითაა გარშემორტყმული, რაც ფართო გზას უხსნის მსოფლიო ოკეანეში. ამის გამო, ნორვეგიაში კარგად იყო და არის განვითარებული ზღვაოსნობა. ყოველივე ზემოთ აღნიშნული კი განაპირობებს მის სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებს სხვადასხვა კონტინენტთან.

ქვეყნის მდებარეობა ისტორიის მანძილზე მრავალჯერ შეიცვალა. 1521 წელს “კალმარის კავშირის” დაშლის შემდეგ, სადაც გაერთიანებული იყო ნორვეგია, დანია და შვედეთი, ნორვეგია რჩებოდა დანიის მმართველობის ქვეშ, რომელიც დაიწყო 1380 წელს და გრძელდებოდა 436 წლის განმავლობაში. მას შემდეგ, ნორვეგიისთვის მორიგი მოჩილების ხანგრძლივი ხანა იყო 1814-1905 წლები, როცა ის შვედეთის მოკავშირე ქვეყანა იყო. ორივე შემთხვევაში, მისი სუვერენიტეტი იზღუდებოდა ყველა საკითხში, ეს იყო პოლიტიკური თუ ეკონომიკური ურთიერთობები და სხვა. 1905 წლის ივნისში, 586 წლიანი ვასალობის შემდეგ, სახელმწიფომ მოახერხა დამოუკიდებლობის მოპოვება. ამ პერი-

ოდიდან, ქვეყნის ისტორიაში იწყება უწყვეტი აღმავლობის ხანა, რაც შეეხო როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ სფეროებს. ქვეყანამ შეძლო, შეექმნა მძლავრი ეკონომიკა და გამხდარიყო ნამყვანი სახელმწიფო.

7. ქვეყნის სატრანსპორტო საკომუნიკაციო სისტემები

მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვისა და ქვეყნის წაგრძელებული და ვიწრო ფორმის გამო ნორვეგიის საზოგადოებრივი ტრანსპორტი თავისებური განაწილებით ხასიათდება. ნორვეგიაში საზღვაო ტრანსპორტი უძველესი დროიდან იყო განვითარებული და დღესაც ასეა. ბოლო პერიოდში, ქვეყნის ხელისუფლება, დიდი რაოდენობით თანხებს დებს სარკინიგზო, საჰაერო და საგზაო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის განვითარებაში. ტრანსპორტის სექტორის წილი მთლიანი შიდა პროდუქტის 4,1%-ს შეადგენს და ამ სფეროში დასაქმებულია მოსახლეობის დაახლოებით 7%.

ნორვეგიის საგზაო ქსელის სიგრძე დაახლოებით 92 946 კმ-ია. აქედან 72 033 კმ მოკირწყლული, 664 კმ კი საავტომობილო ავტომგისტრალეა. საგზაო ტრანსპორტი საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნორვეგიის სატრანსპორტო სისტემაში. ნორვეგია საგზაო ტრანსპორტით უკავშირდება შვედეთს, ფინეთს და დანიას.

ნორვეგიის სარკინიგზო სისტემა 4 114 კმ-ს შეადგენს, რომლის 2 622 კმ ელექტროფიცირებულია, 60 კმ დ მაღალსიჩქარიანი, 242 კმ კი – ორმაგლიანდაგიანი. ნორვეგია არის რკინიგზის საერთაშორისო კავშირის წევრი. ქვეყანას სარკინიგზო კავშირი აქვს შვედეთთან, დანიასთან, ფინეთთან, გერმანიასთან, რუსეთთან. ტრამვაის ფართო ქსელია ოსლოში, ტრონდჰეიმსა და ბერგენში. ნორვეგიის ძირითადი სარკინიგზო კომპანიებია: ჩარგოეტ, ეცტორ დაილ და ფოტბანენ.

რაც შეეხება საჰაერო ტრანსპორტს, ნორვეგიაში 97 აეროპორტია. ნორვეგიის მთავარი და ცენტრალური აეროპორტია სლო ირპორტ, არდენმო-ენ, რომელიც ოსლოს ჩრდილოეთით, 50 კმ-ის მოშორებით მდებარეობს. ქვეყანაში არსებობს 2 ნამყვანი კომპანია: Scandinavian Airlines System და Norwegian Air Shuttle. საჰაერო ტრანსპორტით ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი გადაადგილდება. 2007 წელს ნორვეგიის აეროპორტებით 41 089 675 ადამიანი გადაადგილდა, მათგან 13 397 458 საერთაშორისო მგზავრი იყო.

საზღვაო ტრანსპორტი ნორვეგიაში უძველესი დროიდან იყო განვითარებული. სკანდინავიელების წინაპრებს – ვიკინგებს დახვეწილი და სწრაფი საზღვაო ხმალდები ჰქონდათ. სწორედ, მათ უნდა უმადლოდეს ნორვეგიელი ხალხი, რომ შეძლეს ემოგზაურათ ევროპასა და ჩრდ. ამერიკაში.

ნორვეგიაში ასევე განვითარებულია მილსადენი ტრანსპორტი. სწორედ მილსადენი ტრანსპორტით ხდება ნორვეგიის კონტინენტური შელფიდან გაზისა და ნავთობის ტრანსპორტირება ნორვეგიაში და ევროპის სხვა ქვეყნებში. მილსადენის საერთო სიგრძეა 9 481 კმ.

რაც შეეხება კომუნიკაციის სისტემებს, ქვეყანაში არსებობს თითქმის ყველა სახის საკომუნიკაციო საშუალება. ბოლო პერიოდში ინტერნეტმა ცენტრალური ადგილი დაიკავა. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში მნიშვნელობას არ კარგავს მედიის ტრადიციული საშუალებები: ჟურნალ-გაზეთები, რადიო თუ ტელევიზია. სახელმწიფო ეკონომიკურ მხარდაჭერას უწევს გაზეთებს. ნორვეგიის ყველაზე ცნობილი გაზეთებია: VG (vrens Gang), აგბლადეტ, ფტენპოსტენ, ორგენ და ა.შ. ნორვეგიის სამაუწყებლო კორპორაციაა, მოიცავს მრავალ რადიო და სატელევიზიო არხების. ქვეყანაში კარგად არის განვითარებული ტელეკომუნიკაციები და საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ფოსტა.

ბიბლიოგრაფია:

1. United nations department of economic and social affairs [http://esa.un.org/unpd/wpp/unpp/panel-](http://esa.un.org/unpd/wpp/unpp/panel-population.htm)
2. [population.htm](http://esa.un.org/unpd/wpp/unpp/panel-population.htm)
3. CIA World Factbook <https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/no.html>
4. <http://www.nationmaster.com/index.php>
5. <http://en.wikipedia.org/wiki/Norway>[http://en.wikipedia.org/wiki/Norway#Administrative-divisions](http://en.wikipedia.org/wiki/Norway#Administrative_divisions)

ეთნიკური უმცირესობები ნორვეგიაში: შარყმა თუ თანაცხოვრება

ხელმძღვანელი: პროფ. კახაბერ ლორია

კაცობრიობის განვითარების კვალდაკვალ მსოფლიოში ასობით ერი ჩამოყალიბდა, რომელთაგან ზოგიერთმა მოახერხა სახელმწიფოს შექმნა, ზოგმა კი ვერა. ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე ბერნარდ ლუისი ერის ცნებას განსაზღვრავს, როგორც: „ ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც ერთმანეთთან აკავშირებს საერთო ენა და რწმენა იმისა, რომ მათ საზიარო აქვთ წარმომავლობა, ისტორია და ბედ-იღბალი. ეს ადამიანები ჩვეულებრივ, მაგრამ არა აუცილებლად, განსახლებული არიან უწყვეტ ტერიტორიაზე; მათ, ან თუ არ აქვთ, კოლექტიურად იღწვიან, რათა იქონიონ მათივე სახელის მქონე სუვერენელი დამოუკიდებლობა”.

ამგვარი ეთნიკური მიკუთვნებულობიდან გამომდინარე, ხალხი ერთ ნაციად იკვრება და თუ ისინი სხვა გარემოში, ანუ არა მათ ეროვნული სახელმწიფოს საზღვრებში ხვდებიან ქმნიან ეთნიკურ ჯგუფს, რომელმაც შესაძლოა იმ კონკრეტულ ქვეყანაში შადგინოს ან არ შეადგინოს ეთნიკური უმცირესობა . ეს იმაზეა დამოკიდებული თუ მათი რიცხვი სხვა სახელმწიფოში რამდენი იქნება. უფრო კონკრეტულად თუ განვმარტავთ ცნებას, ეთნიკური უმცირესობა ისტორიულად ჩამოყალიბებული ადამიანთა მდგრადი სოციალური, საზოგადოებრივი ერთობაა, რომელსაც აქვს საერთო ენა, ადათ-ჩვეულებები, მითები, კულტურა, რწმენა.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს რომ, ეთნიკური უმცირესობების დანაწილება სხვა სახელმწიფოებში მხოლოდ პოლიტიკური ერთეულის შეუქმნელობის გამო არ ხდება. შეიძლება სხვადასხვა მიზეზი იყოს მათი ფესვებიდან მოწყვეტისა. ეს შეიძლება იყოს იძულებითი, ტერიტორიული გადანაწილების შედეგად მოხვდეს მეზობელი სახელმწიფოს შემადგენლობაში. ან ნებაყოფლობითი, რაც უმეტესწილად კარგი ეკონომიკური პირობების შექმნისთვის ხალხი მეზობელ ან შორეულ ქვეყნებში მიდიან, სადაც საბოლოოდ სახლდებიან.

ისევე როგორც ბევრ ქვეყანაში არც ნორვეგიაა გამონაკლისი ამ თვალსაზრისით და იქაც არსებობს ეთნიკური უმცირესობები. სულ ექვსი ეთნიკური უმცირესობაა წარმოდგენილი. კერძოდ, რომანიხალხი (რომელსაც თათერესაც ეძახიან), რომა (სიგონერები ანუ ბოშები), ებრაელები, კვენები, სკუფინები და სამები. თუმცა ნორვეგიაში სხვა უამრავი ეთნიკური წარმომავლობის ხალხი ცხოვრობს, მაგრამ ისინი არ ქმნიან უმცირესობას, რადგან ქვეყნის ადგილობრივ მოსახლეობას მეოთხედითაც არ უტოლდებიან.

თითოეულ ამ ეთნოსს გარკვეული ისტორიული წარსული აქვს, რამაც განაპირობა მათი ნორვეგიულ საზოგადოებაში დამკვიდრება . ასე მაგალითად, რომანი ხალხი რომლებიც, მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდნენ და ფესვები ინდოეთიდან აქვთ, ამჟამად ეს ხალხი მსოფლიოს უამრავ ქვეყანაშია დასახლებული, რომლებიც საუკუნეებია რაც სამშობლოს მოწყდნენ. ვარაუდობენ რომ 10 მილიონი რომანიხალხია მსოფლიოში, რომელთა დიდი რაოდენობა განფენილია ბალკანეთის ნახევარკუთხულსა და ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ასევე ისინი სახლობენ ევროპაში, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკაში, ავსტრალიაში, სამხრეთ აფრიკაში, ზელანდიაში და ჩინეთში. რომანი ხალხი იყოფა სხვადასხვა ჯგუფებად და ქვეჯგუფებად. სკანდინავიაში ისინი შედგებიან სინტის/თათერებისა და ბოშებისგან რომლებიც ასევე რომანი ხალხის ჯგუფს მიეკუთვნება. ზოგადად ნორვეგიაში რომან ხალხს ეძახიან იმათ ვისაც ძველი რომის ფესვებთან აქვს კავშირი მათ აქვთ საერთო კულტურა, ენა, მაგრამ საუბრობენ სხვადასხვა დიალექტზე. ასე მაგალითად ნორვეგიელ სინტებსა და ბოშებს თავიანთი თანამომხმეებისაგან განსხვავებული დიალექტი აქვთ. დღესდღეობით მათ საერთო

გაერთიანებები, ორგანიზაციები აქვთ შექმნილი, რომლითაც ისინი მათი ხალხის ერთობისთვის და ინტერესებისთვის მუშაობენ. მათ აგრეთვე ქვე დროშა და სიმბოლო ურიკას თვალი, ბორბალი, რომელიც მათი წარსულის ამსახველია .

რაც შეეხება ბოშებს, ისინი ევროპელი ხალხის ჯგუფს მიეკუთვნება, კერძოდ ჩრდილოეთ ინდოეთს. ნორვეგიაში ისინი საუბრობენ რომაულ ენაზე, რომელიც ახლოსაა თანამედროვე ინდური ენების ინდისა და ურდუსთან. ბოშების კულტურა ძალიან პოპულარული გახდა თანამედროვე პერიოდში, რაც გამოიხატება, მათ პოპულარულ ბოშათა სიმკერებითა და ჯაზით. მათი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან ჯიფსი კინგი და ჰოტ ქლაბ დი ნორვეგე. მათ ნორვეგიაში ბოშათა ფესტივალზე კი აქვთ, რომელიც დამკვიდრდა 1999 წლიდან

რაც შეეხებათ ებრაელებს, ისინი არიან ძველ ებრაელთა შთამომავლები, კერძოდ აშქენაზი ებრაელები, რომლებიც 16 საუკუნიდან 1814 წლამდე სახლდებოდნენ ნორვეგიაში, ასევე სეფერადი ებრაელები, რომლებიც ძირითადად 1814 წლიდან ნორვეგიაში დასახლდნენ და საკმაო რაოდენობის ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ. მათ აქვთ მსოფლიოში ყველაზე განსხვავებული რელიგია, რომლის აღმსარებლებიც მხოლოდ ისინი არიან და ენა- ებრაული, რომელიც მიუხედავად მათი დანაწილებისა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში შეინარჩუნეს ღემდე, მოგეხსენებათ მათ 1948 წლამდე სახელმწიფო არ ჰქონიათ. თავდაპირველად მათ სინაგოგა ააშენეს ოსლოში და ცოტა მოგვიანებით ტრონდჰეიმში. ებრაელები სახლობდნენ აგრეთვე, ბერგენში კრისტიანსუნდსა და დრამენში. ნაციზმის პერიოდში, ნორვეგიიდანაც იდევნებოდნენ ებრაელები, მათ იჭერდნენ და ასახლებდნენ.

დღეს ნორვეგიაში 2000 ებრაელი ცხოვრობს, მატი უმეტესობა ოსლოსა და ტრონდჰეიმშია განსახლებული. 1999 წლიდან ებრაელები ნორვეგიის მთავრობის მიერ ოფიციალურად აღიარა როგორც, ეთნიკური უმცირესობა.

კვენები არინ ფინელი გლეხები და მეთევზეები, რომლებიც ფინეთის ჩრდილოეთიდან შცვედეთსა და ჩრდილოეთ ნორვეგიაში გადმოსახლდნენ 18 და 19 საუკუნეში. მათ ფინური კულტურა და ენა ქავთ. დღეს მათი რიცხვი ნორვეგიაში შეადგენს 10000- 15000. მათ ეთნიკური უმცირესობის სტატუსი 1988 წლიდან მიენიჭათ.

კვენები არინ ფინელი გლეხები და მეთევზეები, რომლებიც ფინეთის ჩრდილოეთიდან შცვედეთსა და ჩრდილოეთ ნორვეგიაში გადმოსახლდნენ 18 და 19 საუკუნეში. მათ ფინური კულტურა და ენა ქავთ. დღეს მათი რიცხვი ნორვეგიაში შეადგენს 10000- 15000. მათ ეთნიკური უმცირესობის სტატუსი 1988 წლიდან მიენიჭათ.

სამები 12 საუკუნის წინ დასახლდნენ ნორვეგიაში ისინი ფინურ-ევროპულ ოჯახთა ჯგუფს მიეკუთვნება. მათ აქვთ საკუთარი ენა -samuri, რომელიც სამურ- ურალურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება. ძველად ისინი მეთევზეობასა და მეირმეობას მიზღვედნენ და ამის გამო ხშირად იცვლიდნენ ადგილს, სწორედ ამან განაპირობა მათი დასახლება ნორვეგიაში. ისინი ყველაზე დაუმორჩილებელი ეთნიკური ჯგუფი იყო ვინაიდან, მოიტხოვდნენ თავიანთ ენას და დამწერლობას ნკოლებში, მაგრამ სანადელს ვერ მიაღწიეს. და დგეს კი შეეგვი ის აქვთ რომ თანამედროვე თაობამ არ იცის სამური, მათი ენა თანდათანობით დავინწყებას ეძლევა. თუმცა მათ აქვთ თავიანთი დროშა და იმასაც მიაღწიეს რომ ჰელსინკის 15 სამთა კონფერენციაზე 1992 წლის 6 თებერვალი სამების დღედ გამოაცხადეს . მათ აქვთ ასევე ეროვნული ტანსაცმელი, რომელსაც ჩრდილო სამები ეძახიან გაფტის ხოლო სამხრეთელი სამები კი გაფტოეს.

ზემოთ ჩამოთვლილი თითოეული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ადგილობრივი ნორვეგიელებისგან ძალიან განსხვავდებიან და ცდილობენ შეინარჩუნონ და არ დაკარგონ ეთნიკური იდენტობა. ამას მკაცრად იცავენ და ნორვეგიულ საზოგადოებაში არ ასიმილირდებიან. ნორვეგიის მთავრობისგან ისინი დაცულები, რაც გათვალისწინებულია საერთაშორისო სამართლის ნორმებით. თვითონ ნორვეგიული საზოგადოებაც ყველაზე შემწყნარებელია და არ ხდება მათ შორის შეხლა და დაპირისპირება.

მზია პოპოვა, მიხეილ ხალიბეგაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

კულტურათაშორისი კონფლიქტები ნორვეგიაში

ხელმძღვანელი: პროფ. კახაბერ ლორია

დღეს მსოფლიო გლობალიზაციის ტალღამ მოიცვა. გლობალიზაციას როგორც ბევრი დადებითი, ასევე ბევრი უარყოფითი მხარეც აქვს. მის ერთდერთ უარყოფით გამოვლინებად კულტურათაშორისი კონფლიქტები შეიძლება ჩაითვალოს. აღნიშნული კონფლიქტები როგორც ნაციონალურ ასევე ინტერნაციონალურ დონეზეც ვლინდება.

ნორვეგია ერთ ერთი ის ქვეყანაა, სადაც მწვავედ დგას კულტურათაშორისი დაპირისპირების საკითხი. ნორვეგია 1960 წლამდე მკვეთრად ჰომოგენური მოსახლეობით გამოირჩეოდა. მას შემდეგ, რაც 60 იან წლებში ქვეყანამ დაიწყო ნავთობის წარმოება, ნელდნელა გაძლიერდა ქვეყნის ეკონომიკა და ნორვეგია მიმზიდველი ადგილი გახდა სამუშაოს მაძიებელი ემიგრანტებისთვის.

ამ დროს აქტიურად დაიწყო მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილიდან ემიგრანტების შედინება ნორვეგიაში. ისინი, ადგილობრივი მუშახელის სიმცირის გამო ადვილად იწყებდნენ მუშაობას და ხშირ შემთხვევაში თავიანთ ოჯახებთან ერთად სამუდამოდ მკვიდრდებოდნენ ნორვეგიაში. ამ პროცესმა პიკს გასული საუკუნის 90 იან წლებში მიღწია, მაშინ, როცა ქვეყანაში 100 000-მდე ემიგრანტი ჩავიდა.

დღევანდელი მდგომარეობით ნორვეგიაში 4 მილიონი მოსახლეობიდან 400 000 მდე უცხო ქვეყნიდან ჩამოსული მცხოვრებია. მათგან ძირითად უმრავლესობას პაკისტანელები, თურქები, ირანელები და ინდოელები წარმოადგენენ.

ნორვეგიაში ძირითადად სამი სახის კულტურული კონფლიქტი გვხვდება

1) ulturkonflikter mellom innvandrere og nordmenn.(e.w Camosulebsa da mkvidr norvegielebs Soris)

2) Kulturkonflikter mellom invandrerungdom og foreldre generasjonen (e.w. TaobaTaSorisi kulturuli konflikti)

3) Kulturkonflikter mellom de ulike kulturere gruppe innenfor innvandrerbefolkningen. (კონფლიქტები თვით ეთნიკური უმცირესობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის)

აღნიშნული კონფლიქტები მეტად თუ ნაკლებად ნორვეგიის მთელს საზოგადოებაში იჩენს თავს. იქნება ეს სამუშაო სფერო, განათლება თუ სხვა მნიშვნელოვან ინსტიტუტები.

განათლება

ikSeparate but equalk

ერნესტ ოგ ჯონსონის მიხედვით, (ნორვეგიელი კრიტიკოსი, პროფესორი, პუბლიცისტი) ნორვეგიის პოლიტიკა განათლებასთან მიმართებაში არაერთგვაროვანი და ზედმეტად ბიუროკრატიულია. იგი თავის ნაშრომში საუბრობს იმ პრობლემებზე, რაც აქტუალურია თანამედროვე ნორვეგიულ განათლების სისტემაში.

ნორვეგიის მთავრობა კულტურული კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით ახდენს ე.წ. იკ-ჩამოსულებისკ სეპარაციას . რაც გამოიხატება იმაში, რომ არამკვიდრ ნორვეგიელებს უნევთ მკვიდრ ნორვეგიელთაგან განცალკევებით სწავლა. თუმცა მეორეს მხრივ ასეთი მიდგომა ართულებს მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში.

ამ საკითხთან მიმართებაში მკვიდრი ნორვეგიელები არც თუ ისე ლოიალურები არიან. ხშირ შემთხვევაში ეთნიკურ უმცირესობათა ახალგაზრდა თაობები ხდებიან ჩაგვრისა და დისკრიმინაციის მსხვერპლნი. აღნიშნულ ნაშრომში მოყვანილია მსგავსი ჩაგვრისა და დისკრიმინაციის რამოდენიმე მაგალითი. ნაშრომში ვკითხულობთ

Some pupils from Norway do not want to use the class-room that my class has because "it smells funny.."

(ნორვეგიელი მოსწავლეებს ხშირად არ სურთ შესვლა იმ საკლასო ოთახში, რომლითაც ჩემი მოსწავლეები სარგებლობენ, იმიტომ, რომ იკ სასაცილო სუნი დგას“)

გარდა რასისტული დისკრიმინაციისა ჯონსონი საუბრობს სექსისტურ დისკრიმინაციათა გამოვლინებებზეც ნორვეგიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

მიზეზები და რელიგია

რელიგიური თვითგამორკვევა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია და პირდაპირ უკავშირდება ეთნიკურ და კულტურულ წარმომავლობას. ეს საკითხი მით უფრო მტკივნეულია ნორვეგიაში მცხოვრები მუსლიმების ახალგაზრდა თაობებისთვის.

დიდი უმრავლესობა ნორვეგიაში ლუთერანული ეკლესიის წარმომადგენელია, თუმცა მათგან მხოლოდ 20 % არის ეკლესიის აქტიური წევრი.

მოგეხსენებათ იკჩამოსულთაკკ უმრავლესობა არის მუსლიმი. მათი რელიგიის ფუნდამენტური პრინციპებიდან გამომდინარე ისინი ძნელად ინტეგრირდებიან სხვა აღმსარებლობის საზოგადოებაში. ამიტომაც უჭირთ ადაპტაცია და ზოგადად პრობლემურ ფონს ქმნიან ქვეყანაში.

მიუხედავად ამისა მათი ნაწილი ახერხებს ინტეგრირებას. მუსლიმანებს შევხვდებით თითქმის ყველა პოლიტიკურ პარტიაში, და ასევე მრავლად არიან დღევანდელ მოქმედ პარლამენტში.

თუმცა ეს ინტეგრაცია ცალმხრივ ხასიათს ატარებს, ისინი ინტეგრაციის პროცესში არა თუ არ თმობენ თავიან რელიგიის ფუნდამენტურ პრინციპებს, არამედ მკაცრად იცავენ მას და ცდილობენ ადგილობრივი საზოგადოება საკუთარ პრინციპებს მოარგონ. ამის ნათელ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ 2008 წლისთვის 1000 მდე ნორვეგიელი გახდა მუსლიმი, ძირითადად ქორწინების შედეგად.

მუსლიმთა ასეთმა გააქტიურებამ ნორვეგიაში ლოგიკურია ანტი ისლამური პროპაგანდის წარმოშობა განაპირობა. მკვიდრი ნორვეგიელები საკუთარი კულტურული ღირებულებების გაქრობის საფრთხის წინაშე დადგნენ.

2011 წლის პიტერ ბრევიკის მიერ განხორციელებული ცნობილი ტერაქტის მიზეზადაც სწორედ ქვეყანაში გამძაფრებული ნაციონალისტური ფრთის გააქტიურება შეიძლება ჩაითვალოს.

ბრევიკის ამბებამდე რამდენიმე კვირით ადრე (Christian broadcasting news) ნიუსი ჩავიდა ნორვეგიაში, რათა გამოეძია და გადაემონმებინა მოსაზრება, რომ მიუხედავად ეროვნული და მთავრობის მცდელობებისა მულტიკულტურალიზმმა ვერ გაამართლა, მუსლიმი რადიკალისტების რიცხვი იზრდება და ისინი არამუსლიმების მიმართ აშკარა ძალადობასა და დისკრიმინაციას გამოხატავენ.

პოლიტიკა და მულტიკულტურალიზმი

ნორვეგიის მთავრობა შეიძლება ითქვას ხელს უწყობს მულტიკულტურული საზოგადოების ჩამოყალიბებას. ეს გამოიხატება თუნდაც ტელევიზიების, ზოგადად მედიის ნახალისებით, რაც შეიძლება ფართოდ გააშუქონ უმცირესობათა პრობლემები. ასევე ნორვეგიაში რამდენიმე რადიო და ტელევიზია მაუწყებლობს უმცირესობათა ენებზე.

გასულ წლის 17 მაისს ნორვეგიის კონსტიტუციისადმი მიძღვნილ ეროვნულ დღესასწაულზე ნორვეგიულთან ერთად, სხვა, ნორვეგიაში მცხოვრებ ხალხთა დროშებიც იქნა გამოყენებული. ამის შესახებ პარლამენტში დიდი კამათი იყო, თუმცა დავა საბოლოოდ ეთნიკურ უმცირესობათა სასარგებლოდ გადაწყდა.

შეფასება

სკანდინავიელი კრიტიკოსები აცხადებენ, რომ კულტურათა ღირებულებების შეჯახება ამცირებს თავისუფლების ხარისხს, განსაკუთრებით ეთნიკურ უმცირესობათა მიმართ. ერთ ერთი ნორვეგიელი კრიტიკოსი თომას ერიკსენი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მულტიკულტურულმა იდეოლოგიამ შეიძლება საზოგადოება აპარტიდისა და ნიჰილიზმისაკენ წაიყვანოს.

ერიკსენი, იძიებს რა კულტურათაშორისი კონფლიქტების მოგვარების გზებს, ამბობს, რომ მორალური და პოლიტიკური დილემა მულტიკულტურული საზოგადოებისა შეიძლება ასე ჩამოვაცალიბოთ: ერთის მხრივ ლიბერალურ დემოკრატიული საზოგადოების ყველა წევრს აქვს უფლება ჰქონდეს ერთი და იგივე შესაძლებლობები და უფლებები, მეორეს მხრივ კი მათ ასევე აქვთ უფლება იყვნენ განსხვავებულები და ემორჩილებოდნენ საკუთარ კანონებს.

ნორვეგიაში საკითხი კულტურათა შორის ურთიერთობების დარეგულირების შესახებ კვლავაც საკამათოა. ჯერჯერობით ნორვეგიული საზოგადოების ღირებულებები ემიგრანტთა მოზღვავეების ფონზე, ისევ საფრთხეშია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ernest vge johnson ik cultural konflikts in Norwegian classroomsk
2. Avissen ikaftenpostenkk
3. თომას ერიკსენის : იკ იდეოლოგიათა კრებულიკკ
4. ნორვეგიის სტატისტიკის დეპარტამენტის ვებდგვერდი.
5. ნინა ოსტინი იკ რელიგიურ უმცირესობათა დისკრიმინაცია ევროპაშიკკ

თეკლა რურუა

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

ნორვეგიული ფოლკლორული მუსიკა

ხელმძღვანელი: თამარ კვიციანიძე

ნორვეგია არის ქვეყანა, რომელიც მდიდარია თავისი ფოლკლორული მუსიკალური ტრადიციებით. როცა ვლაპარაკობთ ფოლკლორულ მუსიკაზე ზოგადად ვგულისხმობთ ტრადიციულ ანონიმურ მუსიკას სოფლიდან, მუსიკა რომელიც გადაურჩა დროთა ცვლილებას და ჯერ კიდევ ცოცხალია, თუმცა არასოდეს ყოფილა ჩანერილი. XX საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა ფოლკლორული მუსიკის სახელს. ძოგადად შეიძლება ითქვას, რომ ამ ტერმინის მნიშვნელობა თანდათანობით გაფართოვდა. ოლკლორული მუსიკა მჭიდროდა დაკავშირებული გარკვეულ მუსიკალურ ინსტრუმენტებთან.

ინსტრუმენტალური მუსიკა

ნორვეგიული ფოლკლორული მუსიკა შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად: ინსტრუმენტალურად და ვოკალურად. ლოგორც წესი ინსტრუმენტალური ფოლკლორული მუსიკა საცეკვაო მუსიკაა (slåttar) ნორვეგიული ფოლკლორული ცეკვებს ჩვეულებრივ წყვილები ასრულებენ, მაგრამ არის სოლო ცეკვებიც. ჩეკვის მელოდები 2 ტიპად იყოფა ორდარტყმიან და სამ დარტყმიან ცეკვებად.

ტრადიციული ცეკვები ძირითადად უკავშირდება მნიშვნელოვან ღონისძიებებს როგორცაა: ქორწილი, საშობაო წვეულებები და სხვ. ტრადიციული ცეკვები როგორცაა ვალსი, ტანგო და ა.შ რომელიც სრულდება აკორდეონზე (გარმონი) დაკვრით, არ ითვლება ფოლკლორულ მუსიკად, თუმცა ის ძალზე პოპულარულია. იგივე შეიძლება ითქვას ამერიკულ ქანთრის მუსიკის ნორვეგიულ ვარიანტზე.

ფოლკლორული ინსტრუმენტები

ყველაზე მნიშვნელოვანი ფოლკლორული მუსიკალური ინსტრუმენტი არის ტრადიციული ნორვეგიული ვიოლინო (ჰარდინგფელე). ვიოლინ შეიქმნა 1700დიან წლებში და განსხვავდება ჩვეულებრივი ვიოლინოსაგან ბევრ ასპექტში. ველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება კი ისაა, რომ აქვს სიმპატიკური სიმები ნაკლებადდახუჭუჭებული ხიდი და გრიფი. მ ვიოლინოზე დაკვრისას უმეტესად მხოლოდ 2 სიმს უკრავავენ და ქმნიან მონოტონურ სტილს.

სხვა ფოლკლორული ინსტრუმენტები რომლებიც გავრცელებულნი არიან ნორვეგიაში არის ნორვეგიული ციმბალი, ნინილი (langeleik), სხვადასხვა სალამურები და ებრაული არფა. ვოკალური ტრადიციები

ეპიკური ფოლკლორული სიმღერები ნორვეგიის ფოლკლორული მუსიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა. მიუხედავად იმისა, რომ ეპიკური ფოლკლორული სიმღერების მრავალი ტიპი არსებობს, ყველაზე დამაინტრიგებელია შუასაუკუნეების ბალადები. მ სიმღერის ტექსტები ეხება იმ პერიოდის ისტორიებს, ზღაპრებს, იმდროინდელი ელიტის ცხოვრებას, რაინდებს და ქალიშვილებს. ბალადების ნაწილი აღწერს ისტორიულ მოვლენებს, რომელიც ხშირად დრამატული და ტრაგიკულია.

ნორვეგიული ეპიკური სიმღერის ტექსტებს ასევე კავშირი აქვთ გერმანულ, ინგლისურ და შოტლანდიურ ბალადებთან. თუმცა ზღაპრების მოტივი და გობლინები, გოლიათები უფრო ხშირად გვხვდება სკანდინავიის ფოლკლორულ სიმღერებში ვიდრე ინგლისურში.

იავნანა (bånsull) ფოლკლორული სიმღერის ერთ-ერთი სახეა, რომელიც ფართოდაა გავრცელებული ნორვეგიაში. ძალიან ბევრი ნორვეგიული იავნანა არსებობს, ჩვეულებრივ ისინი იმღერება მარტივ მელოდებზე. ნორვეგიაში არსებობს სხვადასხვა ტიპის სამუშაო სიმღერები, ასევე დასაძახებელი და სიგნალისმიმცემი სიმღერები. დიდარი ფოლკლორული მელოდის ტრადიცია აქვს პრო-

ტესტანტულ საგალობელს, ის იქამდე განვითარდა, სანამ ორლანი გამოჩნდა ეკლესიაში. ეს მელოდიები ძალიან ლამაზია და ბევრი მათგანი შეიტანეს კიდევ თანამედროვე საგალობლების წიგნებში.

სამის მუსიკა

სამის ხალხს აქვთ საკუთარი ვოკალურ-ფოლკლორული მუსიკა იოიკი, ესაა მონოტონური სიმღერა. ისინი დასაკრავ ინსტრუმენტად “შამანის დოლს” (რუნებომმე) იყენებენ. სოიკი არ არის ეპიკური ფორმის, ე.ი. ის არ მოგვითხრობს ისტორიას. ნაცვლად ამისა, ის აღწერს პიროვნებას ან მოვლენას თითო სიტყვით ან მოკლედ წინადადებებით. ეს ონომატოპეური და სიმბოლურია.

ახალი მიმდინარეობები

ფოლკლორული მუსიკა ძალიან პოპულარულია ნორვეგიაში. ინტერესი ფოლკლორული მუსიკისადმი ზრდობს, და რამოდენიმე მიმდინარეობის მომცემი ხალგაზდა შემსრულებელიც გამოჩნდა. ოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში (ფოლკლორული სროკის ტრენდის შემდეგ). ფოლკლორულმა მუსიკოსებმა დიდი ინტერესი გამოამჟღავნეს ექსპერიმენტებში. გამოჩნდა ახალი თაობა, რომელიც გამოხატავს პატივისცემას ძველი ტრადიციებისადმი და ასევე სიახლის დამატება სურთ. ფოლკლორული მუსიკის რამდენიმე ცნობილმა შემსრულებელმა ნორვეგიაში ახალი ჩანაწერები შექმნეს, ახალი ინსტრუმენტების გამოყენებით.

ბოლო წლებში მუსიკალურმა ბენდებმა როგორცა “ავოტე“, “ლუმსკი“ დაინყეს ნორვეგიული ტრადიციული მუსიკის და მეტალის სინთეზირება. ველაზე ცნობილი სამი მომღერალი კი მარი ბონია.

ფოლკლორული მუსიკის საზოგადოებრივი ინსტიტუტი

ფოლკლორული მუსიკის ნაციონალური ასოციაცია არის ორგანიზაცია ფოლკლორული მუსიკის შემსრულებლისთვის და ფოლკლორულ მოცეკვავეებისთვის. ის დაარსდა 1923 წელს, ორგანიზაცია აერთიანებს ლოკალურ და რეგიონალურ ფოლკლორულ მუსიკალურ ასოციაციებს, მაგრამ ამასთანავე, ღიაა ინდივიდუალურ წევრებისთვისაც. 1990 წელს ნაციონალურ ასოციაციას ჰყავდა 6000 წევრი დაახლოებით 125 სხვადასხვა ლოკალური ორგანიზაციიდან. ფოლკლორული მუსიკის ნაციონალური ასოციაცია გამოსცემს ფოლკლორული მუსიკის ჟურნალს “შპელემანსბლადეტ”, რომელიც გამოდის ყოველთვე. ის ასევე აწყობს ყოველწლიურ ნაციონალურ ეჯიბრს ფოლკლორულ მუსიკაში “ანდსკაპპლეიკენ”, რომელიც ამ სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა. შიტყვა ~kappleik~ ნიშნავს შეჯიბრს და ეს შეჯიბრი ტარდება ასევე ტრადიციულ ვოკალურ და ინსტრუმენტალურ მუსიკაში და ფოლკლორული ცეკვებშიც. ასეთი სახის შეჯიბრი ტარდება რეგიონებშიც.

ნაციონალური მუსიკის ფესტივალზე დასწრება ნორვეგიაში ყველას შეუძლია ვინც დაინტერესებულია ფოლკლორული მუსიკით. დამატებით ოფიციალური პროგრამისა, ფესტივალის საშუალებას აძლევს მოყვარულებს შეასრულონ სიმღერები არაოფიციალურ ~off-stage~ წარმოდგენები. უმეტესად ლოკალური ორგანიზაციები მართავენ საკუთარ ფესტივალებს.

ფორდეს (Førde) ფოლკლორული მუსიკის ფესტივალი, რომელიც იმართება ყოველ ზაფხულს დასავლეთ ნორვეგიაში, უფრო ინტერნაციონალურია. მას ესწრებიან გამოჩენილი ფოლკლორული მუსიკოსები მთელი მსოფლიოდან. ისი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მახასიათებელი არის ის, რომ შესაძლებლობას აძლევს განსხვავებული ეროვნების მუსიკოსებს დაუკრან სხვადასხვა ჟანრის მუსიკა.

წყაროები:

1. <http://www.norwaygreentours.com/do-and-see/forde-international-music-festival/>
2. <http://www.mic.no/mic.nsf/doc/art2002100912335347083543>
3. http://en.wikipedia.org/wiki/Music_of_Norway#Traditional-.28Folk.29-music

ედვარდ მუნკი და მისი ხელოვნება

ხელმძღვანელი: თამარ კვიციანიძე

შეუძლებელია ექსპრესიონიზმის მიმართულებაზე საუბარი ედვარდ მუნკის ხსენების გარეშე. ნორვეგიელი მხატვრის შემოქმედება ფაქტობრივად ხელოვნების ამ მიმდინარეობის სიმბოლოდ იქცა, მისმა ყველაზე ცნობილმა ნახატმა – “კივილი” კი პოპულარულ კულტურაში სამუდამო ადგილი დაიკავა.

მუნკი ნორვეგიაში, ლოტენში დაიბადა 1863 წელს. დედის სიკვდილი ადრეულ ასაკში განიცადა, რის შემდეგაც სასტიკი და ძალზე რელიგიური მამა ზრდიდა ოთხ და-ძმასთან ერთად. მუნკი შემდგომ გაიხსენებს: “სწელება, სიგიჟე და სიკვდილი ჩემს აკვანთან მდგარი ანგელოზები იყვნენ, რომლებიც დღემდე მდევნენ თან.” მართლაც, მხატვრის შემოქმედებაში ნათლად ასახული, თუ როგორი მძიმე ცხოვრება განვლო, თუმცა თავად თვლიდა, რომ სირთულეების გარეშე უმართავ გემს დაემგვანებოდა. შევირდად ნორვეგიელ რეალისტ მხატვართან – კრისტიან კროგთან დადგა, მაგრამ თავად სულ სხვა სტილი არჩია, თვლიდა-რა, რომ ხელოვანმა ადამიანმა თავისი შინაგანი სამყარო უნდა ასახოს. ამ მიდგომის გამო მუნკის მხატვრობა ფსიქოლოგიურად დატვირთული და ემოციებით სავსეა. მონასმების, ფერებისა და სხვადასხვა სიმბოლოს მეშვეობით მუნკი ახერხებს, ზუსტად გადმოსცეს მნახველს ემოციური მუხტი. ცნობილია, რომ მხატვარი თითქმის მთელი ცხოვრების მანძილზე ფსიქოლოგიური პრობლემებით იტანჯებოდა, მაგრამ ამ დაავადებასაც საკუთარი თავის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ მის გარეშე ვერც ხელოვნებას ვერც შექმნიდა. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ მუნკის შემოქმედებაში ყველაზე პროდუქტიული პერიოდი ამავე დროს ყველაზე მძიმე პერიოდი იყო თავად მხატვრისთვის. თავისთვის დამახასიათებელი სტილი გერმანიაში მოგზაურობისას და ბერლინში ყოფნისას ჩამოუყალიბდა, სადაც ხელოვანთა საზოგადოებაში გაერია და დაუახლოვდა შვედ მწერალ სტრინდბერგს. მუნკის ნახატები იშვიათად იყიდებოდა, თუმცა არც თავად ავტორის სურვილი იყო, განშორებოდა თავის ქმნილებებს, რომლებსაც შვილებად მოიხსენიებდა. მუნკმა პარიზშიც იმოგზაურა და აღფრთოვანდა გოგენის, ვან გოგისა და ტულუზ-ლოტრეკის ნამუშევრებით.

შესაძლოა ბევრმა არც იცოდეს, რომ მუნკმა თავისი ყველაზე ცნობილი ნახატი – “კივილი” ოთხ ეგზემპლარად შექმნა; არსებობს ორი ნახატი შესრულებული პასტელში და ორიც – ზეთის საღებავებში. ამას გარდა არის ლითოგრაფიებიც, რომლებიც 1895 წლიდან თარიღდება. მუნკის მიზანი იყო ამ ნახატით “შეესწავლა სული, შეესწავლა საკუთარი თავი”. შედეგის შთაგონებაზე თავად ავტორი წერს: “მზე ჩადიოდა, როდესაც ორ მეგობართან ერთად ხილზე გადავდიოდით. უეცრად ცა სისხლისფერი გახდა [...] და მოლურჯო-მოშავო ფიორდიდან ცეცხლის ენები ამოვარდა. ჩემმა მეგობრებმა გზა განაგრძეს, მე კი ჩამოვრჩი და შიშისგან აკანკალდი. ამ დროს გაისმა ბუნების უზარმაზარი, უსასრულო კივილი.” საინტერესო ფაქტია, რომ მუნკმა “კივილის” ვერსიებს გერმანული სახელი Der Schrei der Natur (“ბუნების კივილი”) უწოდა. 1895 წლით დათარიღებული პასტელში შესრულებული “კივილი” სოთბის აუქციონზე 120 მილიონ დოლარად გაიყიდა და ამით რეკორდი მოხსნა ყველაზე ძვირად გაყიდულ ნახატთა შორის. ამ ნახატს სამართლიანად უწოდებენ “თანამედროვეობის მონაწილას”, ვინაიდან მას იცნობს ყველა, განურჩევლად ასაკისა და წარმომავლობისა. თავის დროზე კი მუნკის ხელოვნებას დევნიდნენ გერმანელი ნაციისტები და სულელურ ხელოვნებად მიიჩნევდნენ.

მუნკმა თავისი მთელი შემოქმედება ქალაქ ოსლოს დაუტოვა, სადაც ამჟამად მუნკის მუზეუმიც დგას. თავად მუნკი გამოსახულია 1000 კრონიან კუპიურაზე. ამას გარდა, მუნკის მიერ მოხატულია ოსლოს უნივერსიტეტის ერთ-ერთი შენობის ინტერიერი. მუნკი ნორვეგიაში ეროვნულ მხატვრად მიიჩნევა. თუმცა, მის მიერ შექმნილი ნამუშევრები მთელ მსოფლიოში მიიჩნევა შედეგებად.

მარი ბაბილოძე

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

ვიკინგები

ხელმძღვანელი: პროფ. კახაბერ ლორია

ვიკინგებს ისტორიკოსებმა ერთ-ერთი ყველაზე მამაცი და ამავე დროს სასტიკი ხალხი უწოდეს. ვიკინგების სამშობლო დღევანდელი შვედეთის, ნორვეგიისა და დანიის ტერიტორიაზე მდებარეობდა, სავარაუდოდ, მათი სახელი მეკობრეს ნიშნავდა. ვიკინგები უბადლო მხედრები და მეომრები იყვნენ. თავიანთ სამშობლოში ისინი სოფლის მეურნეობას, მეთევზეობასა და ხელოსნობას მისდევდნენ. ვიკინგების დიდი ნაწილი გლეხი იყო, მათ მოყავდათ მარცვლეული და ბოსტნეული, აშენებდნენ ხარდროხას, ღორებს, ქათმებსა და თხებს. ვიკინგები გარეულ ცხოველებზე ნადირობდნენ. ისინი კარგი მჭედლები და მეტალურგები იყვნენ. ამზადებდნენ ბრწყინვალე იარაღსა და სამკაულებს, აგრეთვე მოჩუქურთმებულ საგნებს. უმრავლესობა დიდ, გრძელ სახლებში ცხოვრობდა. სახლი ეკუთვნოდა ბელადს და ყველა, ვინც ბელადისთვის შრომობდა, მის სახლში ცხოვრობდა.

გარდაცვლილს საფლავისაკვებასა და სამკაულებს ატანდნენ, რომლებიც მას მომავალ ცხოვრებაში უნდა გამოდგომოდა. ზოგჯერ სახელგანთქმულ მეომარს გემზე ატავსებდნენ. გემს ცეცხლს უკიდებდნენ და ხალხი თვლიდა, რომ გემი მიემგზავრებოდა ვალჰალაში, სამოთხეში, სადაც მხოლოდ მეომრები ხვდებოდნენ. ვიკინგებს სწამდათ, რომ გარდაცვლილი მეომრები იქ დღისით იბრძოდნენ, ღამით კი ნადიმობდნენ ვალჰალაში, მთავარი ღმერთის, ოდინის სამფლობელოში. მშვენიერი ქალები, ვალკირიები მეომრებს ემსახურებოდნენ. ვიკინგები ხმაურიან ნადიმებს მართავდნენ ბრძოლებში გამარჯვების აღსანიშნავად. მუსიკოსები არფებზე და სასულე საკრავებზე უკრავდნენ, პოეტები კი, რომელთაც სკალდებს უწოდებდნენ, გრძელი ლექსებით ხოტბას ასხამდნენ მამაც მეომრებს.

მოსახლეობის ზრდასთან ერთად, ვიკინგებს დასამუშავებელი მიწები შემოაკლდათ, ამიტომ დაახლოებით 790 წელს ვიკინგების ნაწილმა სამშობლო დატოვა. მეომრები სანაპიროებს უტევდნენ, მოგზაურები ახალ მიწებს იკვლევდნენ, ვაჭრები და ხიზნები გემებით მიცურავდნენ ახალი მიწებისკენ. ვიკინგი მხედრები 300 წლის განმავლობაში შიშის ზარს სცემდნენ ევროპელებს. ულმობელი მეომრები სწრაფ გემებზე ისხდნენ. ხმელეთზე გადასვლის შემდეგ ისინი ბრძოლით იკაფავდნენ გზას, არბევდნენ ქალაქებსა და სოფლებს. ვიკინგებმა ბრიტანეთის, ირლანდიის, საფრანგეთისა და იტალიის დიდი ნაწილი დაარბიეს. მოგვიანებით ბევრი მათგანი ამ მიწებზე დასახლდა.

ანგლო-საქსონურ წყაროებში არის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როდის მოხდა ვიკინგთა პირველი შემოტევა ინგლისში და ვინ გახდა მათი პირველი მსხვერპლი. ეს იყო ახ. წ 789 წელს. ოთხი წლის შემდეგ, 793 წელს ვიკინგები ლინდისფარნის კუნძულზე მდებარე მონასტერს დაესხნენ თავს: “უფლის ტაძრის ძირფესვიანად დანგრევა საშინელ სისხლისვრასთან და ძარცვასთან ერთად მიმდინარეობდა. აქამდე ბრიტანეთს მსგავსი საშინელება არ ეხილა, როგორც ამ წარმართმა ტომებმა მოაწყვეს და წერდა სწავლული ალკვინი და ის აზრიც კი, რომ შემოტევა ზღვიდან მოხდებოდა წარმოუდგენელი იყო. წმინდა კუბერტის ეკლესია უფლის მსახურთასისხლით მოიწყო, პრაქტიკულად ყველაფერი მოიპარეს, ბრიტანეთის ეს უდიდესი წმინდა ადგილი წარმართთა მსხვერპლი შეიქნა”. ანგლო-საქსებისთვის ვიკინგები “წარმართები”, “დანიელები” ან “ჩრდილოელი ადამიანები” იყვნენ. ტერმინი “ვიკინგი” სავარაუდოდ საქსური სიტყვიდან ნიც(სამხედრო ბანაკი) მოდის, თუმცა არის სხვა ვერსიებიც. ფრანკული წყაროები მათ ორდმანნი(ჩრდილოელი ხალხი ან ნორმანები)უწოდებენ, გერმანულები კი სცომანნი(იგივე “ემმენ”, ასჰ დ იფანს ნიშნავს), რადგან

ზოგიერთი ვიკინგთა გემი იფნის ხისგან მზადდებოდა, თუმცა ძირითადად ამ დაპყრობელთა ხომალდები გამძლე მუხის ხისგან იკვრებოდა. ესპანელი მუსლიმები ვიკინგებს ლ-ადჯუს დ წარმართ ჯადოქრებს უწოდებდნენ, სლავები დ ლუს(შესაძლოა როტსი დდან, რასაც ფინელები შვედეთს უწოდებდნენ), ბიზანტიელები იცნობდნენ მათ როგორც ღჰოს(ბერძნული ზედსართავიდან “წითური”, ვიკინგთა წითური გარეგნობის გამო) ან Varangoi (სავარაუდოდ ძველსკანდინავიური სიტყვიდან Var d “ფიცი”, რაც უკავშირდება იმას, რომ ვიკინგებს ჰქონდათ ტრადიცია დაედოთ ერთგულების ფიცი). მხოლოდ ირლანდიელები, რომლებიც ვიკინგებს ოცჰლანნაცჰ(ჩრდილოელებს) და აილლ(უცხოები ან უცხოელები) უწოდებდნენ, ცდილობდნენ გაერჩიათ ერთმანეთისგან დანიელები(უბჰ-გაილლ დ შავი უცხოელები) დ ნორვეგიელები(ინნ-გაილლ დ თეთრი უცხოელები). ზოგიერთ სხვა წყაროში ვიკინგები “დანიელებად”, “ნორვეგიელებად” დ “შვედებად” მოიხსენიებენ. მაგალითად, ადამ ბრემენელი 1075 წელს წერდა: “დანიელები დ შვედები, რომელთაც ჩვენ ნორმანებს ვუწოდებთ ან ჩრდილოელ ხალხს”, ასევე ის ხსნის, რომ “დანიელები, შვედები დ დანიის სხვა ხალხები(მათ შორის ნორვეგიელები) მოიხსენიებიან ნორმანებად”. ამიტომ, როდესაც ანგლო-საქსონური წყარო მოიხსენიებს ვიკინგებს ენე-დან ან ანი-დან, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი აუცილებლად დანიიდან უნდა ყოფილიყვნენ. სიტყვა ვიკინგის წარმოშობის ერთ-ერთი ძირითადი ვერსიაა სიტყვა Vic, რაც ყურეს ნიშნავს დ აქვს ის საბაზი, რომ ვიკინგები იყვნენ მეკობრეები დ იმალეობდნენ სანაპიროს ყურეებში, საიდანაც შემდეგ სწრაფ რეიდებს ახდენდნენ. არის ვერსია, რომ ტერმინი ვიკინგი შეიძლება მოდიოდეს სიტყვიდან Vik დ გეოგრაფიული სახელწოდება ნორვეგიის ერთ-ერთი ნაწილისა, ან Vig დ ბრძოლა. სკანდინავიურ ხელნაწერებში Viking მეკობრეობას ან მეკობრულ თავდასხმას ნიშნავს, ხოლო ადამიანი, ვინც ასეთ რეიდში მონაწილეობს დ Vიკინგრ. სხვადასხვა ვერსია არსებობს ვიკინგთა მოულოდნელი გამოჩენის შესახებ ახ.წ VIII საუკუნეში. ამაზე იმოქმედა დემოგრაფიულმა ფაქტორებმა დ ევროპაში სტაბილური, მდიდარი სახელმწიფოების ჩამოყალიბებამ, როგორც იყო კაროლინგების იმპერია. მიმდინარეობდა გაცხოველებული ვაჭრობა, რაც ხელს აძლევდათ მეკობრეებს დ ისინიც ამ შანსს ხელიდან არ უშვებდნენ დ მუდამ ესხმოდნენ სავაჭრო ქარავნებსა თუ ვაჭართა ხომალდებს. ამასვე უკავირდება სკანდინავიაში გემთმშენებლობის სწრაფი განვითარება. ვიკინგებს ჰყავდათ არამარტო ის ცნობილი სამეკობრეო გემები, რომელიც ჩვენთვის მუდამ მათთან ასოცირდება, არამედ ნორრს დ სავაჭრო ხომალდები. ასეთი გემებით ვიკინგებს შეეძლოთ ხანგრძლივი ლაშქრობები წამოეწყოთ დ განევითარებინათ კოლონიზაცია ახლად აღმოჩენილი მიწებისა. სწორედ ხომალდები იყო ვიკინგთა მთავარი იარაღი მათი ლაშქრობების პერიოდში.

დაახლოებით 1100 წელს ვიკინგების თარეში შეწყდა. ამ დროისთვის მრავალი ვიკინგი ქრისტიანობას ეზიარა დ მათმა სისასტკემ იკლო.

ჟანა სირბილაძე

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

მულტიკულტურალიზმი თანამედროვე ნორმებისში

ხელმძღვანელი: პროფ. კახაბერ ლორია

თანამედროვე ეპოქაში ჩამოყალიბებულ საერთაშორისო სისტემას თუ დავაკვირდებით ვნახავთ, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობა კულტურულად ჰეტეროგენულია, ანუ „multikulturalia“. მულტიკულტურალიზმის ცენტრარულ იდეას წარმოადგენს მოსაზრება, რომ კულტურულად განსხვავებული ჯგუფები სხვადასხვა პოლიტიკურ გარემოში აღიარებასა და პატივისცემას იმსახურებენ. მარტივად, რომ ვთქვათ, სახელმწიფოები ამ გზით ცდილობენ განსხვავებული კულტურებისთვის ხელშეწყობას და მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში. შედეგად, ინდივიდებს საშუალება ექნებათ, რომ იცხოვრონ არა ჰომოგენურ, არამედ მრავალფეროვან, მულტიკულტურულ საზოგადოებაში, გაეცნონ და ურთიერთობა დაამყარონ განსხვავებული კულტურების წარმომადგენლებთან.

ხშირად მულტიკულტურალიზმის ქოლგის ქვეშ აერთიანებენ ისეთ ჩაგრულ ჯგუფებს, როგორც არიან ქალები, აფრიკელი ამერიკელები, სექსუალური უმცირესობები, მაგრამ მულტიკულტურალიზმის თეორიკოსები ფოკუსირებულნი არიან შემდეგ ჯგუფებზე: ემიგრანტებზე, რომლებიც ეთნიკურად ან რელიგიურად უმცირესოვას წარმოადგენენ (მუსლიმები ევროპაში ან ლათინური ამერიკის წარმომადგენლები აშშ-ში), უმცირესობაში მყოფ ერებზე (კალატონიელები, ბასკები, კვებეკელები) ან მკვიდრ მოსახლეობაზე, რომლებიც მთელი ქვეყნის უმცირეს ნაწილს წარმოადგენენ (მაორელები ახალ ზელანდიაში).

ტერმინი მულტიკულტურალიზმი პირველად 1957 წელს, შვედეთში გაჩნდა, მაგრამ მულტიკულტურალიზმი, როგორც საკუთარი, ეროვნული იდენტობის განუყოფელ ნაწილად პირველად კანადამ აღიარა და ის ოფიციალურ სახელმწიფო პოლიტიკად გამოაცხადა. შემდომ პერიოდში ეს ტერმინი დასავლური ქვეყნებისთვის მიმზიდველ ცნებად იქცა, მათ შორის ისეთი ჰომოგენური ქვეყნებისთვის, როგორცაა გერმანია და აღმოსავლეთის ყველაზე განვითარებული ქვეყანა იაპონია.

მიუხედავად ამ იდეოლოგიისადმი მსგავსი პათოსისა, მულტიკულტურალიზმი იყო და კვლავაც რჩება განხილვის საგნად. კრიტიკოსების აზრით, რომელიმე ჯგუფის ჩაგრულად გამოცხადება და მის მიმართ პრეფერენციული ღონისძიებების გამოცხადება კიდევ უფრო აღვივებს განსხვავებულობის შეგრძნებას. წარსულში ან დღეს არსებული უთანასწორობაზე მუდმივი აქცენტირება თავისთავად უფრო აფერხებს უმრავლესობაში მათ ინტეგრაციას.

მულტიკულტურალიზმის უარყოფითმა მხარემ, რომელმაც უფრო მკვეთრად იჩინა თავი არის ნაციონალიზმის გაღვივება და ულტრანაციონალისტური ჯგუფების გააქტიურება მსგავს მულტიკულტურულ საზოგადოებებში. მთელ რიგ ევროპულ ქვეყნებში, გაჩნდა ანტი-მულტუკულტურული სლოგანები, ორგანიზაციები, რომლებიც ძირითადად მიმართული არიან მუსლიმების მისამართით. მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული, მასიურად მიმდინარეობს ემიგრანტთა გადასვლა ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და შედეგად მივიღეთ მუსლიმი მოსახლეობის სწრაფი ზრდა დასავლურ სამყაროში.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტმა თუ სხვა აფეთქებებმა, რომელთა უკანანაც მუსლიმები იდგნენ, მათ მიერ განხორციელებულმა კრიმინალურმა აქტებმა, გარკვეული სტერეოტიპების ჩამოყალიბება გამოიწვია მუსლიმი მოსახლეობის მიმართ და მათი განზოგადოება კონკრეტული ტერმინებისა და ეპითეტების ირგვლივ. შედეგად, ნებისმიერი ტერაქტი თვითნებურად და თავისთავად ხდება ხოლმე დაკავშირებული მუსლიმ მოსახლეობასთან. სწორად ასე მოხდა ნორვეგიაში 2011

ნლის 22 ივლისს მომხდარი ტერაქტის შემთხვევაშიც. საერთაშორისო გამოცემები ოფიციალურ განცხადებებამდე წერდნენ, რომ ტერაქტის ოგანიზატორები მუსლიმი ექსტრემისტები იყვნენ.

სინამდვილეში კი ამ მოვლენების ავტორი განათლებული, ნორვეგიელი მემარჯვენე ექსტრემისტი ანდრეს ბრეივიკი იყო. ეს ტერორისტული აქტი შეიძლება გავყოთ ორ ნაწილად. პირველი ნაწილი, მანქანის აფეთქება მთავრობის სასახლესთან, რომელმაც რვა ადამიანის სიცოცხლე შეინირა. რამდენიმე წუთში კი ბრეივიკი კუნძულ უტოიაზე მივიდა, სადაც მმართველი პარტიის ახალგაზრდული ნაწილის მიერ ორგანიზებული საზაფხულო ბანაკი იმართებოდა. კურსის ფარგლებში 560 სტუდენტს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ ცოდნა პოლიტიკის შესახებ და შეხვედროდნენ ნორვეგიელ პოლიტიკოსებს. სტუდენტები შემოთვალისწინებულნი იყვნენ ოსლოში მომხდარი ტერაქტის გამო და როდესაც პოლიციის ფორმაში ჩაცმული ბრეივიკი გამოეცხადათ, იფიქრეს, რომ ეს კონკრეტული პიროვნება მათ დასაცავად იყო გამოგზავნილი. სინამდვილეში, მან სროლა ატეხა და 69 ახალგაზრდის სიცოცხლე შეინირა, სამწუხაროდ მათ შორის ქართველი გოგონა თამთა ლიპარტელიანიც იყო. ეს ტერაქტი იყო 10 წლიანი მომზადების შედეგი და ავტორს კარგად გააზრებული ჰქონდა თუ რა და როგორ უნდა გაეკეთებინა. დაკავებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ანდრეს ბრეივიკმა მისი საქციელი ასე შეაფასა: “ეს იყო სასტიკი, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯი”.

ანდრეს ბრეივიკმა თავისი ნაბიჯის განხორციელებამდე, თავისივე გვერდზე “ტვიტერზე” გამოაქვეყნა 1500 გვერდიანი მანიფესტი, სადაც ხსნის თავისი საქციელის მიზეზებს. მისი თქმით, ევროპა და მათ შორის ნორვეგია უდიდესი საფრთხეების წინაშე დგას, კონკრეტულად, ისლამისა და კულტურული მარქსიზმის. იგი აკრიტიკებს ნორვეგიის ხელისუფლებას და სხვა ევროპულ ქვეყნებს მულტიკულტურალიზმის მხარდაჭერაში და განსხვავებული კულტურების მათ საზოგადოებაში ადაპტირებაში. ბრეივიკისთვის მულტიკულტურალიზმი არის დამანგრეველი იდეოლოგია და საკუთარ თავს იგი ხედავს პოლიტიკოსად, რომლის მისიაც ძირძველი ევროპული კულტურისა და საზოგადოების დაცვაა ისლამისგან. მისი თქმით საჭიროა ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა, რომელიც გაანთავისუფლებს ევროპას მუსლიმებისგან. მაგრამ ალბათ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ისლამობოფობიით შეპყრობილი ბრეივიკი მისი ქმედებების შთამაგონებლად ალ-ქაიდას და სხვა ისლამურ ექსტრემისტულ ორგანიზაციებს ასახელებს. ეს ნაციონალისტურ-ექსტრემისტული ორგანიზაციები იგივე ფორმებით გამოხატავენ მათ დამოკიდებულებას სხვა კულტურებისადმი და, ზოგადად, მსოფლიოში არსებული ვითარებისადმი.

ზოგადად, მულტიკულტურალიზმი ძალიან საინტერესო ფენომენია, თუნდაც საქართველო და მისი დედაქალი თბილისი ამის დამადასტურებელია, სადაც საუკუნეების განმავლობაში ჰარმონიულად ცხოვრობდნენ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები. მულტიკულტურალიზმი, რომელიც უმცირესობებისა და უმრავლესობების შერწყმას უწყობს ხელს, რომელიც წარმოშობს ახალ იდეებს, აცნობს კულტურებს ერთმანეთს, აღვივებს შემწყნარებლობასა და ლოიალიზმს, შეიძლება ექსტრემისტული ნაციონალიზმის გამააქტიურებელიც გახდეს. თავისთავად ცხადია, რომ ვერანაირი მიზეზი ვერ ამართლებს ბრეივიკის პროტესტის გამოხატულების ფორმას, ვერანაირი მიზეზი ვერ ამართლებს ათობით ახალგაზრდის მკვლელის ქმედებას, მაგრამ აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს იმ პრობლემებზე რომელიც საზოგადოებაში არსებობს. რა თქმა უნდა, ძალზე რთულია ერთი შემთხვევის გამო ისაუბრო რომელიმე იდეოლოგიისა თუ ფენომენის წარმატება წარუმატებლობაზე, მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყნების ლირებებმა უფრო აქტიურად უნდა იფიქრონ ამ საკითხზე და მომავალში თავიდან აირიდონ ისეთი სცენარები, რომელიც 2011 წლის 22 ივლისს ნორვეგიაში განვითარდა.

ჯუნა მჭედლიძე

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

ერლენდ ლუს ლიტერატურული მინიმალიზმი

ხელმძღვანელი: პროფ. კახაბერ ლორია

ნორვეგიელმა მწერალმა ერლენდ ლუმ (Erlend Loe) ორიგინალური ფორმით დაწერილი რომანისთვის – *naivuri.superi.* – არც თუ ისე ცოტა ლიტერატურული პრემია მიიღო. მარტივი და სადა ენით დაწერილი რომანით რთულ საკითხებზე გვაფიქრებს. ამ ლიტერატურული ხერხით მწერალმა მინიმალისტური სტილი დაამკვიდრა პროზაში.

რაზე შეიძლება ფიქრობდეს ადამიანი 25 წლის ასაკში? რა შეიძლება ამოძრავებდეს, აფორიაქებდეს, აფხიზლებდეს მის გონებას, ან სულაც აზრს აძლევდეს მის თვალში ცხოვრებას?

მთავარი გმირის, 25 წლის ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება აზრს კარგავს, ერთფეროვანი სწორი ხაზით უინტერესო ხდება, მას აბნევს თანამედროვე თეორიები დროის შესახებ, ველარ ხედავს საგნებს შორის ურთიერთკავშირს და სამყაროში მისი არსებობის მიზანს გამუდმებით ფიქრობს ისეთ რაღაცეებზე, რაზეც მილიონობით ადამიანი ცხოვრების ბოლომდე თავს არ იწუხებს, ისე მიდიან საფლავებამდე. აფიქრებს დრო, კოსმოსი, ყოფიერების აზრი აქვს დროსთან შეგუების პრობლემა; სჯერა, რომ დროს სიმძიმის ძალა და მოძრაობა განაგებს.

რით შეგვიძლია დავეხმაროთ თავს შინაგანი სამყაროს მსგავსი უწონადობის მდგომარეობაში? – ის აკეთებს იმ ნივთების სიას, რომლებიც აქვს და რომლებიც უნდა რომ ქონდეს. იმის დანახვა, რომ უფრო მეტი აქვს, ვიდრე ჭირდება, არ შევლის. შემდეგ კედელზე ბურთის სროლით ერთობა, უფრო დიდხანს სპეციალურად შეძენილ სათამაშო დაფაზე კაკუნით რეალობას ეთიშება, ყოველდღიურ ერთფეროვნებას არიდებს თავს. თავიდან შეიძლება, უაზრობად მოგეჩვენოთ, მაგრამ როგორ და რაში ეხმარება ეს ყველაფერი მას, რომანის დასასრულს გაიგებთ, სადაც წერს: *“მგონი, თამაშისა და გართობის საშუალებით სულის განწმენდის იდეას ვეთანხმები”*.

მას უნდა, რომ ყველაფერი თავის ადგილას დალაგდეს, მარტივად და კარგად იცხოვროს, უამრავი ბედნიერი წამი განიცადოს, დარწმუნდეს, რომ მის ყოფას მართლა აზრი აქვს. სხვანაირად სიხარულს ვერ გრძნობს, უფრო მარტივად არ შეუძლია შეხედოს ცხოვრებას. საბოლოოდ კი ერთადერთი კითხვა აწვალავს: ყველაფერი უკეთესობისკენ წავა თუ პირიქით – გაუარესდება?

გადანყვეტს, რომ მას გარდასახვა ესაჭიროება და იმასაც იაზრებს, რომ ეს ყველაფერი ნამდვილად ჯდება მისი შესაძლებლობების ფარგლებში. იპოვის თუ არა საკუთარ თავს ნიუ-იორკში მოგზაურობისას? უშველის ქუჩებში უამრავ ხალხს შორის სიარული, უზარმაზარი შენობებისა და ნივთების შემყურეს? მოახერხებს, კითხვებზე პასუხების პოვნასა და ნივთებს შორის ურთიერთკავშირს აღდგენას?

წიგნის ბოლომდე ისე ჩახვალთ, ვერც კი მოასწრებთ, აღმოაჩინოთ, რომ მთავარი გმირი მკითხველისთვის უსახელოდ რჩება; თუ არ ჩავთვლით ერთ ნიუანსს, რომელიც ბოლო გვერდზეა მოცემული, სადაც რომანის ავტორს თავისი სახელი აქვს გამოყენებული

რაც შეეხება თავად მწერალს, ნორვეგიელი მწერალი და სცენარისტი, ერლენდ ლუ, დაიბადა 1969 წლის 24 მაისს, ტრონდჰეიმში. ის სწავლობდა დანიის კინოაკადემიაში (Danmarks film akademi) კოპენჰაგენში და ასევე დაამთავრა ხელოვნების აკადემია ტრონდჰეიმში. დღეს ის ცხოვრობს ოსლოში და მოღვაწეობს როგორც მწერალი, კინოსცენარისტი და მთარგმნელი.

პირველი რომანი, რომელმაც ერლენდ ლუს წარმატება მოუტანა იყო «Tatt av Kvinnen» (1993), რომელშიც ლუმ აღწერა ახალგაზრდა ნორვეგიელის ცალმხრივი სიყვარული. ერთი წლის შემდეგ გამოაქვეყნა საბავშვო წიგნი «Fisken» (istoriebi სატვირთო ავტომობილის მძღოლის კურტის შესახებ). ერლენდ ლუს საავტორო სტილი ადვილად საცნობია და ხშირად ახასიათებენ, როგორც სპეციალურად გულბრყვილოს და ნაიურს. მისი რომანის მთავარ გმირებს ხშირად ძალიან ბევრი უნდათ ცხოვრებისგან. ერლენდ ლუ ხშირად იყენებს ირონიას, გროტესკულ გაზვიადებას და იუმორს. ერლენდ ლუს ყველაზე ცნობილი წიგნი, როგორც უკვე აღვნიშნე ~naivuri სუპერია“, რომელიც დაახლოებით 20 ენაზეა თარგმნილი.

ალექსანდრე ტყეშელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

სკანდინავიური პოლიტიკური სისტემა და სოციალ-დემოკრატია

ხელმძღვანელი: პროფ. კახაბერ ლორია

გერმანელი სოციალისტი პოლიტიკოსი და თეორეტიკოსი, ედუარდ ბერნშტაინი, კანტის ფილოსოფიური სკოლისა და ინგლისური ფაბიანიზმის გავლენით თავისი დიდი წვლილი შეიტანა მარქსის ხისტი თეორიის რევიზიასა და ისტორიული მატერიალიზმის შეცვლით უფრო თანამედროვე და პრაქტიკული თეორიით. იგი გერმანული სოციალ-დემოკრატიული პარტიის (Socialdemokratische Partei Deutschlands (SPD)) ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო და საუბრობდა კლასობრივი ბრძოლისა და ზედმეტი დაძაბულობის გარეშე სოციალიზმზე გადასვლის შესაძლებლობაზე. SPD სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის ერთ-ერთი მოწინავე მატარებელი იყო ევროპაში, რომელსაც იმ დროისათვის აკლდა თეორიული სიმარტივე და ეძლეოდა სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციები.

...და მაინც, სოციალ-დემოკრატია შეგვიძლია განვსაზღვროთ იმ პოლიტიკურ იდეოლოგიურ მიმართულებად, რომელიც იცავს ბალანსს ერთის მხრივ საბაზრო ეკონომიკის და ინდივიდუალიზმის და მეორეს მხრივ სახელმწიფოს და კოლექტივის შორის. სოციალ-დემოკრატია აღიარებს საბაზრო კაპიტალიზმს, როგორც ერთადერთ საშუალებას ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობისა და ამავდროულად ემხრობა დოვლათის არა საბაზრო, არამედ მორალური პრინციპებით განაწილების იდეას (Heywood, 2002).

ენდრიუ ჰეივუდის მიხედვით თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის მთავარი საზრუნავი ასოცირდება საზოგადოების დაბალი, სუსტი და უსუსური ნაწილის პრობლემებსა და ზრუნვაზე. ასე რომ სოციალ-დემოკრატია ვერ განიხილება როგორც მემკვიდრეობა, რომელიც კლასიკურმა სოციალიზმმა დაგვიტოვა, არამედ როგორც კეთილშობილი ნაზავი სოციალიზმის, ლიბერალიზმისა და კონსერვატიზმის საუკეთესო ტრადიციებისა იმ მოთხოვნების შესაბამისად, რასაც იმდროიდან აყენებდა ინდუსტრიული და ან უკვე პოსტ-ინდუსტრიული თუ პოსტმოდერნული საზოგადოება. ეს პრინციპებია: პიროვნების თავისუფლება, ეგალიტარიზმი, სოლიდარობა, სამოქალაქო საზოგადოებაზე პატერნალისტური ზრუნვა, ანუ ის პრინციპები, რაც სოციალ-დემოკრატია სხვადასხვა იდეოლოგიებისაგან ისესხა. ამ პრინციპების იმპლემენტაციამ და ასევე სხვა ფაქტორებმა განაპირობეს ერთგვარად უტოპიური იდეის ნაწილობრივი განხორციელება სკანდინავიის ქვეყნების, ე.წ. კეტილ-დღეობის სახელმწიფოებად ქცევა.

1930-იან წლებში სამივე სკანდინავიურ ქვეყანაში (დანია, შვედეთი, ნორვეგია) სათავეში სოციალ-დემოკრატიული პარტიები მოექცნენ, რომლებიც ალიანსში იყვნენ აგრარულ და სოციალ-ლიბერალურ პარტიებთან. მათ დაუყოვნებლივ დანერგეს რეფორმები სოციალური დაცვის სფეროში (მოხუცთა პენსიები და უმუშევართა დაზღვევა) მიუხედავად იმისა, რომ ეს რეფორმები მკვეთრ წინააღმდეგობაში იყო ბისმარკისეულ სოციალურ დაზღვევათა შესახებ ნააზრევთან და იქ არსებულ ტრადიციულ მანამდელ მდგომარეობასთანაც.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ათწლეულებში შვედეთსა და ნორვეგიაში სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა თითქმის ჰეგემონური პოზიცია მოიპოვეს, საიდანაც მათ უკვე შეეძლოთ ეფექტურად გაეკონტროლებინათ კეთილდღეობის პოლიტიკის განხორციელების მასშტაბები. სოციალ-დემოკრატების გავლენა ძლიერი იყო დანიაშიც, თუმცა იგი უფრო მეტად იყო დამოკიდებული ლიბერალურ პარტიასთან თანამშრომლობაზე. ფინეთსა და ისლანდიაში კი სოციალ-დემოკრატიული

პარტიები მნიშვნელოვნად მოიკოჭლებდნენ, გამომდინარე აქედან, ისინი ამ ქვეყნებში არ წარმოადგენდნენ ანგარიშგასანევ ძალას, რათა მათ არ შეეძლოთ კეთილდღეობის პოლიტიკის იმპლემენტაციაში სერიოზული წვლილის შეტანა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ევროპაში სადაც გლობალური კონფლიქტის დეგრადაციულ შედეგებს იმკიდნენ, ხშირად საუბრობდნენ სკანდინავიურ ქვეყნებსა და სახელმწიფოს მონყობის მათეულ მოდელზე. ევროპას იმ დროისათვის სასიცოცხლო ცალების მოსაკრებად აუცილებლად ესაჭიროებოდა ახალი სულისკვეთება, რომელიც მას იმ კრიზისის დაძლევაში დაეხმარებოდა, „rkinis ფარდის“ პერიოდში რომ იყო გამეფებული.

სწორედ ომისშემდგომი პერიოდიდან დაიწყო საუბარი „mesame გზის“ პოლიტიკაზე. ეს ცნებაც მრვალ იდეოლოგიურ ტრადიციას აერთიანებდა და მიუხედავად მრავალგვარი ინტერპრეტაციებისა ძირითადად დაფუძნებული იყო ლიბერალიზმზე, მოდერნიზებულ სოციალ-დემოკრატიასა და კონსერვატიზმის იმგვარ გაბებაზე, რომელიც საზოგადოებას, პრაგმატულ ჩარჩოებში, ორგანულ მთლიანობად აღიქვამდა.

ერთ-ერთი მთავარი ნიშანი მესამე გზის პოლიტიკისა, რაც სკანდინავიურ სახელმწიფოებს ახასიათებდათ, არის მთავრობის ძირითადი როლის ცნობა ეკონომიკისა და სოციალური ცხოვრების დარეგულირებაში. მართლაც, იმ დროისათვის ნორვეგია და შვედეთი იქცნენ პიონერებად, რომლებმაც ჩამოაყალიბეს პასუხისმგებლობით აღსავსე სამოქალაქო საზოგადოება. მათთვის ასევე არათუ უცხო, არამედ აუცილებელიც კი იყო საბაზრო პრინციპების შესისხლხორცება და ეს ყველაფერი იმაშიც გამოიხატება, რომ დღესდღეისობით, მრავალი კრიტერიუმით ნორვეგია უფრო კაპიტალისტური ქვეყანაა ვიდრე აშშ. ეს შეიძლება ერთი შეხედვით პარადოქსულად ჟღერდეს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ნორვეგიაში ფაქტობრივად არ არსებობს კერძო სკოლები და საავადმყოფოები, მაკროეკონომიკური ძვრები უმეტესწილად საბაზრო პრინციპებით მიმდინარეობს. ამ, ერთგვარად სოციალური და პოლიტიკური განვითარების ეკლექტურმა გზებმა და მდიდარი რესურსების რაციონალურად გამოყენებამ, აქცია ნორვეგია და სხვა სკანდინავიურ ქვეყნებთან ერთად მდგრად კეთილდღეობის სახელმწიფოდ, რომელიც მსოფლიოში არ თმობს მონინავე პოზიციებს ეკონომიკური, პოლიტიკური თუ ზოგადსაზოგადოებრივი კეთილდღეობისა და ჰარმონიის მხრივ. ეს ყველაფერი აქცევს ამ ყვეყნებს, განსაკუთრებით ნორვეგიას, ასე მიმზიდველს ყველასათვის რაც გამოიხატება ემიგრაციის მაღალი დონით, რასაც დადებითთან ერთად უარყოფითი ეფექტების ახლავს, თუმცა ეს უკვე სხვა თემაა.